

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISSN 1512-09-53

ურთმეები

ტომი IV (38)

ისტორიულ და ფილოლოგიურ
მეცნიერებათა სერია

ქუთაისის აკადემიური ფერდობის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ურთმეობი

ტომი IV (38)

ისტორიულ და ფილოლოგიურ
მეცნიერებათა სერია

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2004

„შრომების“ მთავარი რედაქტორი
პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი



მთავარი სარედაქციო საბჭო: ვახტანგ ამაღლობელი (საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების დარგის პრორექტორი), პროფესორი ოთარ გომიბაძე (ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი თორნიკე ეურეშიძე (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), შალვა კირთაძე (გამომცემლობის დირექტორი), პროფესორი ოთარ ლანჩავა (სასწავლო და სამეცნიერო დარგის პრორექტორი), პროფესორი გიორგი ონიანი (საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), პროფესორი ლევან სპანაძე (სოციოლოგიურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), დოცენტი მარინე ჯანაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პროფესორი გურამ ჩაჩანიძე (პედაგოგიკურ და მეთოდოლოგიურ მეცნიერებათა სერიის რედაქტორი), ნატო ნულისკირი (სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მდივანი).

სერიის რედაქტორი: პროფ. ოთარ გომიბაძე

სარედაქციო კოლეგია: პროფ. სისანა აბულაძე, დოც. ნოზა ბარბაქაძე, პროფ. გურამ ბაბუნია, დოც. ლუკა ღვალთვალი, პროფ. ნანული კაკაურიძე, დოც. გაბა კიკვიძე, დოც. ინგა კიკვიძე, დოც. ბაია კოლუაშვილი, უფრ. მასწ. ლილი კრაპჩენკო, უფრ. მასწ. მარინე კუკუხიძე, პროფ. მალონა მებრელიშვილი, პროფ. გიორგი მკვლელიძე, პროფ. ვერა ოსხელი, პროფ. ტარიელ უშტკარაძე, პროფ. გურამ ჩიქოვანი, დოც. ელისო ქორიძე, დოც. ტარიელ ჭიჭინაძე.

მანია ალავეკე

ინგლისური მეტყველების იდიომატიკა

ენის ფილოსოფია გულისხმობს, რომ ნებისმიერი ინდივიდის მიზანია გააგებინოს მეორე მხარს და გაიგოს ნათქვამი. ენის გამოყენებისას ადგილი აქვს სამ მოვლენას:

1. ვაშობთ რაიმეს;
2. ვანიშნებთ როგორ უნდა მიიღოს მსმენელმა ჩვენი ნათქვამი;
3. შედეგად მსმენელზე ვახდენთ კონკრეტულ გავლენას.

ჩვეულებრივ, საუბრისას ჩვენ სამივე ამ მოთხოვნას ვასრულებთ (ან ვცდილობთ შევასრულოთ), რადგანაც ნებისმიერი შემთხვევა, როცა მთქმელის განზრახვა მსმენელისათვის გაუგებარი რჩება, კომუნიკაციის მარცხად ითვლება [3]. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას უშლის ხელს ენაში არსებული კლიშეები, მეტაფორები, იდიომატური გამოთქმები და ფრაზეოლოგიური ერთეულები.

ნებისმიერი ენის შემსაწავლელათვის ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს კოლოკაციების, ფრაზეოლოგიური შენაერთებისა და იდიომატური გამოთქმების შესწავლის საკითხი. დასავლელი ენათმეცნიერები საყურადღებო კონცეფციას გვთავაზობენ ცალკეულ კომპონენტთა იდიომატურობის ხარისხის შესახებ. იმის მიხედვით, თუ რამდენი კომპონენტი განიცდის იდიომატიკადაც, ხოლო რამდენი ინარჩუნებს იდიომატურ სიგყვიერ მნიშვნელობას, ისინი ასახელებენ ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ იდიომებს. ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიზაცია, როგორც მოვლენა აზროვნების, შემეცნების რთულ პროცესებს უკავშირდება, ამიგომ ფრაზეოლოგიურ ერთეულში იდიომატურობის მატარებელი კომპონენტების დადგენა და მისი დენოტატურა გადაგანითი მნიშვნელობის უბუალური გამოყენების ფაქტი გვეხმარება ამ პროცესების გარკვევაში, მისი არსის წყდომამი ცალმხრივ

სამხართველი
პარლამენტი
ეროვნული

ილიომში ერთი კომპონენცია ილიომაგიზირებული; ორმხრივი
ორი და ა.შ. ფრაბეოლოგიური ერთეულის ასეთი ახლანდელი
კლასიფიკაციის თეორიულ ღირსებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ
იგი შეიძლება მიუსადაგო ყველა მეტყველების ნაწილს. თანაც
აღნიშნო მისი მეგაფორიზაცია ან მეგონიზური გამოყენება. ამა-
ვე დროს თვალსაჩინოა ფრაბეოლოგიური მნიშვნელობა რომე-
ლი კონკრეტული კონსტიტუენცის მნიშვნელობიდან გამომდინა-
რეობს უშუალოდ და რომელ კონსტიტუენცს შეაქვს წვლილი
თავისი გადაგანითი მნიშვნელობით.

ყოფილ საბჭოთა მკვლევართა შრომებში კონსტიტუენტთა სე-
მანტიკური დაგვირთვა განხილულია განსხვავებული კუთხით.
კერძოდ, ინგეგირებული მნიშვნელობის მოგივაციის ხარისხით,
ანუ ხერხდება თუ არა ფრაბეოლოგიურ მნიშვნელობაში მისივე
ხაგის მოგივაცია. თუ ხერხდება მათ მოგივირებულს უწოდებენ
და თუ არ ხერხდება – მოგივაცია დაკარგულს ან დაბნელებულს
(დ. ბახგაძე 1995). თანამედროვე ქართულ ენაში არსებულ ილი-
ომაგურ გამოთქმას “ყურებზე ხახვი არ დამაჭრა” მოგივაცია
დაკარგული აქვს, მაგრამ “თითი დაუქნია” – დაემუქრა, შენარ-
ჩნებულია თავისი ხაგი ფრაბეოლოგიზაციის ამოსავალ თავისუ-
ფალ სინგაქსურ შესაერთთან მიმართებაში.

ინგლისური გამოთქმის ან ილიომების გამოყენება ერთ-ერთი
განმსაზღვრელი ნიშანია იმისა, იყენებს მას მშობლიურ ენაზე
მოლაპარაკე თუ არამშობლურ ენაზე მოლაპარაკე. სწორედ ამით
შეიძლება გაიზომოს ენის ცოდნის დონე. თუ იგი შეიძლება ილი-
ომაში “to catch one’s imagination” შეცვალოს გზნა და თქვას “to
seize one’s imagination” ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ენის გრძნობა
[2]. ილიომებთან დაკავშირებული სიძნელეებიდან უნდა აღინიშ-
ნოს მთავარი; ენის შემსწავლელთათვის ისეთი ილიომაგური გა-
მოთქმები, როგორცაა fill the bill ან spill the beans არ ნიშნავს იმას
რაც ერთი შეხედვით ჩანს. ამ შენაერთის მნიშვნელობა არ უდ-
რის მასში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. თუმ-
ცა აქ ბევრი თავისებური ელემენტია. ავიღოთ ილიომაგური გა-
მოთქმა: to pull one’s leg. იგი შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობითაც
იქნეს გაგებული კონტექსტის გათვალისწინებით.

საბედნიეროდ, შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ

ილიომაგური და არაილიომაგური გამოხატვაში სემანტიკური კონსტიტუენტების მნიშვნელობათა გათვალისწინებით. ფრაზოლოგიურ ერთეულებსა და ილიომებს ორგვარი ბუნება აქვთ. კონსტიტუენტების მნიშვნელობა ქმნის გარკვეულ სურათს. მაგრამ ფაქტიური მნიშვნელობა ამ ერთეულისა მცირედ, ზოგჯერ კი საერთოდ რ უკავშირდება ამ შექმნილ სურათს. იქმნება ე.წ. “ყალბი სურნელი” რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას. განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

Little John (crying): Mummy, my auntie Jane is dead.

Mother: Nonsense child! She phoned me exactly five minutes ago.

John: But I heard Mrs. Brown say that her neighbours cut her dead.

To cut somebody dead ნიშნავს უხეშად ვინმეს იგნორირებას [1:227] როგორც ხედავთ, მასში შემავალ კონსტიტუენტებს არაფერი აქვთ საერთო სემანტიკურ მნიშვნელობასთან.

გრადიციულად ფრაზოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია ეყრდნობა მათ წარმოშობას და შინაარსს. მათ “თემაგურ ილიომებს”. უწოდებენ (თუმცა გერმინი საყოველთაოდ მიღებული არ არის) აქედან გამომდინარე, ილიომები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებად. კერძოდ, ილიომები, რომლებსაც იყენებენ მეზღვაურები, მეთევზეები, მონადირეები და ა.შ. აგრეთვე, ილიომები, რომლებიც დაკავშირებულია ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან. ილიომების ასეთი კლასიფიკაციის პრინციპს “ეტიმოლოგიურს” უწოდებენ. თუმცა ეს გერმინიც საკამათოა, რადგან ამ დროს ჩვენ არ ვეხებით სიგყვის წარმოშობის ეტიმოლოგიას.

ყოველივე ზემოთმულიდან კარგად ჩანს, რომ ენის ილიომატიკა კარგად ასახავს იმ ენის ყოფა-ცხოვრებას, რომელსაც იგი ეკუთვნის. ინგლისელი ენათმეცნიერი ლ. სმიტი აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში განსაკუთრებით ბევრია ზღვასთან და მეზღვაურებთან დაკავშირებული ილიომაგური გამოთქმები, თუმცა ზოგიერთებს უკვე მეტაფორული მნიშვნელობა აქვთ და არაფერი აქვთ საერთო ზღვასთან ან მეზღვაურებთან. მაგ.:

to be all at sea – რაიმეს საგნის ან მოვლენის აბსოლიტური არ ცოდნა;

to sink or swim – მარცხის ან წარმატების მიღწევა;



in deep water – განსაცდელში ყოფნა;
 to be in the same boat with smb. – ვინმეს მსგავს სიტუაციაში ყოფნა;
 to sail under false colours – თავის მოჩვენება იმად, რაც არ ხარ.
 აქ მეტაფორა იმაში მდგომარეობს, რომ მტრის გემი ზოგჯერ
 მგობრულ ღროშას გადმოაფენდა.

to weather the storm – სიძნელეების გადალახვა;
 half seas over – მთვრალი [1,243] და ასე უსასრულოდ შეიძლება
 მაგალითების მოყვანა.

საბოლოო ჯამში კი როგორც ხედავთ, მხოლოდ ენის სემანტიკური ანალიზი გვიჩვენებს თუ სამყაროს რომელი მოდელია წარმოდგენილი ენაში.

ინგლისური ენის სემანტიკური ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ ინგლისური ენის ილიომატიკა შემდეგ ნიშნებს ეფუძნება:

- ა) გამოყენების მაღალ სიხშირეს;
- ბ) უნარს ერთმანეთს დაუპირისპიროს ნეიგრალურად და სტილისტურად შეფერილი ფრაზეოლოგიური ერთეულები;
- გ) მრავალმიშენელობას;
- დ) სინონიმებისა და ანტონიმების დონეზე სემანტიკური პარალელების გავლებას;
- ე) სამეცყველო პროცესში აქტიური გამოყენების დონეს [4].

ამ კუთხით ჩატარებული ანალიზი კი გვიჩვენებს თუ როგორაა დანახული მოცემულ ენაში გარე სამყარო; როგორ, რა წესების მიხედვითაა იგი სეგმენტირებული მასში, რადგანაც ენა კულტურასაც ასახავს, ამდენად სემანტიკური ანალიზი კულტურის იმ მოდელის თუ მოდელების ძიებაა, რომელიც მოცემული ენის სემანტიკურ სტრუქტურაშია ასახული.

ლიტერატურა:

1. Antrushina G. B., Afanasieva O.V., Morozova N.N. – English Lexicology , 1999
2. Cowie A. P. & Mackin R – Oxford Dictionary of Phrasal Verbs, 1993
3. Levinson S. C. – Linguistics, 1973
4. Shekhtman N. A. – A Handbook of English Idioms and Idiomatic Usage, 1971
5. ბახტაძე დ. – ფრაზეოლოგიური პრედიკაციის პრობლემები, 1995

MAIA ALAVIDZE
IDIOMATIC ENGLISH SPEECH
A B S T R A C T

The paper deals with the reality of living-speech, principles of classification of phraseological units, their history and the main problems associated with the usage of idioms. It focuses on the degree of idiomaticity as the main criterion for classifying collocations, phraseological units and idioms. The work also reviews an alternative approach to this issue which is based on the degree of motivation apparent in the integrated meaning of the unit.

The authour emphasises the importance of using such expressions and idioms in determining the level of speakers mastery of the language. The ability to replace and modify the constituents in such phrases is the best indicator of the native-speaker level proficiency.

The article also discusses a so called double nature of idioms i.e. two different images created on the one hand by separate meanings of its constituents and on the other the message conveyed by the unit as a whole.

The paper supports the viewpoint that phraseological units or idioms represent what can probably be described as the most picturesque, colourful and expressive part of the language's vocabulary which draws on its resources mostly from the very depth of popular speech.

ინგლისური ენის კათედრა

შეძრია აუხანიძე

სინჰალურ-ინგლისური ენობრივი კონტაქტები

ინგლისური სალაპარაკო ენად შრი ლანკაში გავრცელდა მას შემდეგ, რაც კუნძული ბრიტანეთის კოლონიურ რეჟიმში მოექცა, კერძოდ კი, 1802 წლიდან.

1830 წ. ინგლისური შრი ლანკის ერთადერთ ოფიციალურ სახელმწიფო ენად იქნა გამოცხადებული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ 1948 წ. ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუტანა, მაგრამ 1950 წლის ბოლომდე შრი ლანკაში ინგლისური ენის ოფიციალური სახელმწიფოებრივი სტატუსი უცვლელი დარჩა.

1956 წ. სინჰალა გამოცხადდა შრი ლანკის ოფიციალურ სახელმწიფო ენად. 1956 წ. იგივე სტატუსი მიენიჭა თამილურსაც. 1988 წ. მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე კი ინგლისური ენის ფუნქციონალური სტატუსი განისაზღვრა, როგორც "Link Language" (იგი, როგორც საერთაშორისო ენა უართოდ გამოიყენება სხვადასხვა სფეროში).

ინგლისური დღესაც ყველაზე პრესტიჟული ენაა შრი ლანკაში, მას მეორე სავალდებულო ენად ასწავლიან სკოლებში და სახელმწიფო ადმინისტრაციული სისტემა ძირითადად სწორედ ამ ენაზე მუშაობს.

შრი ლანკაში ინგლისური ენის გამოყენების ძირითადი რეგისტრებია:

1. ბრიტანული ნორმირებული ინგლისური, რომელიც შრი ლანკაში ინგლისურის გამოყენების ოფიციალურ სტანდარტიზებულ რეგისტრს წარმოადგენს.

2. „ლანკური, ან შრილანკური ინგლისური, რომელსაც აქვს არაფორმალური, სასაუბრო ფუნქცია; ეს არის ინგლისური ენის რეგიონალური სახეობა, რომელიც გამოიყენება ზოგადად მთელს შრი ლანკაში, სადაც მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობას (72%)

სინჰალეები შეადგენენ, ხოლო სხვა ეროვნების ადგილობრივ მკვიდრთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ურია თამილური „ლანკური ინგლისურის“ ენობრივი სტრუქტურა ჩამოყალიბდა სინჰალურ-ინგლისურ-თამილური ენობრივი კოდების ურთიერთობების შედეგად. ამ შემთხვევაში ინგლისური ენის სისტემაზე ორი სხვადასხვა გენეტიკური წარმოშობის ენამ – სინჰალამ (ინდოარიული) და თამილურმა (დრავიდული) – იქონია ზეგავლენა. კიდევ უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს სინჰალურ და თამილურ ენობრივ კონგაქტებს, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში ამ პრობლემას ვერ შევხებით, იგი კვლევის ცალკე ურთულეს საკითხს წარმოადგენს.

რაც შეეხება ენობრივი კონგაქტებს სინჰალასა და ინგლისურს შორის, იგი ორმხრივი ურთიერთობის საფუძველზე წარიმართა. ერთი მხრივ, ინგლისურმა მოხდინა ენობრივი ზეგავლენა სალაპარაკო სინჰალაზე, რის საფუძველზე წარმოიქმნა სალაპარაკო სინჰალას არაფორმალური ხმარების კიდევ ერთი რეგისტრი, რომელსაც „სინგირისს“ უწოდებენ. სინგირისს არ გააჩნია სამწერლობო ფუნქცია. ძირითადად, იგი მხოლოდ ციგაციის მიზნით, ბრჭყალებში ჩასმული სახით შეიძლება შეგვხვდეს თანამედროვე პრესაში.

თავდაპირველად, სინგირისი საკომუნიკაციო საშუალებად გამოიყენეს სინჰალურ-ინგლისურ ენოვანმა ბილინგვებმა, რომლებიც სოციალურად მიეკუთვნებოდნენ სინჰალელი მოსახლეობის საშუალო ურბანიზებულ ფენას და მიღებული ჰქონდათ საუნივერსიტეტო განათლება.

უნივერსიტეტებში სინგირისის საშუალებით განხორციელდა ძალზე მნიშვნელოვანი გერმინოლოგიური სამუშაო. ინგლისურის გზით შემოვიდა თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო გერმინოლოგია. როგორ განხორციელდა ეს სინგირისში?

– ინგლისური ფუძეები ჩაისვა სინჰალურ მორფოსინგაქსურ ყალიბებში. ამ გზით შეიქმნა ახალი გერმინები. მიახლოებით იგივე მოხდა ქართულშიც. როცა ვამბობთ: „კონფერენციაზე“, „ფაკულტეტის“, „სტუდენტობა“, და ა.შ. – ყველამ ვიცით, რომ ეს არ არის ქართული გერმინები. უცხო ენიდან შემოსულ სახელის ფუძეს დაერთო ქართული აფიქსები და ფონეტიკურად მოხდა

მისი ქართული გრანსლიგერაცია.

სინგირისული მეგყველების საილუსტრაციოდ მოგვყავს ნიმუში უნივერსიტეტის სტუდენტთა საუბრიდან:

Campus-ekᄁ strike-ekᄁ hin~dᄁ vacation ekᄁ extend kᄁᄁmu kiyela vice chancellor science faculty ekᄁ professor kenek ekka kivvαu...

პრორექტორს გექნიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთ პროფესორთან უთქვამს, ვაფიცვის გამო უნივერსიტეტში არდადეგები გავაგრძელოთ.

მსგავსი მეგყველების მანერა ინგლისური ენის მცოდნე უცხოელს სრულ აბდა-უბდათ მოეჩვენება. ის უბრალოდ ვერ გაიგებს – ინგლისურია ეს, თუ სინჰალა. სინგირისი კი ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე უცხოელს აძლევს იმის საშუალებას, რომ ისწავლოს სინჰალა და ალაპარაკდეს ამ ენაზე, რაც შეიძლება სწრაფად. ეს ხდება ძალიან ადვილად. მაგალითად, სინგირისში სულიერი არსებითი სახელები რომ ვაწარმოთ, ამისათვის მხოლოდ ორი სინჰალური ფორმანგის ცოდნაა საჭირო. კერძოდ, ესენია:

kenek (მხ.რ. განუსაზღვრელი არსებითი სახელი) და la (მრ.რ. სულიერი არს. სახელი). ეს ფორმანგები დაერთვის ინგლისურ არსებით სახელებს. მაგ.:

professor + kenek პროფესორი

dean+kenek დეკანი

მხ. რ.-ის განსაზღვრული სულიერი არსებითი სახელის საწარმოებლად საერთოდ არაფრის დართვაა საჭირო. ანუ, საკუთრივ ინგლისური არსებითი სახელი ასრულებს ამ ფუნქციას. მაგალითად:

vice-chancellor = the vice-chancellor პრორექტორი

driver= the driver მძღოლი

ფორმანგი "la" დაერთვის როგორც მხ.რ.-ის, ისე მრ.რ.-ის სულიერ არსებით სახელებს ინგლისურში. მაგ.:

seniors + la (the seniors) უფროსკურსელები

driver + la (the drivers) მძღოლები

უსულო არს. სახელის საწარმოებლად კი ისევ, მხოლოდ ორი სინჰალური ფორმა გვჭირდება. ესენია:

1. ekᄁ (განსაზღვრული არგიკლი და ekᄁk (განუსაზღვრელი არგიკლი). მაგალითად:

campus + ekႭ (the campus) უნივერსიტეტი
 exam + ekႭ (the exam) გამოცდა
 lecture-ekႭ (a lecture) ლექცია



სინგირისში ზმნების საწარმოებლად ხორციელდება რომელ-იმე ინგლისურ ზმნის კომპოზიცია სინჰალური ზმნების - kႭႭႭva აკეთებს და venႭva ხდება სხვადასხვა საუღლებელ ფორმებთან. მაგალითად:

1. cut კრა + keruva ვააკეთა (მარგივი ნამყო) = cut keruva გაჭრა (აორისგი)

2. start დაწყება + venႭva ვახლობა = start venႭva იწყება და ა. შ.

ამდენად, ლინგვისტური თვალსაზრისით, სინგირისი არ არის მხოლოდ სიგყეების რახა-რუხი, არამედ, ეს არის თავისთავად ძალზე საინტერესო ლინგვისტური მოვლენა, რომელიც საღაპარაკო სინჰალას არაფორმალური ხმარების ერთ-ერთ რეგისტრად ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ ზოგი ადვილობრივი, გრადიციონალისტურად განწყობილი მეცნიერი ამ მოვლენას არ ცნობს სერიოზული ლინგვისტური შეფასების ღირსად. მათი აზრით, სინჰალები ასე საუბრობენ იმიტომ, რომ სურთ ინგლისურის ცოდნაში საკუთარი კომპეტენცია აჩვენონ, რადგან ღიღი ხანია, შრი ლანკაში ინგლისური მრავალი თაობისათვის სოციალური სტატუსის მარკერად იქცა. ცხადია, ამგვარი მოსაზრება ნაწილობრივ პურისტული მოსაზრებითაც არის განპირობებული. ბევრს მიუღებლად მიაჩნია სინჰალური მეტყველების ამგვარი „დაბინძურება“, მაგრამ ამ მოვლენის აკრძალვა მათ არ შეუძლიათ, რადგან სინგირისის სტატუსში არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე, ვთქვათ, სოციალური სნობიზმი.

რომ არა სინგირისი, სინჰალებს მოუხდებოდათ თანამედროვე ვითარებაში კლასიკური სალიტერატურო სინჰალას (მე-13 ს-ში სტანდარტიზებული ენა) დროინდელი გერმინოლოგიის გამოყენება. სინამდვილეში ხომ კლასიკური სალიტერატურო სინჰალური დღემდე ფუნქციონირებს. იგი არის მწიგნობრობის ენა. ამ ენაზე წერენ თანამედროვე მწერლები, რომლებმაც არქაულ სტილს მიანიჭეს უპირატესობა. საღაპარაკო ენის განვითარების ბუნებრივმა გენდენციამ კი განაპირობა რადიკალური ცვლილების

განხორციელება, რაც სალაპარაკო სინჰალამ მოახერხა ახალი სასაუბრო რევისტრების შემოტანით. სინგირისი კი თანხმდებოდა როვე შრი ლანკაში იქცა ექიმების, იურისტების, ჟურნალისტების, უნივერსიტეტის სტუდენტების, და ა.შ. პოპულარულ საკომუნიკაციო საშუალებად.

საინგერესოა, რომ არა მარტო ინგლისურმა მოახდინა ენობრივი ზეგავლენა სინჰალაზე, არამედ სინჰალამაც, თავის მხრივ, ზეგავლენა იქონია ინგლისურზე. ამის საფუძველზე წარმოიქმნა შრი ლანკაში ინგლისური ენის გამოყენების კიდევ ერთი არაფორმალური რევისტრი, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში „სინჰალურ ინგლისურს“ უწოდებენ. გვხვდება იმავე ცნების აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც, როგორცაა: "Singlish" < Sinhala+ English (Disanayaka, 1974/1993; Fernando, 1976; Parakrama, 1995) და "Sinenglish" (Wickramasinghe, 1999/2000). ორივე ეს ტერმინი შექმნილია სიტყვების – Sinhala და English - კომპოზიციის გზით. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია. შდრ.: "Singlish" და "Sinenglish". "Singlish" ამავე დროს არის არაფორმალური სახელწოდება "სინგაპურული ინგლისურის", ხოლო ტერმინი "Sinenglish", ვიკრამასინგჰას აზრით, ამგვარ აღრევას გამორიცხავს. იგი საკუთრივ „სინჰალური ინგლისურის“ აღმნიშვნელ ერთადერთ ტერმინად რჩება.

მაინც როგორი ინგლისურია „სინჰალური ინგლისური“?

უპირველესად, ეს არის სპეციფიკური ლექსიკისა თუ სხვა გრამატიკული დონეების (მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა და ა. შ.) საფუძველზე ფუნქციონირებადი ინგლისური ენობრივი სისტემა, რომელიც სინჰალური ენის ზეგავლენით ჩამოყალიბდა. სინჰალური ინგლისურის ლექსიკაში საკუთრივ სინჰალურიდან შევიდა ძალზე გრძელი სია სიტყვებისა, რომელთაც წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ ძალიან მოკლედ თუ მიმოვიხილავთ. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ შემდეგ თემატურ ჯგუფებს:

1. გროპიკული, კერძოდ კი, შრი ლანკის ფლორისა და ფაუნის აღმნიშვნელი სახელები, რომელთა აღსანიშნად სინჰალურ ინგლისურს საკუთარი ტერმინები აქვს. მაგალითად:

spotted iguana = სინჰ. kabarayaa", ან kabara goya (შრი ლანკაში გავრცელებული) დიდი წინწკლებიანი ხელიკი; plain iguana = სინჰ

.. tala goya (უფრო პატარა მომის ხელიკის სახეობა, რომელსაც მურგზე წინწკლები არა აქვს). gecko კედლის ხელიკი (სახლგვერდის ჩვეული ბინადარი შრი ლანკაში); Jak = გროპიკული მცენარე, რომლის სინჰალური სახლწოდებაა: kos; plantains = სინჰ. kesel ბანანები (სხვადასხვა ჯიში); King Coconut მეფე-ქოქოსი = სინ. tembili სპეციალური ქოქოსის ჯიში, რომელიც საუკეთესო გამაგრილებელი სასმელია; jaggery = სინჰ. hakuru ქოქოსის ბადავისაგან დამზადებული გამზმარი გპილეული, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ჩაის სმის დროს შაქრის ნაცვლად იყენებენ; egg plants = სინჰ. batu ბალრიჯანის ჯიშის მრგვალი ფორმის ბოსტნეული; ladies fingers, სიგყვა-სიგყვით: "ქალის თითები" = სინჰ. bandakka; ash pumpkin = სინჰ. vattaka ნაცარა კვახი; aligator pears = სინჰ. aligator peera ავოკადო;

2. საჭმელებისა და სასმელების აღმნიშვნელი ლექსიკა:

hoppers = სინჰ. aappa, რომელსაც არაფერი საერთო აქვს "grass hoppers" მინდვრის კალიატთან, იგი საჭმელია და ცხვება ბლინის მსგავსი ცომისაგან; cool drinks შდრ.: ინგლ. soft drinks. გერმინი cool drinks სინჰალურ ინგლისურში აღნიშნავს არაალკოჰოლურ გამაგრილებელ სასმელებს; buns = bread rolls პურის ხვეულა, bite = a snack მსუბუქი საუზმე (მიირთმევენ ალკოჰოლიან სასმელთან ერთად); milk tea = სინჰ. kiri tee რძიანი ჩაი; coffee with milk = სინჰ. kiri kopi რძიანი ყავა, plain tea = სინჰ. nikan tee ჩაი რძის გარეშე და ა. შ.

3. სინჰალურ ინგლისურს ნაციონალური განსაცმლის თავისებურებამაც მისცა ადგილობრივი ელფერი. მაგალითად:

cloth = სინჰ. redda ქსოვილი, რომელსაც სოფლელი ქალები აგარებენ ქვედა კაბად. სინჰალურ ინგლისურში "jacket" არის ქალის განსაცმელი, რომელიც ქალის ბლუზის "blouse" მსგავსი ჩასაცმელია.

ქვემოთ მოგვყავს კიდევ რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა სფეროდან:

petrol shed ბენზინისა და გაზის დასაგენი სადგური, შდრ.: ინგლის: gas station / filling station; bus halts შდრ.: ინგლ. colour lights საზოგადოებრივი გრანსპორტის გასაჩერებელი მონაკვეთი გზის ნაპირზე; bil = brother-in-law ცოლიძმა / მამლი; my bit = my

girlfriend ჩემი შეყვარებული (გოგონა); a buck = ინგლ.: a rupee, რუპია (ეროვნული ფულის ერთი კუპიური); last price = ინგლ. fixed price გასაყიდი ფასი

ინგლისურ გაზეთებსა და ჟურნალებში, რომლებიც შრი ლანკაში გამოდის, უცხოელი მკითხველი მრავლად წააწყდება ისეთ სიგყვებსა და გამოთქმებს, რომელიც მისთვის გაუგებარია. იმიტომ, რომ ისინი სინჰალურია და ინგლისურში გრანსკრიფიცირებულია ლათინური ანბანით. თვით შრილანკელმა მკითხველმა კი, რა თქმა უნდა, კარგად იცის მათი მნიშვნელობა, რადგან ასეთი ფორმები სინჰალური ინგლისურის შემადგენელი ნაწილია.

შრილანკურ ინგლისურენოვან მხაგერულ ლიგერაგურაშიც, რომელიც ბრიტანული სგანდარგიშებული ინგლისურის რეგისგრს შეესაბამება, ხშირად შევხვდებით ასეთ ფორმებს. ადგილობრივი მწერლები ზოგიერთ სინჰალურ სიგყვებსა და გამოთქმებს სპეციალურად არ თარგმნიან ინგლისურად, რადგან შეუძლებელია მუსგად ვადმოიციეს მათი არსი. მაგალითად, კასტური სისგემის აღმნიშვნელი სახელები ნათარგმნი არ გვხვდება, აგრეთვე, სხვადასხვა ისტორიული ადგილებისა და რელიგიურ-კულტურული ღირშესანიშნაობების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები.

სინჰალურიდან სინჰალურ ინგლისურში უცვლელად გადავიდა აგრეთვე ადგილობრივი მდინარეების, გყე-პარკებისა და ნაკრძალების, გზებისა და ქუჩების სახელები. უცვლელადაა გადასული აგრეთვე სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა აღმნიშვნელი საკუთარი სახელები. მაგალითად:

Jana Saviya (სიგყვა-სიგყვით: ხალხის ძალი)

Sevaa Vanitha (ქალთა მომსახურება)

Sarvodaya (საყოველთაო გამოღვიძება) და ა. შ.

სინჰალური კულტურის გრადიციებმა და ადათ-წესებმა სინჰალურ ინგლისურში მთელი რიგი სინჰალური გერმინები შეიგანა. მაგალითად, გრადიციული სინჰალური ქორწილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის **Pooruva**, ამალღებული კვარცხლბეკი, რომელზეც წყვილი ადის ქორწინების რიტუალის შესასრულებლად. სინჰალურ საზოგადოებაში, ლხინის დროს ძალზე პოპულარულია **Baila**, რომელსაც სინჰალები მღერიან

პორტუგალიური მოტივების მიხედვით.

სინჰალური ინგლისურის ლექსიკის თავისებურებას აგრეთვე განსაზღვრავს ბუდისგური გერმინოლოგია, მათი ეტიმოლოგიური ისტორია სხვადასხვაა. კერძოდ, ამ გერმინთა უმრავლესობა სინჰალაში პალის გზით შევიდა, ხოლო სინჰალურ ინგლისურში კი ბუდისგური გერმინოლოგიის არსებითი ნაწილი სინჰალურის გზით დამკვიდრდა. ქვემოთ საილუსტრაციოდ მოგვყავს ბუდისგური გერმინოლოგიის რამდენიმე მაგალითი სინჰალური ინგლისურიდან:

The Triple Gem ბუდისგური სამება (სამმაგი ძვირუფასი თვალი), ესენია: Budha - ბუდიზმის შემქმნელი და მასწავლებელი, Sangha - ბუდიზმის მიმდევრები, ისინი, რომლებიც ბერებად აღიკვეცნენ და Dhamma - ბუდას მცნებები; Dhammapada - ბუდისგების ერთ-ერთი ყველაზე წმინდა წიგნი, სადაც თავმოყრილია ბუდას ყველაზე მთავარი მცნებები; bhikkhu - ეს სიტყვა აღნიშნავს ბუდისგ ბერს, რომელიც არსებობს შემოწირული საკვებით; bhikkhu sangha - ბუდისგ ბერების კავშირი; Saangika Property - ქონება, რომლის განმკარგველი არის მხოლოდ sangha; Saanghika Daana - სამოწყალო ძღვენი, რომელსაც ბერები მოსახლეობისაგან შეწირულობების სახით იღებენ; Samaneera - ახალბედა, სანამ მოხდება მისი bhikkhu-დ კურთხევა; Theera - bhikkhu, რომელიც 10 წელს დაასრულებს მიიღებს Theera-ს წოდებას; Naayaka Theera - არის უფროსი ბერი, რომელიც მონასტერს განაგებს; Mahaa Nayaka Theera - ბუდისგური სექტის მეთაური ბერი; Anunayaka Theera - ბუდისგური სექტის მეთაურის მოადგილე; Adhikarana Sangha Naayaka - მეთაური ბერი, რომელიც აკეთებს ზოგიერთ იურიდიულ საქმეს; Vihaara - ბუდისგური გაძარი; Raja Mahaa Vihaaras (სიტყვა-სიტყვით: სამეფო დიდი ვიჰარა); Kelani Raja Mahaa Vihaara (ქელანიას სამეფო დიდი ვიჰარა); Siila ან sil - განსაზღვრული წესების რიგი, რომლის დაცვა მოეთხოვება ჩვეულებრივ ბუდისგს; pancha siila , ან Pan sil - 5 წესი, რომლის დაცვა ყოველდღიურად მოეთხოვება ბუდისგს; ata sil - 8 წესი, რომელსაც ბუდისგ იცავს ზოგიერთ მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულზე; Dasa sil - 10 წესი, რომელსაც იცავენ ისინი, ვინც მთელი ცხოვრება მხოლოდ ბუდას მიუძღვნეს. Pooya days - ყოველ თვეში არის 4 პოია დღე, რომელიც განისაზღვრება



მთვარის მოძრაობის მიმართულებით. მთვარის გავსების დღეს
 პქვია Pasalosvak Pooya, რომელიც გამოცხადებულია შრი ლანკაში
 სახალხო დღესასწაულად; pin - დამსახურება. როდესაც ბუდისტი
 ყველა წესს დაიცავს და ამასთანავე აუცილებელ რიტუალებს
 შეასრულებს ტაძარში, მაშინ ის დაეუფლება pin-ს, ურომლისოდაც
 შეუძლებელია ნირვანას მიღწევა.

რაც შეეხება სინჰალური ინგლისურის გრამატიკულ სტრუქტურას, მას ახასიათებს სინჰალური მორფოსინტაქსური მოდელების კალკირება. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. სინჰალურში, ისევე როგორც ქართულში გვაქვს კითხვით-დადასტურებითი წინადადების ტიპი. მაგ.: წიგნი კარგია, არა? შლრ.: სინჰ. Pota honday, ne? ამ ორ ენაში ეს არის გიპოლოგიურად სიტყვა-სიტყვით მსგავსი კონსტრუქცია. მაგრამ ინგლისურში ასეთი წინადადება სხვაგვარი კონსტრუქციით გადმოიცემა. შეკითხვის ასეთ ტიპს "tag questions"-ს უწოდებენ. მაგ.: The book is good, isn't it? You are going, aren't you?

სინჰალურ ინგლისურს ახასიათებს სინჰალურისთვის ტიპური კითხვითი წინადადების კონსტრუქციის კალკირება: მაგალითად: The book is good, no? You are going, no?

2. სინჰალურ ინგლისურში გამოთქმა No Problem ჩვეულებრივ ნიშნავს არა იმას, რასაც მუსტად მისი ინგლისური მნიშვნელობა გულისხმობს, არამედ სრულიად საპირისპიროს, კერძოდ, იმას, რომ "პრობლემა არსებობს", ან „რაღაც ხდება“. რით აიხსნება ეს ფაქტი?

ესეც, ისევე და ისევე, გამოწვეულია სინჰალური ენის გრამატიკული სტრუქტურის თავისებურებით, სინჰალურ გრამატიკას მრავალი უარყოფითი ნაწილაკი აქვს. მათ შორის: na და nemee. უარყოფითი ნაწილაკი na გამოიყენება რაღაცის ან ვინმეს არარსებობის გამოსახატავად. მაგ.:

- pot ne (წიგნი არ არის)
- guruvaru ne (მასწავლებლები არ არის)
- koopi ne (ყავა არ არის)

ხოლო უარყოფითი ნაწილაკი nemee მიუთითებს არა არარსებობას, არამედ "კი არა"-ს.

pota neme (წიგნი კი არა მაგრამ რაღაც სხვა)
guruvaru neme (მასწავლებელი კი არა, არამედ...)
koopu neme (ყავა კი არა, არამედ..)

ამრიგად, როდესაც სინჰალელი ინგლისურად ამბობს: No Problem, იგი გულისხმობს:

prasnayak neme-ს (სიგყვა-სიგყვით: პრობლემა კი არაა, მაგრამ რაღაც სხვა ხდება) და არა prasnayak ne-ს პრობლემა არ არის, რაც საკუთრივ ინგლისური ამროვნებისთვის ბუნებრივია.

3. სინჰალურ ინგლისურში no იხმარება don't-ის ნაცვლად. ვთქვათ, თუ ბავშვს რაიმეს ალებას უკრძალავენ, ეუბნებიან: no, no, მაგრამ ცხადია იგულისხმება: don't. - ამ შემთხვევაში ინგლისური no ენაცვლება სინჰალურ უარყოფითი ნაწილაკს epaa.(არა!)

4. ინგლისური მზნიშვლა so სინჰალურ ინგლისურში იხმარება ისეთივე კონტექსტში, როგორც სინჰალაში ნაწილაკი itin (so).

როდესაც ვიღაც ყვება ამბავს, მსმენელი მის თხრობაში ერთვება ხოლმე: itin itin (ჰოდა, მერე..), რათა ამით აჩვენოს თავისი დაინტერესება მოსაუბრეს. მუსგად ამის ანალოგიით, სინჰალურ ინგლისურში დამკვიდრდა გამოთქმა: so so

5. ინგლისური წინდებული without მსგავსია სინჰალური თანდებულის netuvჲ, რომელიც სინჰალურში სახელის შემდეგ დაისმის. მაგ: pot netuvჲ (წიგნების გარეშე)

guruvaru netuvჲ (მასწავლებლების გარეშე)

kiri netuvჲ (რძის გარეშე)

ამის გარდა, სინჰალურში netuvჲ სხვა მნიშვნელობითაც იხმარება. მაგ:

- oya yanჲჲჲჲ? შენ მიდიხარ?

- netuvჲ? აბა, არა?

ამ კონტექსტში netuva ნიშნავს „რა თქმა უნდა“-ს.

სინჰალურ ინგლისურში მოხდა სწორედ ამ მნიშვნელობის გრანსფორმირება:

Are you going? Without.

Are you married? Without

6. სინჰალური თანდებული vaage მსგავსი სინჰალურ ინგლისურში ზოგიერთ კონტექსტში ითარგმნა, როგორც: sort of . მაგალითად:

საქართველოს
ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

kella andanava vage (სიგყვა-სიგყვით: გოგონა ჰგავს, რომ გირის მღრ. სინჰალური ინგლისური: *The girl is crying, sort of* ატირებულს ჰგავს.

bittara narak velaa vagee (სიგყვა-სიგყვით: კვერცხი გაფუჭებულს ჰგავს)

მღრ. სინჰალური ინგლისური: *The eggs are rotten, sort of.*

7. სინჰალურს ჩვეუად აქვთ ლაპარაკში გამოიყენონ ინგლისური სიგყვა men (კაცები). მაგ, როცა ვინმეს მიმართავენ, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ მიმართვის ობიექტი იყოს კაცი. მაგალითად:

let's go men! წავედით, კაცო! (ზოგადად: „აღამიანი" და არა „კაცი")

No, men! არა, კაცო!

What the hell, men! რა ჯოჯოხეთია, კაცო!

8. სიგყვა sin (ცოდვა) თავის მხრივ, ხშირად იხმარება სინჰალურ ინგლისურში. მაგ.: იმის ნაცვლად, რომ თქვან:

What a pity! სინჰალური ამბობენ: sin, რაც გუსტად შეესაბამება სინჰალური სიგყვა pau-ს მნიშვნელობას.

9. სინჰალურ ინგლისურში იხმარება დამშვიდობების ფორმულა: "I'll go and come" სიგყვა-სიგყვით: წავეალ და მოვეალ, რაც პირდაპირი კალკია სინჰალური გამოთქმის: gihid ennidi.

სინჰალურ ინგლისურს სხვა უამრავი სიგყვა-სიგყვით ნათარგმნი ფრაზები აქვს, რომლებიც გუსტად სინჰალური გრამატიკული ყალიბების ანალოგიურია. ეს ეხება ბრუნვის ფორმებისა და სხვადასხვა წინდებულების ხმარებას.

სინჰალური ბრუნვის ფორმები პირდაპირ ითარგმნა სინჰალურ ინგლისურში. მაგალითად: სინჰალური ამბობენ: "Ask from the son" (ჰკითხე ვაჟიშვილს), "Get down from the bus" (ჩამოდი ავტობუსიდან) ნაცვლად: "Ask the son", ან "Get off the bus". საინგერესო გიპოლოგიური მსგავსებაა სინჰალური bas-eken bahinava და ქართული „ავტობუსიდან ჩამოსვლა" სინჰალური-ინგლისურის კონსტრუქცია: "get down from the bus" პირდაპირ შეესაბამება სინჰალურ მოდელს.

10. ზოგი სინჰალური ზმნის მნიშვნელობა პირდაპირ იქნა გრანსფორმირებული სინჰალურ ინგლისურში. მაგალითად: სინჰ

ალურ გმნას danova აქვს ბევრი მნიშვნელობა, რომელთა შორის ერთ-ერთი არის: "დადება, ჩადება". ინგლისურში შესაბამისი გმნური მნიშვნელობა გამოისახება გმნით: "to put". მაგალითად: "Put some salt on the salad" *მოაყარე მარილი სალათას!* სინჰალურ ინგლისურში ხშირია სინჰალურიდან კალკირებული კონსტრუქციები, როგორცაა: "To put a letter", "To put a cut", "To put leave", ა. შ. სინჰალურ ინგლისურში "To put a letter" ნიშნავს "To post a letter"-ს, რაც ანალოგიურია სინჰალური: liyumak danova-სი (წერილის ჩადება ყუთში).

სინჰალური გმნა arinova ნიშნავს გაღებას, vahinova კი – დახურვას. მაგ.: doru arinava *კარს აღებს*, doru vahinova *კარს კეტავს*. სინჰალურ ინგლისურში დამკვიდრებულია გამოთქმები: open the tap! *მოუშვი ონკანი!* close the tap *დაკეტე ონკანი!* – ნაცვლად მათი ინგლისური ეკვივალენტებისა: turn on the tap! და turn off the tap!

სინჰალური გმნა kapinova ნიშნავს "ჭრას". მაგალითად: keek-ekh kapinova *ნამცხვრს ჭრის*, მაგრამ სინჰალური kapinova - ს იყენებენ turn გმნის *მობრუნება*, *მოგრილება* მნიშვნელობით, მაგალითად:

სინჰალურ ინგლისურში: cut the cur = turn the car.

სინჰალურ ინგლისურში სინჰალურიდან კალკირებული მორფო-სინგაქსური ყალიბები ძალიან ბევრია. თავიდან კუნძულის უცხოელ სტუმრებს უჭირთ ადგილობრივ მკვიდრთა ბევრი გამონათქვამის ზუსტად გაგება, დროთა განმავლობაში კი ისინი თავადაც სწავლობენ მათთვის ახალ ენას – სინჰალურ ინგლისურს.

შესაძლებელია, ამგვარი მიდგომა არის ერთ-ერთი მიზეზი იმ მოვლენის, რომ ინგლისური გახდა მრავალენოვანი მსოფლიოსთვის საერთო საკომუნიკაციო საშუალება; რაც ენობრივი პოლიტიკის შედეგია, რომლითაც ინგლისურმა მსოფლიოსთვის შეუცვლელი საერთაშორისო ენის სტატუსი დაიმკვიდრა.

შენიშვნა:

* სალაპარაკო სინჰალას რეგისტრების შესახებ იხ. ჩვენი სტატია: *ენობრივი სიტუაცია შრი ლანკაში*, ქართველური მეცნიერება, vii, ქუთაისი, 2003.



1. ფ. აფხაიძე, მ. შაჭავარიანი, მორფოლოგიური და ანალიტიკური კაუზატივის სინქალურში, კრებ. „გზა ენისაკენ“, 1998, „ქართული ენა“, თბილისი.
2. J.B. Disanayaka, Understanding The Sinhalese, Godage Poth Mendura, Colombo, Sri Lanka, 1998.
3. C. Fernando, English and Sinhala Bilingualism in Sri Lanka, Language in Society, Vol. 6. 1976.
4. A. Parakrama, De-Hegemonizing language Standards; Learning from (Post) Colonial Englishes about "English", London: Macmillan Press Ltd and New York: St, Martin's Press Ltd, 1995.
5. W. Wickramasinghe, Sinenglish: A De-Hegemonized Variety of English in Sri Lanka, Maharagama, Sri Lanka, 2000.

PIKRIA APKHAIZE
SINHALA-ENGLISH LINGUISTIC CONTACTS
RESUME

English is spoken in Sri Lanka since the island became a British colony in 1802.

In 1830 English was declared as the only official state language of Sri Lanka.

In 1948 the national movement in the country brought the freedom to Sri Lankan people. English still functioned as the official language until the second part of the 1950s.

Sinhala was proclaimed as an official national language of the country in 1956. In 1958 the same status was given to Tamil language, too. As for English, being the international language it has the status of the "Link Language" according to the national constitution of Sri Lanka.

English is even now the most prestigious language in the country and obligatory second language studied in schools. However, it is administrative language in the state.

The main registers of the usage of English in Sri Lanka are the followings:

1. British Standard English, which is considered as the standard register of the usage of English in Sri Lanka.
2. Lankan or Sri Lankan English, which is informal register and basically used in communication. This is in fact, the case of nativization of English by "native speakers" of Sinhala and Tamil. The structure of "Lankan English" is created by the language relationships between Sinhala-English-Tamil codes.
3. Sinhalese English, which is an informal register of English spoken by native speakers

of Sinhala. Actually, they are bilinguals of Sinhala as well as English. Sinhalese English is also called "Singlish" (Fernando,1976; Parakrama, 1995; Disanayaka, 1974 / 1998) or "Sinenglish" (Wickramasinghe, 1998 / 2000)

It is note worth that language relationship between Sinhala and English has been developed through two-sides. Particularly, in one side, it can be meant the influence of English on Sinhala according to which a new informal register of Spoken Sinhala has been formed. In special literature it is called "Singirisi" (Disanayaka, 1974/1998) Essentially, Singirisi has been created by the bilinguals, whose native language was Sinhala and the second language was English. Actually, they are representatives of the middle urban class of the Sinhalese population, who graduated of the universities, such as: doctors, lowers, students, university teachers and so on.

The other side of the language relationships between Sinhala and English is represented by "Sinhalese English". In this case, Sinhala had the impact on English which caused various changes in English structure.

The present work deals with the Sinhalese-English language contacts consideration of numerous examples taken from Singirisi as well as Sinenglish.

The aim of our work is that both sides of language relationships between Sinhala and English can be contributed as the non-standardized informal registers of the spoken language, particularly, in one case, Singirisi: Sinhala+ Ingirisi (=English) based on the Sinhala and Sinenglish (English+ Sinhala) based on the English, in the other case.

არნოლდ ჩიქობავას სახ. საქ. შ/ა უნაომეცნიერების ინსტიტუტი

ელენე ბერეკაშვილი

ეროვნული აღქმის საკითხი პოეზიის თარგმნისას

პოეტური თარგმანის უმთავრესი და ძირითადი თავისებურება, პროზაულთან შედარებით, მისი პირობითი, თავისუფალი ხასიათია.

პოეტური დედანი იმ სინამდვილედ წარმოგვიდგება, რომლის ასახვასაც თარგმანი ახდენს. ოღონდ ამ შემთხვევაში, სინამდვილის არსებითი მხარეები შემოსილი იქნება სპეციფიკური პოეტური ქსოვილით, რომლის გადმოგანაც ფორმის არსებითი და გიპიური პომპონენტების განმეორებით ხდება. ყველაფერი, რაც ითქმება, ან იგულისხმება დედნის ეროვნული სპეციფიკისა, მთარგმნელის ინდივიდუალობისა თუ თარგმნის პროცესის შემოქმედებითი ხასიათის მიმართ, ამ შემთხვევაში ემყარება გარკვეულ პრინციპებს. „ლექსთწყობა თავისი ბუნებით განსაკუთრებით დაკავშირებულია ენის ბუნებასთან, სიტყვების სიდიდესა და მათი ცვლილებების ფორმებთან, სიტყვის მახვილების საკითხთან, რომელიც უკავშირდებოდა ეროვნულ გემპერამენტს და ფსიქიკური წყობის სხვა ელემენტებს. ყოველივე ეს და სხვა ფაქტორებიც, ყოველი ხალხის ლექსთწყობას აძლევენ მკვეთრ ეროვნულ ხასიათს“ (გაჩეილაძე 1959, 142).

ხშირად ეროვნული ინდივიდუალობა ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია მწერლის პოეტური ინდივიდუალობის შესაქმნელად. აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ პიროვნული და ეპოქალური ინდივიდუალობაც. თარგმნის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს ყოველი ელემენტი დაცული, თორემ დაირღვევა ტექსტის ჰარმონია, რაც თავისთავად უგულვებელყოფს აღქმის სიზუსტეს (Newmark 1981, 105)

კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე ადვილად დაინახავთ ამ სირთულეებს და იმას, თუ როგორ შეიძლება მოხერხდეს მათი დაძლევა.

ეროვნული აღქმის თავისებურებებით აიხსნება ბერნსის ლექსში *“My Heart's in the Highlands”* გ. გაჩეილაძის მიერ ცმღვ ვუუკ-ის თარგმნა „მთის ირემად“. აქვე ნაწყვეტი ლექსიდან:

*"My heart's in the Highlands
My heart is not here
My heart's in the Highlands
Chasing a deer
Chasing a wild deer
And following the row
My heart's in the Highlands
Wherever I go."*

ლექსის მთლიანი სურათიდან იქმნება შთაბეჭდილება თავისუფლების, სილამის, მშვენიერების განცდისა, რაც იმ ცალკეული სიგყვების სემანტიკაში დევს, როგორცაა მაგ. სიგყვა wild. ეს ბედსართავი ბუსგად ითარგმნება, როგორც „გარეული“, „ველური“, მაგრამ ამ განსაზღვრებათა ხმარება სიგყვასთან deer (ირე-მი) დაარღვევს აღქმის ჰარმონიულობას და დააქვეითებს ლექსის მხაგვრულ ღირებულებას. ამ სიგყვებს არ მოაქვთ სუპოზიცია. გამოსავლის პოვნა მთარგმნელის ოსგატობაზეა დამოკიდებული. ამ ლექსის პრესუპოზიცია მთას უკავშირდება, მალლობს, გესწრაფვას. ღირიკული გმირის გული შოგლანდიის ბორცვებზე, გეგნებზე, მთებშია. იქ მისდევს ირემს, დაბლობს რომ არ ეკარება. მაშასადამე, გამოსავალიც ნაპოვნიია, ეს ირეში არც ველურია, არც გარეული, იგი მთის ირეშია. მკითხველისათვის, ანუ ამ შემთხვევაში ქართველისათვის, ასეთი ეპითეტი პირდაპირი მნიშვნელობით არაა მთავარი, მნიშვნელოვანი ის ასოციაციებია, რომელსაც იგი იწვევს - თავისუფლება და სილაღე. მაშასადამე, შენარჩუნებულია დედნის ეროვნული სპეციფიკაც და რიგმიც სურათში:

*„გული მთებისკენ მიიწევს,
გოვებს დაბლობის პირებს
გული მთებისკენ მიიწევს,
დაედევნება ირემს,
დაედევნება მთის ირემს,
უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს,
გული მთებისკენ მიიწევს
სადაც კი უნდა ვიყვე.“*

საერთოდ, ბერნსის შემოქმედების თარმნისას, ალბათ, ყურადღების მეგი ნაწილი სწორედ ეროვნულ სპეციფიკას უნდა დაეთმოს, რადგან მისი პოეზია წმინდად შოგლანდიურია, სადა, უზვეულოდ ღრმად ფესვგადმული ხალხის წიაღში. ლექსის მუსიკალობა იმდენად აშკარაა, გგონია, შოგლანდიურ ჰანგებს უსმენ.

ყველა ბემოთიზამოთვლილი ღირებულება თუ თავისებურება ეროვნული ნიშნის ქვეშ ერთიანდება და მთარგმნელის წინაშე დგება მეტად რთული ამოცანა — როგორ მიიგნოს ორიგინალი მკითხველამდე ისე, რომ ის ეროვნული ნიშანი გაათავისებინოს. შეძლებისდაგვარად, გავაზნაღიმოთ ამ ამოცანის გადაწყვეტის კიდევ სამი მცდელობა: ჩვენს წინაშე ბერნსის საგროფიალო ლირიკაა, ლექსი — *Coming Through the Rye* და მისი სამი ქართული თარგმანი: გიორგი ნიშნიანიძის, თამარ ერისთავისა და მურმან ლებანიძის. აქვეა ორიგინალის პირველი სგრიქონები:

"Coming through the rye, poor body

Coming through the rye

She draiglet's a 'her petticoat

Coming through the rye"

ყურადღება მივაქციოთ ლექსის ქლერადობას, იმას, თუ რა იდილიურ-მელოდიურ გონშია წარმოდგენილი შეყვარებული გოგონას სურათი. ამ ქლერადობაში მეგია თანაგრძნობა, სიტბო, რასაც ხაზს უსვამს შოგლანდიური დიალექტი, რომელიც უპირატესად ქმნის მთლიანობაში ამ ლექსის ეროვნულ სახეს, ხოლო თარგმანში ბუნებრივია, დიალექტი უგულვებელყოფილია, თუმცა სიგყვათა თამაშის და სრულიად სხვა სიგყვების ჩანაცვლების საშუალებით მთარგმნელი ახერხებს, რომ თარგმანს შეუნარჩუნოს ეროვნული ნიშანი.

1) „*თუ წამოხვალ ყანა-ყანა*2) „*შერიის ყანა გაღირბინა ჯენიმ*,

ისიე ასე სწრაფად, გაღირბინა ხელად,

დაგვსვრება წინდები და კაბის კალთა დაისველა ჯენიმ,

დასველდება კაბა.“ კალთა დაისველა.“

(თარგმნ. ჯ. ნიშნიანიძე)

(თარგმნ. თ. ერისთავი)

ასევე,

3) „*ყანა-ყანა მოდიოდა,*

მოგოპაედა ჭვავში,

დაისველა ჯენიმ კაბა

მთლად კანკალებს ბავშვი.“

(თარგმნ. მ. ლებანიძე)

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე თარგმანი ეკვივალენტურია, საკმაოდ თავისუფალი, ორიგინალში სიგყვაც კი არაა ნახსენები წინდებზე და მით უმეტეს მათ დასვრაზე (იხ. 1), მაგრამ ეს უთუოდ იმ სურათის შესემანგიკური ინფორმაციაა, რომელიც

ორიგინალში ამკარა და ხილულია და მთარგმნელს იმისთვის დასჭირდა, რომ თავისი მკითხველისათვის ამ ლექსის აღქმას გაეადვილებინა. საინტერესოა ისიც, რომ თ. ერისთავთან ჭკვის ყანა შერიის ყანად არის მოხსენიებული, რაც, ალბათ, იმის შედეგია, რომ მთარგმნელს სურდა მესამე პირის მღედრობითი ნაცვალსახელის *she* (ბგერა /?/ „შ“) ქღერადობა შეენარჩუნებინა ლექსის საერთო, ხმოვანებაში. ლებანიძის თარგმანში ყურადღება გადაგანილია ლექსის განწყობილებაზე, თვით პოეტის დამოკიდებულებაზე, „საბრალო არსებასთან“ (*poor body*) თანაგრძნობაზე.

რ. ბერნსი ჯენის სიყვარულის ობიექტს მოიხსენიებს სიგყვით *body* (სალ. „ადამიანი“) რომელიც ნიშნინაძესთან გადმოგანილია სიგყვად „ვილაცა“, „ვინმე“; ლებანიძესთან – „ბიჭი“, ხოლო ერისთავთან – „ჯონი“

*“Gin a body, meet a body
Coming through the rye
Gin a body, kiss a body
Need a body cry?”*

აქვე თარგმანები:

- | | |
|---|--|
| <p>1) „დილა ბინდზე თუკი ვინმე
ყანა-ყანა ირბუნს,
წინვე ხელება ვილაყა და
მერე სტირის ვინმე.“
(გ. ნიშნინაძე)</p> | <p>2) „ნეგა გზაში ჯენის ჯონი
ხომ არ შეხვედრია,
თუ აკოცა ჯონიმ ჯენის,
ხომ არ უგირია?“
(თ. ერისთავი)</p> |
|---|--|

- 3) „თუ ვოგოს თავს რაღაც ხდება,
ეთქვათ, ბიჭს ხელება ჭვავში,
მაინც ჩვენი რა ვაცულება,
ჩვენ ვინაღვლოთ რაში“

(მ. ლებანიძე)

სამივე თარგმანი სასიამოვნო მოსასმენია და თითქოს აქ ეროვნული აღქმის პრობლემა გადაწყვეტილია, მაგრამ შენარჩუნებულია სამივეში შოგლანდიური მუხტი? სწორედ ისე აღიქვამს ქართველი მკითხველი ლექსის შოგლანდიურ გარემოს, როგორც თვით შოგლანდიელი? ამ კითხვების დასმის შემდეგ ბოგიერთი თარგმანის სრულფასოვნება იმ ნიშნით, რომელზეც ზემოთაა ლაპარაკი, ეჭვის ქვეშ დგება. მაგ. ლებანიძისეული თარგმანი, ალბათ, ხალხურობის შენარჩუნების გამო, გადაჭარბებულად აგარებს ეროვნულობის ნიშანს. იგი, შეიძლება ითქვას, მეტადრე ქართველი პოეტის ქართული ლექსია, ვიდრე შოგლანდიელი

პოეტის შოგლანდიური მხაგვრული პროდუქტი. თარგმანში ისეთი ფრაზებისა და სიტყვების სიმრავლე, როგორცაა „მოგობა და“, „ჩვენი რა გაცვდება“, „ღღინძე“, „თვისი ჭკუის საქმე არის“, „რა ქვას ვიხლით თავში“, „წარამარა“... მკითხველს ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად მოაჩვენებს გქქსგს და ამ ფონზე უცხოდ მკლერი სახელის „ჯენი“ მიღმაც კი ქართველი თავის თანამემამულე სოფელს გოგონას წარმოიდგენს.

პოეტის სტილი, განწყობილება და შოგლანდიური სპეციფიკა კარგადაა დანახული თ. ერისთავის მიერ და შენარჩუნებული თარგმანში. აქ რამდენადაც ზედმიწევნით ბუსგადაა დაცული დედნისეული რითმა და ინტონაცია, იმდენად თავისუფლებაა შინაარსის პლანში. გქქსგში საზოგადო სახელი *body* ინტერპრეტირებულია საკუთარ სახელად „ჯონი“, რაც ძალზე ბუნებრივად ეღერს და ამასთანავე მოაქვს ის სუპოზიცია, რომელსაც თარგმანის მკითხველი მისთვის ნაცნობად აღსაქმელ უცხო ერის გარემოში შეჰყავს. ეს თითქოსდა უმნიშვნელო ელემენტი სპეციფიკურად ბრიტანულია, წინ წამოსწევს ნაციონალურ ასპექტს და შესაბამისად სრულყოფს მისი აღქმის ეროვნულობას.

<i>“Gin a body, meet a body</i>	<i>„და თუ ხაღმე ყანის პირას</i>
<i>Coming through the glen</i>	<i>ჯენის ჯონი ხედება,</i>
<i>Gin a body, kiss a body</i>	<i>ვინდ აკოცოს ჯონიმ ჯენის</i>
<i>Need a world ken?”</i>	<i>ვის რა ესაქმება?!”</i>

ნიშნინიბისეული თარგმანი ძალზეა დამორებული ორიგინალს. მხედველობაში არაა კონკრეტული ელემენტების დამატება, ან პირიქით. აქ თითქმის შეცვლილია შინაარსი, რაც ზედმეტად თამამ სვლად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც შლის პოეტის ინდივიდს. მით უმეტეს, რომ ეს სვლა არც იმით მართლდება, თითქოს მთარგმნელს სურდეს ორიგინალის გქქსგის შინაარსთან თუნდაც სუპოზიციურად დაახლოება. ამდენად უმართებულოდ მიგვაჩნია რაიმე ნაციონალური სპოციფიკის აღქმაზე საუბარი:

*„მოვი კვდება, ჭკუის ყანას
არ ვაღიარს ვინემ
არ იქნება მამის ვინმეს
არ აკოცოს ვინმემ“*

ამრიგად, ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინება თარგმანში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს; მხაგვრული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, ავგორის ეროვნული და პიროვნული ინდივიდუალობის ნაყოფია და ამიტომაც აღსავსეა

სხვა ერისათვის უცხო რეალებით. მთარგმნელის უმთავრესი ამოცანა ამ გაუცხოების ბარიერის მოშლა უნდა იყოს თავისი მკითხველის და სათარგმნი ლიტერატურის ავტორს შორის ურთიერთობის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოემის თარგმნას, რადგან აქ მეტია საშიშროება იმისა, რომ მოხდეს ეროვნული ნიშნის ან სრული უგულვებელყოფა, ან პირიქით, გადაჭარბება.

ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე ვ. მხაგვრული თარგმანის თეორიის საკითხები თბ. 1959
2. Anthology of British and American poetry. Mosc. 1986
3. Newmark P. Approaches to translation. Oxford 1981.

ELENE BEREKASHVILI

THE PROBLEM OF THE NATIONAL PERCEPTION

IN THE TRANSLATION OF VERSES

ABSTRACT

The article deals with the clarification of the problem of the national perception of verse translation. The original poetry is the reality the reflection of which is the translation. In this case, the essential parts of that reality are camouflaged by specific poetical means. The transference of which can be possible in the way of repetition of the main and typical element of the form. All those elements should be maintained in the process of translation, otherwise the coherence of the text will be distorted, and hence the final result of the exact perception cannot be achieved. The present article includes the analysis of some pieces of the Georgian translation of R. Burns' lyrics to vividly depict and show the problems of the national perception, the means of their regulation applied by the individual translators. The consideration of national characteristics in the process of translation appears to be the most important question. A literary work, first of all, is the reflection of the author's national and personal individuality and therefore shows the reality rather strange to the other nations. The major task of the translator should be the removal of the barrier between the reader and the author of the work being translated.

The work will provide the researchers in further activities in the field of text translation. The conditions of national characteristics in the process of translation appear to be the most important questions. The main emphasis should be laid upon the verse translation.

ინგლისური ენის კათედრა

ნუგეში პაპინიძე

ნიცშეს ლირიკის საქციფიკისათვის

უდიდესი გერმანელი მოაზროვნის ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ ფაქტობრივად განსაზღვრა XX საუკუნის სულსკვეთება ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში. დიდია მისი დამსახურება გერმანული პოეზიის სრულყოფის საქმეში. ნიცშეს ლირიკა მისსავე ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მხაგრულ განსხეულებას წარმოადგენს. მწერალი-ფილოსოფოსის არააკადემიურ, ლირიულ სტილს „ქრისტიანულ-რაციონალისტური“ კულტურის კრიზისისა და ახალი იდეების მკვიწხული გაცნობიერება განსაზღვრავს. მ. რიდელის აზრით, ნიცშე უდიდესი სტილისტია, ისევე როგორც შოპენჰაუერი, რომელიც, *an der deutschen Sprache leidet und ihr noch einmal fast mediterrane Klarheit bringt, klassischer Philologe von hohem Niveau, dem sich die Antike ganz unklassisch, am paradigma vom Dionysos und nicht mehr vom Apoll erschließt*“ [5, 391]. ამავედროულად იგი წარმოადგენს გრაფიკულ, შინაგანად დამსხვრეულ პიროვნებას, რომელიც ნაცვლად ცხოვრების შოპენჰაუერული უარყოფისა, თავის ჰიპოთეზას აყენებს: „Am Sein erhalte dich beglückt!“ [5, 391].

ნიცშე თვითონ არის საკუთარი სულიერი გრაფიკის გმირი, ჯალათი და მსხვერპლი. მისი პოეტურ-მითოლოგიური ნაგურა ფილოსოფიურ კატეგორიებს მხაგრულ სახეებში გვიჩვენებს. „ელეგორულსა“ და „ჰერაკლიტულს“ იგი აპოლონურ და დიონისურ საწყისებს უწოდებს, რაც შემოქმედის პიროვნებაში არსებული ორი საწყისის, მეცნიერულისა და პოეტურის, ერთმანეთთან შერწყმის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს.

ნიცშეს პოეზიაში განსხეულებულია მისი აზროვნებისა და განცდების სიღრმე, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა. მისი პოეტური მემკვიდრეობა შეიძლება შემდეგ პერიოდებად დავეყოთ:

1. ახალგაზრდობის პერიოდის ლექსები – 1856-1868 წლები
2. 1868-1871 წლების ლირიკა,
3. 1871-1882 წლების ლირიკა,
4. 1882-1888 წლებში შექმნილი პოეტური ციკლები.

ლექსების წერა ფრ. ნიცშემ ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. მის მიერ მოსწავლეობისა და სტუდენტობის წლებში (1856-1868) შექმნილი ლექსები „დაბადების დღისათვის“ („Zum Geburtstag“), „შინ დაბრუნება“ („Heimkehr“), „მოგონება“ („Erinnerung“), „უსამშობლოდ“ („Ohne Heimat“) გამოირჩეოდა მაღალი მხაგვრული ღირსებებით და თვითმყოფადი პოეტური ხელწერით.

შემდგომ პერიოდში (1868-1871) ნიცშე წერს ბალადაებს საფრანგეთის რევოლუციის თემაზე და ცდილობს შექმნას სენ-ჟიუსგის, ჟირონდისგებისა და სხვათა ფსიქოლოგიური პორტრეტები. ნიცშეს ამ პერიოდის ლექსები ისე გამოიყურება, როგორც მუსიკალური ნაწარმოების გექსტები. ისინი ღირიულობითა და ღრმა სენტიმენტალობით გამოირჩევა. ბერთრამის აზრით, „Selbstverständlich entstehen auch in diesen Jahren noch spezifisch „lyrische“ Gedichte, voller Natursentimentalität und Selbstmitleidung, wie die ganze 19. Jahrhundert liebt, aber besser, gekonnter, literarisch gekonnter, literarisch gewichtiger als das Spruchhafte“ [4, 136].

მიუხედავად მაღალი ლიგერატურული ღირებულებებისა, მოწიფული ნიცშე თავისი ახალგაზრდობის პერიოდის ლექსების შესახებ მსუბუქი ირონიით საუბრობდა, რადგან ისინი ბავშვურ ნაწარმოებებად მიაჩნდა.

ნიცშეს შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 1871-1877 წლები. თუმცა ამ პერიოდის ნაწარმოებებში შენარჩუნებულია ახალგაზრდული პერიოდის ლირიკისათვის ნიშანდობლივი თავისებურებები. აღსანიშნავია: „შემოდგომის ხე“ („Baum im Herbst“), „მგზავრი და მისი ჩრდილი“ („Der Wanderer und sein Schatten“), „მელანქოლიური ჰიმნი“ („An die Melancholie“), „შემოდგომა“ („Der Herbst“), „მგზავრი“ („Der Wanderer“) და სხვა მრავალი. შეიძლება დავეთანხმოთ ა. ასგვაცაგუროვს, რომელიც ამ პერიოდის საუკეთესო ლექსად „შემოდგომას“ მიიჩნევს, იგი ნიცშემ მძიმე სულიერი კრიზისის პერიოდში დაწერა.

„Dies ist Herbst: der – bricht dir noch das Herz!“

Fliege fort! Fliege fort! –
Die Sonne schleicht zum Berg
Und steigt und steigt
Und ruht bei jedem Schritt“

[8, 22]

ამ ლექსისათვის დამახასიათებელი პესიმისტური და გარე-სამყაროს ტკივილიანი განცდა ნიშანდობლივია საერთოდ ნიცშეს ლირიკისათვის, რაც კულმინაციურ წერტილს 1882-1888 წლებში აღწევს. ამ პერიოდში შეიქმნა „ხუმრობა, ცბიერება და შურისძიება“ („Scherz, List und Rache“ (1882), „ფოგელფრაის სიმღერები“ („Lieder des Prinzen Vogelfrei“ (1887) და „დიონისოს დითირამბები“ („Dionysos-Dithyramben“ (1888).

როგორც აღვნიშნეთ, ნიცშეს პოეზია მისხავე ფილოსოფიურ მსოფლმხედველობიდანაა ამოზრდილი, მისივე ფილოსოფიის სარკეა, რომელშიც იგი საკუთარ თავს, როგორც ნარცისს, ისე უყურებს [9, 629]. ამავედროულად საკუთარი „მე“-ს შეცნობას იგი ცხოვრების სარკის მეშვეობით ცდილობს:

„Ein Spiegel ist das Leben
In ihm sich zu erkennen“.

[8, 3]

აზრისა და რითმის სინთეზის მეშვეობით ნიცშე ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის, სადაც უმთავრეს როლს თამაშობს მისივე ფილოსოფიის ფუნდამენტური იდეა: სინათლისა და სიბნელის მარადიული ჭიდილი, რაც მეგაფიზიკურ ხასიათს იძენს.

ნიცშესათვის პოეზია ცხოვრებიდან გაქცევა იყო. თუმცა მიწიერ საწყისთან გენეტიკურ კავშირს იგი ყოველთვის გრძნობდა. ამდენად პოეტი-ფილოსოფოსი ერთგვარად დაკავშირებული იყო რეალიზმთან და ნაგურალიზმთან. ამავედროულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის გოეთეს, შილერის, ჰოლდერლინის და ჰაინეს შემოქმედებით შემკვიდრებას.

ნიცშეს პოეზიისათვის დამახასიათებელია გრადიციული ფორმების გადამუშავება-გრანსფორმაცია, რითმის შენარჩუნება, ცნობილი და მრავალგზის ნაცადი სალექსო ზომების გამოყენება (უპირველეს ყოვლისა ქორო და იამბი). ყოველივე აღნიშნული ნიშანდობლივი იყო ნიცშეს 70-იანი წლების ლირიკისათვის. ასე-

ვე მოგვიანებით შექმნილი ციკლებისათვის „Scherz, List und Rache“ და „Lieder des Prinzen Vogelfrei“.

ნიცშეს ლირიკის სპეციფიკა უკავშირდება ასევე ფილოსოფიური პოემის „ესე იცყოლა ზარათუსტრა“ („Also sprach Zarathustra“) შექმნას. ნიცშეს მიერ აქ შეგანილი ლექსები დაწერილია დითირამბის სტილით, რომლისთვისაც დამახასიათებელია რითმზე უარის თქმა, სიმბოლოთა განუწყვეტელი ვარირება (ცეცხლი, მიწა, ცა, ზღვა, ქარი), ეპითეტები, ფერადი სიმბოლიკისა და ნატურფილოსოფიური ლექსიკის მოჭარბებულად გამოყენება (მარადიულობა, აუცილებლობა, უსასრულობა, სასოწარკვეთა და ა.შ.).

ნიცშე თითქოს თამაშობს რითმებით, ახდენს სხვადასხვა სტილის იმიტირებას, განსაკუთრებით „ზარათუსტრაში“, ქმნის ნეოლოგიზმებს, რაც სემანტიკურ გაანალიზებას საჭიროებს. იგი „მოთამაშე პოეტის“ შთაბეჭდილებას გოვებს [9, 641]. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია „დიონისოს დითირამბები“. ამ პოეტურ ციკლში შემაჯავალ ლექსთა უმეტესი ნაწილი ჩართულია ნიცშეს რომანში „ესე იცყოლა ზარათუსტრა“.

შეიძლება ითქვას, რომ 1871-1877 წლებში ნიცშეს პოეზიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს სრულყოფილებისაკენ, „აპოლონურისა“ და „დიონისურის“ სინთეზური შერწყმისაკენ სწრაფვა. მაგრამ, სამწუხაროდ, მან დაინახა თანამედროვე ადამიანი, რომელიც დიონისურისაგან დაცლილ, ცალმხრივად განვითარებულ კულტურულ გარემოში ცხოვრობს; დაინახა შეუსაბამობა ადამიანის ჭეშმარიტ დანიშნულებასა და თანადროულ კულტურას შორის. ამიტომ სასოწარკვეთილი პოეტისათვის მშვიდ ნავსაყუდელად შოპენჰაუერის პესიმიზმი და ვაგნერის მუსიკალური სამყარო იქცა. შოპენჰაუერისაგან მან სიცოცხლის სუბსტანციურობის პრინციპი აიღო, ხოლო ვაგნერიანელობა მისთვის თვითუარყოფის შოპენჰაუერული მეტაფიზიკის დამატება გახდა. შოპენჰაუერსა და ვაგნერს ნიცშე მუსიკის მეშვეობით დაუკავშირდა. თითოეული მათგანისათვის მუსიკა არის „სულიერი სამშობლო“, „გერმანელობის“ თუ „გერმანულობის“ („Deutschtum“) გასაღები. „სულიერი სამშობლოს პოვნა“ დიდი ნუგეშია ახალგაზრდა პოეტისათვის. მას ნეტარად მიაჩნია ის ადამიანი, „ვისაც სამშობლო აქვს“. „Wohl dem, der jetzt noch – Heimat hat“, – წერს ლექსში „ეული“

(„Vereinsamt“) ნიცშე.

ფრ. ნიცშეს „მხიარული მეცნიერების“ („Fröhliche Wissenschaft“) ძირითად პრობლემას ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთიმპარტოების საკითხი წარმოადგენს. ეს ციკლი შემოქმედის ერთგვარი პოეტური ექსპერიმენტია, რომელშიც მთავარ როლს თამაშობს ცხოვრება და მასთან გრაგიკული თამაში. ამ ციკლში შემაჯავალ ლექსებში პეიზაჟი მხოლოდ ფონია, უკანა პლანზეა გადაგანილი. აპოლონური სახეები თანდათან კარგავენ გამოსახულებას, იკარგება დრო. ნაცვლად ამისა, იბადება დიონისური ყოფა. ღმერთმა ჩამოიხსნა ნილაბი. ნიცშეს ფილოსოფიური მეგაფორა, „ღმერთი მკვდარია“, მისი გრაგიკული განცდის მაჩვენებელია, რამდენადაც ღმერთის ცნება ამ შემთხვევაში ნიშნავს უმაღლეს ღირებულებათა ერთობლიობას. დაირღვა ინდივიდუალობა, ქრება ფასეულობები. მთვარის შუქზე ქირონის ნავით მოგზაურობა და ყოველი იდილიური სურათი ნამდვილ სიკვდილად გადაიქცა. ალამიანის „მე“ სიბნელეში აღმოჩნდა. ნიცშეს „მხიარული მეცნიერება“ ცხოვრების დიონისური თამაშის გამოხატულებაა. პოეტს და მეცნიერს ერთი საერთო მიზანი ამოძრავებთ. განსაკუთრებით მძიმეა ხვედრი ფილოსოფოსისა, რომლის ნააზრვეი უსაზღვრო ტკივილისა და განცდებისაგან იბადება: „Wir müssen beständig unsere Gedanken aus unserem Schmerz gebähren und mütterlich ihnen Alles mitgeben, was wir von Blut, Herz, Feuer, Lust, Leidenschaft, Qual, Gewissen, Schicksal, Verhängniss in uns haben. Leben – das heisst für uns alles, was wir sind“... [6, 349] – წერს ნიცშე „მხიარულ მეცნიერებაში“, რომლის გავრძელებას წარმოადგენს „ხუმრობა, ცბიერება და შურისძიება“. ეს პოეტური ციკლი დაწერილია „შპრუხის“ სტილის ლექსებით. ნიცშე კვლავ თამაშობს რითმებით. მთლიანად მთელი ციკლი წარმოადგენს „პრელუდიას გერმანულ რითმებში“ – „Vorspiel in deutschen Reimen“. იამბის, ტერცეტის, შპრუხისა და ღითირამბის ფორმის ლექსების შემთხვევით ნიცშე ქმნის ფილოსოფიური სიღრმით გაჯერებულ ღირიკას.

A. War ich krank? Bin ich genesen?

Und wer ist mein Arzt gewesen?

Wie vergass ich alles Das!

B. Jetzt erst glaub ich dich genesen:

Denn gesund ist, wer vergass“.

(„Zweigespräch“) [6, 354]

ნიცშეს ლექსები გუსტავ მალერის მუსიკას ჰგავს, სადაც მელოდიის მშვიდი ღინება, დაბალი ქალური ხმა, სასოწარკვეთის სიღრმე სასულე ინსტრუმენტების საშუალებით წარმოჩინდება, რასაც ერწყმის ვნებით ამღერებული ვიოლინოს პარგია.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნიცშეს პოეზიაში ბუნება. მწერალი-ფილოსოფოსის აზრით, ადამიანსა და ბუნებას შორის არსებობს წინააღმდეგობა, რაც გამოხატულია იმაში, რომ ადამიანი მულამქამს მის დაუფლებას ცდილობს, გამუდმებით ებრძვის მას და ეს მის კანონიერ უფლებად მიაჩნია. ბუნებისადმი ამგვარ დამოკიდებულებაში ნიცშე ხედავს ნების განსაკუთრებულ გიჟს, რამაც ფორმირება და სრულყოფილება ახალი დროის ფილოსოფიაში ჰპოვა.

კოსმოსთან ადამიანს აკავშირებს სხეული, როგორც „უდიდესი გონი“. ადამიანი, ამავე დროს, ბუნების ნაწილია. ბუნებისა, რომელიც ყოვლისმპყრობელი და მარადიულია. ბუნების თემა აქაც ერთგვარი ფონია, საშუალებაა მწერლის სუბიექტური სამყაროს გასახსნელად. აღსანიშნავია ლექსი „მზე ეშვება“ („Die Sonne sinkt“) „დიონისოს დითირამებიდან“.

„Tag meines Lebens!

die Sonne sinkt.

Schon steht die glatte

Flut vergüldet.

Warm atmet der Fels:

schlief wohl zu Mittag

das Glück auf ihm seinen Mittagsschlaf –

In grünen Lichtern

spielt Glück noch der braune Abgrund herauf“

[8, 93].

ნიცშე თავის ქადაგებებს დითირამის სტილის ლექსებით წარმოგიდგენს. ამ ფორმით შექმნილია „დიონისოს დითირამები“ და „მარატუსტრას სიმღერები“. მარატუსტრას სიმღერები განსაკუთრებულ ცხოველმყოფელობას ანიჭებს ნიცშეს რომანს „ესე

იტყოდა ბარაგუსგრა“, რომლის პრობლემატიკას ევროპის წინააღმდეგობრივი სინალიზაციის

სიგყვა „ბარაგუსგრას სიმღერებში“ წარმოადგენს დროის მედიუმს. ადამიანები შთანთქმულნი არიან დროში – ის განსაზღვრავს კაცობრიობის ეგზისტენციას. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როგორც სიმზარში – მიიჩნევს ნიცშე – ვერ ვამჩნევთ მას, ისევე როგორც ვერ ვამჩნევთ ჰაერს, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ. დრო მოძრაობს და იკარგება წარსულში, მიაქვს ყოველივე ცოცხალი და გამუდმებით ღრმავდება ადამიანთა სასოწარკვეთილება. დრო მხოლოდ მაშინ იხსნება ადამიანებისათვის, როცა ისინი იღვიძებენ. ღამის სიჩუმეში ისინი გრძნობენ დროის უხშო სრბოლას, მის სუნთქვას. ყოველივე გარდასული არის განჯვის, სამყაროს მარადიული ვნების სიმბოლო, რომელშიც ყოველივე შთაინთქმება და სიკვდილის მსხვერპლად იქცევა. განჯვას, სიხარულსა და სამყაროს დრო ამთლიანებს. ამ დროს ადამიანი არის მოკვდავი, იგი უკვდავია დროში. მხოლოდ ადამიანს, როგორც დროის მედიუმს, შეუძლია მარადიული დაბრუნება ერთი და იმავესადმი. მხოლოდ კაცობრიობის საშუალებით იხსნება ყოველი სულიერის საიდუმლო. ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული „ბარაგუსგრას სიმღერები“ და საერთოდ ნიცშეს პოეზია, რომლის კეთილბოვანება ქმნის სიგყვათა მაგიურ სამყაროს. ყოველი ლექსი იბადება მუსიკის სულიდან და მარადიულის ადეკვატური ფორმა აქვს.

ბარაგუსგრა მთავრდება „Das Nachtwandler-Lied“-ით. ნაწარმოების ეს ნაწილი წარმოადგენს ნიცშეს მიერ თავისი დროის კრიზისის ფასეულობათა და თვითშეგნების კრიზისის განცდის უმაღლეს წერტილს. იგი მოუწოდებს ადამიანებს, ყური მიაპყრონ მის ქადაგებას.

„O, Mensch! Gieb Acht!
Was spricht die tiefe Mitternacht?
„Ich schlief, ich schlief –,
„Aus tiefem Traum bin ich erwacht: –
„Die Welt ist tief,
„Und tiefer als der Tag gedacht.
„Tiefer ist ihr Weh –,

„Lust – tiefer noch als Herzenlied:
„Weh spricht: Vergeh!
„Doch alle Lust will Ewigkeit –,
„– will tiefe, tiefe Ewigkeit!“

[7, 404].

„ზეკაცი“ „ზარატუსტრასში“ წარმოდგენილია როგორც უმაღ-
ლესი გიჟის ადამიანი, სრულყოფილი არსება, რომელსაც გაც-
ნობიერებული აქვს, რომ ადამიანის გარეშე ღირებულება არ
გააჩნია არც მიწას, არც მზეს, არც ცხოვრებას, და საერთოდ
მთელ სამყაროს. ამავდროულად იგი მოუწოდებს ადამიანს: „Vergiss
nicht, Mensch, den Wollust ausgeholt, du – bist der Stein, die Wüste, bist
der Tod“... [7, 387].

ამრიგად, ძველი გრადიციული ფორმების გადამუშავების გზით,
სიმბოლოთა და პოეტურ-ფილოსოფიური ლექსიკის ვარირებით,
ნიცშემ შექმნა თვითმყოფადი ფილოსოფიური ლირიკა, რომელ-
მაც მოამზადა ნიადაგი შემდგომი პერიოდის XX საუკუნის გერ-
მანული პოეზიის განვითარებისათვის.

NUGESCHA GAGNIDSE DIE SPEZIFIK DER LYRIK VON FRIEDRICH NIETZSCHE RESÜMÉE

Nietzsches Poesie stellt die Verkörperung seiner philosophischen Weltanschauung dar. In seinen Gedichten fühlt man einerseits die schmerzliche Empfindung der gegenwärtigen Epoche, andererseits seine eigene geistige Tragödie.

Durch die Transformation der traditionellen europäischen und deutschen Versformen schuf Nietzsche eine ganz eigenartige Lyrik, deren wichtigste Themen sind: Ewiger Kampf des Gutes und des Bösen, Synthese des „apollinischen“ und „dionysischen“, die menschliche Existenz und die ewige Wiederkunft.

Für Nietzsches Philosophie sind die Bearbeitung der traditionellen Versmaßen (besonderes Jambus und Trochäus) charakteristisch. Das war kennzeichnend nicht nur für die Gedichte der 70-er Jahre des 19. Jahrhunderts, sondern auch für die Zyklen „Scherz, List und Rache“ und „Lieder des Prinzen Vogelfrei“, die später geschaffen sind.

Der Höhepunkt von Nietzsches Schaffen ist sein Werk „Also sprach Zarathustra“. Das ist ein Roman in Satzrythmen, wo „Zarathustras Lieder“ eingeschaltet sind. Für diese „Lieder“ verwendet der Autor den Stil der Dityramben (in freien Rythmen geschriebene

Gedichte). Dabei gebraucht Nietzsche auch zu viel poetisch-symbolische Lexik.

Mit seiner philosophischen Lyrik hat Friedrich Nietzsche für die literarische Entwicklung des 20. Jahrhunderts außerordentliche Bedeutung gewonnen.

ლიტერატურა

1. ბუაჩიძე, თ., ფრიდრიჰ ნიცშე და მისი „ესე იცყოლა ზარაგუსტრა“, გამომც. „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“, თბ., 1993.
2. გერმანულენოვანი პოეზიის ნიმუშები ქართული თარგმანებითურთ. თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2000.
3. ნიცშე, ფრ., „ესე იცყოლა ზარაგუსტრა“. საგამომცემლო სამოგადოება „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა“, თბ., 1993.
4. Bertram, E., Nietzsche – Versuch einer Mythologie. Bonn, 1965.
5. Geschichte der Philosophie in Text und Darstellung. 19. Jahrhundert. Hrsg. M. Riedel. Philipp Reclam jun. Stuttgart. 1994.
6. Nietzsche, Fr., Sämtliche Werke, Kritische Ausgabe in 15 Bd. Hrsg. von Giorgio Colli und Mazzino Montinari. Deutscher Taschenbuch Verlag München, Berlin, New York, 1998. Bd. 3.
7. Ebd. Bd. 4.
8. Nietzsche, Fr., Gedichte. Philipp Reclam. jun. Stuttgart, 1996.
9. Аствацатуров, А., Властитель дум. „Художественная литература“. С.-Петербург. 1993.

სამღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

ელენე ბაბაშვიკი

ხალხური ოქრომჭედლობა ქუთაისში

(XIX ს. დასასრული XX ს. დასაწყისი)

ოქრომჭედლობა უძველესი დროიდანვეა ცნობილი. მისი შესწავლა დიდი ხანია იპყრობდა მეცნიერთა ყურადღებას. მკვლევართა ინტერესი ძირითადად მიმართული იყო საეკლესიო ძეგლების შესწავლისაკენ, ხოლო ხალხური შემოქმედება ქართულ ოქრომჭედლობაში მაინც შეუსწავლელი რჩებოდა. ხალხური ოქრომჭედლობის შესწავლის საქმეში ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩაგარებული ქართველ ეთნოგრაფებს.

უძველესი დროიდან მოყოლებული, როგორც არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, ოქრომჭედლობას დიდი გამოყენება ჰქონია და მეტად განვითარებულიც ყოფილა.

ქუთაისში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე აღრიცხული და რეგისტრირებული იყო 161 ოქრომჭედელი. მათ შორის იყვნენ ქართველები, მოდგმით ამ ხელობის მიმდევრები. მღებრიშვილები, წულეისკირები, ხელაძეები, მირიანაშვილები, ასათიანები და სხვ.

ოქრომჭედლობა მხოლოდ ოქროს დამუშავებით არ განისაზღვრებოდა. მასში თანაბარი მნიშვნელობით შედიოდა და იგულისხმებოდა ვერცხლის მჭედლობაც. მე-19 საუკუნეში, ძლიერმა კონკურენციამ, ადგილობრივ ოქრომჭედელს ოქროს ნივთების მკეთებლობა ხელიდან გამოაცალა. ნელდა ნელა მასალის სახეობა - ოქრო საოქრომჭედლო წარმოებიდან თითქმის მთლიანად გაქრა. ოქრომჭედელს სახელწოდება აღრინდელი შერჩა, მაგრამ მისი საქმიანობა ვერცხლისა და სხვა დაბალხარისხოვანი ლითონების დამუშავებით შემოიფარგლა, მაგრამ ამით ოქროსა და ვერცხლის დამამუშავებელი ხელოსნები ერთმანეთისგან არ გათიშულან. ლითონის დამუშავების წესებისა და ძველებური ხელსაწყო-იარაღების მსგავსების გამო, ისინი მაინც ერთი დარგის ხელოსნებად იყვნენ მიჩნეულნი. ისინი ერთ ამქარში ერთიან-



დებოდნენ და ხალხში ოქრომჭედლებად იყვნენ ცნობილნი. ოქროს მბეჭდავი ოქრომჭედლები ძვირფასი ლითონისაგან დებოდნენ ქალისა და მამაკაცის სამკაულებს: ნაირი სახის ბეჭდებს, სამაჯურებს, ყელსაბამებს, გულმკერდისა და თავსაბურავის მოსართავებს, ამგვარად, ოქრომჭედლობა მხოლოდ საკუთრივ ოქროს დამუშავებას კი არ აღნიშნავს, არამედ ვერცხლის მჭედლობასაც. ასე იყო ძველად და ასეა დღესაც.

ქუთაისში მცხოვრებ ოქრომჭედელთა შორის შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა მეტყველებს იმაზე, რომ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქუთაისში არსებობდა ოქრომჭედელთა ძლიერი ამქარი, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით - „ჯღამაძე და მისი ამხანაგობა“, რომელსაც საოქრომჭედლო სახელოსნოები ჰქონდა ქუთაისსა და ჭიათურაში. ოქრომჭედლობის ცნობილი ოსტაგები იყვნენ: ვარლენ ჯღამაძე, შამშუ წულეისკირი, ვარლამ ახვლედიანი, მოსე ასათიანი, იოსებ გვეგაძე, საბა ციბაძე, კოწია ცაგარეიშვილი, სინო ძნელაძე, იაკობ ბაქარია, ნესტორ ფანცულია, კვაგაშიძე, იმედაძე, გყაბლაძე, სულეიმანოვი, ალადაღოვები და სხვ. მათ მიერ შექმნილი ხალხური ოქრომჭედლობის ძეგლები, რომლებიც დაცულია მუზეუმის ფონდში, ამკარად მეტყველებენ იმაზე, რომ ქუთაისელი ოქრომჭედლები სრულყოფილად იყვნენ დაუფლებული ლითონის ჭედვისა და შემკობის გრადიციულ ჩვევებს. 60-იან წლებში, ქუთაისში ჩვენს მიერ მოკვლეულია ლითონის დამუშავების დარგში უძველესი გრადიციების მიხედვით მომუშავე ოსტაგ-ხელოსნები, რომლებიც ოქრომჭედელთა ამქრული გაერთიანების შესახებ მოგვითხრობენ. ოქრომჭედელთა პროფესიულ გაერთიანებას ამქარი ეწოდებოდა, რომლის სტრუქტურაში შემდეგი იერარქიაა დაცული: შეგირდი, ქარგალი, ოსტაგი, სადაც ყველა ხელოსანს, ეროვნების და სარწმუნეობის განურჩევლად შეეძლო შესვლა. ხელოსნების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. იყვნენ სომხებიც, ლეკიც. ამქარს ჰყავდა უსგაბაში, მოადგილე, მედროშე და სხვ. უსგაბაშის თანამდებობა არჩევითი იყო. არჩევნები წარმოებდა ხელოსანთა გამგებლობის შენობაში ან სახელოსნოში მამასახლისის თანდასწრებით. ზოგჯერ უსგაბაში არჩეულ თანამდებობაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებოდა. ეს დამოკიდებული იყო მის უნარსა და გამოცდილებაზე. უსგაბაშის ძირითად მოვალეობას სამართლიანობის დაცვა შეადგენდა. მას ორი მოადგილე აღსაყალო-ჰყავდა და მათთან ერთად აგვარებდა ამქრის ორგანიზაციულ საკითხებს. უსგაბაში თავად ხელოსანი უნდა

ყოფილიყო. ქუთაისელ ხელოსანთა ამქრებად დაყოფას ნათლად ადასტურებს ამქართა დროშები. დროშა ამქრის სიმბოლოა. გამოსახულება იყო, რომელიც უსგაბაშთან ინახებოდა. ოქრომჭედელთა გადმოცემით, დროშა ცისფერი იყო და მასზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული. ამქრობის დღესასწაულის დროს უსგაბაშის მიერ დანიშნული მედროშე ბალისკენ მიმავალ ამქარს წინ უძღვოდა. ასევე უკან გამობრუნების დროსაც.

ამქრული ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურზე შევირდი იდგა, რომელიც ვალდებული იყო ხელობა ესწავლა, რადგან ოქრომჭედლობა ძნელად შესასწავლი დარგი იყო, შევირდობის ვადა განისაზღვრებოდა შევირდის ნიჭითა და მონღომებით. ხელობის კარგად დაუფლებას 5-6 წელი მაინც სჭირდებოდა. წულეისკირის გადმოცემით, ოქრომჭედელი ეს უმაღლესი ხელობის მქონე პირია და მისი შესწავლა ღირსების მაჩვენებელი იყო: არც შევირდის ასაკი იყო განსაზღვრული. შევირდად იღებდნენ 9-12 წლის ბიჭებს. შევირდს წერა-კითხვა უნდა სცოდნოდა. ხელოსანთა უმრავლესობა თავის ოსგაგად მამას, ბიძას ან ძმას ასახელებს და შვილების გარდა, შევირდად სხვებსაც იყვანდნენ. ხელობის შესწავლის შემდეგ შევირდი უნდა დაელოცათ. ერთროულად შეიძლებოდა რამდენიმე შევირდის დალოცვა. ეს ხდებოდა წელიწადში ერთხელ ხელოსანთა გრადიციულ დღესასწაულზე-საღვთოზე. საღვთოს ორგანიზაცია წინასწარ წარმოებდა. მის ხარჯებს ძირითადად დასალოცი შევირდი გაიღებდა. საღვთო გარდებოდა ქალაქგარეთ, ფერმის ბაღში. იყო შემთხვევა, როცა საღვთო სახელოსნოშივე გარდებოდა. დასალოცად გამზადებულ შევირდს უსგაბაშისათვის უნდა წარედგინა მის მიერ დამზადებული ნაკეთობათა რამდენიმე ნიმუში და ძღვენი. დალოცვის ცერემონიალის დროს უსგაბაშის მახლობლად თავი ოსგაგებიც შეგროვდებოდნენ, რომლებიც ამოწმებდნენ დამზადებული ნაკეთობების ვარგისიანობას. შევირდი დალოცვის შემდეგ ქარგალი ხდებოდა და კვლავ ოსგაგთან აგრძელებდა მუშაობას, რომ ეკონომიურად მომავრებულიყო და გაეხსნა თავისი სახელოსნო. მას თუ სურდა, იღებდა სახელოსნო-მმართველობაში პაგენგის უფლებას და ხდებოდა უფლებიანი ხელოსანი, რომელსაც ამავე დროს ჰქონდა უსგაბაშის არჩევის უფლებაც.

ოქრომჭედლობისათვის ქუთაისში სპეციალური შენობა არ ყოფილა აგებული. ადგილს სადაც ოქრომჭედელი მუშაობდა, სახელოსნო ეწოდებოდა. ოქრომჭედლის გადმოცემით, საოქრომჭედლო სახელოსნოები ძირითადად განლაგებული იყო მიხაი-

ლოვის ქუჩაზე (დღევანდელი ფალიაშვილის ქუჩა), მიჰქონდათ
ონის (რაჭის) და წვევის (შორაპანი) ბაზარზე. მათი გადმოცემით
საოქროსმჭედლო ნაწარმი ძალიან ძვირად ფასობდა და მისი
შეძენის საშუალება ყველას არ ჰქონდა: ვერცხლის ქამარ-ხანჯლის
შეძენა ბევრი ვაჟკაცის ოცნება იყო და მისი შეძენისათვის საჭი-
რო თანხას წლების განმავლობაში აგროვებდნენ. ვერცხლის
ქარქაშიანი ხანჯალი სხვადასხვა ზომის იყო. ამიგომ, მათ დამ-
ზადებაზე სხვადასხვა წონის ვერცხლი იხარჯებოდა. ძირითადად
საჭირო იყო “ - 50 - 60 მისხალი ვერცხლი.

მისხალი ვერცხლი 14 შაური ღირდა. ამას ემაგებოდა კიდევ
ხელობის ფასი და ღირებულება 100 თუმნამდე აღწევდა. რა თქმა
უნდა, ამაში არ შედის ხანჯლის პირის და ხანჯლის სხვა ნაწი-
ლების ფასი. მისი ღირებულება სხვა იყო. მას სხვა დარგის
ოსგაგი ამზადებდა. მისი დამზადება ოქრომჭედლის პროფესიულ
მოვალეობას არ შეადგენდა. ოქრომჭედლები მხოლოდ შე-
ვერცხლასთან დაკავშირებულ სამუშაოს ასრულებდნენ. საოქ-
რომჭედლო საქმიანობაში ქუთაისელი ოქრომჭედლები ძირითა-
დად იყენებდნენ ვერცხლსა და ოქროს. ოქრომჭედლის ნაირ-
სახოვანი ნამუშევარი შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს.
ზოგი ნივთი ხელით უნდა გაკეთდეს, გაიჭედოს: რადგან ყველას
ხელით გაჭედვა არ ხერხდება, მას ჩამოსხმით ასრულებენ. ზოგი
საგანი შეიძლება ორივე ხერხით გაკეთდეს. ჩამოსხმით საგნის
დამუშავება არ მთავრდება. საბოლოო სახის მისაღებად მას
ხელით დამუშავებაც ესაჭიროება. ქუთაისელი ოქრომჭედლების
მიერ საოქრომჭედლო საქმიანობაში გამოყენებული იყო ლითონ-
ის ჭედვისა და შემკობის შემდეგი ხერხები: „ჩამოსხმა“, „ცივი
კვერვა“, „მოჩუქურთმება“. მოჩუქურთმება სრულდებოდა მოოქ-
ვრით „ოქროთი დაფარვა“, მოსევალებით: ფარღამიანი, რუვრო-
ვიანი, ვარსკვლავიანი ჩუქურთმით, გრეხილით, ცვარით და გა-
ვარსით.

ოსგაგი ჭედური ხელოვნების დამზადებას ჰყოფდა საფეხურებად:
1. საჭირო სინჯის ნამზადის მიღება, რაც ოქროს ან ვერცხლის
საჭირო სინჯს შემზადებით ხორციელდებოდა. 2. ნაკეთობისათ-
ვის ფორმის მიცემა, რაც ხორციელდებოდა დაყალიბება-ჩა-
მოსხმით და კვერვით. 3. გამზადებული, ფორმამიღებული ნივთის
შემკობა, რაც მოჩუქურთმებით ხორციელდებოდა.

საჭირო სინჯის ნამზადის მიღება: მათთვის საჭირო ვერცხლს
და ოქროს ხელოსნები მაღაზიაში იძენდნენ. ხშირად მათ მი-
ღებას ისინი თვითონ აწარმოებდნენ: და შემდეგ ამზადებდნენ



მათთვის საჭირო სხვადასხვა სინჯის შენაღობს. საოქრომჭედ-
 ლო საქმიანობაში იყენებდნენ როგორც სუფთა ისე მინარევი
 ვერცხლს. სუფთა ვერცხლით ამზადებდნენ გრეხილს და ცვარს:
 ხოლო ნივთის დასამზადებლად უკეთესი იყო მინარევიანი
 ვერცხლი. ოქრომჭედელს შეეძლო ნებისმიერი ვერცხლის ნივთის
 გადაკეთება სხვა სახის ნაკეთობად. ასეთ შემთხვევაში აუცი-
 ლებელი იყო გასაკეთებელი ნივთისაგან სუფთა ვერცხლის გა-
 მოღება და ამ ვერცხლისაგან საჭირო სინჯის შენაღობის დამ-
 ზადება. ვერცხლის სუფთა სახით მიღებას ოქრომჭედლები
 ვერცხლის „დაყურსვას“ უწოდებენ. ვერცხლის დაყურსვას აწარ-
 მოებდნენ სპეციალურ ჭურჭელში, რომელსაც ყალი ეწოდებოდა.
 დასამუშავებელ ვერცხლს დაჭრიდნენ ნაწილებად“ ჩაყრიდნენ
 წყალში, გაუჩაღებდნენ ცეცხლს, გარშემო და თავზე შემოალა-
 გებდნენ ნახშირს და საბერველის საშუალებით უბერავდნენ. ორი-
 სამი საათის ბერვის შემდეგ ვერცხლი გადნებოდა. გამდნარ
 ვერცხლს დაუმაგებდნენ გოლი რაოდენობის სუფთა გყვიას და
 საბერველით უბერავდნენ. ამ პროცესს ოქრომჭედლები ასე გად-
 მოგვეყვებიან: „ტყვია იწვის და მისი საშუალებით ვერცხლს რა
 სიგლახეც ურევია - კალა, სპილენძი და სხვა, ერთი სიგყვით,
 რაც ჩვენ არ გვინდა ვერცხლის გარდა ყველაფერი იწვება. როცა
 ვერცხლთან არსებული ყველა მინარევი დაიწვება, ვერცხლი ღუ-
 ლილს შეწყვეტს. ღულილის შეწყვეტასთან ერთად საბერველს
 გააჩერებენ. კიდევ რომ უბერო, ვერცხლი მაინც შეწყვეტს ღუ-
 ლილს და ის ცივდება“. მიღებულ ვერცხლს დაჭრიდნენ თებშუ-
 რით, ჩაყრიდნენ ბუთაში. მარილივით დაუმაგებდნენ ცოგა ბორას
 (ხელს უწყობდა ღნობას) და ქურაზე საბერველის საშუალებით
 ადნობდნენ. გამდნარ ვერცხლს ჩავასხამთ რიჯაში. თუ ვერცხლი
 გვინდოდა ძაფისთვის, გრეხილისთვის, მაშინ მას არაფერს ვუმა-
 გებდით. მიღებული სუფთა ვერცხლი მზად იყო სახმარად. თუ
 მიღებული ვერცხლისაგან გვინდოდა ნივთის დამზადება, მაშინ
 მას ვუმაგებდით სპილენძს და ვამზადებდით ჩვენთვის საჭირო
 სინჯის შენაღობს“. წულეისკირი . მისხალ ვერცხლს გადნობის
 დროს უმაგებდა ერთ მისხალ სპილენძს. ახვლედიანი 96 მისხალ
 ვერცხლს უმაგებდა. მისხალ სპილენძს. მათი გადმოცემით, ეს
 არის: „ მისხალი სინჯის ვერცხლი. ასეთი სინჯის ვერცხლი საუ-
 კეთესოდ მუშავდებოდა.

ოქრომჭედელი ოქროს ვერცხლის დაყურსვის მსგავსად აწარ-
 მოებდა. გოლი რაოდენობის ოქროსა და სპილენძს (სპილენძი
 ხელს უწყობდა ოქროდან მინარევების სწრაფად გამოჭმას) გა-

წევდნენ საგლინავი მანქანით და აღნობდნენ ბუთაში, ქურაზე, საბურველის საშუალებით. როცა ნარევი აღუდებოდა, მას ჩამო-
ასხამდნენ სპეციალურ ჭურჭელში-ნიქარაში და გააცივებდნენ. გაცივებულ ნარევს გაწევდნენ საგლინავი მანქანით, დაჭრიდნენ, მოათავსებდნენ ფაიფურის ჭურჭელში და დაასხამდნენ თეზაფს (მეფის არაყი), ისე რომ დაეფარა. თეზაფი გახსნიდა მინარევიან ოქროს და ნარევი იწყებდა დუღილს. როცა თეზაფი ფერს შეიცვლიდა, რამდენიმე წუთის დუღილის შემდეგ მას გადმოწურავდნენ ფრთხილად, ისე რომ ოქრო არ გადმოყოლოდა და დაასხამდნენ ახალ თეზაფს. ოქრო კვლავ დაიწყებდა დუღილს. აღნიშნულ პროცესს იმეორებდნენ მანამ, სანამ ოქრო დუღილს არ შეწყვეტდა. „სუფთა ოქროს თეზაფი ვერ ერევა“, ან „სუფთა ოქროს თეზაფი ვერ მოკიდებს ხელს“ და ოქრო დუღილს შეწყვეტს „მოგვითხრობენ ოქრომჭედლები. ოქროს დუღილის შეწყვეტა მის „დაყურსვას“, სუფთა სახით მიღებას ნიშნავდა. მიღებულ სუფთა ოქროს რეცხავდნენ თბილი წყლით, თეზაფის ან სხვა რამის სუნი რომ არ შეყოლოდა, ამრობდნენ. ის პუდრივით ფხვიერია. მას ჩაყრიდნენ ბუთაში, დაუმაგებდნენ ცოცხა ბორას და ქურაზე აღნობდნენ ეს არის სუფთა ოქრო-ბაჯაღლო, 96%-იანი, რომელიც გაცივების შემდეგ მზად არის სახმარად. მიღებულ სუფთა ოქროს უმაგებდნენ სპილენძს და იღებდნენ მათთვის საჭირო სინჯის შენაღნობს. ოქრომჭედლის ჯალაღა სულეიმანოვის გადმოცემით, ერთ გრამ ბაჯაღლო ოქროს დაუმაგებდნენ 1/10 გრამ (ერთ მილიგრამ) სპილენძს. ეს არის .. სინჯის ოქრო. ასეთი შენაღნობი კარგი იყო კბილისათვის.

ნაკეთობისთვის ფორმის მიცემა (ნივთის დამზადება) ნივთის დამზადებას ოქრომჭედელი აწარმოებდა ჩამოსხმა - დაყალიბებით და კვერვით. ჩამოსხმას წინ უსწრებდა დაყალიბება. დაყალიბების დროს გამოიყენებოდა იარაღი, რომელსაც დარიჯა ეწოდება. დარიჯა ლითონისაა. შედგება ორი გოლი ნაწილისაგან. ეს ნაწილები ერთმანეთთან მორგებულია. მათი შიგა მხარე დრუა. გარეთა მხარეზე თითოეულ მათგანს აქვს შესაკრავდ განკუთვნილი „ყურები“. „დარიჯის“ ერთ ნაწილს ოსტაგი გადმოაპირქვავენ „დარიჯის ფიცარზე“ ჩადებს მასში რომელიმე სახეობის ყალიბს და მოაფრქვევს მას კარგად გაცრილ სპეციალურ მიწას. (როგორც პურის ცომს, საფენელს) შემდეგ გატენის მას „კუპრში არეულ მიწით“, გადასწორების შემდეგ დარიჯის ამ ნარევს გადმოაბრუნებს, ბემოდან მოაფრქვევს მიწას და დარიჯის მეორე ნახევარს დააფარებს. დარიჯის ამ ნახევრასაც გატენის კუპრში

არეული მიწით და მას დააფარებს „ღარიჯის ფიცარს“. „ღარიჯის ფიცრებს“ შორის მოქცეულ „ღარიჯას“ ერთმანეთთან მჭიდროდ შეამჭიდროვებს შემდეგ ღარიჯა უნდა გაიხსნას და იქიდან ამოიღოს ყალიბი. ყალიბის ამოღების მერე ღარიჯაში აღიბეჭდება დასაყალიბებელი საგნის სახე. (მაგალითად, ქაშის ბალთა). დაყალიბებულ გამოსახულებას ღარიჯის ყელის მიმართულებით გზას გაუჭრიან. ჩამოსხმის დროს „ღარიჯა“, „ღარიჯის ფიცრით“ უჭირავთ ხელში. მას ყელში ასხამენ გამდნარ ლითონს, რომელიც გაჭრილი გზის მეოხებით დაყალიბებულ მიწაში ჩაეშვება. გაცივების შემდეგ ის იღებს ღარიჯაში აღბეჭდილი საგნის სახეს. ასე სრულდება ჩამოსხმის პროცესი. ღარიჯას გახსნიან, ამოიღებენ ჩამოსხმულ საგანს და შეამოწმებენ მის ვარგისინობას. თუ კარგად არის ჩამოსხმული, შეუდგებიან მის შემდგომ დამუშავებას.

მოჩუქურთმება: ქუთაისელი ოქრომჭედლების გადმოცემით, ისინი აკეთებდნენ ფარღაზიან, რუეროვიან, ვარსკვლავიან ჩუქურთმას. ზოგ შემთხვევაში ვერცხლის საგნებს ოქროთი ალამაზებდნენ, სევადით რთავდნენ, ამავე დროს მოჩუქურთმეობას აწარმოებდნენ გრეხილით, ცვარით, გავარსით, ჩუქურთმა ყალბით იჭრება. გამზადებულ საჩუქურთმე საგანზე ჩუქურთმას ფარგლით დაწერენ და შემდეგ ყალბით ან რუეროვით ამოჭრიან, (რუეროვი ყალბის სახეობაა). ნივთის მოჩუქურთმება მეგად დიდ დროსა და ხელოვნებას მოითხოვდა. ჩუქურთმის გამოყვანას სჭირდება კარგი მჭრელი იარაღი და ოსტაგის მახვილი გონიერი თვალი. რუეროვით ამოჭრილ ჩუქურთმას რუეროვიანს უწოდებდნენ.

ყალბით და რუეროვით ამოჭრილ ჩუქურთმიან ვერცხლის საგანს ხშირ შემთხვევაში სევადითაც ამკობდნენ და ოქროთი ალამაზებდნენ, ასეთ ჩუქურთმას ფარღაზიანს უწოდებდნენ. თუ ჩუქურთმაში ვარსკვლავის გამოსახულებები გამოირჩეოდა, ასეთ ჩუქურთმას ვარსკვლავიანს ეძახდნენ.

ქუთაისის მუზეუმის ძვირფასი ლითონების ფონდში მრავლადაა წარმოდგენილი ადგილობრივი ოსტაგების მიერ დამზადებული ნაირსახოვანი ნახელავი იმერული ქაშრების, ჩოხის ქილების, ხანჯლები. სამკაულების, საოჯახო ნივთებისა და სხვათა სახით. ეს ნაკეთობები მუზეუმის მშენებას წარმოადგენს და მათი გაცნობა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მნახველს. ისინი ძირითადად დამზადებულია ვერცხლისაგან, რომელიც შემკულია ნაირი სახის ორნამენტებით. ხალხურ ოსტაგებს ორნამენტის თემატიკა

ლიტერატურა

1. კ. გნოსაროვი, მოთხრობები ქუთაისის შესახებ.
2. ნ. ნიკოლაძე, ძველი და ახალი ქუთაისი, 1973 წ. გვ. 274.
3. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 108, საქმე I, ფურც. 167-168.
4. ც. ზვიადაძე - ქუთაისის მუზეუმის მასალები. კრებული VII გვ. 94-108.
5. გაზეთი „ივერია“, № 8867 წ. 647. გვ. 1.
6. გაზეთი „ივერია“, № 8937 წ. 6179. გვ. 2.
7. გაზეთი „კვალი“, № 8987 წ. 648, გვ. 773-7748.

ELENE GEGESHIDZE FOLK GOLD-BLACKSMITHS WORK IN KUTAISI. (THE END OF THE XIX AND BEGINNING OF THE XX CENTURIES) ETHNOGRAPHICAL MATERIALS RESUME

Being guided by the concrete material, some problems considered in the work are connected with folk gold- blacksmiths work.

Collection of the ethnographical material gives me a picture of a powerful gold- blacksmith shop known as "Dzgamadze and his Friends"

Kitaisi gold- blacksmith were very good at traditional smithing and decorating. Metal.

Kitaisi gold- blacksmith possess traditional methods of smithing. Degorating metall perfectly well.

In the work are given the making of cionage, tools made of gold-cionage.

Besides many terms and expressions are fixed in the work.

It is said in this work that gold- blacksmith was not only producing the gold but it meant silvén producing too.

Material found in the Historical- ethnographical museum shows that gold- blacksmiths lived in kutaisi greated anique exhibits in Georgian folk, such as: silven and golden belts, braceets, necklaces, daggers and other things.

According to the collecting materials society found out that there were one hundred and sixty one gold-blacksmiths workshps and they had their aur headmasters known as "Ust-abashi".

Gold-blacksmiths work is not only organizatioal work. but it is Art itself which was very important at that time.

კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა



ღავეთი ბეგეჰკორი

„სარაჰმტო გავბიტი“ და კარიბის კრიზისი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. ერთის მხრივ აშშ და კაპიტალისტური სამყარო; მეორეს მხრივ – სსრკ და სოციალისტური სამყარო. დღიდან ამ ორი ბანაკის შექმნისა ორივე მხარე ამრავლებდა თავის ბირთვულ არსენალს და ცდილობდა ამ გზით გაეფართოვებინა თავიანთი გავლენის სფეროები. ბუნებრივია გამალებული შეიარაღება მსოფლიოს კარგს არაფერს მოუტანდა, ამ ვითარებას ორივე მხარე აცნობიერებდა და კიდევ ცდილობდნენ დაძაბული ურთიერთობების გაუმჯობესებას, მაგრამ იმდენად დიდი იყო ურთიერთის შიშის და უნდობლობის გრძნობა, რომ ხშირად ასეთ მცდელობას საპირისპირო შედეგი მოჰქონდა. კაცობრიობა არაერთხელ იდგა მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე, საღი ამრი მხოლოდ გადამწყვეტ მომენტში იმარჯვებდა. ამის ნათელი დადასტურებაა კარიბის კრიზისი.

აშშ საგრძნობლად უსწრებდა სსრკ-ს ბირთვული შეიარაღების სფეროში (60-იანი წლების მონაცემებით აშშ-ს ჰქონდა 500 ბირთვული რაკეტა, სსრკ-ს – 300). ჩამორჩენა განსაკუთრებით შეიმჩნეოდა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების რაოდენობაში.

50-იანი წლების ბოლოს საბჭოთა დაზვერვამ თურქეთის გეოგორიაზე აღმოაჩინა მისკენ დამიზნებული საშუალო რადიუსის მოქმედების ამერიკული ბირთვული რაკეტები. ნ. ხრუშჩოვი ამით შეშფოთებული იყო, მისი სიძის აჯუბეის ცნობით ის არაერთხელ უსვამდა თავის თავს შეკითხვებს: „რაგომ მოახდინეს ამერიკელებმა იმ უფლების უზურპაცია, რომლითაც რაკეტები ასე ახლოს განალაგეს ჩვენს საზღვრებთან? რაგომ შეუძლია ვაშინგტონს თავისი მოწინააღმდეგე და მსოფლიო გამუდმებული

შიშის ქვეშ ამყოფოს, ჩვენ კი არა?" [1. 64].

პოლიტიკურის სხდომებზე ნ. ხრუშჩოვი ხშირად იხსენებდა სტალინის სიტყვებს: „როცა მე აღარ ვიქნები ამერიკელები წიწილებივით მოგიგრებენ კისერს" [1. 67]. 1959 წელს როდესაც კუბაზე შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ნ. ხრუშჩოვმა მაშინვე გადაწყვიტა იქ ბირთვული რაკეტების განლაგება. ამ გზით ის იმედოვნებდა გაემუქობებინა სსრკ-ს სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა. სსრკ-ს ელჩი ამერიკაში ა. ლობრინინი მეშუარეობაში მიუთითებს: „რალა თქმა უნდა ნ. ხრუშჩოვი არ ფიქრობდა ბირთვულ ომზე. მას სურდა ამერიკასთან ურთიერთობებში მოეპოვებინა დამატებითი პოლიტიკური სტატუსი, დამატებითი წონა, მოლაპარაკებებში საჭირობოროტო საკითხებზე" [2. 61]. ნ. ხრუშჩოვი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკის პრეზიდენტი ჯ. კენედი „გადაყლაპავდა ამ მწარე აბს" (ა. ლობრინინი), როდესაც რაკეტების შესახებ შეიგყობდა. მოსკოვმა ხომ მოითმინა, როდესაც ამერიკელებმა რაკეტები განალაგეს თურქეთში. აქ ის არ ითვალისწინებდა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ფაქტორს: ამერიკელები ამას ყველაფერს ღიად აკეთებდნენ, ალაგებდნენ რა ბირთვულ რაკეტებს ნატო-ში. შემაჯავალი თავისი მოკავშირეების გერიგორიაზე. სსრკ-ი კი ცდილობდა ეს გაეკეთებინა საიდუმლოდ ჯ. კენედის ღებინფორმაციის გზით, რაც კიდევ უფრო მრდიდა ვაშინგტონის ეჭვებს ნ. ხრუშჩოვის განზრახვის მიმართ. როგორც გემოთ აღვნიშნეთ ნ. ხრუშჩოვის ე. წ. „სარაკეტო გამბიგის" (ა. ლობრინინი) იდეას ხელი შეუწყო კუბაზე შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა.

1959 წელს კუბაში დაემხო ფულსენჯიო ბაგისგას რეჟიმი და ხელისუფლებაში ფიდელ კასტრო მოვიდა. იმავე წლის 15 აპრილს ამერიკელთა მიწვევით იგი ვაშინგტონში ჩავიდა. ეს იყო მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი. ფ. კასტრო კარგად მიიღეს, რადგან მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა არჩეული ქვეყნის განვითარების სოციალისტური გზა. მისი ამერიკაში ვიზიტის დროს ნ. ხრუშჩოვმა გადაწყვიტა ოპერაცია „პრავდას" განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა კუბის არმიის დახმარებას რაულ კასტროს თხოვნით. ეროვნულ-სოციალისტური პარტიის საიდუმლო წევრი რ. კასტრო ფაქტიურად აკონტროლებდა კუბის შეი-

არაღებულ ძალებს, მას შემდეგ, რაც ფ. კასტრო პრემიერ-მინისტრი გახდა. ნ. ხრუშჩოვი ოღონადაც კი არ დაფიქრებულა გადაწყვეტილების მიღების სისწორეში, მაშინ როცა მისი წინამორბედი ი. სგალინი ამ რეგიონს ამერიკის „უკანა ეზოდ“ [5. 253] განიხილავდა და აქტიურად არ ერეოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების ცხოვრებაში.

ამერიკა თავდაპირველად შეეცადა კუბასთან სიგუაციის ნორმალიზაციას, მაგრამ ამ ქვეყანამ სსრკ-ს დახმარებით, განვითარების სოციალისტური გზა აირჩია. ამერიკისათვის ეს მეგისმეგი იყო. ფ. კასტრო ხვდებოდა, რომ ამერიკა არ შეურიგდებოდა სოციალისტური სახელმწიფოს არსებობას დასავლეთ ნახევარსფეროში. მისი ერთადერთი ხსნა საბჭოთა კავშირის დახმარება იყო. 1960 წლის 9 ივლისს ნ. ხრუშჩოვი სიგუცივით გამოვიდა მასწავლებელთა ყრილობაზე და სრული სამხედრო მხარდაჭერა აღუთქვა კუბას. განცხადებამ კიდევ უფრო დაახლოვა ეს ორი ქვეყანა. საბჭოთა კავშირმა გაზარდა სამხედრო დახმარება კუბისადმი. მარტო 1961 წელს გაგზავნილი შეიარაღების ღირებულება 250 მლნ დოლარს აჭარბებდა. 1962 წლის მარტში კუნძულზე იმყოფებოდა სამასი საბჭოთა სამხედრო სპეციალისტი და თარჯიმანი. [2. 69].

1961 წლის 17 აპრილს კუბელი ემიგრანტების ხელით განხორციელდა სამხედრო აქცია კუბის წინააღმდეგ კოჩინოსის ყურეში, მაგრამ ამერიკის აღმინისტრაციამ მათ სათანადო დახმარება არ გაუწია და ოპერაციამ მარცხი განიცადა. კოჩინოსის ყურეში მომხდარი ინციდენტი ნ. ხრუშჩოვმა თავის უპატივცემულობად ჩათვალა და დაიწყო ფიქრი, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. პირველად მან თავდაცვის მინისტრს მიმართა იღვით პრობლემა ბირთვული იარაღით გადაეჭრა, „რაგომ არ ჩაუსვით ბიძია სემს შარვალში ზღარბი?“ [2. 72]

მისი აზრით საბჭოთა კავშირს ათი წელი დასჭირდებოდა, რომ საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტებით გაესწრო ამერიკისათვის, კუბა კი შეიძლებოდა საშუალო რადიუსის რაკეტების ბაზა გამხდარიყო. ნ. ხრუშჩოვს გაუჩნდა ე.წ. „სარაკეტო გამბიგის“ იდეა. საბოლოო გადაწყვეტილება რაკეტების

განლაგების შესახებ ნ. ხრუშჩოვმა ბულგარეთში ვიზიტის დროს (1962 წლის 14 მაისი) მიიღო. 1962 წლის 24 მაისს მან მდინარე ტაფლაცის საბჭოს სხდომა, სადაც ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად გააფორმა. ფ. კასტრო აღფრთოვანებული დარჩა მისი ამ იდეით.

მსოფლიოს დაზვერვის ისტორიაში დაიწყო უნიკალური ოპერაციის განხორციელება. საბჭოთა კავშირს კუბაზე საიდუმლოდ უნდა ჩაეგანა ბირთვული რაკეტები. ეს გერიგორია კი მისგან 11 ათასი კილომეტრით იყო დაცილებული, ამერიკისაგან კი - სულ რაღაც 150 კილომეტრით.

1962 წლის მაისის ბოლოს საბჭოთა კავშირის გენშტაბმა შეიმუშავა ოპერაცია, რომელსაც „ანადირი“ უწოდეს. გამზადებული იქნა 85 საგრანსპორტო გემი, რომელთაც კუბაში უნდა ჩაეგანათ მოწყობილობა და ჩაეყვანათ ხალხი, გემები განლაგებულნი იყვნენ 6 სხვადასხვა პორტში, არცერთმა გემის კაპიტანმა არ იცოდა სად უნდა წასულიყო. დალუქული კონვერტები მათ ღია ზღვაში უნდა გაეხსნათ.

ვაშინგტონისათვის სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც 1962 წლის აგვისტოს ბოლოს კუბისაკენ მიმავალი ათეულობით საბჭოთა გემი აღმოაჩინა. ჯ. კენედის აღმინისგრაიცია შეშფოთებული იყო, რადგან აგვისტოში საბოლოოდ უნდა დაემტკიცებინათ ოპერაცია „მანგუსტი“, რომლის თანახმადაც კუბაში უნდა დაწყებულიყო აჯანყება, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო კი დაეხმარებოდა კუბელ ხალხს ფ. კასტროს რეჟიმის დემონტაჟში, [4. 56], მაგრამ ჯ. კენედის ეჭვი ეპარებოდა ოპერაციის წარმატებაში და თავს იკავებდა მისი განხორციელებისაგან. პენგაგონი და სამხედროები მოითხოვდნენ საკითხი სამხედრო კონფრონტაციის ვებით გადაეჭრათ, ჯ. კენელი კი უფრო პოლიტიკურ მეთოდებს ანიჭებდა უპირატესობას, მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ცენტრალური სადაზვერვო სამართველოც. მისი შეფი მაკოუენი აცხადებდა 1962 წლის აგვისტოში ამერიკა ისევე შორს იყო ფ. კასტროს რეჟიმის ჩამოგდებისაგან, როგორც 1961 წელს. მას არ მოსწონდა თვით ოპერაცია „მანგუსტი“, რადგან არარეალური იყო დალოდებოდნენ კუბელთა აჯანყებას. რამდენჯერმე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად,

ინტერნაციონალური სადამხმარეო სამმართველოს ანალიტიკოსები მივიღებენ იმ დასკვნამდე, რომ კუბელთა ძირითადი დამახასიათებელი თვისება იყო აპათია. კასტროს რეჟიმს მხარს უჭერდა მოსახლეობის, 20%, დანარჩენები კი თვლიდნენ რომ ეს მათი ბედი იყო და უნდა შერიგებოდნენ მას. ასეთ პირობებში კი ბუნებრივია არავითარ აჯანყებას არ ექნებოდა ეფექტი. მაკოუენი უფრო გადაწყვეტილი ზომების მიღებას მოითხოვდა. გაბაფხულზე მან პირდაპირ განუცხადა მთავრობის წევრებს: „თუკი პრემი-დენგს სურს ჩამოაგდოს კასტრო, მან უნდა გამოიყენოს ამერიკის შეიარაღებული ძალები“ [3. 45] პრემი-დენგს ასეთი რჩევა არ მოეწონა, მან გადაწყვიტა გაეგრძელებინა საბოტაჟი კუბის წინააღმდეგ, რათა უთანხმოება ჩამოეგდო კასტროს გარემოცვაში მყოფ კომუნისტებს შორის. მაკოუენი პირველი პიროვნება იყო, რომელმაც რეალურად შეაფასა რა სიგუაცია განაცხადა, საბჭოთა კავშირმა კუბა შეიძლება ბირთვული რაკეტების ბაზად გადააქციოს. შგაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა მ. გეილორმა მოგვიანებითა დაწერა: „მაკოუენმა განაცხადა ის, რის შესახებაც ფიქრობდნენ, მაგრამ ვერ ამბობდნენ ჯ. კენედის მრჩევლები“. [3. 49] ამერიკის პრემი-დენგი ეძებდა მხოლოდ იმ გზებს, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ საბჭოთა კავშირს კუბაზე რაკეტების განლაგებაში. მან წამოაყენა იდეა რუსეთის მკაცრი განცხადებით შეშინებისა და იმედოვნებდა თუკი ის გააკეთებდა ორამროვან განცხადებას, რომ კარიბის აუზი ამერიკის ინტერესებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, ეს შეაჩერებდა საბჭოთა კავშირს. ჯ. კენედიმ მალე ყველაფერი ეს სისრულეში მოიყვანა და ჩააგარა პრესკონფერენცია, სადაც ზუსტად დაასახელა იმ იარაღის ტიპი და რაოდენობა რომელიც კუბაში იყო განლაგებული. ამ პრესკონფერენციის შესახებ ნ. ხრუშჩოვმა 5 ოქტომბერს შეიგყო, როდესაც ის შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებდა. ყველაზე მეტად შემამოთხლებელი იყო კენედის მკაცრი ტონი საბჭოთა კავშირის მიმართ. კრემლში მიხვდნენ, რომ ჯ. კენედი „არ გადაყლაპავდა ამ მწარე აბს“, როგორც ეს ნ. ხრუშჩოვმა გააკეთა თურქეთის გერიგორიაზე არსებული რაკეტების მიმართ. საბჭოთა რუსეთი საშინელმა პანიკამ მოიცვა, ის დარწმუნებული იყო, რომ ამერი-

კა მზად იყო კუბაში შესაჭრელად. იელისში მიღებული გეგმის თანახმად ბირთვული იარაღის განლაგება კუბაში ოქტომბრის ბოლოს დასრულდებოდა. ნ. ხრუშჩოვს ეს ვადები არ აკმაყოფილებდა, მას არ სურდა, კუბა ბელის ანაბარა მიეგოვებინა. თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვიტეს, კუბაზე განლაგებინათ რაკეტები p-12. (ნაგოში მას იცნობდნენ, როგორც SS-4. მისი მოქმედების რადიუსი იყო 1700 კმ, სიძლიერე 12 მეგატონა.). სექტემბრის ბოლოს კუბაში ჩაიტანეს 36 ასეთი რაკეტა.

1962 წლის 13 ოქტომბერს ამერიკულმა საღაზვერვო თვითმფრინავმა U-2 სანკრისგობალის გერიგორიაზე აღმოაჩინა ორი ბირთვული რაკეტა. ჯ. კენედიმ 16 ოქტომბერს შეკრიბა კუბის საკრიზისო ჯგუფი, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. სწორედ ამ კომიტეტს უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება კუბასთან დაკავშირებით. სხდომაზე განიხილეს თუ რამდენად სანდო იყო აერო-ფოტო გადაღების შედეგები. წარმოიშვა ორი ჯგუფი: ერთ პრეზიდენტის მეთაურობით მოითხოვდა კუბის დაუყოვნებლივ დაბომბვას, მეორე კი - კუბის ბლოკადას. [4. 56]. აღმასრულებელი კომიტეტის მომდევნო სხდომაზე 17 ოქტომბერს პრეზიდენტი კვლავ კუბის დაბომბვას მოითხოვდა, მაკოუნენმა მას შესთავაზა საბჭოთა კავშირისათვის წაეყენებინათ ულტიმატუმი. თუკი ის 24 საათის განმავლობაში არ მოახდენდა რაკეტების დემონტაჟს, ამერიკა დაუყოვნებლივ დაიწყებდა საომარ მოქმედებებს. პრეზიდენტმა თავი შეიკავა ამ ულტიმატუმი-საგან. საბოლოო გადაწყვეტილება კუბასთან დაკავშირებით მიიღეს 20 ოქტომბერს, ჯ. კენედი ორშაბათს, 22 ოქტომბერს უნდა გამოსულიყო გელევიზიით და მოსახლეობისათვის შეეცდებინა კუბაში არსებული ბირთვული რაკეტების შესახებ.

21 ოქტომბრამდე საბჭოთა კავშირში არაფერი იცოდნენ მოსალოდნელი კრიზისის შესახებ, ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ოპერაცია „ანადირი“ საიდუმლოდ ხორციელდებოდა. ნ. ხრუშჩოვს შეაგებინეს ჯ. კენედის მოსალოდნელი გამოსვლის შესახებ. სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, რადგან საბჭოთა მხარემ არ იცოდა პრეზიდენტის მიმართვის გექსტის შინაარსი.

1962 წლის 22 ოქტომბერს ხალხისადმი მიმართვაში ჯ. კენე-

დღემ გამოაცხადა კარანტინის დაწესების შესახებ ნებისმიერი შეგვეითი ხასიათის იარაღზე, რომელიც კუბაში იგზავნებოდა. ჯ. კენედი აღნიშნავდა, რომ მის მიერ მიღებული ზომები იყო მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი. ის იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირი თავს შეიკავებდა ყველა იმ აქციისაგან, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებდა ამ საშიშ კრიზისს. საბჭოთა კავშირში მიხვდნენ საკითხის მთელ სერიოზულობას. მთავარი შეცდომა მაინც თვითონ ნ. ხრუშჩოვმა დაუშვა, მან არ გაითვალისწინა ამერიკის შესაძლებელი მოულოდნელი რეაქცია და არ გააჩნდა სათადარიგო ვარიანტი ამ შემთხვევისათვის. შედეგად ის იძულებული გახდა ემოქმედა იმპროვიზაციის ხარჯზე, რამაც კიდევ უფრო სახიფათო კრიზისულ სიტუაციაში ჩააგდო. 23 ოქტომბერს საპასუხო წერილში ნ. ხრუშჩოვმა დაგმო ამერიკის პოზიცია, საბჭოთა კავშირი უარყოფდა ამერიკის უფლებას დაეწესებინა კონკრეტული ნაოსნობაზე საერთაშორისო წყლებში.

მთელი ამ კრიზისის განმავლობაში ყველაზე დაძაბული დღე იყო 24 ოქტომბერი. ამერიკის ყველა საგელევიზიო არხი გადასცემდა თუ როგორ უახლოვდებოდა საბჭოთა ხომალდი საკარანტინო ზონას, რომლის უკანაც ამერიკის სამხედრო გემები იყვნენ განლაგებული და მათ უნდა გაეჩერებინათ ის სამხედრო ძალის გამოყენებითაც კი. მთელი ამერიკა ითვლიდა რამდენი მილი რჩებოდა ამ გემს ზონამდე. საბოლოო ჯამში მან გადალახა ეს ზოლი ისე, რომ არც კი გაეჩერებულა, მაგრამ ამერიკელებმა არ ესროლეს. რატომ? ამერიკას არ სურდა პირველს დაეწყო კონფრონტაცია, რომლის საბოლოო შედეგზე ვერავინ აგებდა პასუხს. კრიზისის დროს კარბის ბღვაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ბირთვული იარაღით აღჭურვილი ამერიკული და საბჭოთა გემები. კაცობრიობა ძალიან ახლოს იდგა მესამე მსოფლიო ომის ბღვართან. ნ. ხრუშჩოვი მიხვდა, რომ საჭირო იყო კომპრომისის მოძებნა და 27 ოქტომბერს მის მიმართვაში პირველად გაიჟღერა თურქეთის ბაზების საკითხმა. საბჭოთა კავშირი გაიგანდა კუბიდან ბირთვულ იარაღს იმ შემთხვევაში თუკი იგივეს გააკეთებდა ამერიკა თურქეთში. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა ჯ. კენედის. ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ თეთრ სახლში გადაწყვიტეს ოფიციალურ პასუხში თავი

აერიდებიანათ თურქეთის ბაზების საკითხისათვის და ის კონფიდენციალური არხის საშუალებით განეხილათ. სიგუაცია შვიდა რებით გაირკვა 29 ოქტომბერს. ნ. ხრუშჩოვმა ახალი გზაზე გადასცა პრემიერს, სადაც ის თანახმა იყო თურქეთის ბაზების საკითხი კონფიდენციალურად განეხილათ. 30 ოქტომბერს ჯ. კენედიმ თანხმობა განაცხადა ბაზების დემონტაჟზე თურქეთში, მაგრამ არაერთარ შემთხვევაში ეს საკითხი არ უნდა დაეკავშირებინათ კუბისათვის, რადგან ასეთი შეთანხმების აღმოჩენა, რომელიც ნაგოს გვერდის ავლით განიხილეს, დიდ მიანს მიაყენებდა ჯ. კენედის პრესტიჟს. 1 ნოემბერს ნ. ხრუშჩოვი დაეთანხმა ჯ. კენედის მოსაზრებებს: „მე ვენდობი იმ სიტყვას, რომელიც პრემიერისაგან მივიღე და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მალე განხორციელდება თურქეთში არსებული ბაზების დემონტაჟი“. [1. 75]

კრიზისი მშვიდობიანად მოგვარდა. მსოფლიო ომს გადაურჩა. ნ. ხრუშჩოვმა დაუშვა უხეში პოლიტიკური შეცდომა. თურქეთის ბაზებზე მან მიიღო პრემიერის არა ოფიციალური, არამედ კონფიდენციალური თანხმობა. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მიერ ჯ. კენედი გამოცხადებული იქნა გმირად, რომელმაც მოაგვარა ეს კრიზისი, რადგან ცოცხა ვინმემ თუ იცოდა საიდუმლო შეთანხმებების შესახებ, რომელიც ბაზების გაცვლას ითვალისწინებდა. ყველა ხედავდა თუ როგორი დამცირებული იყო ნ. ხრუშჩოვი საბჭოთა რაკეტების კუბიდან გაგანისას.

დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კონფლიქტის საბოლოო მოგვარება არ იყო არცერთი მხარის დიდი გამარჯვება და არც რომელიმე ლიდერის დამარცხება. ჯ. კენედიმ ფაქტიურად მიაღწია status-quo-ს აღდგენას, რომელიც არსებობდა კუბაში საბჭოთა რაკეტების შეგანამდე, მაგრამ მას მოუწია დეფაქტოდ ელიარებინა საბჭოთა პერსონალის ყოფნა კუბაში. ნ. ხრუშჩოვმა მიაღწია ჯ. კენედის ვალდებულებას თურქეთიდან გაეგანა რაკეტები, მაგრამ ეს ყველაფერი კულისებს მიღმა დარჩა და ამან ჯ. კენედის დიდი პროპაგანდისტული უპირატესობა მოუგანა მსოფლიოს სამოგადოების თვალში.



1. А. Фурсенко. Т. Нафтали „Адская игра”, Секретная история карибского кризиса 1958-64. М. 1999
2. А. Добринин. Сугубо Доверительно. М. 1997
3. Schlesinger A. 1000 Days, John F. Kennedy in the White House. Boston, 1965.
4. Kennedy R. F. „Thirteen Days”, A memoirs of Cuban Crisis. N. Y. 1969.
5. Robert J. Kenneth N. Walts „the Use of Force”. N. Y. 1994.

DAVID GEGECHKORI
CARIBBEAN CRISIS
(RESUME)

The Soviet decision to deploy medium-and intermediate range ballistic missiles (MRBMs and IRBMs) in Cuba appears to have been response to three main concern: first, the perseived need to deter on American invasion of Cuba and prevent the destruction of the Cuban revolution, second the percieved need to redress the pross in balance in delivarable strategic nuclear weapons that favored the United States, and third the desire, born of national pride and prestige.

In his memoirs Khrushchev claims, that the idea to deploy nuclear missiles in Cuba first occurred to him when he was in Bulgaria between May 14 and 24, 1962. The First SS-4 MRBMs arrived in Cuba on September 15.

President Kennedy learned of the Soviet deployment on October 16; he and his advisers spent almost a full week formulating a response before announcing the discovery publicly. On October 22, President Kennedy went on national television to announce the discovery of soviet missiles to the island.

Khrushchev apparently reacted to Kennedy speech with anger and ordering soviet ships to ignore the naval qarantine. Behind the scenes Kennedy and Khrushchev searched far a way to defuse the crisis. In the end the world leaders achieved a solution. Khrushchev agreed to remove the missilis under U.N. inspection in return for an American pledge not to invade Cuba. United States exported his missiles from Turkey and Soviet Union from Cuba. The Kennedy administration interpreted the result as a victory.

მსოფლიო ისტორიის კათედრა

ღარქან ბვაბაბია

საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების გზები მსოფლიოში

ევროპული გრადიციის თანახმად, ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების წარმოშობას ენის მიზანმიმართული და სისტემატური შესწავლის შესახებ მიაწერდნენ ძველ ბერძნებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნული ლინგვისტიკური მოძღვრება საკმაოდ მიამიტური და სპეკულაციური იყო და შესწავლიდა მხოლოდ მათი მშობლიური ენის ფორმებს, მაგრამ ჩვ.წ.აღ-მდე მე-5 საუკუნიდან მათ დააყენეს ენის ანალიტური შესწავლის ფუნდამენტური პრობლემები, რომლებმაც საუკუნეები მოიცვა, და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ენის შესწავლის საქმეში ანტიკურ ბერძნებს აინტერესებდათ ოთხი ძირითადი საკითხი:

1. ყველაზე მოგადი ფილოსოფიური საკითხი, როგორიცაა საკითხი ენის წარმოშობის შესახებ.
2. საკითხი სტრუქტურული კატეგორიების შესახებ ენაში ფონეტიკის ჩათვლით.
3. საკითხი სიტყვის გამოყენების შესახებ, ე.ი. სიტყვისა და კონსტრუქციების შერჩევა სისწორის თვალსაზრისით.
4. საკითხი სალიტერატურო ენის ფორმებისა და რიტორიკის შესწავლის შესახებ.

ცენტრალურ ფილოსოფიურ პრობლემას ძველი ბერძნებისათვის წარმოადგენდა საგნის აღმნიშვნელი სიტყვის დამოკიდებულება აღნიშნული საგნის მიმართ. ამ პრობლემაზე დისკუსიამ კამათის ხასიათი მიიღო. კერძოდ, სახელის წარმოშობის შესახებ. კამათთან დაკავშირებით ფილოსოფოსებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი მეტყველების ბუნებისა და ენის წარმოშობის შესახებ.

დისკუსის დასაწყისში გამოიკვეთა ორი მთავარი ფიგურა:

პერაკლიგე (ab. 544-ab483B.C.) და დემოკრიგე (ab. 460-370 B.C.).

პერაკლიგესა და მისი თანამზრახველების მიხედვით, საგანსა და მის აღმნიშვნელ სიგყვას შორის არსებობს უშუალო კავშირი, რომ საგნის ბუნება წინასწარ განსაზღვრავს მათი სახელის ფორმას. მაშასადამე, ენა ბუნების არსებითი ნაწილია და ეძლევა ადამიანებს ბუნებისაგან. პერაკლიგეს ამ კონცეფციას ეწოდება (ფიუსეი) ბუნებისაგან. უდიდესი მაგერიალისგის დემოკრიგესა და მისი მიმდევრების აზრით, საგანსა და მის აღმნიშვნელ სიგყვას შორის კავშირი არის ადამიანთა შეთანხმების შედეგი. მაშასადამე, ენა შეიქმნა თვით ადამიანთა მიერ. დემოკრიგეს ამ კონცეფციას ეწოდა „თესეი“ - კანონით, შეთანხმებით.

იმ დროისათვის გაბატონებული ფილოსოფიური ლინგვისტიკის შეხედულებათა კრიტიკული სურათი მოცემულია პლატონის მიერ (427-347 B.C.) ცნობილ დიალოგში „კრატილი, ანუ სიგყვათა სისწორის შესახებ“. დიალოგში სამი პერსონაჟია გამოყვანილი: კრატილოსი, ჰერმოგენე და სოკრატე.

კრატილოსი იცავს "fusei"-ის დოქტრინას ჰერმოგენესთან კამათში; ეს უკანასკნელი "thesei"-ის მიმდევარია, მოკამათენი სთხოვენ სოკრატეს გადაწყვიტოს მათი დავა. სოკრატე წარმოაჩენს ამ ორ საწინააღმდეგო შეხედულების სქემატიზმს¹, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს ჭეშმარიტების მარცვლებზე, რომელთაც პოულობს ორივე მოძღვრებაში. მაგრამ მათ შორის იგი გამოყოფს მესამე და საბოლოო ფაქტორს, რომლებიც განაპირობებენ სიგყვების მნიშვნელობას, სახელდობრ, ენის გამოყენების ფაქტორს ადამიანთა საზოგადოებაში.

ცხადია, რომ სოკრატეს ამ მსჯელობაში ავტორის შეხედულებები კომენტარებითაა გადმოცემული. სიგყვის გამოყენება, როგორც სიგყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ფაქტორი, იყო ყველაზე თვალსაჩინო ლინგვისტიკური კონცეფცია ძველ საბერძნეთში, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა, როგორც ფილოსოფოსთა, ასევე გრამატიკოსთა შეხედულებებში.

კრიტიკული დამოკიდებულება ცალმხრივი მიდგომისადმი საგანსა და ენობრივ ნიშანს შორის კავშირის შესახებ განაახლა ჩვენს ეპოქაში თანამედროვე ლინგვისტიკის ზოგიერთმა წარმომადგენელმა².

დიალოგში (სოფისტი) პლატონი ანალიზს უკეთებს წინადადების ბუნებას ანუ მეტყველებას. კერძოდ, ის გამოყოფს წინადადებას ცალკეული სიტყვებისაგან.

აქ შეიძლება დავინახოთ იმ კონცეფციის ჩანასახი, რომ ლექსიკა არის ნომინაციურ ერთეულთა წყება, ხოლო წინადადება არის შედეგი მეტყველების პროცესში შეერთებული სიტყვების შედეგი.

პირველი ნამდვილი გრამატიკული მოძღვრება მოგვცა პლატონის მოწაფემ, დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ (384-322 B.C.). რომელმაც განავითარა წინადადებისა და სიტყვათა კლასების თეორია, როგორც მეტყველების შემეცნებითი და ფუნქციონალური მხარეების შესახებ, მაგრამ, რაკი არისტოტელე ლოგიკის ფუძემდებელი, შემქმნელი იყო, იგი ერთმანეთთან აიგივებდა ამრის დამოკიდებულებას ადამიანთა გონებაში სიტყვის დამოკიდებულებასთან მეტყველებაში და აყალიბებდა გრამატიკულ კატეგორიებს ლოგიკის თვალსაზრისით. მანვე შემოიგანა გრამატიკაში ლოგიკური სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები. მისი კრიტერიუმი მეტყველების ნაწილთა გამოსარჩევად იყო სიტყვის უნარი, გამოეხატა ლოგიკური წინადადების ნაწილები, ე.ი. სუბიექტი, პრედიკატი და მათი. ამის მიხედვით არისტოტელემ მოგვცა მეტყველების სამი ნაწილი: სახელი, ზმნა და კავშირი.

მაშასადამე, თანამედროვე გერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სახელში იგი გულისხმობდა არსებითი სახელის სახელობით ბრუნვას, ზედსართავეებსა და მიმღებებს, ზმნაში კი - ზმნის ინფინიტივს, კავშირებში - სხვადასხვა ფუნქციონალურ სიტყვასა და ფორმას.

ამ ფუნდამენტალური თემისის შემდეგ არისტოტელემ ჩამოაყალიბა იდეა გრამატიკული ბრუნვების შესახებ როგორც გადახრა სახელიდან ან ზმნიდან.

მათ ლოგიკურად დამოუკიდებელი პოზიცია აქვთ წინადადებაში და არ შეუძლიათ სუბიექტისა და პრედიკატის წარმოება. მოგვიანებით კი სახელისა და მისი ბრუნვების დოქტრინა განავითარეს პირდაპირი და ირიბი გრამატიკული ფორმების სწავლების დროს.

არისტოტელე იყო გრამატიკული თეორიის ინიციატორი, მაგრამ იგი უფრო ადრე ცხოვრობდა, ვიდრე საბოლოოდ მოყალიბდებოდა გრამატიკა როგორც სპეციალური დისციპლინა. მისი ორიგინალური მოძღვრება დასრულებული და გაუმჯობესებულ იქნა შემდგომში მეცნიერების მიერ. მაგრამ ლოგიკური და გრამატიკული კატეგორიების ერთმანეთში აღრევა კვლავ დარჩა ძველი ბერძენი გრამატიკოსების ძირითად შეცდომად.

ძველი საბერძნეთის გრამატიკული მოძღვრება დასრულებული იქნა ალექსანდრიაში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეების მიჯნაზე. გრამატიკის განვითარებას ალექსანდრიაში სტიმული მისცა პომპროსის პოემების ინტერპრეტაციამ, რომლებიც იმხანად უკიდურესად პოპულარული იყო, მაგრამ მისი ენა ძალიან მოძველებული გახლდათ. თანდათან გრამატიკა გადაიქცა დამოუკიდებელ მეცნიერებად, რომელსაც სწავლობდნენ და ასწავლიდნენ არა ფილოსოფოსები, არამედ გრამატიკოსები.

ამ პერიოდის ყველაზე გამოჩენილ მეცნიერებად ითვლებიან: არისტარქე სამოთრაკიელი (დაახ. 217-145 B.C.) დიონისე თრაკიელი (დაახ. 170-90 B.C.) და აპოლონიოს დისკოლო.

ალექსანდრიელი მეცნიერებათა შრომებში გრამატიკის ბევრი საკითხი დახვეწილი იქნა სწორედ იმ დონეზე, რომელსაც მე-19 საუკუნის გრამატიკოსები გრადიციულ გრამატიკას უწოდებდნენ. მათ გააუმჯობესეს არისტოტელეს მოძღვრება სახელისა და მისი ბრუნვების შესახებ.

ენაში არსებული სიგყვები დაჰყვეს მეგყველების ნაწილებად. კერძოდ, მოგვეს 8 (რვა) მეგყველების ნაწილი: ფორმაცვალებადი სახელი, ზმნა, მიმლეობა, არტიკლი, ნაცვალსახელი და ფორმაუცვლელები: წინდებული, ზმნიზება, კავშირი. ფორმაცვალებად ძირითად გრამატიკულ კატეგორიებად (აქციდენციები) ითვლებოდა სქესი, რიცხვი და ბრუნვა (იგულისხმება მეგყველების სახელადი ნაწილების კატეგორიები) რიცხვი, დრო, კილო, გვარი (ზმნების კატეგორიები). წინადადება და სიგყვა მიიჩნეეს დანაწევრებული მეგყველების ძირითად ელემენტებად.

წინადადება განმარტებულ იქნა როგორც სიგყვათა ჯგუფი, რომელიც დასრულებულ ამრს გამოხატავდა.

სიგყვა არის დანაწევრებული ბგერა, რომელსაც აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა და რომლითაც აიგება და დაიშლება წინადადება.

ასევე პროგრესს ჰქონდა ადგილი ფონეტიკის განვითარებაშიც. სამეცნიერო ბგერები დაჰყვეს ხმოვნებად, ნახევარხმოვნებად, არახმოვნებად. ძირითადი პრინციპი ამ დაყოფისა ბგერისაგან იყო მარცვლის შექმნის ფუნქცია. ალექსანდრიული სკოლის მეცნიერებმა აღწერეს მახვილი საუბრის დრო, ბოგიერთი ფონეტიკური ცვლილებები და განსხვავებანი გრძელსა და მოკლე ხმოვნებს შორის. ფონეტიკურ მოვლენებზე დაკვირვების საბაზი ძირითადად მეტრიკის და პროსოდიის შესწავლა იყო.

რაც შეეხება საერთო ამრს ენის შესახებ, კერძოდ, კამათს ანალოგიისა და ანომალიის შესახებ, მას ადგილი ჰქონდა ალექსანდრიულ მეცნიერებაში საუკუნეების მანძილზე და მემკვიდრეობით გადმოეცა რომისაგან. „ანომალისგები“ ასწავლიდნენ, რომ ენა არ შეესაგყვისება ჩვენს წარმოდგენას საგნების შესახებ, და ამიგომ პრალოგიკური და არარეგულარულიაო. ეს დოქტრინა პირველად წამოაყენეს სტოილებმა (ძვ.წ. მე-3, მე-2 საუკუნეებში).

„ანალოგისგები“, პირიქით, აღიარებდნენ, რომ ენა შეესაგყვისება ჩვენს წარმოდგენას საგნების შესახებ და, ამდენად, ის სრულიად ლოგიკური და რეგულარულიაო.

ადვილია ამ დისკუსიაში დავინახოთ ნიშანი ფილოსოფიური დისპუტისა სიგყვის სისწორის შესახებ, მაგრამ ალექსანდრიელი მეცნიერები, განსაკუთრებით არისგარქე, რომელიც ანომალისგებს ეწინააღმდეგებოდა, მალე დაადგა უფრო კონკრეტულ გრამატიკულ ხაზს. ანომალისგებთან დავა გახდა მამოძრავებელი მიზეზი ენის უფრო გამოწვლილვით შესწავლისათვის. თუ გავისხენებთ ანომალისგების თეზისს, მათი ერთადერთი კრიტიკაში სიგყვის სისწორის შესარჩევად იყო ხალხური მეცყველება და არაგრამატიკოსების შემოქმედება.

ყველაზე სუსტი წერტილი იმ დროისათვის ენის შესწავლის საქმეში ბერძნებისა და რომაელებისათვისაც იყო ეტიმოლოგიის⁴ პრობლემა. მათ მიერ მოცემული ეტიმოლოგიები იყო სავსებით ფანგასტიკური. სიგყვების დაყოფას მნიშვნელობის მქონე კომპონენტებად ჰქონდა სრულიად თვითნებური ხასიათი. ანალოგიურად სიგყვათა მორფოლოგიური შემადგენლობა უცხო

იყო ბერძენი და რომაელი გრამატიკოსებისათვის.

რომაელებმა შეითვისეს რა ბერძნული კულტურა, შეითვისეს ლინგვისტიკაში ბერძენთა თეორიები და გრამატიკული მოძღვრებები, უფრო მეტიც, ბერძენთა ზოგიერთ მიღწევებს ენათმეცნიერებაში მხოლოდ რომაული წყაროებიდან ვიგყობთ.

განსაკუთრებით ეს ეხება ანომალიისა და ანალოგიის შესახებ დავას, რომელიც ძირითადად ცნობილია რომაელი გრამატიკოსის ვარონის (116-27 B.C.) გრაქტაგის მიხედვით.

ვარონმა დიდი წვლილი შეიტანა ამ დავაში. ლათინურზე დაყრდნობით იგი ააშკარავებდა, რომ ანალოგია ენაში უფრო ჭარბი იყო ფორმაცვალებად სიგყვებთან მაშინ, როდესაც სიგყვათ-წარმოება უფრო ანომალიას ექვემდებარებოდა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რომაელებს ნაკლებად აინტერესებდათ ზოგადი ენათმეცნერების პრობლემები, ვიდრე ბერძნებს. მათ თავიანთი გრამატიკა ბერძნულის მაგალითზე შექმნეს და მხოლოდ ცოცხალენი შესწორებებით დაკმაყოფილდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმავე გარემოებას, რომ ლათინური გრამატიკა ბერძნულის კვალობაზე შეიქმნა, დავინახავთ, რომ იგი უფრო სისტემაში მოყვანილი და დასრულებული ჩანს ვიდრე მისი ამოსავალი. რომში ყველაზე დიდ ყურადღებას სცილისა და რიგორიკის პრობლემებს უთმობდნენ, განსაკუთრებით მეტყველებებაში სცილისტიკის გიპის პრობლემებით იყვნენ დაინტერესებულნი. ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ამ დარგში გახლდათ მ.გ. ციცერონი (106-43 B.C.) უდიდესი რომაელი ორაგორი.

ყველაზე ავტორიტეტულ რომაელ გრამატიკოსებს მიეკუთვნებიან დონაგუსი (ჩვ.წ. მე-4 საუკ.) და პრიციანე (ჩვ.წ. მე-6 ს.) ამ ორმა დიდმა მეცნიერმა განამოგადა თავიანთი წინაპრების დაკვირვებანი და შენიშვნები, რომელთაც ისინი საუკუნეების მანძილზე აწარმოებდნენ. მათს შრომებში შედარებით ყველაზე სრული ასახვა ჰპოვა ანტიკურმა გრამატიკულმა მოძღვრებამ.

შუა საუკუნეებში ლათინური გადაიქცა კათოლიკური ეკლესიებისა და სქოლასტიკური მეცნიერების საყოველთაო ენად. დონაგუსისა და პრიციანეს (განსაკუთრებით I-ის) გრამატიკები და მათი შემოკლებული ვარიანტები ისწავლებოდა მთელი საუკუნეების მანძილზე რენესანსის ეპოქამდე.

რაც შეეხება საერთოდ მეცნიერების განვითარებას, შუა საუკუნეებში ეკლესიის დომინანტობის გამო შეჩერებული იყო და

ლინგვისტური თეორიებიც მეტწილად ბიბლიის დოგმებით შემოიფარგლებოდა. ენის წარმოშობას და შექმნას ღმერთს მიაწერდნენ და მსგავსად ენების მრავალგვარობასაც ბიბლიური ლეგენდებით ხსნიდნენ - კერძოდ, მითით ბაბილონის გოდოლის შესახებ: ღმერთმა აურია მშენებლებს ენა, რათა გეცამდე ასვლისათვის ხელი შეეშალა. თუმცა ამ პერიოდშიც გრამატიკოსებმა რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს წინ, მათ ერთმანეთისაგან განასხვავეს „არსებითი“ და „მელსართავი“ სახელები სახელთა სისტემაში და აღმოაჩინეს სინტაქსური კატეგორიები: მართვა, შეთანხმება და მირთვა.

შუასაუკუნეების სქოლასტიკოსი ფილოსოფოსებისათვის ლათინური იყო ყველაზე სრული და ერთადერთი ბუნებრივი ფორმა მეტყველებისა. ისინი ეყრდნობოდნენ იმ აზრს, რომ თითქოს ყველა ენას ლათინურის მსგავსი საფუძველი ჰქონდა.

იმის გამო, რომ არსებობდა მოსაზრება, თითქოს ყველა ენის სტრუქტურას ერთი და იგივე ლოგიკური საფუძველი უდევს, რენესანსის ეპოქაში (მე-14-16 სს.) განვითარდა რაციონალური კატეგორიების მოძღვრება. მე-17 საუკუნეში ამან მიგვიყვანა „საყოველთაო გრამატიკის თეორიამდე, რომელიც ლოგიკურ პრინციპებს ეყრდნობოდა და ყველა ენისათვის გულისხმობდა ერთსა და იმავე ფუნდამენტურ კატეგორიებს.

პირველი და ყველაზე ცნობილი ლინგვისტური ნაშრომი, რომელიც შემოხსენებულ პრინციპებს ემყარებოდა, დაწერა ლანსლომ და არნომ პორ-როიალის მონასტერში 1660 წელს. მისი სათაური იყო: "Grammaire Generale et Raisonnee" - General and Rational Grammar -, „უნივერსალური და რაციონალური გრამატიკა.

ნაშრომში ნაჩვენები იყო გრამატიკული კატეგორიების იდენტურობა ყველა ენაში ფრანგულის, ლათინურის, ბერძნულის და ებრაულის მაგალითზე, ევროპის სხვა ქვეყნებშიც გამოჩნდა გრამატიკები, რომელთაც ყალიბად პორ-როიალის გარმატიკა ჰქონდათ აღებული.

ლოგიკური გრამატიკის თეორია გახდა თანამედროვე ლინგვისტიკის წარმომადგენელთა მწვავე კრიტიკის საგანი. აღინიშნა, რომ მეცნიერულმა ლინგვისტიკამ უნდა ჩამოაყალიბოს ზოგადი ლინგვისტური კატეგორიების სისტემა, განაზოგადოს ყველა ენის შესწავლის მონაცემები და არა, რა თქმა უნდა, წინასწარი უსაფუძვლო ფორმულირებები*.

მიუხედავად ამისა, სხვა მეცნიერებმა, განსაკუთრებით გრან-სფორმაციული გრამატიკის წარმომადგენლებმა ხელი მიჰყვეს ამ კრიტიკის გადასინჯვას**. ისინი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რაციონალური გრამატიკის თეორია შეზღუდული იყო მხოლოდ თავისი დროითა და პირობებით, მისი ძირითადი პრინციპები ნაყოფიერი და საღი იყო. უპ. ყოვლისა, მისი ტენდენცია იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არა მარტო ენობრივ ფაქტებს აღწერდა, არამედ ხსნიდა მათ „წარმომშობი“ ხაზის გასწვრივ, უჩვენებდა რა, თუ როგორი რთული სამეცნიერო სტრუქტურების აგება შეიძლება ელემენტარული სტრუქტურებისაგან.

მაგრამ რენესანსის ეპოქამ ლინგვისტიკაში სააშკარაობე გამოიგანა არა მარტო ზოგადი რაციონალური გრამატიკის იდეები, არამედ საერთოდ გააფართოვა ლინგვისტიკის პორიზონტი ახალი ევროპული ენებისათვის იწერებოდა გრამატიკები. განახლდა ძველი ბერძნულის შესწავლა, ზოგმა მეცნიერმა დაიწყო არაბულისა და ებრაულის შესწავლა. ევროპელ მეცნიერებს ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა გააცნო ე.წ. ეგზოტიკური ქვეყნების ენები. მე-16-17 სს. ბევრი გრამატიკის სახელმძღვანელო და ლექსიკონი შეივსო იმ ენებით, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ყველასათვის.

ეს სამუშაოები დაჯივრდნენ მე-18 საუკუნის დასასრული-სათვის სპეციალური მრავალენოვანი ლექსიკონების შედგენით. რედაქტორები პარალელურ სვეტებში ათავსებდნენ სიტყვის თარგმანს იმდენ ენაზე, რამდენსაც შეიძლებოდა მისწვდომოდნენ. შემაჯამებელი შრომა ამ სფეროში დაბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ პ.ს. პალასის რედაქტორობით. (1786-1787) სათაურით "Сравнительные словари всех языков и наречий" და შეიცავდა 200 ენაზე გადათარგმნილ 286 სიტყვას, (მეორე გამოცემა შეიცავდა 272 ენას, გამოქვეყნდა 1791წ.).

1806-1817წწ. გერმანიაში გამოქვეყნდა ჯ.ს. ადელუნგის და ფაგესის უმარმაზარი გრაქტიკა, რომელიც შეიცავდა „მამაო ჩვენო“-ს ას თარგმანს 500 ენაზე ლექსიკონითა და კომენტარებით. გრაქტიკი დასათაურებული იყო - „მითრიდატე ანუ ზოგადი ენათმეცნიერება“ - "Mithridates or General Linguistics".

პარალელურად რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული ფილოლოგებმა დაიწყეს სხვადასხვა ენების ისგორიული მონუმენტების

შეგროვება და ბეჭდვა (გარდა ლათინურისა და ბერძნულისა).
ამით, რა თქმა უნდა, მომზადდა მასალა ენების მეცნიერების
ისტორიის შესაქმნელად.

ენის ამ მხრივ შესწავლისათვის, რა თქმა უნდა, უდიდესი
გასაქანი და მოქმედების არეალი არსებობდა. მაგრამ მეცნიერუ-
ლი საფუძველი ასეთი შრომისათვის არასაკმარისი იყო, რადგან
ანტიკური ხანის ენათმეცნიერების მიღწევები არ შეიძლება თა-
ნამედროვე ენათმეცნიერების მიღწევებად ჩათვლილიყო. მეცნი-
ერები კვლავ განაგრძობდნენ ლოგიკის გერმინებით ლინგვის-
ტური კატეგორიების ფორმულირებას, და კვლავ უყურადღებოდ
ტოვებდნენ იმ ფაქტს, რომ ენები სტრუქტურალად განსხვავდებან
ერთმანეთისაგან. ისინი ხელოვნურად, ლათინური გრამატიკის
გრადიციული სქემების გამოყენებით აღწერდნენ განსხვავებულ
ენებს, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებდნენ ასოსა და ბგერას, ვერ
წვდებოდნენ ადგილობრივი დიალექტის ბუნებას და თვლიდნენ,
რომ ეს იყო მართებული ენის შერყვნა. ე.ი. წიგნის ენის ან
დახვეწილი სამოგადოების მეტყველების გაფუჭება. მათ არ ჰ
ქონდათ წარმოდგენა ენის ისტორიულ განვითარებაზე. არამეც-
ნიერულ შეხედულებებს გამოთქვამდნენ ენის წარმოშობის შე-
სახებაც.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, რენესანსის ეპოქიდან უდიდესი
მნიშვნელობის ლინგვისტური სამუშაოები იქნა შესრულებული.
სააშკარაოზე იქნა გამოგანილი უამრავი ენა, აღნიშნულ იქნა
ფაქტი, რომ ყველა ცოცხალი ენა ერთნაირად ეფექტური იყო
(მისი სოციალური ფუნქციის შესასრულებლად) ადამიანთა კომუ-
ნიკაციისათვის. განსხვავებული ენების შესწავლამ თავი მოუყარა
იმ მასალას, რომელიც აუცილებელი იყო თანამედროვე ენათ-
მეცნიერების ჩამოსაყალიბებლად.

შენიშვნები

¹ სქემატიზმი - გაუბრალოება, ტრაფარეტულობა აზროვნებაში,
რისავე გადმოცემაში, გამოსახვაში (უსდ).

² See: R. Jakobson, A la recherche de l'essence du langage, "Diogene"
t. 51. Problemes du langage, Paris, 1965. See also the critical review of the
work by O.S. Akhmanova. "Вопросы языкознания, 1966, №2.

³ მინიმალური წინადადება, პლატონის მიხედვით, შედგება სახელისა

და. ზმნისაგან.

⁴ ეტიმოლოგიის კვლევის სფეროში შედის ა)წარმოშობა
ბ)შედგენილობა ც)თავდაპირველი მნიშვნელობა.

* See: L. Bloomfield. Language. Ld. 1955. Introduction.

**See the works of N. Chomsky and E. Bach in the "Diogene", t. 51,
and their critical review by O.S. Akhmanova, op cit.

ლიტერატურა

1. A. P. Shapkin, "A Theoretical English Grammar".
2. B.A. Звегинцев "Новые черты современного языкознания, вып. 4, 1965, стр. 389.
3. Г.В. Голшанский, "К вопросу о семантическом инварианте при трансформациях предложения, 1965, №2.
4. O.S. Akhmanova "Вопросы языкознания, 1966, №2.
5. N. Chomsky and E. Back "Diogene", t. 51.

DAREJAN GVADZABIA

DEVELOPMENT OF LINGUISTICS IN THE WORLD

RESUME

In European tradition, the beginning of linguistics as a purposeful and systematic study of language is ascribed to Ancient Greece.

The main figures in the dispute about the correctness of names were Heraclitus and Democritus. According to them, there is a natural connection between words and the things they signify.

According to Plato the minimum sentence, consists of a name plus a verb.

Aristotle established three parts of speech: the "name" the "verb", and the "conjunction".

The grammatical teaching of Ancient Greece was completed in Alexandria by best-known schoolars: Aristarchus, Dionysius and Apollonius. The words of the language were grouped into eight parts of speech: inflected and uninflected. The sentence was defined as a combination of words expressing a complete thought".

The highest authority among the Roman grammarians belongs to Varro, Donatus and Priscian.

As regards science, the Middle Ages are characterized as a time of stagnation, due to the domination of Church.

They defined nouns and objectives as a different parts of speech and also discovered syntactical categories of concord, government, and apposition.

But the epoch of the **Renaissance** brought to the field of linguistics not only the idea of general rational grammar, the horizon of linguistics widened. Due to the study of different languages materials were gradually collected that were necessary for the creation of modern scientific linguistics.

დასაკლეთ ევროპის ენების კათედრა

რუსულან ბვილავა

მეტაფორული მნიშვნელობის რეალიზაციის თავისებურებანი

მეტაფორულ გამოთქმებში არეკლილია ხალხის ისტორიული, ეროვნული და სოციალური თავისებურებანი. ე. რიშელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ხალხის მეტყველება და პოეზია მეტაფორიკის უმდიდრესი წყაროა. ის შეიცავს ნაირნაირ სურათებს, რომლებიც ხან ხალხის პოეტურ სულს და შემოქმედებით ფანტაზიას ავლენენ, ხან მის იუმორს, კრიტიკასა და საგირის იშვიათ უნარს, ყველა ცალკეულ შემთხვევაში მის უდავო ორიგინალობას“. ხოლო ბრინკმანის მოხდენილი შენიშვნით, მეტაფორები „ადამიანის გონების ბუნებრივების ნაყოფია, მისი შინა და გარე სამყაროს უცყუარი სურათი, მისი ცხოვრების ისტორიის მრავალი ფაქტის მონუმენტი“.

ენათმეცნიერები გამოყოფენ მეტაფორათა ორ დიდ ჯგუფს. პირველი ჯგუფი აერთიანებს იმ მეტაფორულ გამოთქმებს, რომლებიც გასაგებია ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის და თანაბრად იხმარება ამ ენის მთელ სემანტიკურ სივრცეზე. მეორე ჯგუფში შედის სხვადასხვა მწერლისა და პოეტის მიერ შექმნილი მეტაფორული გამოთქმები, რომლებსაც ინდივიდუალური ხასიათი აქვთ. ისინი გასაგებია, მაგრამ მათ ყველა არ ხმარობს, ძირითადად გვხვდება ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში.

ინდივიდუალური მეტაფორული გამოთქმები, როგორც წესი, ბევრად უფრო ხაგოვანი და მეტყველია, ვიდრე ნორმატიული, რაც პირველ რიგში მათი სიახლითა და უჩვეულობით უნდა აიხსნას. ამ ორი სახის მეტაფორებს შორის საზღვარი მდგრადი არ არის. ბევრი ინდივიდუალური, პოეტური მეტაფორა შემდეგომში ძალიან გავრცელებულა და საერთო ენობრივი ხმარების სფეროში შეჭრილა, ნორმალურ გამოთქმად გადაქცეულა.

ხშირად მკითხველი ჭკუშარიგად მაღალმხატვრულ ნაწარმოებს ხელმეორედ კითხულობს, რათა კვლავ განიცადოს სხარგად მნიშვნელოვანი სიგყვის მაგიური ძალა, კვლავ განეწყოს და დატკბეს იმ ესთეტიკური სილამაზით, რომელსაც მკითხველს ეს ხატოვანი სიგყვა უმზადებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განწყობის ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც მეცნიერულად დაამუშავა და დაასაბუთა დიდმა ქართველმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ. სწორედ ამ ესთეტიკური გრძნობის ხელახლი განცდისათვის რამდენიმეჯერ ვკითხულობთ უკვე ცნობილ ნაწარმოებს. გვიზიდავს არა სიუჟეტი, არამედ ესთეტიკურად გამიზნული სიგყვათა წყობით გამოწვეული სტილისტური ეფექტი, რომელსაც პარმონიაში მოჰყავს ჩვენი წარმოდგენები, ემოციები, ე. ი. იქმნება ახალი ესთეტიკური განწყობა.

ამასთან ცნობილია, რომ ავგორის ამრის უდიდესი სიღრმით და სინაგიფით გამოხატვის ძირითადი საშუალება ეს არის კარგად „მოქნული“ სიგყვა, რომელიც თავის შინაარსობრივ-ინფორმაციულ ბუნებას უმეტესად კონტექსტის დახმარებით ამჟღავნებს. მაგრამ ყველა სიგყვას როდი გააჩნია ეს განსაკუთრებული უნარი. მაგალითად, წმინდა ლოგიკური ცნების გამოხატველი სიგყვა არ შეიძლება ერთდროულად სხვადასხვა მნიშვნელობით აღვიქვათ. სიგყვები, რომლებიც ადამიანის ფიზიკურ შეგრძნებებს და ემოციებს გამოხატავენ, როგორცაა: Love, adore, cherish, dote, hate, perceive, despise და სხვა. ერთდროულად მოიცავს ადამიანის როგორც ინტელექტუალურ, ისე ემოციურ მხარეებს და სწორედ ამიგომაც ასეთი სიგყვა სხვადასხვა მკითხველის მრავალნაირი ინტერპრეტაციის საგანი ხდება. ამკარად შეინიშნება ამრის სხვადასხვა მიმართულებით ერთდროული რეალიზაცია და მისგან წარმოშობილი თავისუფალი ასოციაციის სინქრონული ასახვა.

ცნობილია, რომ სიგყვა ახალ მნიშვნელობას იძენს თავის ძირითადი მნიშვნელობის გადაგანითი ხმარების შედეგად ჯერ მეტყველებაში, შემდეგ კი ენის სისტემაში. ამიგომ, ცხადია, ენის სისტემაში, პარადიგმატიკულ პლანში უკვე დადგენილი მრავალმნიშვნელოვანი სიგყვები თავდაპირველად იხმარება, როგორც ინდივიდუალური, პოეტური მეტაფორები. ჩვენი კვლევის საგანი სწორედ ასეთი მეტაფორების და მათგან წარმოქმნილი სტილის-

გური ეფექტის არსის დადგენაში მდგომარეობს. სიგყვის მეგაფორული მნიშვნელობა მაქსიმალურად სხარგად გადმოსცემს ამა თუ იმ მოვლენის რამდენიმე თვისებას, აძლევს რა ამ სიგყვას დიდ ინფორმაციულ მნიშვნელობას, ანუ მრავალმხრივ პოტენციალს მინიმალური ენობრივი მასალის ხარჯზე. სიგყვა ნაწარმოებში, როგორც ვიწრო ვერბალურ გარემოცვაში (მიკრო-კონტექსტი), ისე ფართო გარემოცვაში (მაკრო-კონტექსტის დონეზე), თავის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად იწყებს ახალი თანამნიშვნელობების გამოქვადვებას. ახალ სისტემაში, ე. ი. ტექსტში იგი განიცდის ამ სისტემის ერთეულებთან ურთიერთკავშირის შემოქმედებას და ენის სისტემის დადგენილ მნიშვნელობებს უკავშირებს ახალ შენაძენს, ახალი ურთიერთობით აღმოცენებულ კონტექსტუალურ მნიშვნელობას ანუ კონტექსტუალურ აქტუალიზაციას. ასეთი მეგაფორული წყვილები "living loves", love-speaking eye", "loving friends" - „ცოცხალი ვნებები“, „სიყვარულის მეგყველი თვალი“, „სიყვარულის მეგობრები“ ახალ ელფერს აძლევს ჩვეულებრივ ნაცნობ საგნებს. მრავლობითი რიცხვი აბსტრაქტულ არსებით სახელს love-ს ახალ კონოტაციას მაგებს და ახალი კონტექსტით აქტუალიზდება ლექსიკური მნიშვნელობა.

სიგყვის ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქციის გახსნა და მისგან წარმოშობილი სტილისტური ეფექტი შემოქმედებითი პროცესია. ის გულისხმობს მკითხველის განწყობას, კულტურულ დონეს, მის თემაურუსს.

ზოგადად, მეგაფორა არის სემანტიკური პარალელიზმის შემცველი ფორმა. ეს კი იმას ნიშნავს: ამბობ ერთს და გულისხმობ მეორეს, მაგრამ ნახსენებსაც ხედავ. ყველა მოვლენა სხვადასხვა ნიშნებისაგან შედგება. ვერბალიზაციის შედეგად ანუ როცა მოვლენის სიგყვით აღნიშვნა ხდება, გამოდის ვერბალური ერთეული, რომელიც სხვადასხვა მცირე მნიშვნელობებისაგან შემდგარ მოვლენას აღნიშნავს. მნიშვნელობის მცირე ელემენტი, რომელიც შეესადაგება თვით მოვლენის ნიშნებს, ეწოდება სემა. სემანტიკური პარალელიზმის განხორციელება ანუ მეგაფორის გაჩენა (ეს ცნობიერებაში ხდება) შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა ამ სემანტიკური პარალელიზმის შემადგენელ ორივე მნიშვნელობას შორის, ორივე მოვლენის აღმნიშვნელს შორის არსებობს რაღაც

საერთო ნიშანი, სემა. ესთეგიკური ზემოქმედება მეგაფორის დროს უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში. შემაერთებელი ნიშნების გარდა ნახსენებ მნიშვნელობას, სიგყვის სხვა სემები, ნიშნებიც აქვს. ხშირი ხმარების შემდეგ კავშირი პირველსა და მეორე მნიშვნელობას შორის ემყარება საერთო ნიშნების ერთნაირობის აღქმას. როცა ინდივიდუალური მეგაფორა გამეორდება, ცოცხალი კავშირი ჩლუნგდება. ხშირი ხმარებით ჩნდება უბუსი - ჩვევა, და საერთობის ნიადაგზე კი არ გვსმის, არამედ ჩვევის ნიადაგზე. თავისუფალი ნიშნები კვდება. ზოგიერთი ხშირი ხმარების მიუხედავად, რაგინდ ენობრივი იყოს, იმდენად მკვეთრი წარმოდგენა აქვს, რომ არ ქრება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შემდეგ მაგალითებს მოვიყვანთ: „ია“ ნაშს გულისხმობს და ჩვენში ასოცირდება ნაში ადამიანი, თუმცა ჩვენს თვალწინ პაგარა ლამაზი, იისფერი, სურნელოვანი ყვავილი - ია წარმოდგება. „შეელს“ იგყვიან ლამაზ, სუსტ, ყელმოღერებულ ადამიანზე. არის გამოთქმა „კარადასავით ქალი“, რომელსაც ხმარობენ მაღალ, აყუდებულ ქალზე. „გაეთრიე“ - ნიშნავს შენ თვითონ იმოქმედე, დასტოვე აქაურობა. უხეშობის გამოხატველი, მძიმე რაღაცის იატაკზე ხოხიალი. „გადი“ - დასტოვე აქაურობა, შენ თვითონ იმოქმედე. ე.ი. თითოეული ნიშანი თავისუფალ ასოციაციებს იწვევს. ინდივიდუალურ მეგაფორაში, უხეშობა ერთ-ერთ ნიშნად იქცევა. სისტემატური ხმარების პროცესში ეს კავშირი მყარდება უბუალურად. მაგ.: ღორი - ხარბ ადამიანზე ასოცირდება და ა.შ.

ამ მექანიზმის მოქმედება ნათლად ჩანს ე.წ. „მკვდარი“, ანუ ესთეგიური ზემოქმედების უნარდაკარგული გროპების მაგალითზე: „კოკისპირული წვიმა“ - იგულისხმება „ძლიერი წვიმა“. საერთო ნიშანი: ბევრი წყალი (იღვრება). ქონდა თავისუფალი ნიშნები - კოკასთან, სოფლის წყაროსთან . . . დაკავშირებული, რომლებიც აღარ შერჩა, რადგან ეს თავისუფალი ნიშნები არ იყო მნიშვნელოვანი და შემაკავშირებელი ნიშანი ძალიან ცხადად (ობიექტურობის მაღალი ხარისხით) ახასიათებდა მეორე (გადაგანით) მნიშვნელობას. ეს საერთო კანონზომიერებად გვესახება: ცხადი (ობიექტურად მახასიათებელი) ნიშანი მკვეთრად შემოდის ჩვენს ცნობიერებაში და თავისუფალ ნიშნებს, განსაკუთრებით უმნიშვნელო თავისუფალ ნიშნებს, ჩრდილავს. თავისუფალი ნიშ-

ნების განდევნის პროცესი მიმდინარეობს თანდათან და თანდა-
თან „აღარიბებს“ გროპს. ხშირად გროპი სულაც „კვდება“
პროცესს ხელს უწყობს, უფრო სწორედ საფუძვლად უდევს, გრო-
პის ხშირი გამეორება, რომელიც აღმნიშვნელ ბგერებსა და მეორე
(ფიგურალურ) მნიშვნელობას (ძლიერი წვიმა) შორის კავ-
შირს ჩვეულს და თავისუფალს (უზუალურს) ხდის.

სავსებით უზუალიზებული (ენის ჩვეულებრივ, ერთმნიშვნე-
ლოვან ელემენტად ქცეული) „გენეტიკური“ გროპის ნიმუშია „იკის-
რა“, „აკისრია“. დღეს მას იმდენად საფუძვლიანად აქვს დაკარ-
გული „კისრის“ ყველა თავისუფალი ნიშანი, კავშირი აღმნიშ-
ვნელ ბგერებსა და მეორე (ახალ) მნიშვნელობას შორის იმდენ-
ად მყარია, ცალსახა და ჩვევისმიერი, რომ ხაგი („კისერი“ -
„კისრად იღო“) საერთოდ დაიკარგა - აღარავის აგონდება. სა-
განგებოდ თუ არ ჩავეძიეთ, ვერც კი ამოვიცნობთ ამ გენეტიკურ
გროპს.

აღწერილი მექანიზმი შეიძლება შებრუნებითაც მოქმედებდეს
- „გაცვეთილი“ გროპის აღდგენის, ანუ გამჭრალი ან გამკრთა-
ლებული თავისუფალი ნიშნების აღორძინების - გროპის „გა-
ცოცხლების“ მიმართულებით („ქვის გული“). „გული ქვად მექცა -
ხელს დავკრავ და მგკივა“ („ოგელო“) ინგლისური „ქვის გული“,
ისევე როგორც ქართული „გულქვა“, ენაში შესული მკვდარი
გროპია, რომელიც საერთო ნიშნის (უგრძნობლობის) მეგს აღა-
რაფერს აღნიშნავს - არც ერთი თავისუფალი ნიშანი აღარ შერ-
ჩა. შექსპირი ქვის სხვა ნიშანს გამოჰყოფს მაკავშირებელ, ანუ
„გულის“ მახასიათებელ ნიშნად - სიმაგრის ნიშნად; სხვა წახნა-
ვით შემოაბრუნებს მკითხველისაკენ „ქვას“ (მის სხვა თვისებას
წარმოაჩენს), რითაც აცოცხლებს მკითხველის აღქმაში „ქვის“
გრძნობად წარმოდგენას ყველა მისი თავისუფალი ნიშნით და
მათთან დაკავშირებული ასოციაციებით: ქვა - ცივი, რუხი, უნი-
ციაციო, არ მოძრაობს, არ ფეთქავს და სხვ.

ამ, და სხვა ამგვარი, დაკვირვების საფუძვლზე ვვარაუდობთ,
რომ სწორედ დამატებითი ასოციაციების წარმომქმნელი თავი-
სუფალი ნიშნებია ის მახასიათებელი, რომელიც გროპულობას
ქმნის - გროპს არაგროპისაგან განასხვავებს, გროპის ემოციურ
(ესთეტიურ) ეფექტიანობას უზრუნველყოფს.



მეგაფორულ მნიშვნელობათა რეალიზაციის აუცილებელი პირობაა კონტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულთა კავშირების „არაჩვეულებრიობა“, რაც აფართოებს დაკავშირებულ სიგყვათა სემანტიკურ საზღვრებს. ენათმეცნიერები ხანპირა, ე. ჩერკასოვა თავის შრომებში აღნიშნავენ, რომ ენობრივ ნორმაში თავისთავად უნდა იყოს მოცემული ისიც, რომ რაც მოცემულია ამროვნებაში, სწორედ მხაგვრული ამროვნება ასახავს არა მხოლოდ ობიექტურ სინამდვილეს, არამედ წარმოშობს მეორე სინამდვილესაც, მხაგვრულს, რომლის ენობრივ გაფორმებას იგივე ერთეულები ემსახურება, რაც რეალურს.

სიგყვის მეგაფორული მნიშვნელობის საინტერესო ინტერპრეტაციაა მოცემული ე. ჩერკასოვას მიერ¹. ავტორი მეგაფორას ახასიათებს, როგორც ისეთ მოვლენას, რომელსაც სემანტიკური ორპლანოვნება ახასიათებს. მეგაფორის ეს თვისება წარმოიშობა სიგყვის ლექსიკურ მნიშვნელობათა ურთიერთქმედების საფუძველზე; ძირითადი და წარმოებული მნიშვნელობის ურთიერთმოქმედება ცვლის და ართულებს სიგყვის მნიშვნელობის შემადგენელ სემათა მოქმედების მექანიზმს.

როგორც ცნობილია, სიგყვის მეგაფორული მნიშვნელობა გამოიყენება არა მარტო საგნის ან მოვლენის დასასახელებლად, არამედ მოლაპარაკის მხრიდან საგნებსა და მოვლენებზე სუბიექტური შეფასების გამოსახატავად. ეს შეფასება ყალიბდება ერთი საგნის ან მოვლენის მეორესთან შესადარებლად ისეთი მესამე სემანტიკური ობიექტის საფუძველზე, რომელსაც საერთო აქვს როგორც პირველთან, ასევე მეორესთან. ამ მესამის გამოვლენით იქმნება მეგაფორის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს საერთო სემანტიკური ელემენტის ხასიათს. ე. ჩერკასოვა სწორად აღნიშნავს, რომ მეგაფორა რეალიზდება სიგყვის მნიშვნელობისათვის „უჩვეულო“ გარემოში, რაც გამოხატავს სინამდვილის სუბიექტურ ასპექტს, ე.ი. რეალიზდება ის ნიშნები, რომლებიც სუბიექტის მიერ მიეწერება სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ობიექტურად არსებული მსგავსების საფუძველზე. კონტექსტში მოცემულ ლექსიკურ ერთეულთა კავშირების „არაჩვეულებრიობა“, რაც აფართოებს დაკავშირებულ სიგყვათა სემანტიკურ საზღვრებს, ქმნის მეგაფორას.

ვ. გაკის მიაჩნია, რომ მეგაფორული მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ, როგორც ორი სახელის ისეთი სიმეტრიული ურთიერთობა, როდესაც ადგილი აქვს არქისემების ადგილის შეცვლას. მაგ. „კურდღელი“. ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ერთეულში „კურდღელი“ უნდა ინდუცირებდეს სემა „აღამიანი“. თუ ჩვენ ინდუცირების პროცესს უარყოფთ, მაშინ გაუგებარი გახდება როგორ რეალიზდება ერთეული კურდღელი, მფრთხალი, მშიშარა ადამიანის მნიშვნელობით.

ასეთი მაგალითი ავიღოთ:

“The three candles on the dark piano burned softly, the music fluttered, but like numbed butterfly, stupidly.”

მოცემული კონტექსტი გვიჩვენებს, რომ მუსიკა, მსგავსად წონასწორობა-დაკარგული პეპლებისა, სულელურად ფარფაგებდა. ზემოთმოტანილ წინადადებებში to flutter ზმნის სუბიექტია music რომელთანაც კავშირში უნდა გარეალიზდეს საკვლევი ზმნის მნიშვნელობა.

განვიხილოთ საკვლევი ლექსიკური ერთეულისა (to flutter) და მისი კონტექსტუალური მათრგანიზების სემური სტრუქტურები: music → ბგერა + თანაბარი რხევის + გარკვეული თანმიმდევრობით;

to flutter → მოძრაობა + უსუსური, სუსტი.

ზემოთმოტანილ კონტექსტში არსებითი სახელის music კავშირი to flutter ზმნასთან განაპირობებს სემათა შემდეგი ურთიერთქმედების პროცესს. სემა „უსუსური, სუსტი“ ხდება არქისემა, ინდუცირდება სემა „არაკონკრეტული საგნის“, სემა „მოძრაობა“ კი არ ქრება, არამედ ერთდროულად აღიქმება. თუ ასეთი კავშირი დამყარდა, სიგყვის ძირითადი მნიშვნელობის სემურ სტრუქტურაში სემათა ნეიგრალობაცია ვერ მოხდება, ე.ი. რეალიზდება მეგაფორული მნიშვნელობა და არა მეორადი ლექსიკურ-სემანიტიკური ვარიანტი. მეგაფორული მნიშვნელობის რეალიზაციას კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თან სდევს არქისემების ადგილის შეცვლა და ახალი სემის ინდუცირება. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

“A young man, reclining in one of the wicker arm-chairs by the fire, turned luxuriously from the girls to watch the flames and dance with the

music" (Lawrence D. H.)².

ცეცხლისპირას მჯდომი ახალგაზრდა კაცი სავარძლიდან უყურებდა ცეცხლის ალის თამაშს, ცეკვას. საინგერესოა ის, რომ „ალი“ გააზრებულია როგორც ისეთი რამ, რომელსაც შეუძლია წონასწორობის დაცვა (poise) და ცეკვა (dance) ე.ი. რაც არ შეეფერება სინამდვილეს. თუ ამ ობიექტის გამომხატველ სიგყვას ჩავანაცვლებთ რომელიმე სიგყვით, რომელიც აღნიშნავს საგანს, რომელსაც რეალურ სინამდვილეში მოძრაობა არ ახასიათებს, კონტექსტი გაუგებარი გახდება. ახლა კი გემომოგანილ კონტექსტში განვიხილოთ to dance ზმნისა და მისი კონტექსტუალური მაროგანიზების სემური სტრუქტურები და მათი ურთიერთმოქმედების მექანიზმი:

Flames → ცეცხლის + დანაწევრებული + მოძრავი + ნაწილი
dance → სულიერი საგნის + მოძრაობა + რიტმული

ამ ორი ურთიერთმოქმედი ლექსიკური ერთეულის შემადგენელი სემების ურთიერთმოქმედებისას ლექსიკური ერთეულის dance არქისება - „სულიერი საგნის“ ქვეყებად იქცევა, სემა „მოძრაობა“ კი გადაიქცევა არქისებად. ამრიგად, არქისება „სულიერი საგნის“ კი არ ქრება, არამედ თვისებრივად იცვლება. აქ ხდება მხოლოდ არქისებათა გადანაცვლება და ახალი სემის „უსულო საგნის“ ინდუცირება. საინგერესოა, როგორ ხდება სემების - „სულიერი საგნისა“ და „უსულო საგნის“ ერთ სტრუქტურაში შეთავსება. არქისებათა გადაადგილება რომ არ მომხდარიყო, მათი შეთავსებაც წარმოუდგენელი იქნებოდა.

თუ გემომოგანილ კონტექსტში სუბსტიტუციის მეთოდს მივმართავთ და ლექსიკურ ერთეულს flames ჩავანაცვლებთ ისეთი ლექსიკური ერთეულით, რომელსაც მოძრაობა არ შეიძლება ახასიათებდეს, დავინახავთ, რომ to dance ლექსიკური ერთეულის სემურ სტრუქტურაში ძველი არქისება თავის მდგომარეობას დაუბრუნდება, დამატებითი სემა კი გაქრება. ასეთი მონაცემების საფუძველზე დავასკვნით, რომ მეტაფორული მნიშვნელობის რეალიზაციისას არ მოხდა სემათა დაკარგვა, მოხდა მხოლოდ სემათა გადაჯგუფება და ახალი სემის ინდუცირება. ამრიგად, ჩატარებული ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ კონტექსტში მეტაფორული მნიშვნელობაა რეალიზებული, საკვლევი

მნიშვნელობის სემურ სტრუქტურაში აღვილი აქვს შემდეგ ცვლილებებს: სიგყვის ძირითადი მნიშვნელობის შემადგენელი მეტაფორული მნიშვნელობის არქისემად გადაიქცევა და ისინი ერთდროულად აღიქმებიან. მეტაფორული მნიშვნელობის კონტექსტში რეალიზაციისას საკვლევი სიგყვის პირველადი მნიშვნელობის შემადგენელი ძირითადი სემის „მანეიტრალიზების“ როლში კონტექსტისაგან არც ერთი ერთეული არ გამოდის. ისინი ხელს უწყობენ მეტაფორული მნიშვნელობის სემურ სტრუქტურაში ახალი არქისემის გაჩენას, ძველი არქისემის ჩვეულებრივ სემად გადაქცევის რთულ პროცესს.

მიღებული შედეგების შესაბამისად, ჩვენ მიველით იმ დასკვნამდე, რომ მეტაფორული მნიშვნელობა პირდაპირი და ირიბი ნომინაციის სინთეზური მოვლენაა, იგი სემათა სიმეგრულ რეალიზაციას ემყარება.

ლიტერატურა

1. Гак В.Ф., Беседы о французском языке, М., 1966, стр. 28.
2. Lawrence D.H. The Tresspasser, Penguin Books, 1969, p. 5.
1. Черкасова Е.Т., О метафорическом употреблении слов. М. 1959, стр. 36.
2. Мартынов В. В., "Актуальные проблемы лексикологии", М., 1971.
3. Черкасова Е Т "О метафорическом употреблении слов", М., 1959.
4. ხაეთაძე დ., "მეტაფორული გამოთქმები", ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, თბ. 1974 №3
5. საკარული ც. „ნომინაციის მექანიზმი“ ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, თბ. 1974 №6.
6. ნათაძე გ. „უბლიცისტის ხელოვნება“ თბ. 1995.

RUSUDAN GVILAVA SOME PECULIARITIES OF REALIZATION OF METAPHOR MEANING ABSTRACT

The work analyses the peculiarities of realization of metaphor meaning. Metaphoric expressions reflect people's national, historical and social characteristics. The word acquires a new meaning when used in a figurative sense initially in speech, later on in the language

system. In Paradigmatic Plane polysemantic words are initially used as individual, poetic metaphors. The purpose of the presented paper is to analyse this type of metaphors and their stylistic effects. Metaphors are divided into two groups: to the first group belong common metaphors which are known to all members of the community and are equally used through the whole semantic area of the Language. The second group involves the metaphoric expressions developed by a particular writer or a poet. They are individual metaphors and are mostly used in literature and sociopolitical journalism. But the demarcation line between these two groups is not very strict. In the course of time many individual, poetic metaphors acquire common usage.

While realization of metaphoric meaning the semiotic components are not lost, they are rearranged and a new semiotic component is induced which becomes the archi-semiotic component.

The analyses conducted by us have revealed the dual nature of the metaphor and the metaphoric meaning has been considered as synthetic outcome of direct and indirect nomination based on symmetrical realization of semiotic components.

ინგლისური ენის კათედრა



ირმა გოგოლიძე

აჭარის საპითხი საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობაში 1918 წელს

ბერლინის გრაჟაგის (1878წ.) ძალით რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა საქართველოს ისტორიული ტერიტორია: აჭარა, ბათუმი პორტო-ფრანკოს სტატუსით, შავშეთი, იმერხევი, ლივანა, ჭანეთის ნაწილი და კლარჯეთის ნაწილი. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აჭარა, ისევე როგორც მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კვლავ იქცა დიდი სახელმწიფოების (თურქეთი, რუსეთი, ინგლისი) დაინტერესებისა და მძაფრი დაპირისპირების რეგიონად.

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა აჭარის რეგიონში მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დადო ხელშეკრულება გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, ოსმალეთთან და ბულგარეთთან. ბრესტის საზავო ხელშეკრულება უშუალოდ ეხებოდა ამიერკავკასიის, კერძოდ ყარსის, ბათუმისა და არგაანის ოლქებს „არგაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს რუსეთის ჯარი. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს ამ ოლქების ახალ სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო – სამართლებრივ ორგანიზაციებში და უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამ ოლქის მოსახლეობას, დაამყაროს ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით” [8.124].

ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე ბათუმისა და ბათუმის ოლქის საკითხი დასვა თურქეთის დელეგაციამ (დელეგაციის ხელმძღვანელი თალაათ ფაშა) და იმ საბაბით, რომ ეს მხარე სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა და მხოლოდ 1877-78 წლების ომის შედეგად მიიგაცა იგი რუსეთმა, მოითხოვა ოლქის ოსმალეთისათვის გადაცემა [6.154].

ოსმალეთის ამ მღვარგადასული პრეტენზიების უსაფუძვლობის დასაბუთებას კონფერენციაზე შეძლებდა ამიერკავკასიის დელეგაცია, რომელიც შემდეგი მიზეზების გამო არ ესწრებოდა ბრესტ-

ლიგოვსკის კონფერენციას. 1. „საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მიიწვია ამიერკავკასიის დელეგაცია კონფერენციაზე მოწვევების მისაღებად, რადგანაც არ ცნობდა ამიერკავკასიის მთავრობას და ამიერკავკასიის განიხილავდა, როგორც რუსეთის განუყოფელ ნაწილს“ [5.289] რასაც ადასტურებდა ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ლ. გროცკი. 2. ამიერკავკასიის კომისარიატმა უპასუხოდ დაგოვა თურქი გენერლის ვეჰიბ-ფაშას მოწვევა კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და საჭიროდ არ ჩათვალა თავის წარმომადგენლების გაგზავნა კონფერენციაზე.

ამიერკავკასიის კომისარიატმა პროტესტი განაცხადა და აცნობა წამყვანი ქვეყნების მთავრობებს რომ არ ცნობს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, ამასთან „ამიერკავკასიის მთავრობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამიერკავკასიის სეიმმა უკვე აირჩია დელეგაცია, რომელიც თანახმად თურქეთთან წინასწარი მოლაპარაკებისა, მზადაა, გაემგზავროს გრაპიზონში მასთან-საბოლოო შავის დასაღებად“ [7.85-86]

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სრულად არც თურქეთის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, რადგანაც ბათუმის, ყარსისა და არგანის ოლქების საბოლოო ბედი თვით ამ ოლქების მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა თვითგამორკვევის გზით „მეზობელ სახელმწიფოებთან განსაკუთრებით კი ოსმალეთთან შეთანხმებით“. ე. ი. ბრესტის შავის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთი აღნიშნული ოლქების მეზობელი სახელმწიფოდ იხსენიება და ამ სამი ოლქის ბედი ადგილობრივ მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმებისა და მათი დახმარების მეშვეობით „თურქეთმა კი ეს უფლება ერთპიროვნულად მიითვისა და არ ჩართო ამ საკითხის მოგვარებაში ამიერკავკასიის წარმომადგენლები“ [6.156] თურქები ცნობდნენ თვითგამორკვევის უფლებას ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა მიმართ და ამავე დროს უარყოფდნენ მას, როგორც საყოველთაო პრინციპს, რომელიც შეიძლება გავრცელებულიყო ოსმალეთის იმპერიის არათურქ ხალხებზე. ასეთი მოთხოვნის გავრცელება ოსმალეთზე მათ საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნიეს. თურქებს სურდათ ისეთი შავი, რომელიც მათ თურანისაკენ გაუსწიდა გზას [1.146]

ამიერკავკასიის მთავრობამ გრაპიზონის კონფერენციაზე სცადა თურქეთთან კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარება, მაგრამ უშედეგოდ. გრაპიზონის კონფერენციაზე, რომელიც 1918 წლის 14 მარტს გაიხსნა, თურქეთის დელეგაციამ (დელეგაციის

მეთაური რაუფ-ბეი) მოითხოვა ამიერკავკასიის დელეგაციისაგან (ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი) არამარტო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი პირობების ცნობა, არამედ ამიერკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაც, რადგან მათ მთავარ ამოცანას ამ კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის ჩამოცილება წარმოადგენდა. პარალელურად თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო და 15 აპრილს ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი. ამიერკავკასიის კომისარიატმა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის დემოკრატიულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ ვერც დიპლომატიური საშუალებებით და ვერც სამხედრო ძალით აღნიშნული ტერიტორია ვერ შეინარჩუნეს.

1918 წლის 11 მაისს გაიხსნა ბათუმის კონფერენცია, სადაც აშკარა გახდა, რომ თურქეთს აღარ აკმაყოფილებდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მოპოვებული ტერიტორიები და მოითხოვა ახალი საზღვრის დადგენა, კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციას უნდოდა მიეღწია ამიერკავკასიის პოლიტიკური რეორგანიზაციისათვის, მისი გამუსლიმანებისა და „გათურქების“ მიზნით [1.148]. თურქები ბათუმის კონფერენციას გრაპიზონის კონფერენციისაგან განსხვავებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ, ბათუმში თურქეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჰალილ-ბეი -ახალგაზრდა თურქთა ერთ-ერთი ლიდერი, იუსტიციისა და დროებით საგარეო საქმეთა მინისტრი. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია (ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი), ჯერ კიდევ 6 მაისს ჩავიდა ბათუმში „მაგრამ არა როგორც მასპინძელი, არამედ ოსმალეთის სტუმარი“ [4.185] კონფერენციაზე მონაწილეობდა გერმანიის დელეგაცია (მეთაური გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი), რომელიც ძირითადად გამოდიოდა მეთვალყურისა და შუამავლის როლში. ბათუმის კონფერენციის მიმდინარეობისას ოსმალეთის ამ ბლვარგადასულმა პრეტენზიებმა გერმანიის სამხედრო წრეებიც კი დაარწმუნა თურანისაკენ სტამბოლის მისწრაფებაში. ამიტომ ოსმალური ორიენტაციის ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის გეგმას გერმანელებმა დაუპირისპირეს მისი დანაწევრებისა და ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების გადაწყვეტილება [1.109].

ბათუმის კონფერენციაზე შექმნილმა მდგომარეობამ დააჩქარა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება, რომელიც თურქეთის აგრესიის პირობებში გერმანული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის გზას დაადგა. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში



დაიღო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ბათუმსა და ბათუმის ოლქს ოსმალეთი დაუფლა. [6.157]

თურქების მიერ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის აჭარის ოკუპაცია მთელი ქართველი ერის გრაგედიას წარმოადგენდა. დამოუკიდებელი საქართველოს ხანმოკლე არსებობის მანძილზე უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა ბათუმის ოლქის კვლავ დელასამშობლოსთან შემოერთება. ქართულმა მხარემ მოითხოვა ხელშეკრულების გადასინჯვა ცენტრალურ სახელმწიფოთა კონფერენციაზე. საქართველოს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პოლიტიკური ვითარება შეიცვლებოდა და იგი შეძლებდა ხელშეკრულებიდან თავის დაღწევას. საქართველოს მთავრობას არ მოუხდენია ხელშეკრულების რატიფიკაცია და იგი ძალაში არ შესულა.

თურქებმა აჭარის ოკუპაციისთანავე დაიწყეს ძველი მმართველობითი აპარატის გაუქმება და ახალი ოსმალური სტრუქტურების შექმნა. შემოდებული იქნა სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა. ახალი სათათბირო ძირითადად ეროვნული საბჭოების წარმომადგენლებით, კერძოდ კი რუსული ეროვნული საბჭოს წევრებით დაკომპლექტდა. აჭარაში კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო თურქი ემისრების საქმიანობამ. საკმაოდ მოკლე ხნის მანძილზე ბათუმის ხელშეკრულებით შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა აჭარა და მოსამღვრე ქართულ რაიონებში გაიხიზნა. თურქები აჭარის ოკუპაციისთანავე ეროვნული ძალების დევნას შეუდგნენ. იღვენებოდა ქრისტიანული მოსახლეობა და ის მაჰმადიანი ქართველები, რომლებიც საქართველოზე იყვნენ ორიენტირებულნი. 1918 წლის 15 მაისს შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელმაც ბრძოლა დაიწყო საქართველოს ისტორიულ-ტერიტორიული ერთიანობის აღსადგენად. თუმცა ამ ერთიანობის აღდგენას ხელს უშლიდა შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაცია, თურქთა თარეში აჭარაში, რელიგიური აღმსარებლობის განსხვავებულობა.

თურქები ცდილობდნენ თავიანთი ბაგონობისათვის აჭარაში ლეგიტიმური ხასიათი მიეცათ, რის ერთადერთ საშუალებასაც რეფერენდუმი წარმოადგენდა. 1918 წლის 14 ივლისს ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ სამხედრო რეჟიმის პირობებში ბათუმსა და ბათუმის ოლქში ჩაატარა რეფერენდუმი. რეფერენდუმის წინა დღით ყოველ ჩამოსულ ქართველს დაატოვებინეს ქალაქი, ამასთან გახიზნულმა მოსახლეობამ საზღვრებზე შექმნილ დაბრკოლებათა გამო ვერ შეძლო დაბრუნება აჭარაში, რაც გამორიცხავდა

მოსახლეობის დიდი უმრავლესობის რეფერენდუმში მონაწილეობას პლებისციტში მონაწილეების უფლება დაერთოთ ისეთ პირობებზე რომლებიც ქალაქში დროებით ცხოვრობდნენ და ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი აჭარის ბედით, ასეთებს წარმოადგენდნენ სპარსელები [2.55].

რეფერენდუმი ჩაგარდა ღიად, შემდეგი პროცედურით: თითოეული ამომრჩეველი მიდიოდა მისი ეროვნების შესაბამის მაგიდასთან სადაც საარჩევნო ბარათს აძლევდნენ, გამოიყენებოდა ორი ფერის ბარათი: თეთრი წითელი ოსმალური ნიშნით (თურქეთის სასარგებლოდ) და ცისფერი ყოველგვარი წარწერისა და ნიშნის გარეშე (თურქეთის წინააღმდეგ) [3.147] ნების თავისუფლება მთლიანად უგულებელყოფილი იყო. მოქალაქე პირადი და უცვლელის შეგრძნებით იძულებული იყო თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ თეთრი ბარათით გამოეხატა თავისი ორიენტირება. საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 1 აგვისტოს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა თურქეთის მთავრობას საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევებით ჩაგარებული რეფერენდუმის გამო. თურქეთის მთავრობის მცდელობა რეფერენდუმის გზით დაეკანონებინა თავისი უფლებები ბათუმის ოლქში მიუღებელი იყო როგორც საქართველოს დემოკრატიული მთავრობისათვის, ასევე გერმანიის მთავრობისათვის. გერმანიის მთავრობის პროტესტში საზღვასმული იყო რეფერენდუმის უხეშად დარღვევის ფაქტები. თურქებმა საქართველოს მთავრობის პროტესტი უსაფუძვლოდ გამოაცხადეს და 1918 წლის 15 აგვისტოს გამოვიდა სულთან მეჰმედ VI-ის ბრძანებულება ბათუმის, ყარსისა და არგაანის ოლქების ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთების შესახებ [6. 157;].

1918 წლის დასასრულს პოლიტიკური ვითარება აჭარაში მკვეთრად შეიცვალა: პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთი მუდროსის ბავის თანახმად იძულებული გახდა ჯარები გაეყვანა ბათუმის ოლქიდან და ამიერკავკასიის სხვა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რაზეც კონგრული ბრიგანეთს უნდა განეხორციელებინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აშკარად აიღო ინგლისური ორიენტირების გზა, რაც ისეთივე იძულებითი ფაქტორებით იყო გამოწვეული, როგორც მანამდე თურქეთის აგრესიის პირობებში გერმანული საგარეო-პოლიტიკური ორიენტირების გზა.

1918 წლის ბოლოს ოსმალეთის სარკუპაციო რეჟიმმა აჭარაში არსებობა შეწყვიტა. მაგრამ ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქის დასაკუთრებისათვის ამით არ დამთავრებულა. ბათუმი გადაიქცა ამიერკავკასიაში გაბნეული ასკერებისა და ოსმალ

მოხელეების თავშესაფარ ადგილად, რამაც განაპირობა ინგლისის ოკუპაციის პერიოდში აჭარაში პროთურქული ორიენტაციის ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომლებმაც აშკარა ანტიქართული საქმიანობა დაიწყეს. ამ პროცესებს წინ აღუდგა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რომელიც ამზადებდა პირობებს აჭარის საბოლოო გათავისუფლებისათვის და დედა სამშობლოსთან მისი დაბრუნებისათვის.

ლიტერატურა:

1. ო. გიგინეიშვილი ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბ. 1982
2. ნ. ზოსიძე პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. ბათუმი 1995
3. დ. პაიჭაძე. რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შესწავლისათვის. 1918 წლის 14 ივლისის რეფერენდუმი ბათუმში. ქართული დიპლომატია. წელიწდეული ტ. 9 თბ. 2002
4. მ. სვანიძე. ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება (1918 წლის 11 მაისი-4 ივნისი) ქართული დიპლომატია. წელიწდეული ტ. 6 თბ. 1999
5. მ. სვანიძე. ბრესტის ზავი და საქართველო. (ქართული დიპლომატია. წელიწდეული ტ. 3, თბ. 1991 მ. სვანიძე. დიპლომატიური ბრძოლა ბათუმისა და ბათუმის ოლქისათვის 1918-1921 წლებში) ქართული დიპლომატია. წელიწდეული ტ. 10 თბ. 2003.
7. Документы и материалы по внешней политики Закавказья и Грузии. Тиф., 1919, д. 48.
8. Ю. В. Ключников и А. Сабанин, Международная политика новейшего времени в договорах, нотах и документах, ч. II М. 1925

IRMA GOGOLIDZE THE PROBLEM OF ADJARA IN THE GEORGIAN- TURKISH RELATIONS IN 1918 RESUME

Adjara as well as the whole south-west Georgia become the object of harsh opposition among the great states (Turkey, Russia, England) during the first world war I and during the time of Georgia's Democratic Republic existence. The Brest-Litovsk agreement (1918, 3 March) directly dealt upon the the regions of Batumi, Kars and Artani, namely, the fate of these regions was dependent on the local residents self-determination in accordance with the „neighbor countries and especially with Turkey”

On the 15-th of October Turkish troops occupied Batumi The Transcaucasian committee and then the Democratic-federation Republic of the Transcaucasian could not preserve this territory with neither diplomatic nor military means.

At the end of 1918 Turkish regime was stopped in Adjara.

საერთაშორისო ურთიერთობათა და სამართლის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



ირმა ბრეჟლიძე

პერფორმატივთა ტიპები

ოსტინმა პირველმა მიაქცია ყურადღება გამონათქვამთა გიჟს, რომელიც თავისთავად წარმოადგენდა ქმედებას და შემოგვთავაზა გერმინი „პერფორმატივი“ ანუ პერფორმატიული წინადადება (perform – გაკეთება, შესრულება).

მაგ.: I bet you six pence it will rain tomorrow. (Austin, 1962, 20)

პერფორმატივთა კლასიფიკაციის სხვადასხვა გიჟები არსებობს, რომელთა პერფორმატივთა სხვადასხვა მახასიათებლები უღვეთ საფუძვლად.

ჩვენ გავმიჯნეთ სოციალურ-სიგუაციური და არასიგუაციური ინდივიდუალური პერფორმატივები იმის მიხედვით, სჭირდებათ თუ არა მათ სპეციფიკური გარემო.

არსებობს კლასიფიკაცია პერფორმატივებისა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო განზრახვა, ინტენცია პერფორმატივის განხორციელებამდე და ამის მიხედვით საუბრობენ ცრუ და ჭეშმარიტი პერფორმატივების არსებობაზე. ოსტინი პერფორმატივთა კლასიფიკაციას აკეთებს იმის მიხედვით, შეიცავს თუ არა ის პერფორმატიულ მზნას და ჰყოფს პერფორმატივებს იმპლიციტურ და ექსპლიციტურ პერფორმატივებად. ჩვენ ვთლით, რომ ამ გიჟიზაციის ბევრი რამ სადავოა, უპირველეს ყოვლისა თვით გიჟიზაციის საფუძველი და მეორეც, ჩავთვალთ თუ არა იმპლიციტური პერფორმატივი პერფორმატივად.

ოსტინი შინაარსის მიხედვით გამოჰყოფს პერფორმატივთა 5 კლასს: ვერდიქტივები, ეგზერსტივები, კომისივები, ბეჰაბეტივები და ექსპოზიტივები.

ამ შემთხვევაში შევეხებით მხოლოდ სიგუაციურ-სოციალურ და არასიგუაციურ-ინდივიდუალურ პერფორმატივებს.

ოსტინი მიიჩნევდა, რომ პერფორმატივთა განხორციელებისათვის აუცილებელია გარემო, სიგუაცია.

ჩვენის აზრით, აუცილებელია გავმიჯნოთ ორი გიჰის პერფორმატივი: სოციალურ-სიგუაციური და ინდივიდუალურ-არასიგუაციური. სიგუაციური ვუწოდოთ პერფორმატივს, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელი ფაქტორებია საჭირო და რომლისათვის უნდა შესრულდეს მთელი რიგი პირობები.

მაგალითად, სიგუაციური პერფორმატივია - გემის ნალობისა მის კანონზე შამპანურის ბოთლის დამსხვრევისას წარმოთქმული სიტყვა: "I name this ship the Queen Elizabeth", რომლის განხორციელებისათვის მთავარი პირობა უნდა შესრულდეს, მაგალითად პირი, რომელიც სიტყვას წარმოთქვამს უფლებამოსილი უნდა იყოს და ა.შ.

რაც შეეხება არასიგუაციურ პერფორმატივებს ამის გიჰური მაგალითებია: „მე ვფიცავ“, „მე გლოცავ“ და ა.შ. ანუ პერფორმატივები, რომელთა შესრულებაც სპეციფიურ გარემოს არ მოითხოვს. თუნდაც მაგალითად:

I swear I've been searching the moors with my telescope (D.S.)

ამგვარი. პერფორმატივის განხორციელება ნებისმიერ ინდივიდს ძალუძს, ამიგომ იგი არ მოითხოვს სპეციფიურ გარემოს, ამიგომ ვუწოდეთ მას ინდივიდუალურ-არასიგუაციური პერფორმატივი.

„მე გლოცავ“ - გიჰური არასიგუაციურ-ინდივიდუალური პერფორმატივია. იგი ამ ორი ენისათვის, ინგლისურისთვისაც და ქართულისთვისაც უნივერსალია. "I bless you" - "მე გლოცავ" წარმოთქმული მღვდლის მიერ ღვთის სახელით შესრულებული აქტია. მრავალი მორწმუნე მიეღვვის ამ სიტყვის გაგონებას. „დამლოცე მამაო“ ხშირად გაიგონებ ეკლესიაში წირვის შემდეგ და ეს ერთი სიტყვა „გლოცავ“ უდიდესი შვების, სიმშვიდის და ბედნიერების მომნიჭებელია მრავალი ჩვენთაგანისათვის.

იგი თანაბრად ძლიერმოქმედია, როგოც ქართველ ასევე ინგლისელ ინდივიდზე.

მაგალითად: At the beginning of the second act, a gentleman in the front row sneezed, and I couldn't resist saying. God bless you my son. . . /M.D./

ან

Kent (To Gordelia) The gods
To Their dear shelter take
thee maid

That justly thinks and hast. /Sh.W./

ქართულ სუფრაზე თამადა ამბობს „სადლეგრძელოს“ და ხმობს
რად ეს სადლეგრძელო ვისმე ან რაიმეს დალოცვას მოიცავს.

- როცა სავალდებულო სადლეგრძელო მოათავა ძია ნიკომ
ყანწი მიუშვირა პატარბაღს და უთხრა:

- დაგლოცავ! ვაჟი იქნეს ამ ოჯახის მემკვიდრე და ის ვაღ-
ლეგრძელოთ! (კ.გ.)

ვხედავთ თამადა როგორ წარმოთქვამს სადლეგრძელოს. გა-
მოხატავს თავის სურვილს და ამავე დროს ამბობს სიგყვას „დაგ-
ლოცავ“. ჩაითვლება თუ არა იგი პერფორმატივად?!

ჩემის აზრით ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ თამადა
სასულიერო პირი არ არის, იგი ასრულებს მოქმედებას და სიგყვით
უსურვებს მსმენელს ცხოვრებაში ყოველივე კარგს, უსურვებს
დლეგრძელობას. თვით სიგყვა „სადლეგრძელოს“ ეტიმოლოგიას
რომ დავაკვირდეთ მივხვდებით, რომ ეს არის სიგყვა, წარმოთ-
ქმული ჩვენთვის საყვარელი (ან თუნდაც საძულველი, მაგრამ ამ
შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ცრუ პერფორმატივს) ადამიან-
ისთვის დლეგრძელობის სასურველად.

ან თუნდაც დედა, რომელიც შვილს შორეულ გზაზე ისტუმ-
რებს და თვალცრემლიანი ეუბნება - დამილოცინიხარ შვილო!

ან კიდევ ერთი მაგალითი: ახალგაზრდა წყვილი მიდის
მშობლებთან და დალოცვას სთხოვს. მათ ხშირად მშობლის სურ-
ვილი შეიძლება მხოლოდ ერთი სიგყვით გამოხატოს „გლო-
ცავთ“, მაგრამ თუკი მშობლები წინააღმდეგნი არიან და ამ
კონკრეტულ სიგყვას არ წარმოთქვამენ, ამას შეიძლება შემ-
დგომი გართულებები მოჰყვეს. ამ კონკრეტულ მაგალითში მო-
ცემულ სიგყვას მთელი სიგუანციური, კონტექსტუალური პირობები
აქვს და იგი ჭეშმარიტად პერფორმატივად გვევლინება.

ავიღოთ მეორე, მაგალითად წყველა, რომლის უამრავი ვარი-
ანტიაციაც არსებობს საქართველოში.

თვით სიგყვა „გწყველი“ იშვიათად შეგხვდება ქართულ ენა-
ში, მაშინ, როდესაც ინგლისურში წყველა მხოლოდ ამ სიგყვით
გამოიხატება. "I damn you".

- Hurry grinned in relief and buried his head in the pillow to wipe off
the sweat trickling his brow.

- Damn the central heating. I want to talk to you (D.M.)

ქართული ამ თვალსაზრისით უფრო გამოხატულია: „შენ მოკვდი დედას“, „დაგიგეს თვალი“, „შენი კუბო ვნახე“ და „გწყევლი“ - პერფორმატივია და წყევლის ამ ფორმათა ვარიაციებზე პერფორმატივებს წარმოადგენს. ეს არ არის ინგენციის გამოხატულება, იგი უფრო აღრესანგის მიერ აღრესაგის მიმართ ჩაგარებული აქტია. რამდენად შედეგიანი იქნება მოცემული აქტი ჩვენთვის ნაკლებ საინტერესოა. რაღა თქმა უნდა ეკლესიაში წარმოთქმული წყევლა უფრო შემოქმედია ადამიანთა ფსიქიკაზე.

„წყევლა“ ასევე როგორც მრავალი სხვა პერფორმატივი შეიძლება იყოს ცრუ და ჭეშმარიტი. თუკი მე ვიწყევლები, მაგრამ სულაც არ მსურს ჩემთვის სასურველი ადამიანი მოკვდეს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცრუ პერფორმატივთან.

„არ არსებობს ქალი გურიაში, რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს, ვიდრე ჩემს ბებიას, მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია, რადგან ერთხელ წამოსცდა: ნუ გეშინია ბებია, როცა მე გწყევლი, ჩემი ბუბუები გლოცავენო“ (ნ.დ.)

თუმცაღა ვხედავთ თუ როგორი ძლიერი გრძნობაა გამოხატული მოცემული სიგყვებით.

მსგავსად წყევლისა ფიციც პერფორმატივს წარმოადგენს. ქართულ ენას ფიცის მრავალი ფორმა მოეძებნება; ქართველმა შეიძლება დაიფიცოს ღმერთი, შვილი, დედა.

- ქიშვარდი ბიძია, ეღემიკა. . . მე და ხაგიას, ეღემიკა ბიძია, დედას გეფიცები. . . არც ერთი ყლუპი არ დაგვილევი (ნ.დ.)

ასევე მრავალფეროვანი გამოხატვაა ფიცისა ინგლისურში.

- For by the sweared radiance of the sun
- The mysteries of Hecat and the vigth (Sh.W.)

ას
Lear - Now by Apollo
Kent - Now by Apollo, King how
swear'st the gods in vain /ibid/

თანამედროვე ინგლისურშიც შევხვდებით ასეთი ფიცის ფორმებს I swear by the Sun and The Moon, that I'm telling you the truth /F.K./ ფიცი, როგორც წყევლა, შეიძლება იყოს ცრუ და ჭეშმარიტი. მაგალითად: გყუილზე ნუ იფიცებ, დედა მოგიკვდება! - პირში მიახალა ანამ პაგარა გოგას (მ.ს.).

როგორც ვხედავთ, ბევრი მსგავსი არასიტუაციური ინდივიდუალური პერფორმატივების დაძებნა არის შესაძლებელი ქარ-





თულ და ინგლისურ ენებში.

ამ სიგყვათა წარმოთქმა უმთავრეს, ან ერთ-ერთ უმთავრეს აგრებუტს შეადგენს აქტის შესრულების პროცესში, თუმცა როგორც წესი სიგუაციური პერფორმატივი არასდროს არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სიგყვის საშუალებით. ის აუცილებლად მოითხოვს გარემოებას, სიგუაციას, რომელშიც უნდა წარმოითქვას შესაბამისი სიგყვები. ბევრ შემთხვევაში აუცილებელია, რომ პირი, რომელიც წარმოთქვამს სიგყვებს ან აქტში მონაწილე სხვა პირები იმავდროულად ასრულებდნენ სხვა „ფიზიკურ“ თუ „აბრობრივ“ ქმედებებს ან წარმოთქვამდნენ სხვა სიგყვებს.

ასე მაგალითად, გემის ნათლობაში აუცილებელია მონაწილეობდეს პირი, რომელსაც გააჩნია ამის უფლება. ჯვრისწერის დროს ქრისტიანული ადათ-წესის მიხედვით აუცილებელია, რომ პირი მონაწილე ჯვრისწერაში არ იყოს დაქორწინებული ან არ იყოს ცოლს გამოჩეული. ანუ არ ჰყავდეს ცოცხალი მეუღლე. ასევე ნიძლავის დადების დროს აუცილებელია არსებობდეს მეორე მხარე, რომელიც თავის დამოკიდებულებებს ნიძლავის მიმართ გამოხატავს (თუნდაც სიგყვიერად მაგ. „მოდის“). ალბათ პერფორმატივად არ ჩაითვლება სიგყვა “I present it to you” “მე გჩუქნი ამას” თუკი ჩვენ არ გვიჭირავს საჩუქარი და არ ვაძლევთ მას ადრესატს.

ქორწინების ცერემონიალი თითქმის იდენტურია საქართველოში და ინგლისში. ეს იმდენად ენის დამსახურება არ არის, რამდენადაც რელიგიის. ჩვენს ერებს საერთო რელიგია აქვთ (მიუხედავად პროტესტანტიზმის და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის განსხვავებისა).

ქართულში, ინგლისურში, რუსულში, ფრანგულსა და გერმანულში ჩვენ შეგვიძლია ანალოგიების დაძებნა.

ამ ენებზე მოსაუბრე ენების ლიგერაგურასა და ლექსიკაში შესაძლებელია აღმოვაჩინოთ ექვივალენტურ პერფორმატივთა მაგალითები. იგივე ჯვრისწერის ცერემონიალი. უამრავი ფილმისა თუ მხატვრული ნაწარმოების კულმინაციურ წერტილს წარმოადგენს დრო, როდესაც ნეფე ან დედოფალი აცხადებს „ღიას“. როგორც ესწრაფიან რაც. შეიძლება მალე ადასრულონ ეს მოვალეობა, რადგან მრავალ შემთხვევაში ამ საბოლოო სიგყვებამდე ხდება რაღაც, რაც პერფორმატივის განუხორციელებლობას და

შესაბამისად ქორწილის ჩაშლას იწვევს.

ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნაწილობრივად შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარიდან“:

We entered the quiet and humble temple. . . The service began. The explanation of the intent matrimony was gone through; and then clergymen came step farther forward, and banding slightly towards Mr. Rochester went on:

I require and charge you both (as ye will answer at the dreadful day of Judgements when the secrets of all hearts shall be disclosed), that either of you know any impediment why ye may not lawfully be joined together in matrimony, ye do now confess it; for be ye well assured that so many as are coupled together otherwise than God's Word doth allow, are not joined together by God, neither is their matrimony lawful.

He paused as the custom is. When is the pause after that sentence ever broken by reply? Not perhaps, once in a hundred years. And the clergyman, who had not lifted his eyes from his book, and had held his breath, but a moment, was proceeds; his hand was already stretched towards Mr. Rochester, as his lips enclosed to ask, "With thou have this woman for ye wedded wife? – when a distant near voice said.

"The marriage cannot go on: I declare the existence of an impediment".

The clergyman looked up at the speaker and stood mute; the clerk did the same; Mr. Rochester moved slightly, as if an earthquake had rolled under his feet; taking a firmer footing, and not turning his head or eyes, he said, "Proceed".

Profound silence fell when he uttered that word, with default low intonation. Presently Mr. Wood said, "I cannot proceed without some investigation into what has been asserted and evidence of its truth or falsehood".

"The ceremony is broken off" (B.Ch.)

პერფორმატივთა კვლევისას ბევრი პრობლემური საკითხი იჩენს თავს. ერთ-ერთ ასეთ საკითხად შეიძლება ჩაითვალოს პერფორმატივთა გიპიზაციაც, რადგან ხშირად ბუნდოვანია გიპიზაციის საფუძველი.

პერფორმატივთა გამიჯვნა სოციალურ-სიგუაციურ და არა-სოციალურ-ინდივიდუალურ პერფორმატივებად საშუალებას გვაძლევს უკეთ ჩაეწოდეთ პერფორმატივის არსს. გარდა ამისა გიპიზაცია არა მხოლოდ თვით ფენომენის შესწავლაში გვეხმარება არამედ ქართულ და ინგლისურ ენებში რეალიზებული პერფორმატივების შედარების საშუალებასაც გვაძლევს.

1. S., Austin How Do Things with Words – Oxford, 1962.
2. კ. გამსახურდია, მთვარის მოგატყუბა - თბილისი, 1980.
3. ლუმბადე ნ. ოთხი რომანი - თბილისი, 1973.
4. ს. მგალობლიშვილი, ქართული მოთხრობა, თბილისი, 1913.
5. Ch. Bronte, Jane Eyre – London 1984.
6. S. Dobbs, Wall Games – Harper Culms Publishers.
7. K. Follet, A Place Called Freedom – Pan Book 1987.
8. D. Mansfield, The Garden Party – London 1983.
9. U. Shakespeare, King Lear – London 1984.

IRMA GRZELIDZE
TYPES OF PERFORMATIVES
ABSTRACT

The paper deals with the types of performatives. Performatives are utterances which themselves describe the speech act, which they perform. There are several classification of performatives. J. Austin made difference between explicit and implicit performatives. An explicit performative is one, in which a specific (performative) verb is used to make the nature of the act clear.

J. Austin also formed five classes of performative verbs: verdictives, commitives, exersives, behabitatives, expositives.

Performatives are sometimes divided into true and false statements, according to the speaker's intention. J. Austin points out that there must be the situation in which the performative functions. We do not agree with J. Austin when he says that the social situation of a certain type is necessary for fulfilling every performative. By means of the analysis we prove that the situation is necessary not for all kinds of performatives but for the certain part.

According to our point of view performatives can be divided into social-situational (which need special situation) and personal-non-situational performatives (which don't require any situation).

ინგლისური ენის კათედრა



ელღარ თაგბერიძე

პროზნული პრობლემა „კვალის“ პუბლიცისტიკაში

XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პრესის ისტორიაში გამოჩენილია გაზეთი „კვალი“, რომელიც 1893-1904 წლებში გამოდიოდა. გაზეთის ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ხოლო ფაქტიური ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი იყო. იგი ყოველკვირეულად გამოდიოდა, როგორც საყმაწვილო ჟურნალ „ჯუჯილის“ დამატება.¹

მართალია „კვალი“ მესამედასელთა მარქსისტული შეხედულებებს იცავდა, მაგრამ მასში დიდი ყურადღება ეთმობოდა მშობლიური ისტორიისა და კულტურის უკეთ წარმოჩენას, ისტორიული ფაქტების განხილვა-გაანალიზებას, რაც, უპირველესად, რედაქტორ-გამომცემელთა მამულიშვილური პოზიციით უნდა აიხსნას.

გაზეთი „კვალი“ იმ პერიოდში გამოდიოდა, როცა საქართველოში ვრცელდებოდა მუშათა რევოლუციური იდეოლოგია - მარქსიზმი. ამიტომ რედაქტორ-გამომცემელთა ამ იდეოლოგიისადმი მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა თუ გარკვეული სიმპათიების გამო „კვალში“ საფუძვლიანად აისახა მესამედასელთა აზროვნების ანარეკლი. გაზეთი მის წინაშე დასმულ სამაროგრამო ამოცანებს ხალხისა და ქვეყნის სამსახურით ხსნიდა და თავის დანიშნულებას პირველსავე ნომერში, გიორგი წერეთლის მიერ დაწერილ სამაროგრამო წერილში „ჩვენი გულის პასუხი“, ასე განუმარტავდა მკითხველს: „სამოგადოება დღითიდღე ცდილობს წარმატების გზაზე დადგომას და ჩვენი გაზეთიც ამ სამოგადოების წადილს კვალში ჩაუდგება. მხარს მისცემს და ცხოვრების წინსვლას ემსახურება, როგორც კი დრო და გარემოება ხელს შეუწყობს... ჩვენ ვეცდებით, ჩვენ და ჩვენს მკითხველს შორის მგრძნობიარე სიძებე გავაბათ, იმის სიხარულით გავიამბროთ, იმის მწუხარებით შევწუხდეთ. ჩვენ ვეცდებით ყოველსავე მოვლენაზე უტყუარი და საფუძვლიანი სიგყვა წარმოვსთქვათ, სამართლიანი გზა დავაღვინოთ. ცხოვრებას მეცნიერება გვე-

რდში ამოუყენოთ და მეცნიერების ყურით ვისმინოთ, მეცნიერების თვალით ვაღვენოთ ქვეყნის ჩარხის წაღმა-უკულმა ალს“ [2,2].

ნოგორც ვხედავთ, გაბეთის ფაქტიური ხელმძღვანელი პირველსავე ნომერში ამჟღავნებს იმ მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიისადმი სიმპათიებს, რასაც „კვალი“ მთელი თავისი არსებობის მანძილზე ემსახურებოდა. სოზოგადობის წინსვლა გწერეთლის მიერ მუშათა რევოლუციურ მოძრაობასა და მარქსიზმის გავრცელებაშია მოაზრებული. ამიგომ მას სურდა მხარი აეხა (კვალში ჩადგომოდა, აქედან სახელწოდებაც) ამ პროგრესისათვის და ნებისმიერი მოვლენა მარქსისგული მსოფლმხედველობიდან შეეფასებინა. სწორედ ეს იქნებოდა, მისი აზრით, ცხოვრებისათვის მეცნიერების გვერდში ამოყენება, „პირუთვნელი და საფუძვლიანი“ აზრის გამოთქმა ამა თუ იმ მოვლენაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „კვალის“ გამოცემა მაინც პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მის ფურცლებზე დასგამბული პუბლიკაციები საშუალებას გვაძლევს თვალყური ვაღვენოთ იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენების მისეულ ანალიზს და დავაფიქსიროთ, რომ გაბეთი ეროვნული ისტორიისა და კულტურის წარმოჩენის საკითხში არ იცავდა ორთოდოქსალურ მარქსისგულ მსოფლმხედველობას, პირიქით, ცდილობდა ქართველთა ეროვნული ენერჯია წარსულის უკეთ შესწავლასა და გაანალიზებისაკენ წარემართა.

გაბეთ „კვალის“ პუბლიკაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ წერილებს, რომლებშიაც ჩამოყალიბებულია მესამედასელთა შეხედულებანი ეროვნულ პრობლემაზე. ასეთებია: ნოე ჟორდანიას - „გაბეთი „ივერია“ და „ეროვნება“, მისივე - „მოამბე“, „ივერია“ და „ეროვნება“, „პაგარა პასუხი დიდ კითხვამე“, ირაკლი წერეთელი (ყვირილელი) - „აკაკანებული მამულიშვილები“ („ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ ეროვნული საკითხის შესახებ. სამოციანი წლების მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა) მისივე - „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“ და სხვა.

გაბეთ „კვალის“ 1895 წ. მე-11 მე-12 ნომერში დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას წერილი: „გაბეთი „ივერია“ და „ეროვნება“. ავტორი ძირითადად ეკამათება ივერიის თანამშრომლებს იმასთან დაკავშირებით, რომ გაბეთმა „ივერია“ (1895 წ. № 15) დაბეჭდა წერილი, სადაც გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოს საქართველოში პარტიებისა და დასების არსებობა არ არის სასურვე-

ლი: „დასების არსებობა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივ მოთხოვნილებას არ შეადგენს... რადგანაც ჩვენ ყველას ერთი საქმე, ერთი მიზანი გვაქვს - ეროვნების დაცვა: ეს ამრი ჩვენი უპირველესი წაღილია და უახლოესი საფეხური, ეგაპი, რომელსაც უნდა მივალწით, ხოლო როდესაც ამ საფეხურს გავაღწევთ, მაშინ თვით ცხოვრება მოითხოვს ჩვენს დანაწილებას სხვადასხვა მიმართულებით“ [3,15]. ასეთია ივერიელთა შეხედულება ამ საკითხზე. ნოე ქორდანიას კი პასუხობს: „ივერიას“ ცხოვრება ასეთი, მის მიერ დამწკრივებული საფეხურებით მიმდინარეობს, ჯერ ერთი, მერე მეორე. ნამდვილად კი ყოველივე მოვლენას ორი მხარე აქვს: კონსერვატიული და პროგრესული. ამ ორი წინააღმდეგობის შეგაკებით მოძრაობს თვით მოვლენა. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიკური წარმატებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება: საქართველო ერთი განუყოფელი, საქართველო ორი სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი“ [4,11].

ნოე ქორდანიას ამ წერილში ნათლად ჩანს მესამედაცელთა შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე, რომელიც შეიძლება ზოგადად ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. ეროვნული განვითარება ნიშნავს ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წყობა ირღვევა და მის ადგილას დგება კაპიტალისტური.

2. ეკონომიკური განვითარება ერს ყოფს დასებად და ახდენს პოლიტიკურ ცვლილებებს.

3. ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში, ეს გამოიხატება პატრიარქალური წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში.

იგივე ამრია გაგარებული ნოე ქორდანიას მეორე წერილში: „მოამბე“, „ივერია“ და „ეროვნება“. ავგორი აქაც ცდილობს საკუთარი მარქსისტული მსოფლმხედველობის განმტკიცებას და იმის დასაბუთებას, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და წინსვლა რევოლუციურ მოძრაობასა და მარქსიზმის გავრცელებაშია მოაზრებული, რომ ჯერ აუცილებელია სოციალური საკითხის გადაჭრა და შემდეგ ეროვნულის - იგი აკრიტიკებს „ივერიელთა“ ეროვნულ პრინციპს:

1. ეროვნული პრინციპი წამოყენებული იქნა მესამედაცელთაში და გადმოეცა დღევანდელ მწერლობას. 2. ეროვნების საქმეში ეკონომიკური ბრძოლა არაფერს შუაშია და 3. ჩვენს („ივერიისას“) ეროვნულ პრინციპს საფუძვლად უდევს მთელი

ერის ყოველმხრივი განვითარება, რათა ამით ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიგანოს წვლილი კაცობრიობის საკულტურაში [5,15].

ნოე ჟორდანიას დაპირისპირება „ივერიასთან“ ფაქტიურად იყო დაპირისპირება თერგდალეულებთან და კერძოდ - ილია ჭავჭავაძესთან, იმ ილიასთან, რომელმაც თავისი სამოქმედო, სამოღვაწეო პროგრამა ასე ჩამოაყალიბა: „მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ახალ თაობამ მთავარი ყურადღება ეროვნულ საკითხს მიაქცია. ქართული პერიოდული პრესის ყველა ორგანო ეროვნული მიმართულებას „ბუკსა და ნაღარას სცემდა“. მართალია, ახალმა თაობას „ჩვენი ვინაობის აღსადგენად ჯერ ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ისიც ბევრს ნიშნავს, რომ „მაგ მიმართულებას“ მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოცხას თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს... ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი... დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერ და კუთვნილ ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საბოგალო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი, ამაზე უმჯობესი, ამაზე უსაჭიროესი არა აქვს ახლანდელ საქართველოს შეილს, ყველამ, ვისაც რა შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მივუბრუნო თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვაგან, მაგ მიმართულების სასწორზე უნდა ავწონოთ.

აი, ჭეშმარიტი ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში... აი, რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელი ევროპის მეცნიერებათა და გამოცდილების ფარხმალით აღჭურვილი“ [6-128].

ილია ჭავჭავაძის ეს პროგრამა ძალასა და მნიშვნელობას ინარჩუნებს მაშინაც, როცა, სამოღვაწეო ასპარეზზე მესმედასელები გამოვიდნენ. ამ პროგრამის მიმდევრები მიესალმებოდნენ საქართველოში ბურჟუაზიული რეფორმების გაგარებას და ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარებას, რათა ის ეკონომიკურად მოლონიერებულყო, მაგრამ მთავარი მათთვის მთავარი მაინც ეროვნული თავისუფლების მოპოვება იყო.

ჩვენ მიერ აქ ნახსენები ნოე ჟორდანიას წერილები ცხადყოფენ, რომ იგი, ძირითადად სოციალური საკითხებით იყო დაინტერესებული, თუმც ამ მოსაზრებას არ იზიარებს პროფ.

ვახტანგ გურული. ამ უკანასკნელის მონოგრაფიაში „ნოე ჟორდანიას ვკითხულობთ: „ნოე ჟორდანიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე“ [7,13].

უფრო მეტიც, იგი წერს: „1905-07 წლების რევოლუციამ, საქართველოში უკიდურესად გაამწვავა სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობანი. დიდმა სოციალურმა კაგასტროფამ, რევოლუციამ, კლასთა და სოციალურ ფენათა შეჯახებით, პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა დაპირისპირებით, ისე დაძაბა სიგუაცია, რომ სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა, ქართველი ერისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ნორმალური პირობების შექმნა თითქმის შეუძლებელი ჩანდა, ასეთ ვითარებაში 1907 წელს მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ილიას შემცველი მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე რომ ქართველ ხალხს არ ჰყავდა, ეს იმთავითვე ყველასათვის ნათელი იყო, ნათელი იყო ისიც, რომ ერი პოლიტიკური ლიდერის გარეშე ვერ გააგრძელებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ნოე ჟორდანიას არ იყო ამბიციური პიროვნება. მას არასოდეს აზრადაც არ მოუვიდოდა ერის პოლიტიკური ლიდერის გვირგვინის შესჭიდებოდა, არც ილიას სიცოცხლეში არ არც ილიას სიკვდილის შემდეგ. ყველაფერი ბუნებრივად მოხდა: როცა ილიას მკვლელობის შემდეგ დაიხსნა კითხვა, ვინ უნდა იყოს ერის წინამძღოლი - საერთო-სამოგადოებრივმა აზრმა ეს მისია ნოე ჟორდანიას დააკისრა“ [7,5]. ასეთ შეფასებას აძლევს ვახტანგ გურული ნოე ჟორდანიას.

წინააღმდეგობა კვალელებსა და ივერიელებს შორის არც მეთცე საუკუნის დასაწყისში შეწყვეტილა. 1903 წ. „კვალში“ დაიბეჭდა ირაკლი წერეთლის (ყვირილელის) წერილი „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური“. წერილში ავგორი ცდილობს იმ აზრის გაგარებას, რომ თითქოს სამოციანი წლების მოღვაწენი უკმაყოფილონი არიან არა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით, არამედ იმით, რომ მათ დაკარგეს ქვეყანაში პრივილეგირებული მდგომარეობა. სამოციანი წლების მოღვაწენი იყვნენ ძირითადად თავადაზნაურთა კლასის წარმომადგენლები და მას შემდეგ, რაც საქართველოში განვითარება იწყობურქუაბიულმა ურთიერთობამ, თავადაზნაურობამ ალლო ვერ აულო ამ ახალ ვითარებას და დაცემა-დაქვეითების გზას დაადგა.

ირაკლი წერეთელს მიაჩნია, რომ წინა თაობის წარმომადგენლობას არ ჰქონდა ეროვნული გრძნობა, რომ ისინი მხოლოდ მამულიშვილური გრძნობით იფარგლებოდნენ და ეს

მამულიშვილობა მათ წოდებრივ პრივილეგიაში გამოიხატებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ქეყანა კაპიტალისტური განვითარების გზას დაადგა, წარმოიშვა ეროვნება და ამ ეროვნული დროშის მაგარებელი ვახდა ბურჟუაზია.

რა თქმა უნდა, ი. წერეთლის ამ წერილს მოჰყვა საპასუხო გამოსმაურება „ცნობის ფურცელსა“ და „ივერიაში“.

ეროვნულ საკითხში „კვალის“ პუბლიცისტები ძირითადად ეკამათებოდნენ გაზეთ „ივერიის“ გარშემო შემოკრებილ ეროვნულ ძალებს. „კვალელთა“ მიხედვით, სამოგადოების წინასვლა მუშათა რევოლუციურ მოძრაობასა და მარქსიზმის გავრცელებაშია მოაზრებული. ამიგომ ისინი ყველა მოვლენას მარქსისტული მსოფლმხედველობიდან აფასებდნენ. „ივერიის“ მიმდევრები კი თვლიდნენ, რომ სამოგადოებრივი მოძრაობის განმსაზღვრელია ეროვნული პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა მთელი ეროვნული ძალების ერთად ყოფნა.

ლიტერატურა

1. „კვალი“ თავისი მოცულობით ჟურნალს წარმოადგენდა, მაგრამ ცენზურისაგან ნებართვა რომ მიეღო, ოფიციალურად გაზეთად იხსენიებოდა.
2. გაზეთი „კვალი“ 1893 წ. № 1.
3. გაზეთი „ივერია“ 1895 წ. № 15.
4. გაზეთი „კვალი“ 1895 წ. № 11.
5. გაზეთი „ივერია“ 1895 წ. № 15.
6. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6., გვ. 128-130.
7. ვახტანგ გურული, ნოე ჟორდანიას, თბ., 1999 წ.

ELDAR TAVBERIDZE

THE NATIONAL PROBLEM IN THE "KVALI" PUBLICATIONS ABSTRACT

The "Kvali" newspaper, published in 1893-1904 allotted a considerable space to the articles which concentrated upon the viewpoints of the represent - actives of the Third Cast concerning the national problem

In terms of the national issue, the "Kvali" authors had arguments against their counterparts from "Iveria" and "Moambe"; they criticized the "Iveria" authors' national principle, and declared that, initially, it was necessary to solve the social issue, and then the national one.

საქართველოს ისტორიის კათედრა

თაინა თალორაკა

ტელიკურობა / ატელიკურობის კატეგორია თანამედროვე ინგლისურ ენაში

ასპექტუალურ საშუალებათა შორის ყველაზე უფრო ზოგად აბსტრაქციად გელიკურობა- ატელიკურობა (გერმინატივობა-ატერმინატივობა; ლიმიტატივობა-ალიმიტატივობა) კატეგორიაა მიჩნეული. მას თითქოს შუალედური ადგილი უჭირავს ასპექტსა და მოქმედებათა სახეებს შორის და აერთიანებს ისეთ ზმნათა ჯგუფებს, რომელთა შინაარსში იგულისხმება ან გამოირიცხება საბოლოო მიზნის მიღწევა, მოქმედებისათვის საზღვრის დადება. ზოგი მოქმედება მომენტალურია, დაწყებისთანავე მთავრდება კიდევ, ზოგი კი შორეულ პერსპექტივაში მაინც გულისხმობს დასრულებას, ან გარკვეულ საზღვრამდე მისვლას. ასეთია გელიკური მნიშვნელობის მქონე ზმნები: to arrive, to become, to catch, ect. მეორე მხრივ არის ისეთი ზმნები, რომლებიც საბოლოო მიზნის მიღწევას არ გულისხმობენ, ე.ი. მოქმედება იწყება არა მისი დასრულების მიზნით. ესენია ატელიკური მნიშვნელობის მქონე ზმნები: to possess, to enjoy, to sleep, etc

ინგლისურ ენაში გელიკურობა-ატელიკურობის უნივერსალური კატეგორია, რომელსაც ფორმალური გამოხატულება არა აქვს და ზმნის სემანტიკაში გადმოიცემა დიდ ზეგავლენას ახდენს ასპექტის ფორმების მნიშვნელობასა და ფუნქციონირებაზე. მაგალითად:

Mrs. Millar **brought** the leg of lamb to the big table. (PC)

She **expected** to see his face twisted in anxiety about this matter. (ibid.)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გელიკური (გერმინატულს, ლიმიტატურს, პერფექტულს) და ატელიკური (კურსიულს, დურატულს, ალიმიტატურს, იმპერფექტულს) ზმნების გარდა კიდევ არის ჯგუფი, რომლებიც კონტექსტისაგან დამოუკიდებლად გელიკური ან ატელიკური მნიშვნელობით გვხვდება. ასეთებს ორმაგი ხასი-

ათის მზნებს უწოდებენ. „ გელიკური ეწოდება ისეთ მზნებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედებას, რომელიც მიმართულია მოქმედების „ბუნებიდან“ გამომდინარე წინასწარ განზრახული მღვარის მიღწევისაკენ... აგელიკური მზნა კი გვიჩვენებს მოქმედებას (ან მდგომარეობას), რომელიც არ არის მიმართული მღვარის მიღწევისაკენ და არ შეიცავს მისი დასრულების არავითარ წინაპირობას“ (მეგრულიშვილი 1986, 59). მაგალითად:

Arveyda **explained** how it was the same as Angel Island, only on the East coast. (AW)

He **lifted** his head oddly high like a child drowning, and it was this that made the sinews stand out on his long neck. (PC)

The front room **pretended** to be a shop. (ibid)

გელიკურობა-აგელიკურობის მოქმედებათა დაპირისპირების შესახებ მსგავსი პოზიციები აქვთ გ.გ. სილნიცკის, რ.ა. ალენს, ა. ბარენგენს, ო. დალის და სხვებს (Сильницкий 1973 373-391; Allen 1966, 303; Dahl 1974, 21-35, Барентсен 1973, 5-32). ო. დალი ერთი მხრივ, განასხვავებს „დაკავშირებულ მოქმედებებს“ (bounded activities, რომლებიც საბოლოო განზრახული მდგომარეობით განისაზღვრებიან (მაგ.: სახლის შენება), მეორე მხრივ კი, „დაუკავშირებელ მოქმედებებს“ (unbounded activities), რომლებიც რომელიმე კონკრეტული საბოლოო მდგომარეობით არ გადმოიცემიან (მაგ.: მოწევა, მაგრამ „სიგარეტის მოწევა“ - უკვე დაკავშირებულია, იგი დასრულდება, როცა სიგარეტი ბოლომდე იქნება მოწეული) (Dahl 1974, 35).

რასაკვირველია, გელიკური შეიძლება იყოს არა მხოლოდ გაცნობიერებული წინასწარ დაგეგმილი მოქმედება, რომლებიც გარკვეული მიზნის მიღწევისკენაა მიმართული, არამედ პროცესი, რომელიც სუბიექტის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ყველა ამ შემთხვევაში არსებითია დასრულებულობის პერსპექტივა - მოქმედების ახალ მდგომარეობაში გადასვლა, ბუნებრივ მიზანმიმართულება მის შინაგან ანუ „ბუნების“ მიერ განსაზღვრულ მღვარზე, რომლის მიღწევასთან ერთად ის ამოიწურება და მისი გაგრძელება შეუძლებელია. მაგალითად:

Gillian **bursts into the** room, throwing her music case down and sprawling in an armchair, revealing her navy blue knickers. (KA)

Bunty suddenly **drops** her bags and **leaps** from the wheelchair like a Lourdes miracle and says "Mind the shop! (ibid.)

წინასწარ დაგეგმილი დაუსრულებელი მოქმედება (მაგ.: წვერის გარება, ოთახში სიარული) ან წინასწარ დაუგეგმავი (მაგ.: კოჭლობა, იწონის 100 კგ) არც ბუნებრივ მოქმედებას და არც თავის თავად ისეთ მოქმედებას არ გულისხმობს, რომელიც მას ასრულებს და წყვეტს:

გელიკურობა/აგელიკურობის ოპოზიციამ ჩვეულებრივ ენაში როგორც სხვადასხვა მშენების, ისე ერთი და იგივე მშენის სხვადასხვა მნიშვნელობის დაპირისპირებით გადმოიცემა. შესაბამისად ლაპარაკობენ გელიკურ, აგელიკურ და ორმაგი ბუნების მშენებზე, რომლებიც სემანტიკას იცვლიან და გვხვდებიან როგორც გელიკური, ისე აგელიკური მნიშვნელობით (Маслов 1978, 13).

საინგერესო კუთხით ამუქებს ი. ივანოვა გელიკურობა/აგელიკურობის პრობლემას. მისი განმარტებით აგელიკური მშენები მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის. ამ შემთხვევაში მოქმედების შესრულებას მღვარი არა აქვს და იგი მის ლექსიკურ მნიშვნელობაზეა დაკავშირებული (Иванова 1961, 659). შესაბამისად ორი ძირითადი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

პირველ ჯგუფში ერთიანდება ის მშენები, რომლებიც ღრმომი განგრძობითობას გვიჩვენებს და ის მშენებიც, რომლებიც გამოხატავენ ურთიერთობას, რომელიც ობიექტურად სუბიექტსა და სხვა საგნებს შორის არსებობს. ასეთი მშენებია: to belong, to consist, to have, to possess, etc. მაგალითად:

She **belonged** in Oxford, not in Hennacombe, and yet she did not realize (PC).

The room he was in **had** a high ceiling, three large windows facing the street, a fireplace, massive oak furniture that actually had presence. (AN)

ზემოთ ხსენებულ ქვეჯგუფში გაერთიანებულია ის მშენებიც, რომლებიც სუბიექტურ დამოკიდებულებას ანუ მის ემოციურ პოზიციას გამოხატავენ ობიექტისადმი. ამ ქვეჯგუფში შეიძლება მრავალი მშენი გაერთიანდეს: to love, to hate, to dislike, to admire, to enjoy, to detest, etc. vfufkbsfl5

She **hated** the way they looked, so pale and raw and wet. (AN)

He **admired** his own slim body in the mirror that ran along the wall beside the bed. (ibid.)

ამ ზმნათა განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ისინი გელიკურ ზმნებად არასოდეს გვხვდებიან. საერთოდ კი, როგორც ამას შემდგომ განვიხილავთ, გელიკურობა/აგელიკურობას შორის ზღვარი გადაულახავი არ არის. მათ მიერ გამოხატული ურთიერთობა სტატიკურია. ამ ქვეჯგუფში გაერთიანებულ ზმნათა თავისებურება ისაა, რომ ისინი განგრძობით ფორმებშიც გამოიყენებიან. მაგალითად:

Don't you feel like talking for a while? I asked her. It was a childish thing to say, but I was **feeling** so damn peculiar. (ibid.)

ამავე ქვეჯგუფში ერთიანდება ყოფიერების აღმნიშვნელი ზმნები (to be, to exist, to live), რომლებიც შეიძლება განგრძობით ფორმებშიც შეგვხვდეს. მაგალითად:

You think I'm being selfish and vain? (ibid.)

მეორე ქვეჯგუფში წარმოდგენილია ის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ:

♦ არაფიზიკური მიმართების მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტურ შეფასებასთან ~to blame, to annoy, to defend, to exact, to enjoy, etc.

♦ მეტყველებას (to argue, to talk, to speak, etc.)

♦ მდგომარეობას სივრცეში ან სტატიკური ხასიათის მოქმედებას ~to hold, to lie, to sit, to stand, to sleep, etc.)

მაგალითად:

He **held** them between thumb and forefinger, as if they were the contents of the gut of some fish he wished to study. (PC).

They **talked** using their hands, eyes, strange sounds and hops and skips, about music. (AW)

ამ გიპის ზმნები ზოგჯერ გელიკურ მნიშვნელობასაც ღებულობენ. ასე მაგალითად, ინგლისურ ენაში ზმნას to stand ჩვეულებრივ აგელიკური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად:

They **stood** still by the cart, but not too close, and did not talk and giggle. (PC)

როგორც ცნობილია, ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა ყოველთვის კონტექსტში ვლინდება, ამგვარად ზმნა to stand გელიკური

მნიშვნელობითაც გვხვდება, როცა იგი ერთგზის მოქმედებას აღნიშნავს.

Lucinda **stood** and went to the window. (PC)

He **stood** and began speaking. (ibid.)

ამგვარად, მოქმედების, პროცესისა და წამიერი მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები გელიკურია. მათი ჯგუფი გაცილებით მრავალრიცხოვანია ვიდრე აგელიკურის. გელიკური ზმნებია: to achieve, to add, to admit, to answer, to arise, to arrive, to ask, to assume, to attach, to become, to begin, to break, to bow, to bring, to catch, to cease, to close, to commit, to confide, to convey, to disappear, to dissolve, to discover, to explain, to settle, to stop, to throw, etc. მაგალითად:

He **took** his yellow stone, his 'tor' and threw it over his shoulder. (ibid.)

His father **asked** him where he had found the stone. (ibid.)

ყველაზე რთულ ჯგუფს ორმაგი ხასიათის ზმნები ქმნის. ეს ჯგუფი რთულია როგორც შემადგენლობით, ისე გრამატიკულად. ორმაგი ხასიათის ზმნებში შერწყმულია გელიკური და აგელიკური მნიშვნელობა. ამ ჯგუფს განეკუთვნება ზმნები, რომლებიც ერთიანი ლექსიკური სემანტიკის პირობებში როგორც მოქმედების ისე პროცესის მნიშვნელობას გადმოცემენ. ეს ზმნებია: to feel, to follow, to laugh, to remember, etc. მათგან შედარებით განსხვავებულია: to read, to write, to go, to move, to walk, etc.

ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი ზმნა ლექსიკურად ერთგვაროვანია, მაგრამ ისინი როგორც მოქმედების, ისე პროცესის მნიშვნელობასაც შეიცავენ. ეს ჯგუფი თავის მხრივ იყოფა ორ ქვეჯგუფად - პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ის ზმნები, რომელთა მნიშვნელობები ერთგზისი მოქმედებისა და პროცესის თანაფარდია, ხოლო მეორეში კი ის ზმნებია, რომელთა გელიკური მნიშვნელობები მხოლოდ გარკვეულ სინტაქსურ პირობებში ვლინდება.

ამ ჯგუფის ზმნებში გელიკური და აგელიკური მნიშვნელობები კონტექსტში ვლინდება. ორივე მნიშვნელობა ზმნაში თანაარსებობს და ამა თუ იმ სინტაქსურ პირობებში ორიდან ერთი რომელიმე წარმოჩინდება. იმ სინტაქსურ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ზღვრადი ხასიათის გამოვლენას, ი. ივანოვა „შემზღვევლებს“ უწოდებს (ИВАНОВА 1961, 69). „შემზღვევლების“

როლში შეიძლება შეგვხვდეს:

1. შემახმენლები (ერთგზისი), რომელთაგან ერთ-ერთი კური ზმნითაა გამოხატული,

2. დამატება (პირდაპირი), რომელიც მოქმედების შეზღუდვას იწვევს,

3. გარემოება, რომელიც გელიკურობის მნიშვნელობას წარმოქმნის (დროის გარემოება, რომელიც მოქმედების თანამიმდევრობაზე, ერთგზისობაზე მიუთითებს; ვითარების გარემოება, რომელიც მოქმედების ერთგზისობას გვიჩვენებს; ადგილის გარემოება მიმართულების მნიშვნელობით; მიზნის გარემოება).

„შემზღუდველთა“ გემოთ ჩამოთვლილი ტიპები ემთხვევა სინტაქსურ პირობებს, როცა ატელიკურ ზმნებს შეუძლიათ გელიკური მნიშვნელობა მიიღონ, რაც გელიკურ, ატელიკურ და ორმაგი ხასიათის ზმნებს შორის მკაფიო მღვარის არარსებობაზე მიუთითებს.

ერთ და იმავე ზმნაში არაერთგზისობა ზმნის პოლისემანტიკურობის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას. ინგლისურ ენაში ბევრ ზმნას ორი და მეტი ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ზმნის „to know“ ერთი მნიშვნელობაა „ცოდნა“, ე.ი. ატელიკურია, მეორე კი - „გაგება“ ე.ი. გელიკურია. ამავე ტიპს განეკუთვნება ზმნები: to believe, to mean, etc.

ამრიგად, გელიკურობა-ატელიკურობის კატეგორია შუალედურია ზმნის გრამატიკულ ასპექტსა და მოქმედებათა სახეებს შორის. იგი ზმნის ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის პირველ პერიფერიას განეკუთვნება და ხშირ შემთხვევაში ზმნის ასპექტურ მნიშვნელობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს. საერთოდ კი ინგლისურ ენაში პროგრესულ/არაპროგრესულ ასპექტურ ოპოზიციას ცენტრალური ადგილი უჭირავს ასპექტობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ბირთვში.

ლიტერატურა

1. მეგრელიშვილი 1986 - მეგრელიშვილი მ. ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. თბილისი, 1986

2. Allen 1966 - Allen R.L. The verb system of present-day American English. The Hague - Paris, 1966.

3. Dahl 1974 - Dahl o. Some suggestions for a logic of aspects. - In: Goteborg contributions to the 7th International congress of slavists in Warsaw... (slavica Gothoburgensia, 6) 1974, p.21-35.

4. Барентсен 1973 - Барентсен А.А. К описанию семантики категории 'вид' и 'время'. На материале современного русского литературного языка. - Tijdschrift voor Slavische Taal - en Letterkunde, 1973, W2,

5. Иванова 1961 - Иванова И.П. Вид и время в современном английском языке. - Ленинград.1961.

6. Маслов 1978 - Маслов Ю.С. К основаниям сопоставительной аспектологии. Изд. Ленинградского университета, 1978.

7. Сильницкий 1972 - Сильницкий Г.Г. Семантические типы ситуаций и семантические классы глаголов. - В кн. Проблемы структурной лингвистики, 1972 г. Москва, 1973, стр. 373-391.

8. Atkinson Kate, Behind the Scenes at the Museum, Black Swan, 1996.

9. Carey Peter, Oscar and Lucinda, faber and faber, 1989.

10. Walker Alice, The Temple of My Familiar, Pocket Books, New York, 1990.

THEONA TEDORADZE
A PROBLEM OF LIMITATION IN ENGLISH
ABSTRACT

The paper deals with the category of Limitation, which serves to reflect the restrictive relations of reality in language. The distinction between limitive/unlimitive verbs is important for the meaning use of certain tense and aspect forms.

The verbs presenting a process as potentially limited, can be called "limitive". As a matter of fact, the word suggests the idea of a completed action, i.e. of a limit attained, not only the implication of potential limit existing as such. To the subclass of limitive belong such verbs as arrive, come leave find, start, stop, conclude, aim, drop, catch, etc. Here also belong phrasal verbs with limitive past positions, e.g. stand up, sit down, get out, be off, etc.

The verbs presenting a process as not limited by any border point, should be called, correspondingly, "unlimitive". To this subclass belong such verbs as move, continue, live, sleep, work, behave, hope, stand, etc.

Alongside of the two aspective subclasses of verbs, the majority of English verbs are of double semantic character, i.e. potentially they may be used as limitive or unlimitive verbs. However, in a context their character is easily determined on the basis of their distribution (Cf. to write well and to write a letter.)

ინგლისური ენის კათედრა

ეკა თოფურია

კითხვითი წინადადება, როგორც ირიბი სამეცნიერო აქტი

„პასუხი კითხვებზე, რომელსაც უპასუხოდ გოვებს ფილოსოფია იმაში, მდგომარეობს, რომ ეს კითხვები სხვაგვარად უნდა დაისვას“ (ჰეგელი)

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და სხვადასხვა მეცნიერების მიერ შეგანილი წვლილისა, კითხვითობის პრობლემის ლინგვისტური ინტერპრეტაცია. ჯერ კიდევ შორს არის დამამთავრებელი ეგაპისაგან. უნდა ითქვას, რომ „წმინდა ლინგვისტიკა“ თავისი იმანენტური მეთოდოლოგიით ვერ შეძლო აღნიშნული პრობლემების გადაჭრა, ვინაიდან ფორმისა და შინაარსის ასიმეტრია, რომელიც სამეცნიერო ქმედებებში ულინდებოდა, გრადიციული ენათმეცნიერების კატეგორიებით ვერ აიხსნებოდა. მეცნიერებათა განვითარების იმანენტური ეგაპი, როგორც ნორბერნ ვინერი აღნიშნავდა, გარკვეულ ეგაპზე მუხრუჭად იქცა. ახალი იდეების ძიებაში მეცნიერებამ მომიჯნავე დარგებს მიმართა და სწორედ ასეთ გადაკვეთაზე მოხდა უდიდესი რევოლუციური აღმოჩენები ლინგვისტურმა სტრუქტურალიზმმა, ფაქტიურად გადაჭრა ენობრივ სტრუქტურათა სინგაგმატურ და პარადიგმატურ მიმართებათა აღწერის პრობლემა, რამაც წინა პლანზე წამოიწია ენობრივ სტრუქტურათა ფუნქციონირების საკითხი. აღნიშნული მიმართებით კვლევამ გამოავლინა მთელი რიგი წინააღმდეგობა და შეუსაბამობა ლინგვისტურ მოდელსა და მის შინაარსობრივ მხარეს შორის. ბევრი ასეთი მოვლენის ახსნა მოითხოვდა მომიჯნავე დარგების მოშველიებას რაც, საბოლოო ჯამში, ახალი მეცნიერული დარგების ჩამოყალიბებით დამთავრდა, ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, გექსტის ლინგვისტიკა, ლინგვოპრაგმატიკა, სამეცნიერო აქტების თეორია, კომუნიკაციური ლინგვისტიკა. აი, ის დარგები, რომელთაც იმედის

თვალი მიაპყრო ენათმეცნიერების დიდმა ნაწილმა. აღსანიშნავია, რომ კითხვის პრობლემამ სწორედ კომუნიკაციის პროცესში ორიენტირებულ მიმართულებებში გამოიწვია დიდი დაინტერესება. თუ გრადიციულ ენათმეცნიერულ გამოკვლევებში კითხვას საკმაოდ მცირე ადგილს უთმობდნენ (ძირითადად, დრო-კილოს პრობლემასთან მიმართებაში), სამეცნიერო აქტების თეორიაში და ლინგვოპრაგმატიკაში კითხვითობის პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ერთ-ერთი პირველი მცდელობა დაემკვიდრებინა კითხვითობისთვის განსაკუთრებული ადგილი სამეცნიერო აქტების სისტემაში დაკავშირებულია ანა ვეებიცკაიას სახელთან. მას საკამათოდ მიანიჭია გორდონისა და ლეიკოფის პოზიცია, რომელიც კითხვას თხოვნის ნაირსახეობად მიიჩნევს, მართალია კითხვას შეიძლება ჰქონდეს თხოვნის გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ ასევე შეიძლება ჰქონდეს ბრძანებისაც, ან ამ თვალსაზრისით შეიძლება სრულიად ნეიტრალური იყოს. ყოველ შემთხვევაში კითხვისათვის ამ განსაზღვრის გამოხატვა მეორადია და არ ასახავს ფენომენის იმპლიციტურ ბუნებას. ავტორი ანალიზს უკეთებს ორ წინადადებას:

1) შემაგყობინე რა მოხდა.

2) რა მოხდა?

პირველი წინადადება შეიძლება გავრცობილი იქნას სხვადასხვა საშუალებით, შესაძლებელია ითქვას „მოკლედ შემაგყობინე“, „გულწრფელად მითხარი“, „დაწვრილებით შემაგყობინე“, მაგრამ არცერთი ეს გამოთქმა არ შეიძლება გამოვიყენოთ კითხვა „რა მოხდა?“ ამ თვალსაზრისით კითხვა „რა მოხდა?“ ანალოგიურია გამოთქმისა „მე გეკითხები შენ, თუ რა მოხდა“ და არა „შემაგყობინე, რა მოხდა“, ავტორის მიიჩნევს, რომ ძირითადი კომპონენტი, რომელიც განსაზღვრავს კითხვის სპეციფიკას, არის „ცოდნის ანუ გაგების სურვილი“ და არა „ვინმემ გეგავლენის მოხდენა, რათა ჩვენ რაღაც ვიცოდეთ. მეორე არგუმენტი, რომელიც განასხვავებს კითხვას თხოვნისაგან მდგომარეობას, ა. ვეებიცკაიას მიხედვით, შემდეგშია: ვინაიდან გამოთქმის მიზნის გამომხატველი სემანტიკური მარკერები შეიძლება არ იყოს გამოხატული და ხშირად ასეცაა, გადამწყვეტი



და საბოლოო კრიგერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება გაცილებით უფრო მეტი იმიჯნოს თხოვნა ბრძანებისგან, რჩევა-ნებართვისგან უნდა მივიჩნიოთ ინგონაცია. კითხვის ინგონაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის განსხვავებულია კითხვის სხვადასხვა ტიპებისათვის, სრულიად განირჩევა თხოვნის ინგონაციისაგან.

ავგორი ვეთავაზობს გამონათქვამების: „შემაგყობინე“ და „მე შენ გეკითხები“ ანუ კითხვის გამიჯვნის გზას:

„შემაგყობინე, რა მოხდა“=ლაპარაკის საშუალებით გააკეთე ისე, რომ მე ვიცოდე, რა მოხდა.

„რა მოხდა?“=მინდა, რომ შენ ლაპარაკის საშუალებით გააკეთო ისე, რომ მე ვიცოდე, რა მოხდა და ამიგომ ვამბობ: „მე მსურს ვიცოდე, რა მოხდა“, თავის მსჯელობებში ა. ვეჭბიცაია ეყრდნობა ლაიბნიცს, რომელიც თვლის, რომ კითხვის შემდეგი დეფინიცია შეიძლება მიეცეს: „შეკითხვა ნიშნავს გამოძიებებსა შეცნობის სურვილისა იმ პირის წინაშე, ვისაც შეუძლია გვასწავლოს ან უბრუნველყოს შემეცნება. თუ ის ამას აკეთებს ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ჩვენ გვპასუხობს“ (ციგ. ა. ვეჭბიცას მიხედვით, 1985, 262).

კითხვითობის შინაარსის დადგენისას ჯ. სერლი საუბრობს კითხვის პრეზუმციაზე: 1) მოსაუბრემ არ იცის პასუხი, ე.ი. არ იცის არის თუ არა პროპოზიცია ჭეშმარიტი, ანუ თუ საუბარია პროპოზიციურ ფუნქციაზე, არ იცის ინფორმაცია, რომელიც ჭეშმარიტი პროპოზიციის აგებისთვის აუცილებელია; 2) არც მოსაუბრისთვის და არც მსმენელისთვის არ არის ცხადი, რომ მსმენელი ამ ინფორმაციას მიაწვდის მოსაუბრეს თხოვნის გარეშე. გულწრფელობის პირობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოსაუბრეს სურს ამ ინფორმაციის მიღება, ხოლო არსებით პირობად, რომ კითხვა განიხილება როგორც ცდა ამ ინფორმაციის მიღებისა (ჯ. სერლი, 1969, 66).

კითხვის ფენომენის განსაზღვრისას არ შეიძლება არ შევხებით ძირითადი და არაძირითადი მნიშვნელობების საკითხს, ანუ ირიბი ანუ არაპირდაპირი სამეცყველო აქტების პრობლემას. ირიბი სამეცყველო აქტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ილოკუციური მიზანი მათში იმპლიციტურადაა მოცემული და გამოიყვანება აღრესაგის მიერ მისი კომუნიკაციური კომპეტენ-

ციის წყალობით.

ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პრობლემას, რომელსაც ხაზგასმული მეტყველო აქტების თეორია წააწყდა, წარმოადგენს ირიბი სამეტყველო აქტების პრობლემა. ასე იყო ილოკუციური მიზანი, რომელიც ამ შემთხვევაში ლატენგური სახითაა წარმოდგენილი, სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგება. ასე მაგალითად, საზოგადოებაში მიღებული თავაზიანობის პრინციპი, მოითხოვს შემოქმედების ნაკლებ კატეგორიულობას, რასაც შესანიშნავად ესადაგება ირიბი ფორმა, ამის ნათელი დადასტურებაა მოლალიზირებული შეკითხვა იმის შესახებ, შეუძლია თუ არა აღრესაგს, რაიმე არცთუ ისე რთული მოქმედება შეასრულოს - „შეგიძლიათ ჩაი დამისხათ?“ ასეთივე ირიბი მნიშვნელობა აქვს ფრამას: „მე მსურს მარტო დავრჩე“, რაც, ფაქტიურად, გამოხატავს თხოვნას, ბრძანებას (სიგუაციის მიხედვით) აღრესაგის მიმართ, რათა განახორციელოს შესაბამისი ქმედება.

კითხვითობასთან დაკავშირებულ ირიბ სამეტყველო აქტებს სპეციალურად განიხილავს გერმანელი მეცნიერი პ. კონრადი. მისი გამოკვლევის მიზანია შეისწავლოს კითხვითი წინადადებების არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. ავტორი მოითხოვს გრამატიკის შემადგენლობაში სპეციალური დისციპლინის გამოყოფას, რომლის ამოცანაც იქნება იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება ესა თუ ის სამეტყველო აქტი გამოხატული იქნას სხვა სამეტყველო აქტით (რ. კონრადი, 1985, 352) სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ძირითადი პრობლემა, რომელსაც ჩვენ აქ ვხვდებით, მდგომარეობს წინადადების პირდაპირი მნიშვნელობისა და იმ მნიშვნელობას შორის დამოკიდებულების განსაზღვრაში, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში იგულისხმება და რომელსაც ხშირად „პრაგმატულ მნიშვნელობას“ ან „გამონათქვამის კომუნიკაციურ არსსაც“ უწოდებენ. კითხვით წინადადებასთან მიმართებაში კონრადი გამოყოფს პრობლემათა მთელ რიგს, რომელთა გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული მოვლენის შეცნობისათვის. აღნიშნულ პრობლემებს ის შემდგენაირად აჯგუფებს:

- რა არის იმის მიზეზები, რომ კითხვითი წინადადება ხშირად გამოიყენება თხოვნისა და მოთხოვნის მნიშვნელობით?

- ინარჩუნებს თუ არა კითხვითი წინადადება თავდაპირველ მნიშვნელობას, თუ ის სრულიად „გამოიღვენება“ იმპერატორის მნიშვნელობით?

- როგორ წამოიშვება წინადადების არაპირდაპირი მნიშვნელობა და რა ფაქტორები ან პირობებია ასეთ შემთხვევაში გამსაზღვრელი? რა შინაარსობრივი კავშირები მყარდება არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევების გასაგებად და აღსაწერად?

- წარმოადგენს თუ არა ამგვარი ფენომენების აღწერა წმინდა ლინგვისტურ ამოცანას, თუ ამისათვის აუცილებელია რაღაც დამატებითი ინფორმაცია? თუ კი, მაშინ როგორია ეს ინფორმაცია და რა დამოკიდებულებაშია ის ლინგვისტურ მონაცემებთან?

- რა როლს თამაშობენ ასეთ შემთხვევაში სემანტიკური დასკვნის მექანიზმები (Inferenzmechanismen), რომელთაც, როგორც ცნობილია, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ ადამიანის მთელ ინტელექტუალურ მოღვაწეობაში?

- რამდენად დასაბუთებულია ე.წ. „ირიბი სამეცყველო აქტების“ სამეცყველო აქტებად კვალიფიკაცია?

- წარმოადგენს თუ არა წინადადების „ირიბი მნიშვნელობა“ იგივე სახის მოვლენას, რასაც „მნიშვნელობა“ ჩვეულებრივი გაგებით თუ ეს პრინციპულად განსხვავებული მოვლენაა? (რ. კონრადი, 1985, 350-351).

აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ფაქტიურად ქმნის თეორიულ ბაზას ლინგვისტური სტრუქტურის უფრო ფართე კონცეფსტში (ქცევის თეორია) განხილვისა და შესაძლებლობას იძლევა გაიმიჯნოს არაერთგვაროვანი მოვლენები.

პირდაპირ სამეცყველო აქტებს გააჩნიათ წარმატებულობის განსაკუთრებული პირობები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს განხორციელებულად, თუ წინადადება გამოიყენება, როგორც სამეცყველო აქტი მისი ძირითადი ფუნქციის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს წინადადების მნიშვნელობისა და შესაბამისი წარმატებულობის სიტუაციური პირობების შეთავსებას.

კითხვით წინადადებასთან მიმართებაში მივიჩნევთ, რომ მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კითხვის გამოხატვა, ანუ სამეცყველო აქტების თეორიის გერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, „ერთეფული“ აქტის განხორციელება. ეს მნიშვნელობა მისი

სტანდარტული მნიშვნელობა, რომელიც მას ენობრივმა სისტემაში მიაკუთვნა. კითხვითი წინადადება მაშინ გამოიყენება თანამართლიანი მნიშვნელობით, როდესაც გამოიყენება კითხვით სიტყუაში. იმ შემთხვევაში, როდესაც კითხვითი წინადადების გამოყენებისას წარმატებულობის პირობების კითხვითი სიტყუაციისათვის არ არის ბოლომდე შესრულებული, ან მათი მოქმედება ბლოკირებულია სხვა სამეცყველო აქტის წარმატებულობის პირობების არსებობით, წარმოიშეება წინადადების არაინტეროგატიული ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს წინადადების გამოყენებას არა მისი ძირითადი ფუნქციის შესაბამისად. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ კითხვითი წინადადების სემანტიკისა და სიტყუაციის „დაშორების“ ხარისხი განსხვავებულია და სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

უნდა ითქვას, რომ თვით ცნება „ირიბი სამეცყველო აქტი“ არაერთგვაროვნადაა გაგებული. განსხვავების საფუძველია იმის აღიარება ან უარყოფა, თუ რამდენად შესაძლებელია პირდაპირი მნიშვნელობის შენარჩუნება, თუ მას მთლიანად ჩაენაცვლება ახალი მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო რ. კონრადისეული მეთოდიკა. მისი აზრით, ირიბ სამეცყველო აქტს SA_1 -ს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ SA_1 შეიძლება მიღებული იქნას ლოგიკური დასკვნის საშუალებით S_1 წინადადების პირდაპირი მნიშვნელობისაგან, რომელიც წარმოადგენს სამეცყველო აქტს SA_1 -ის რეალიზაციას და შეიცავს გარკვეულ მონაცემებს შესაბამისი სიტყუაციის შესახებ, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი S_1 წინადადებასთან და სამეცყველო აქტს SA_1 -თან. (რ. კონრადი, 1985, 356).



აღნიშნული განსაზღვრა ორ უმნიშვნელოვანეს თვისებას ახასიათებს, რომლებიც ირიბ სამეცყველო აქტს გააჩნია. მასში მითითებულია, ერთის მხრივ, რომ სამეცყველო აქტ - SA_1 -ს პირდაპირი მნიშვნელობა შენარჩუნებულია და, ამასთანავე, წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ლოგიკური დასკვნისათვის. კითხვითი წინადადების არაპირდაპირი გამოყენების შემთხვევაში კითხვითი მნიშვნელობა აუცილებლად რჩება, ხოლო წინადადების ირიბ სამეცყველო აქტად გააზრება ხდება სხვა დონეზე. ირიბი სამეცყველო მნიშვნელობები განიხილება, როგორც დასკვნის ოპე-

რაციიდან გამომდინარე შედეგი. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება პრინციპულად განსხვავებულ მონაცემთა კომპლექსის ბაზაზე როგორც ლინგვისტური, ასევე ექსტრალინგვისტური ხასიათის მონაცემთა ბაზაზე. აუცილებელია, აგრეთვე, იმის ხაზგასმა, რომ ირიბი სამეცნიერო აქტის SA_1 -ის მნიშვნელობა პრინციპულად განსხვავებულია წინადადება S_1 -ის გაგებისაგან. აღნიშნულ კონტექსტში „მნიშვნელობა“ განიხილება, როგორც დაქვემდებარებული მონაცემთა მთელი კომპლექსისგან, რომელთაგან ის გამოიყვანება შესაბამისი ოპერაციების შედეგად და არა როგორც წინადადება S_1 -ის თავისთავადი მნიშვნელობა. გემოთქმული, ბუნებრივია, არ გამოორიცხავს იმას, რომ აღნიშნული ირიბი მნიშვნელობების გააზრება სტერეოტიპულ სიტუაციებში, ლოგიკური კავშირების ავტომატიზაციის გზით, შესაძლებელია გახდეს საფუძველი ახალი პირდაპირი მნიშვნელობების წარმოშობისა, რასაც გარკვეულ სიტუაციებში ნაწილობრივ ან სრულ იდიომატიზაციამდე მივყავართ. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერები ხშირად მოვლენების განვითარებას უსწრებენ და ნაჩქარევ კვალიფიკაციას იძლევიან. ამის შედეგად ძალიან ბევრი „მეორადი“ ენობრივი სტრუქტურა სასწრაფოდ იქნა კვალიფიცირებული, როგორც „პირდაპირი“, იმის გარკვევის გარეშე, თუ რა უდევს საფუძვლად აღნიშნული ირიბი მნიშვნელობების არეალის გაფართოებას.

კითხვითი წინადადებების ირიბი მნიშვნელობით გააზრების ვადამწყვეტ ფაქტორად მიგვაჩნია ქცევის ტიპური სქემის არსებობა, რომლებიც ერთნაირად ბუნებრივი და თვალსაჩინოა როგორც მსმენელისთვის, ასევე მოსაუბრისთვის გარკვეულ წინასწარ მოცემულ მიზანთა იერარქიის პირობებში.

სიტუაციას, რომელშიც წარმოითქმება კითხვითი წინადადება, ჩვეულებრივ მოსდევს გარკვეული თხოვნა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ერთ-ერთ მოსალოდნელ პასუხთან. ეს კავშირი, როგორც წესი, ნათელია დიალოგის ორივე მონაწილისათვის, ვისაც ქცევის საერთო სტრატეგია გააჩნია (მათ შორის სამეცნიერო) და მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრაქტიკული დასკვნის გამოგანის პროცესში, რომელსაც მივყავართ კითხვითი წინადადების არაპირდაპირი გააზრების შესაძლებლობასთან.

კითხვითი წინადადების არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების საფუძვლად, რ. კონრადის, მიხედვით, მივიჩნევთ მოდენიმე სამეკყველო სიგუაციის ერთობლიობას (Sprechhandlungssituation), რომელიც გულისხმობს შესაბამის დასკვნით რეაქციას. ეს შეიძლება გამოისახოს, რ. კონრადისეულ სქემებში:



სიმბოლო „F“ აღნიშნავს კითხვით წინადადებას, რომელიც წარმოითქმება მოლაპარკის მიერ კითხვის ამა თუ იმ სიგუაციაში, სიმბოლოები „A₁“ და „A₂“ აღნიშნავს ორ შესაძლებელ პასუხს, შესაბამისად „კო“-ს და „არა“-ს. იმის მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს საბოლოო ჯამში კითხვა, დადებითი პასუხის შემთხვევაში A₁-ს, ხოლო უარყოფითის შემთხვევაში A₂-ს, წარმოიშევა, მაგალითად, თხოვნის სიგუაცია, რომელიც აიძულებს მოსაუბრეს დაგეგმოს სამეკყველო აქტი SA₁, რომელიც პირდაპირ მოსდევს ამ პასუხს. ვინაიდან ეს ურთიერთკავშირი ამკარაა აგრეთვე მსმენელისთვისაც, ის სცემს არამარტო შესაბამის პასუხს, არამედ იძლევა თავისი პასუხით ანუ თავისი რეაქციით R_{SA} შესაძლებლობას, რომ მიეხვედეთ, რომ მან აღიქვა კითხვა, როგორც ირიბი თხოვნა, ე.ი. ის იმავდროულად რეაგირებას ახდენს მოლაპარაკის მიერ ნაგულისხმევ, მაგრამ ჯერ არ განხორციელებულ აქ SA₁-ზე (რ. კონრადი, 1985, 357).

კითხვითი წინადადების არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენების აღნიშნული შემთხვევის აღწერა ორიენტირებულია ადამიანური ქცევის ზოგად თეორიაზე და ისახავს მიზნად უფრო ნათლად გამოკვეთოს ასპექტები, რომლებიც პრინციპულად მნიშვნელოვანი იმის გასარკვევად, თუ რა სახის მოვლენასთან გვაქვს საქმე. უნდა აღინიშნოს, რომ „ირიბი ინგერპრეგაცია“ დაკავშირებულია „პირდაპირთან“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კითხვითი

წინადადება ირიბი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში მენარჩუნებულია. აღნიშნული სქემის განხილვა შესაძლებელია იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქმე გვაქვს ქცევის შესაძლებელი სავარაუდო სქემის გარკვეულ შეკვეცასთან. აქედან გამომდინარე, ირიბი სამეცყველო აქტები წარმოადგენს პოტენციურ, წარმოსახვით, გამოგოკებულ და არა რეალურ სამეცყველო აქტებს. ლოკუციური აქტი, რომელიც აუცილებელია SA₁ აქტის რეალიზაციისათვის, არ არის გამოხატული, მაგრამ მსმენელი, მიუხედავად ამისა, მაინც იწევს ერთი ნაბიჯით წინ, უმეტეს შემთხვევაში ხდება თავისებური გადაჯგუფება. როდესაც ამბობენ, რომ გარკვეული კითხვითი წინადადების საშუალებით გამოიხატება „ირიბი თხოვნა“, გულისხმობენ, რომ შესაბამისი „ირიბი თხოვნა“ აუცილებლად უნდა არსებობდეს მოსაუბრის სამეცყველო სტრატეგიაში. სწორედ ამ პირობის გაუთვალისწინებლობა წარმოშობს გაურკვეველი ორაზროვნების საფუძველს, როდესაც სამეცყველო აქტის სტატუსი ერთმნიშვნელოვნად არ განისაზღვრება.

ირიბ სამეცყველო აქტებთან ერთად ლინგვისტური თეორია განიხილავს აგრეთვე ე.წ. ჰიბრიდულ სამეცყველო აქტებს. ამ უკანასკნელის თავისებურება მდგომარეობს ბინარულ პროპორციულ სტრუქტურაში, რომელიც პარალელურად შეიცავს ორი სხვადასხვა სამეცყველო აქტის ილოკუციურ მაჩვენებელს. ასეთი სამეცყველო აქტების მაგალითად რ. კონრადი შემდეგ კონსტრუქციას ასახელებას: "Gibst du mir bitte das Buch?".

აღნიშნულ კითხვით წინადადებაში "bitte" წარმოადგენს თხოვნის ილოკუციურ მაჩვენებელს, რომელიც არ გამომდინარეობს წინადადების შინაარსიდან და დამატებითი მონაცემებიდან კონკრეტულ სიგუაციასთან დაკავშირებით. სახებზე გვაქვს ჰიბრიდული ენობრივი სტრუქტურა, რომელიც შეიცავს თანაბრად კითხვასაც და თხოვნასაც. ასეთ სტრუქტურებს, რომლებშიც ერთი პროპორციის ფარგლებში ერთდროულად რეალიზებულია ორი სხვადასხვა სამეცყველო აქტი ეწოდება ჰიბრიდული სამეცყველო აქტი. ამ უკანასკნელთა წარმოშობის მიზეზი ორი ავტონომიური სამეცყველო სიგუაციის მჭიდრო ურთიერთკავშირია, რომლის დროსაც ხდება ჭარბი ინფორმაციული ელემენტების აბრევირება. გარკვეულწილად ჰიბრიდული სამეცყველო აქტის კომპონენტების



ურთიერთმიმართებას სინტაგმატური შეგვიძლია ვუწოდოთ, ვინაიდან რთული „მეგააქტის“ შემადგენლობაში ხდება განსხვავებული სამეგყველო აქტის კომბინირება. ამრიგად, ირიბი და კომბინირებული ანუ ჰიბრიდული სამეგყველო აქტიც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია პირველად სამეგყველო აქტებთან და გარკვეულ მიმართებაში შესაბამის ლინგვისტურ სტრუქტურასთან. ლინგვისტური სტრუქტურისა და ილოკუციური ძალის ურთიერთობა არაერთგვაროვანია და ზოგიერთ შემთხვევაში ასიმეტრიულობას ამჟღავნებს. იმის მიხედვით, თუ როგორ მიმართებაში ენობრივი სისტემის ცალკეული სტრუქტურა, რომელთაც შესაბამისი სამეგყველო ფუნქცია გააჩნიათ, და სიგუაციური პარამეტრებით განპირობებული ილოკაციური ძალა, ადგილი აქვს პირდაპირ ანუ ფიქსირებულ, ირიბ ან მეორად და ჰიბრიდულ ან სინტაგმატურ მიმართებებს. ლინგვისტური სტრუქტურის სემანტიკასა და ფუნქციების მიმართება სამივე შემთხვევაში განსხვავებულია და კომუნიკაციური სიგუაციის სპეციფიკითაა განპირობებული. სემანტიკის, ფუნქციისა და სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების დინამიკურ ჭრილში განხილვა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ლიტერატურა

1. Г. Кларк, Г. Карсон - Случающий и речевой акт. Новое в Зарубежной Лингвистике. Москва, Прогресс, 1986.
2. И.М. Кобозова - Основы теории речевых актов. Новое в Зарубежной Лингвистике. Москва, Прогресс, 1986.
3. Р. Конрад - Вопросительные предложения как коэственные речевые акты. Новое в Зарубежной Лингвистике. Москва, Прогресс, 1986.
4. П.Стросон - П. Стросон - Намереные и конвенция в речевых актах. Новое в Зарубежной Лингвистике. Москва, Прогресс, 1986.
5. J.R. Searle - Indirrect Speech acts. New York, 1975.
6. M.A.K Halliday - Language structure and Language function. New Horizons in Linguistics, 1970.
7. R. Power - The organization of purposeful dialogues. Linguistics. 1979.

The paper deals with the problem of the contextual changes of the usual meaning of the lingual forms of interrogation. In the work there is given a vivid picture of the linguistic basis of the Question Category from the communicative linguistics perspective perfect description of the pragmatics in general. It is the new trend in the modern linguistics which makes possible observation of the direct and indirect speech acts. The description of the indirect speech acts show that in indirect interrogative speech act still maintains the interrogation. Under the indirect speech act we mean the interrogative speech act used with its indirect meaning. The indirect speech acts has the linguistic expression, that's why while discussing this linguistic phenomenon not only the linguistic background, but the contextual environment should also be taken under the account. Though it's difficult to draw the boundary between the linguistic and nonlinguistic spheres in communication.

The influence of the neighbouring fields on the Field on the Interrogation produces the new meanings of the interrogative constructions. The pragmatic meanings of the interrogative sentences are the indirect meanings of the constructions.

It became possible to reveal these meanings on the bases of the new trends, such as the speech acts theory and linguopragmatics, what is connected to the immanent stage of the language learning.

ინგლისური ენის კათედრა

ეკა კახიძე

საქართველოს ავტონომიის საკითხი სოციალისტ- ურდერალისტთა პრესის ურსლეზზე

XX საუკუნის დასაწყისში უცხოეთში გამოჩვეულმა გაზეთმა „საქართველომ“ პირველმა წამოაყენა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა პოლიტიკურ ლოზუნგად და ამ იდეის გარშემო გაერთიანებისაკენ მოუწოდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს.

„საქართველოს“ რედაქციამ აქტიური მუშაობა დაიწყო პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად და გადაწყვიტა, იმხანად საზღვარგარეთ მოქმედი ქართული რევოლუციური წარმომადგენლების კონფერენცია მოეწვიათ. „საქართველოს“ რედაქციის მიზანი იყო გაერკვია: 1. რას ფიქრობდნენ ქართული რევოლუციური ორგანიზაციები ეროვნულ საკითხებზე; 2. შესაძლებელია თუ არა მათი გაერთიანება ეროვნულ ნიადაგზე, კერძოდ, საქართველოს ავტონომიის დროშის ქვეშ.

გაზეთ „საქართველოს“ დიდი დამსახურება იყო, რომ მან პირველმა დააყენა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი. ქართული პრობლემების პოპულარიზაციისა და ევროპის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით, არჩ. ჯორჯაძემ, გ. დეკანოზიშვილმა და მათმა თანამებრძოლებმა პარიზშივე გამოსცეს „საქართველოს“ ფრანგული დამატება „ლა ჟეორჟე“ (La George). მასში „საქართველოდან“ გადაბეჭდილ და ქართულად თარგმნილ მასალებთან ერთად იბეჭდებოდა ფრანგი და სხვა დასავლეთ ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების წერილები და გამოსხმურებანი.

გაზეთის დამსახურებას საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეის პოპულარიზაციის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველი მამულიშვილები.

მაგალითად, გ. ლასხიშვილი აღნიშნავდა: „გაბეთმა მტკიცედ დასცა საქართველოს ეროვნულ-გერიგორიული ავტონომიის სამშობლოშიც, რუსეთშიც, ევროპაშიც. გარდა ამისა, თავისუფალი ქართული ორგანოს ფურცლებზე საფუძველი ჩაეყარა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების კონსოლიდაციის კონცეფციას. ეს იყო ეროვნული კონსოლიდაციის ავტონომიისგური ვარიანტი“ (1, 160).

მას შემდეგ, რაც ერთმა ცნობილმა ჯგუფმა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის ამრი წამოაყენა, ჩვენმა ქვეყანამ მრავალი პოლიტიკური თუ სოციალური გავლენა განიცადა. ავტონომიის ამრი საბოლოოდ არც კი იყო ჩამოყალიბებული, როცა რევოლუციის პირველმა ქარიშხალმა დაბერა. თავადაზნაურული ინგელიგენცია, რომელიც თავის თავს ნაციონალ-დემოკრატიებს უწოდებს, მხარს უჭერს თვითმმართველობის საკანონმდებლო უფლებებით. ამასვე აცხადებს თავის გაბეთში ქართული ბურჟუაზიის პირველი ორგანიზაცია.

სოციალ-დემოკრატთა ერთ ნაწილს საქართველოს ავტონომიის გარეშე ვერ წარმოედგინა ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. ხოლო სოციალ-დემოკრატთა მეორე ნაწილი წინანდელივით აღარ უფრთხოდა ავტონომიის იდეას. იგი ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ ნაციონალურ-გერიგორიულ ავტონომიას, ისიც სუსტად. წარმოედგინა მთავარი ეროვნულ საკითხებზე ისე, რომ მასში სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ჰქონდეს ნაციონალურ-გერიგორიული ავტონომიის საკითხებს (ხასგასმა ავტონომიას).

გაბეთი „ამირანი“ წერდა, თუ როგორ მიიღო ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს ავტონომიის იდეა. „საქართველოს ავტონომიის იდეა ღლითი-ღლე ახალ-ახალ საზოგადოებრივ წრეებს და ჯგუფებს იზიდავდა. ავტონომიის იდეის სისტემატურ ზრდას და განვითარებას ხელი ვერ შეუშალა ვერც რევოლუციურმა მოძრაობამ და ვერც რეაქციამ. საქართველოს ავტონომიის იდეა თითქოს რუსეთის საერთო საიმპერიო პოლიტიკურ მდგომარეობაზე მალა ავიდა და თითქმის იმისი განვითარება თავის საკუთარ გზაზე ღვას. ამ ერთი წლის წინათ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ საქართველოს ავტონომიის იდეისათვის ჩვენს ქვეყანაში ყოველ მიმართულებას, ყოველს საზო-



გაღობრივს წრეს აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწია. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პოლიტიკურმა იდეამ ყველა ქართულ მიმართულებაში საპაგიო ადგილი დაიჭირა“ (2, 1).

საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეის ასეთი სწრაფი გავრცელება და გამარჯვება მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იგი ჩვენი ცხოვრების ბუნებრივი ნაყოფი იყო და მის გარეშე არც მაშინ და არც ახლა ქართველს არ გაეძლებოდა. ის ბრძოლაც ავტონომიის იდეისათვის, რომელსაც ეწეოდნენ ფედერალისტები, არსებითად და ისტორიულად იყო XIX საუკუნის გამოძახილი.

ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ ეროვნული საკითხი უნდა გადაეწყვიტა ბურჟუაზიულ რევოლუციას. ამიგომ ისინი მონაწილეობდნენ იმ რუსული პოლიტიკური ძალების საქმიანობაში, რომლებიც, მათი აზრით, მომავალ ფედერაციაში საქართველოს ავტონომიის აღიარების მომხრენი იქნებოდნენ.

ფედერალისტებმა დიდი შრომა და ენერჯია დაახარჯეს თავის ღრობე იმას, რომ საქართველოს თავად-აზნაურებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიის საჭიროება ეცნო.

გაბეთი „ისარი“ წერს: „როცა გფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ოფიციალურად გამოთქვა ავტონომიის აუცილებელი საჭიროება უქვეშევრდომილეს აღრესში, ჩვენის მოწინააღმდეგეთა მეორე ნაწილმა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, ბუკსა და ნალარას დაჰკრეს. გარეშე მაყურებელსაც რამოდენიმე საბუთი ჰქონდა მაშინ ეფიქრა, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები ერთსულ არიან ქართველ თავად-აზნაურობასთან“ (3, 1). გარეგნობა მომხიბლავი იყო, საკმაოდ კარგი დასკვნა გააკეთეს სოციალ-დემოკრატებმა. ისარგებლეს კიდევაც ამ გარეგნობით. მაგრამ ეს ასე არ იყო და საჭიროებდა გარკვევას. ფედერალისტებს მართლაც სჭირდებოდათ, რომ თავად-აზნაურობს ეცნოთ ავტონომიის საჭიროება, რომ რუსეთისათვის დაემტკიცებინათ მისი აუცილებლობა.

მაშინდელი პრესის ფურცლებიდან ირკვევა, რომ სწორედ ამის შეძღვე დაიწყო მწვავე წინააღმდეგობა სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. ნელ-ნელა ნათლად ირკვეოდა, ერთი მხრივ, სოციალ-ფედერალისტების და ქართველი თავად-აზნაურობის აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო მეორე მხრივ კი სოციალ-ფედერალისტების მორალური

აღმაგებულობა ქართველ სოციალ-დემოკრატებზე. დასრულდა ეს ხანგრძლივი ბრძოლა, დასრულდა ისე, როგორც ვინცაღმაგებულობა დასრულებულიყო. „ჭეშმარიტებამ გასგება ფოლადის ჯაფმანივით მოკლე სოციალ-დემოკრატების ჯიუგობა, სიმართლემ გაანგრია ილეურ სიკერპის კელელი და ქართულმა სოციალ-დემოკრატებმა პრესსამ ბოლოს წრფელის გულით აღიარა, კმარა, გვეყოფა, გეწამს, რომ დაჩაგრულ ქართველი ერისათვის პოლიტიკური ავგონომიაა საჭირო, ღიახ, ავგონომია“ (4, 2).

ფედერალისტები მაშინ რუსეთის ერთიანობის შენარჩუნების მომხრეებად გამოდიოდნენ, ოღონდაც იმ პირობით, რომ საქართველოს მიცემოდა ავგონომია.

ამ პერიოდში ბათუმში განახლდა გაზეთი „ჩერნომ ვესტნიკ“-ის გამოცემა შ. დავიდოვის რედაქტორობით და ა. ნიკიგინის გამოცემით. ისინი გამოეხმაურნენ ავგონომიის მოთხოვნის იდეას. ამ გაზეთის მთავარი დანიშნულება და საზრუნავი საქმე იყო ქართველების დევნა. აი, რას წერს გაზეთი „ისარი“ 1907 წლის №276-ში: „ბ-ნი პალმი არ ჰფარავდა და პირდაპირ ებრძოდა ქართველი ერის ყოველ ცდას, ყოველ ნაბიჯს თვითგამორკვევის გზაზე. ეს იყო მგერი პირდაპირი და ქართველმა ხალხმა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე... მაგრამ სულ სხვაა აღორძინებული „ჩერნომ ვესტნიკ“-ი, ვის და რას ემსახურება ეს გაზეთი ძნელი გამოსარკვევია. მასში ყველა წერილის შინაარსი არის ლანძღვა-გინება სოციალისტ-ფედერალისტებისა. გაზეთის რედაქტორებს — დავიდოვს, პალმს, ნიკიგინს ძალა არ შესწევთ ღიდი, მაგრამ ისინი ცხვრის გყავში ეხვევიან და ვითომ ხალხის ინტერესებს იცავენ, ვითომ ავგონომია-ფედერაციის იდეას ეწინააღმდეგებიან, მათი ბრძოლა ფედერალისტების წინააღმდეგ სულ სხვადასხვა რჯულისაა... ნიმუშად მოვიყვან ადგილებს მხოლოდ ერთი წერილიდან, რომელიც უფრო „პრინციპულია“ ვითომ და ამით გაზეთი თავის აზრს არკვევს ავგონომიასა და ფედერალისტებზე. „შეფრთხა და დაგვიანდა რუსეთის განახლების საქმეო, წერს ამ გაზეთის მეფელეგონე შ. დ., ამის მიზეზი არიანო „ჭეშმარიტი რუსები“ და... ადგილობრივი ფედერალისტებო, რომელნიც თითქოს იმ აზრით გაიმსჭვალენ განზრახ, რომ შეიგანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხეთქილება და სულიერად ერთმანეთს დააშორონ ერთმანეთს შესისხლბორცებული ერები“ (4, 2).

თურმე ბრალი ფედერალისტებს მიუძღვით, რომ რუსეთი ამდენ ხანს ვერ განახლდა. გაზეთის სიგყვებით, ფედერალისტებს ემინდობოთ სინათლისა და ურჩევნიათ „buhfnd d ntvye.8“ და რას ნიშნავს ეს „buhfnd d ntvye.“ შ. დ. ამგვარად გვიხსნის: „ფედერალისტების პარტიის წადილი მხოლოდ ის რომ იყოს, რომ საქართველოში, კაკეასიაშიც და სამოგადოდ მთელს რუსეთში ფართო თვითმმართველობა დამყარდეს, რასაკვირველია, პროგრესულ სამოგადოებას ამის წინააღმდეგი არაფერი ექნებოდა... მაგრამ, თუ რომელიმე პარტია რაღაც კუკუმაღულობას თამაშობს, იგი ჩრდილს აყენებს მთელს ერს, ჰლუპავს თავისიანებსაც და სხვებსაც“ (4, 1).

აი, პრინციპული შეხედულება, თუნდაც შეუფასება ფედერალიზმზე და ავტონომიაზე. ქართველთაგან ავტონომიის მოთხოვნა ყოველთვის ცუდად აღიქმებოდა რუსეთისათვის. მათ არ უნდოდათ საქართველოსა და ქართველების თავისუფლება. სწორედ ეს თავისუფლება აშინებდა „უფროს ძმას“...

ცნობილი მეცნიერისა და სოციოლოგის მ. კოვალევის გაზეთი „სტრანა“ ქართველი ერისათვის მეტად საჭირობოროტო და საგულისხმო საკითხს ეხება. „ავტონომიის მოთხოვნა“ ქართველთაგან „დაღუპვას უქადის მთელს საქართველოს ერს“ (4, 2). ეს გაზეთი ადანაშაულებს ფედერალისტურ პარტიას, რომ ეს არის მონობის ქადაგება და ბრძოლა თვითგამორკვევისა და თავისუფლებისაკენ ერთა მისწრაფების წინააღმდეგ.

არც ერთ საკითხს არ გამოუწვევია ისეთი აყალ-მაყალი პრესაში, როგორც ეროვნულმა საკითხმა სამოგადოდ და ავტონომიისამ. მძულვარებითა და ფანტასტიკური სისასტიკით იღვენებოდა იდეა საქართველოს ავტონომიისა, რომელიც ნათლად ჩანს, ვინც ინებებს და „მოგზაურში“ დაბეჭდილ ფ. მახარაძის წერილებს გადაიკითხავს. მათში ყველგან ერთი ამრია გატარებული, რომ ავტონომიის მოთხოვნა ქართველ ერს დააყენებს უკან დახევის გზაზე, დაამორებს რუსეთს. ეს კი დაღუპვააო.

პროფესორ დიმიტრი შველიძის ნაშრომში „ფედერალისტები“ ვკითხულობთ აწ განსვენებული ალ. წულუკიძის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ „ცენტრალიზმი მუშა ხალხის მხსნელია და ავტონომია კი არამც თუ ტაქტიკურის მოსაზრებით, პრინციპიალურადაც უარსაყოფელიაო. ხოლო რაც ავტონომიისა და

ეროვნული საკითხის შესახებ არალეგალურ ლიგერაგურაში იწერებოდა, ამაზე ნულარაფერს მკითხავთ, რანაირი ბრალდება გინდათ, რომ იქ არა ყოფილიყოს წამოყენებული ავტონომიის იდეის დამცველთა წინააღმდეგ, რანაირის სიბუნძურით არ აღივსებოდა ხოლმე გაზეთების ის ფურცლები, რომელზედაც ეროვნული საკითხი ირჩეოდა!“ (5, 2).

აი, როგორ აფასებს გაზეთი „ამირანი“ ავტონომიის მოთხოვნას სხვა ერებთან მიმართებაში, რომლებიც ამ პერიოდში ცხოვრობდნენ საქართველოში და არ ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს ავტონომიას: „რაც შეეხება კერძოდ საქართველოს, ჩვენ იგი ერთ კულტურულ და ეკონომიკურ მთელად მიგვაჩნია. მართალია, საქართველოში სხვა ერებიც მოსახლეობენ, მაგრამ მათი და ქართველების ინტერესები ისე მჭიდროდაა გადაბმული ერთიერთმანეთზე, ისგორიულმა ცხოვრებამ ისეთი მჭიდრო კავშირი დაამყარა მათ შორის, რომ იმათთვის საქართველოს ავტონომია სასურველი იქნება, ყოველ შემთხვევაში, რაკი კონსტიტუციაში აღნიშნული იქნება მათი ეროვნული უფლებანიც და თვითოეულ მათგანს მიეცემა კულტურული ავტონომია, სადავო საქართველოში აღარაფერი დარჩება“ (6, 1).

საუკუნეების განმავლობაში ვის უნახავს ქართველი კაცისაგან დაჩაგრული სხვა ერები, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, ავტონომია არც ერთი ერისათვის საზიანო არ იქნებოდა.

ეროვნების განვითარებისათვის საჭიროა ფედერაციის დაარსებაც და ავტონომიაც. მაგრამ ფედერაციის დაარსებას წინ უნდა უძღოდეს ეროვნული ავტონომიების დაარსება. „ერთობა ერთა შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერები იქნებიან ყველანი ერთნაირად თავისუფალნი, თანასწორნი. იქნებიან აღჭურვილნი ერთნაირის უფლებით... რა არის ავტონომია? ეს საუკეთესო დემოკრატიული ხალხური წეს-წყობილებაა, რომელიც კი შესაძლებელი იყო მაშინდელ პირობებში. ჩვენი ავტონომია არის თვითმმართველობა, თვითმმართველობის პრინციპის აღსარება არა მარგო სიტყვით, არამედ მისი განხორციელება საქმით. ჩვენ ვთხოვლობთ, რომ ხალხი თვითონ იყოს თავის მმართველი“ (7, 32).

სოციალ-დემოკრატები თავიანთ გაზეთებში წერდნენ, რომ

ავტონომია ერებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ, ერთმანეთს დააპირისპირებდა. ერთს ერს გააბატონებდა მეორე. ავტონომიის დამყარებას მოჰყვებოდა მუშათა კლასის დაქსაქსვა და კლასთა ბრძოლის შესუსტება. ამის პასუხად სოციალისტ-ფედერალისტები წერდნენ, რომ „გერმანიაში პროლეტარიატის შეერთებას სხვადასხვა სახელმწიფოების ავტონომიურმა თვითმმართველობამ სრულიად ხელი არ შეუშალა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ავტონომია კარ-ჩაკეტილობას კი არა, ადგილობრივი ინტერესების დაკმაყოფილებას აღნიშნავს ადგილობრივ მკვიდრთა თვითმოქმედების საშუალებით“ (8, 2). „და სწორედ მშრომელი ხალხის კლასობრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული თვითმმართველობა იქმნეს დაარსებული. მშრომელ ხალხს სწორედ ამ თვითმმართველობების ფარგლებში შეუძლია საუკეთესოდ დაიცვას თავისი ინტერესები და პრაქტიკულად მეტი ბარაქა მისცეს იმ ბრძოლას, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდებაო“ (9, 2).

1905 წლის 1 აპრილს გაიმართა სათავადაზნაურო კრება, რომელზედაც ბევრი იკამათეს ავტონომიის შესახებ. მ. მაჩაბელმა უარყო ავტონომიის მოთხოვნა. ვ. მუსხელიშვილი იწონებდა ავტონომიის იდეას. მიაჩნდა, რომ ამით ხალხი შეიძენდა თვითმმართველობის უნარს.

ღავ. ჯორჯაძე აღნიშნავდა: „ბ-ნ მაჩაბელმა ან არ იცის, რა არის ავტონომია, ან განგებ ამახინჯებს ავტონომიის მნიშვნელობას. მიაქციეთ ყურადღება ფინლანდიის და პოლონეთის ყოფილ ავტონომიას და მიხვდებით, რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში.“

კენჭის ყრის დროს ავტონომიას კრების დიდი უმრავლესობა აღმოუჩნდა მომხრე. თავად-აზნაურთა კრებებს, რომელიც იმართებოდა თ. ქობულაშვილის სახლის დიდ დარბაზში, უამრავი გარეშე ხალხი ესწრებოდა. დამსწრენი მხურვალე თანაგრძნობით მიეგებნენ ავტონომისტების გამარჯვებას.

ამ მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ფედერალისტების მიერ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, თითქმის გაითვალისწინეს სოციალ-დემოკრატებმა. დღის წესრიგში დადგა ეროვნული პრობლემების გადასინჯვის საქმე.

1910-იანი წლებიდან იწყება ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა და ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის, რაც არჩ. ჯორჯაძის, ვ. ლასხიშვილის, ვ. დეკანოზიშვილის და ბევრი

მათი თანამებრძოლების დაუღალავი ეროვნული მოღვაწეობისა და ბრძოლის შედეგად იყო.

სწორედ ქართველი ფედერალისტების დიდი დამსახურება იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისში, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა, საქართველოს ეროვნულ-გერიგორიული ავტონომიის ფორმით, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ლომუნგად გადაიქცა.

ლიტერატურა

1. გ. ლახვიშვილი, მემუარები, თბ., 1934.
2. გაზეთი „ამირანი“, ქუთ., 1908, № 151.
3. გაზეთი „ამირანი“, ქუთ., 1908, № 152.
4. გაზეთი „ისარი“, ქუთ., 1907, № 276.
5. გაზეთი „ისარი“, ქუთ., 1907, № 260.
6. არჩილ ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990.
7. „ეროვნული თვითმმართველობა“, გვ. 32.
8. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, № 2602.
9. დიმიტრი შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, თბ., 1993.

ЕКА КАХИДЗЕ ВОПРОС ОБ АВТОПОЛИИ ГРУЗИИ НА СТРАНИЦАХ ПРЕССЫ СОЦИАЛ-ФЕДЕРАЛИСТОВ РЕЗЮМЕ

Выходящая за границы в начале XX века газета "Сакартвело" первая выдвинула требование и национально-территориальной автономии Грузии. Редакция "Сакартвело" развернула активную работу по созданию политической партии. Решено было созвать конференцию с участием представителей действующих в то время за границей грузинских революционных фракций, которая должна была выяснить: 1. что думали грузинские революционные фракции о национальных вопросах; 2. было ли возможно их объединение на национальной почве, в частности под знаменем автономии Грузии.

Именно вокруг газеты "Сакартвело" собрались будищие социал-федералисты. Их объединение предусматривало восстановление национальной государственности в форме национально-территориальной автономии. Федералисты старались убедить грузинское дворянство в признании необходимости политической автономии страны.

В связи с вопросами автономии возникло острое противостояние между социал-федералистами и социал-демократами. Преимущество федералистов было явным. В конце концов и социал-демократы признали, что "угнетенному грузинскому народу нужна политическая автономия".

Большой заслугой грузинских федералистов было то, что выдвинутое им в начале XX века требование восстановления национального самоуправления _ в форме национально-территориальной автономии Грузии _ стало лозунгом национально-освободительного движения.

ქუთაისის ისტორიის შემსწავლელი ინსტიტუტი

ამირან კვიციანი

საადგილგაგონო ურთიერთობანი ქუთაისის მაზრაში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში, ისევე როგორც მთელი რუსეთის იმპერიაში, სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობამ სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება, მრავალდებოდა კაპიტალისტური საწარმოები, თანდათან ყალიბდებოდა საზოგადოების ახალი ფენები - ბურჟუაზია და პროლეტარიატი. კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა - განვითარება შესამჩნევ გავლენას ახდენდა სახელმწიფოს, გაბატონებული კლასების სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე, მწარმოებლური კლასის მეურნეობაზე.

სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ საქართველოში დააჩქარა მემამულურ-ბაგონყმური წყობილების რღვევა, ძირი გამოუთხარა საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებულ ფეოდალურ ურთიერთობებს. ამკარად იგრძნობოდა, რომ ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ველარ აკმაყოფილებდა ცხოვრების გამრდილ მოთხოვნილებებს, პირიქით, აბრკოლებდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას.

ძველი, დრომოჭმული ფეოდალურ-ბაგონყმური სისტემის კრიზისმა თავი იჩინა ყირიმის ომის დროს. ომმა განსაკუთრებით დასაველეთ საქართველო - ქუთაისის გუბერნია დაზარალა; გაჩანაგდა მეურნეობა. გაუსაძლისი მდგომარეობის გამო გლეხების მხრიდან მებაგონეებისადმი დაუმორჩილებლობა და აჯანყებები ფართო ხასიათს ღებულობდა. დაქირავებული შრომის უპირატესაბა ბაგონყმურ მეურნეობასთან შედარებით ამკარად შეიმჩნეოდა. „ყმები ძველინდელი სამსახურის მეგს არ ასრულებენ. რომელ ბაგონს ძველად არ უთესია ხორბალი, ის ეხლაც ვერ დათესავს, რაც უნდა დარწმუნებული იყოს ხორბლის სარფიანობაზე; ახალ გუთანს, ახალ მაშინას ხელს არავინ მოჰკიდებს ყმებთაგან, თუ ბაგონმა ფულით არ დაიჭირა მუშები“ [1;2]. ქართველი მემამ-

მულეები თანდათან დარწმუნდნენ, თუ რა უპირატესობა ჰქონდა ყმა გლეხის შრომასთან შედარებით დაქირავებული, თავისუფალი მუშახელის შრომას. „ჩვენი გლეხები ისე გაბარმაყებული არიან მეზაგონის სამსახურზე, რომ სანამ დღე კარგად არ გაგყდება და საუბმის დრო არ მოაგანს, არ მოვლენ სამუშაოდ“ [2;415].

ქვეყანაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ აიძულა იმპერატორ ალექსანდრე მეორის ხელისუფლება გაეგარებინა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთაგან უმთავრესი საგლეხო რეფორმა იყო, და რომელმაც ძირითადად განსაზღვრა იმპერიის შემდგომი ეკონომიკური განვითარება.

XIX საუკუნის 50-იან წლებში საქართველო აგრარულ ქვეყანად რჩებოდა, რომლის მაგერიალური დოვლათის მწარმოებელ ძალას, ძირითადად, გლეხობა წარმოადგენდა. ყმა-გლეხობა სამკატეგორიას ქმნიდა- იყვნენ სახელმწიფო, საეკლესიო და საბაგონო გლეხები; აღნიშნულ პერიოდში მათი საერთო რაოდენობა საქართველოში 136 073 კომლს უდრიდა. მათ შორის: საბაგონო გლეხები შეადგენდნენ 44,5%-ს, სახელმწიფო - 43,6%-ს, საეკლესიო-11,9%-ს [3;63].

ქუთაისის გუბერნია შეიდ მაზრად იყოფოდა - ქუთაისის, შოროპნის, რაჭის, ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და ოზურგეთის. მათ შორის ქუთაისის მაზრა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ერთეული იყო.

ქუთაისის მაზრის (თანამედროვე ქვემო იმერეთი) სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მისმა ცენტრალურმა მდებარეობამ დას.საქართველოში და რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა. მაზრა მოიცავდა კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს, სამხრეთით მისი ბუნებრივი ზღუდე ახალციხე-იმერეთის ქედი იყო; დასავლეთით საზღვარი, ძირითადად, მდინარე ცხენისწყალს მაჰყვებოდა, ხოლო ჩრთილოეთით მდინარეების - რიონისა და ცხენისწყლის შუადინებებს [4;3]. ქუთაისის მაზრის რელიეფი, ჰავა, ნოციერი ნიადაგები, წყალუხვი მდინარეები და გყის მასივები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეურნეობის განვითარებისთვის.

ქუთაისის მაზრის ფართობი 2 988 კვ ვერსტს შეადგენდა [5;4]. 1864 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრობდა 703.706 სული, აქედან ქუთაისის მაზრაში ცხოვ-

რობდა 129 99 სული; მაზრაში მეზოგონეების საერთო რაოდენობა შეადგენდა 1546 სულს, საბაგონო გლეხებისა-32134 სულს (მამრ.სქესი), სახაზინო და საეკლესიო გლეხებისა - 25303 სულს (მამრ.სქესი)[6;2]. 21 სულზე (მამრ.სქესი) ნაკლებ გლეხს ფლობდა ქუთაისის გუბერნიის 3776 მეზაგონე, 21-დან-500-მდე-831 მეზაგონე, 500-დან-1000-მდე-7 მეზაგონე, ხოლო 1000-ზე მეტი მამრობითი სული ჰყავდა 4 მეზაგონეს.

რეფორმის წინ საქართველოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ვაჭრობა-აღები-მიცემობა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ყიდვა-გაყიდვა; სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი გადიოდა არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე, არამედ მეზობელ გუბერნიებში და საზღვარგარეთაც; საქართველოდან რუსეთში გაჰქონდათ ღვინო, თამბაქო, სიმინდი, ხილი და სხვ; ადგილობრივ ბაზარზე გამოჩნდა ევროპული საქონელი.

ბაზრისათვის პროდუქტების წარმოება, ანუ სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ, დააყენა სოფლის მეურნეობის გარდაქმნა- გაუმჯობესების საკითხი.

1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე მეორემ გამოსცა მანიფესტი, „საერთო დებულება ყმური მდგომარეობიდან გამოსულ გლეხთა შესახებ“ ამ კანონის ძალით რუსეთში ბაგონყმობა გაუქმდა; გლეხებმა მიიღეს პირადი თავისუფლება, რაც შეეხება მიწას, იგი მეზაგონეების საკუთრებად დარჩა. ყოფილმა ყმებმა მიიღეს მიწის შედარებით მცირე ნაკვეთები-ნაღებები, რომელთა გამოსყიდვამდე ისინი ღრობითვალდებულად რჩებოდნენ, ისდიდნენ გადასახადებს და ა. შ.

რუსეთში გაგარებული საგლეხო რეფორმა დაედო ძირითად საფუძვლად საქართველოში გაგარებული აგრარულ კანონებს, რომლებიც მოგვიანებით იქნა მიღებული.

1864 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა გამოსცა კანონი „დამატებითი წესები 1861 წლის თებერვლის დებულებისადმი საბაგონო გლეხთა განთავისუფლების შესახებ თბილისის გუბერნიაში“.

მუსგად ერთი წლის შემდეგ, 1865 წლის 13 ოქტომბერს, ალექსანდრე მეორემ გამოსცა მანიფესტი „13 ოქტომბრის დებულების დამატებითი წესები საბაგონო გლეხთა განთავისუფლების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში,“ რომელიც 8 ნოემბერს გამოქ-

ვეყნდა. კანონის თანახმად, ქუთაისის გუბერნიის საბაგონო ყმებში მიიღეს პირადი თავისუფლება. ამიერიდან მემამულეს აკრძალეს ყმის ყიდვა-გაყიდვა, მისაღმი თვითნებური მოპყრობა, ვალდებულებების უკანონოდ დაწესება და შეცვლა; გაუქმებულად იქნა გამოცხადებული არაპირდაპირი გადასახადები ძღვენ-საჩუქრების, ფრინველის, პროდუქტებისა და ფულის სახით. ყოფილ ყმას მიეცა უფლება მემამულის ნებართვის გარეშე შეექმნა ოჯახი, ეყიდა უძრავ-მოძრავი ქონება და თავისი ნება-სურვილით განეგო ის, დაედო გარიგების ხელშეკრულება ვისთანაც სურდა, ეწარმოებინა ვაჭრობა, მიეღო განათლება, წოდება, შეეგანა სარჩელი სასამართლოში და ა.შ.

მართალია, ბაგონყმობა გაუქმდა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველი თავად-აზნაურობის ინტერესები არ შელახულიყო. „ღებულების“ მიხედვით, მთელი მიწის ფონდი მემამულეთა საკუთრებაში დარჩა, ხოლო მიწის ის ნაწილი, რომელიც ოდითგანვე გლეხობის სარგებლობაში იყო, ახლა იგივე გლეხს ეძლეოდა მხოლოდ გამოსყიდვის გზით.

ყმადყოფილ გლეხს მიწის გარეშე არსებობა, ცხადია, არ შეეძლო. გარდა პირადი სარგებლობისა, მას უნდა შეესრულებინა სხვადასხვა ვალდებულებანი სახელმწიფოსა და მემამულის წინაშე. ყოველივე ეს მთავრობამ გაითვალისწინა და გლეხებს მუდმივ სარგებლობაში (და არა საკუთრებაში) მისცეს მიწის მცირე ნაკვეთი- ნადელი.

„ღებულება“, აწესებდა საკომლო მიწის უმაღლეს ზომას, მინიმუმს კი არ საზღვრავდა. ეს ნიშნავს იმას, რომ მემამულეს შეეძლო გლეხისათვის გამოეყო მცირე ნაკვეთი ან სრულებით უმეწოდ დაეგოვებინათ. მცირემიწიან მემამულეს (30 ქცევაზე ნაკლების მფლობელს) არ ევალებოდა თავისი ყოფილი ყმისათვის მიეცა ნადელი. ღებულების ამ მუხლით ისარგებლეს იმერელმა თავად-აზნაურებმა და უმიწოდ გაათავისუფლეს 4 ათასი (20 ათასი სული) კომლი გლეხი.

საქართველოში ბაგონყმობის გაუქმებით პირადი თავისუფლება მიიღო სულ 82680-მა კომლმა, დაახლოებით 0,5 მლნ.-მა ყმა გლეხმა [7;116] აქედან უმიწოდ დარჩა 7051 კომლი.

ქუთაისის გუბერნიაში ნადელის გაცილებით ნაკლები ნორმა დაწესდა, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. იგი არ აღემატებოდა 4-დან 12 ქცევას ანუ 4,5 ღესეგინას. თუმცა, ასეთი რაოდენობის



მიწა, ყოფილმა ყმებმა იშვიათად მიიღეს.

ნადელების გამოყოფის დროს მემამულეებმა გლეხებს ჩამოაჭრეს არა მარგო მათ სარგებლობაში არსებული მიწები, არამედ საკუთარი, მემკვიდრეობით მიღებული ან ახლად შეძენილი მამულეები; გლეხებს სიგელები ან ნასყიდობის საბუთები ჰქონდათ საკუთარ მიწებზე; მოგიერთმა მათგანმა ბაგონყმობის გაუქმებამდე შეიძინა საკუთრებაში მიწის ნაკვეთი და გაითავისუფლა თავი მემამულისაგან. ასეთ გლეხებს ყოფილი ბაგონები შესაბამის მოწმობებს აძლევდნენ. აი, ერთი ასეთი მოწმობა; „ჩყნე წელსა (1855წ)... მე ქვემორე ხელის მომწერელი მეზაგონე... არჩილ და ასლან ჰაბაგასძენი წულუკიძენი ვაძლევთ ამა მოწმობას ნაყმევსა ჩვენსა მცხოვრებსა... სოფელსა გუბსა თედორე მამუკას ძეს მოსემვილსა მას შინა რომელ მან მოსემვილმან შეიძინა საკუთრებად... ორას მანეთ ვერცხლის ფულად მდგომარე მისის სარგებლობაშიდ... ადგილ მამული, აგრეთვე სასაფლაო და შენობანი და მოისპო ყოველივე მოვალეობითი დამოკიდებულება და შეირაცხა რიცხვთა შორის გლეხებთა საკუთრების მქონეთ მას შინა...“ [9;25].

მაგრამ მთავრობამ ასეთ საბუთებს ყურადღება არ მიაქცია და ყველაფერი, როგორც საკუთარი მიწა გლეხისა, ისე ის მიწა, რომელითაც ის სარგებლობდა, ნადელში გააერთიანა, ე.ი. ჩამოჭრა.

„ღებულებით“ ქუთაისის გუბერნიის მიწა უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნა. უმაღლესი კატეგორიის 1 ქვევა მიწა 15 მანეთად შეფასდა, ხოლო დაბალი-7 მანეთად. ერთ კომლზე საკარმიდამოსა და მთელი მიწის (ნადელის) გამოსასყიდ ფასს 350 მან (ვერცხლით) არ უნდა გადაეჭარბებინა, ხოლო თუკი მიწა დაბალი კატეგორიისად ჩაითვლებოდა-250 მანეთისთვის. სანადელო მიწაზე დაწესებული გადასახადები მიწის კატეგორიის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: [10;21]

სახმარო მიწების კატეგორიები

ღაწესებული ბაღასახალი

საკარმიდამო (საემოვე) იწაზე, რაც ქუთაისის გუბერნიისა არ აღემატებოდა ერთ ქვევას	
3-6 მან. წელიწადში	
ბალ-ვენახზე	კულუხი ღვინის მოსავლის 1/4-დან 1/2-მდე
სათიბზე	1/3
სახნავ-სათოხზე	ღალა-მოსავლის 1/4-დან 1/2-მდე
გვებზე	ნებაყოფლობითი შეთანხმებით
სამოფარზე	1 ლესტგინაზე 1 მან. ან თითოეულ პირუტყვზე კაპიკიდან 2 მანეთამდე სამუალოდ



1864 წლის „დებულებით“ ნადელების გამოსყიდვამდე გლეხები დროებით ვალდებულად იწოდებოდნენ.

მემამულისა და ყმადყოფილის ურთიერთობა ფორმდებოდა საწესდებო სიგელით. მასში აღინიშნებოდა გუბერნიის, მაზრის-სოფლის საზოგადოების დასახელება, მემამულის გვარი, სახელი, მამის სახელი, კომლთა რაოდენობა, მიწების საზღვრები და ხარისხი (სარწყავი-ურწყავი), მემამულესა და გლეხს შორის გარიგების პირობები, ნადელის ზომა, მასზე დაწესებული გადასახადები, შეთანხმება საძოვარი ადგილებით, გყეებით და სარწყავი არხებით სარგებლობაზე და სხვა...

რეფორმის შემდეგ ქართველი თავადაზნაურობა ყმების გარეშე დარჩა, შემოსავალი და მიწის დამამუშავებელი მოაკლდა; გლეხები, მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, ხშირად ვერ იხდიდნენ მათზე დაკისრებულ გადასახადებს; მემამულეები კი ძველებურად მოითხოვდნენ ბევარასა და ღალატს, მკაცრ კონგროლზე ჰყავდათ გლეხის მეურნეობა, მოგანილი და მოუგანელი გადასახადები. საინტერესოა იმერელი მემამულის ჩანაწერიცხრილი: [11;36]

ჩყპეს(1885წ) ნადელი ვისაც არ მოუგანია ჩალა ამდენი კონა სიმინდი ამდენი ბათმანი ლობიო ამდენი ბათმანი

ძრისგეფორე ვიორგაძეს	260 100	1	
ბესარიონ ნამიჭვიშვილს	136 1-	1	
მლიზბარ კორძაძეს	319 -	3	
მიქელ ბარამიძეს	ბრაფერი არ		გადაუხდია
მასილ აბრამიძეს	ბრ გადაუხდია		9 წლის
სიმონ აბრამიძეს	ამას აკლია		ყოლიფერი
ზლახუა აბრამიძეს	ბრ გადაუხდია		9 წლის
მიხეილ ვაშაძეს	20 10	0,5	

მემამულეები არა მარტო მიღებულ გადასახადებს აღნუსხავდნენ, არამედ თავიანთ სიგელებში გლეხების ფიზიკური მდგომარეობაც ჰქონდათ აღწერილი: „... კნიაზ ივანე აღმასხანის ძის მიქელაძისადმი კუთვნილი ყმა გრიგოლია იანვარას ძე შენგელია.. შობილამ ოცდათორმეგის წლისა სიმალლე ორი ალაბი და ხუთი ვერმოკისა თვალები ქუქუნი, ცხვირი გუჩი და ნიკაპი საშუალი ცოლი მისი ანნა... შობილამ ოცდაათისა წლისა სიმალლე ორი ალაბი თვალები შავი ცხვირი მოგრძო გუჩი საშუალი

ძე მათი ნიკოლოზ... თვალი შავი, ცხვირი მოგრძო, გუჩი და ნიკაპი საშუალი... ასული ალათი ერთი წლის თვალი ცხვირსა გუჩი საშუალი...“ [12;24].

ბაგონყმობის გაუქმების შემდეგ მწვავედ დაღვა გყით სარგებლობის საკითხი. 1865 წლის მონაცემებით, ქუთაისის მაზრაში გყეებს 27,993 ღესეგინა ფართობი ეჭირათ [13;12]. ყველაზე ღიდი მასივები ბაღღათისა და ამალღების უბნებში იყო. კერძო გყეების უღიღეს ნაწიღებს ლორთქიფანიღეები და წერეთღები ფღობღენ-ქუთაისის მაზრის, ისევე როგორც საერთოღ, ქართვეღი გღესების მეურნეობაში გყეს ღიდი მნიშვნეღობა ჰქონღა. ხის მასალა საჭირო იყო ბინის ასაშენებღად, გასათობობად, ბაღ-ვენახის გასაშენებღად, გუთნის და კავის გასამართავად, მამუღის შემოსაღობობად, პირუგყეის გამოსაკვებობად და ა.შ. მას შემღევ, რაც ხე-გყემ სასასქონლო ხასიათი მიიღო (განსაკუთრებით რკინიგზის გაყვანის შემღევ), გყის მასივების მფღობეღებმა (როგორც კერძოღ, ისე სახელმწიფოღ), გაამკაცრეს მასზე კონგროღი. აი, როგორ აფრთხიღებღენ გყის ღარაჯებს მათი უფროსი მოხეღეები: „გყეები... უნღა იქნან დაცუღნი ისე, რომ არავინ უნღა გაბეღოს სარგებღობა იმა გყეებიღან (იგუღისხმებობღა უბაყოღ სარგებღობა- ა.კ.), აგრეთვე რაც რამე არის მოჭრიღი ბზა ანუ სხვა რამე არიან დამზადებუღნი... იქმნენ დაკავებუღნი იმ ნაირად რომ არავინ აღარ გაიგანონ არაფერი.. ფიცხღად გიბრძანებ დააკავე ყოვეღი მოჭრიღი ხე-გყე და ბზა რაც არის გყეში დამზადებუღი... ამას გარღა არავინ მოსჭრას გყე ახოღ საყანეებისათვის... თორემ შენ მიეცემი ფიცხელ პასუხისგებაშიღ...“ [14;90].

„ღებუღების“ 30-ე პარაგრაფით გღესს ეძღეოღღა უფღება ესარგებღღა ხე-გყის მასალით იმ შემთხვევაში, თუკი ის გაღღაიხღიღღა სათანაღო გაღღასახაღს. ამ მუხღის ძალით გყის მასივების მფღობეღებმა დააწესეს ღიდი ბაყი, რამაც გღესის ისეღაც მძიმე ეკონომიკური მღგომარეობა კიღვე უფრო გააუარესა. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ რეგიონებზე, საღღაც მეხიღეობა-მევენახეობა იყო დაწინაურებუღი, რაღგან სოფღის მურნეობის ეს ღარგი მოითხოვღღა ხე-გყის ყვეღაზე მეგ მასალას. ამიგომ ბუნებრივი იყო გღესების პროგესტი: „აქამღე გყეში უფასოღ ვჭრიღით ხეებს. ახღა თითო ურემ შეშამე გვახღევიღებენ 50 კაპიკს“-

15 სწორდნენ ქუთაისის გუბერნატორს ქუთაისის მაზრის ბაღდა-
თის, კიკნაველეთის, ზეგანის, გეკარის და სხვა სოფლების გლეხთა
ალისიმერეთის და კორიშის მცხოვრებლებმა კი ასეთი თხოვნით
მიმართეს სამოქალაქო გუბერნატორს: „ჩვენ გვაქვს უხსოვარი
ღროიდან გყიანი ადგილები... უღობთ იმ გყეთა საყანეთ, სამე-
შეთ სახარდნეთ და საბალახოთ... ჩუენარა გვაქვსმეგი სამრდო
და სარჩენი ადგილ-მამული და მით ვირჩენთ თავსა და ხელმწი-
ფისა სამსახურსა და ჩუენ წერილ ცოლ შვილთა ვარჩენთ გა-
ჭირვებით... დღეს აღკვირძალა ლესნიჩმა ის გყე და ადგილები
და შამოუშვა გყის მცველები და ვართ მოკლებული ყოველსა
სამრდოსა ჩუენსა ცოლ შვილსა და ჩუენის თავისა...“ [16;20].

ქუთაისის მაზრის სოფ. ხანის 80 კომლი სახელმწიფო გლეხი,
გადიდებულ ბაქთან დაკავშირებით, წერილობით მიმართავდა მა-
მასახლისს: „... ეხლა გყის მცველები თხოულობენ ჩუენგან
საბალახოს და გყის მასალებისათვის რომელიცა არის მოჭრილი
ჩუენის ოჯახის საჭიროებისათვის ბაქსა, რომლის მოთხოვნი-
ლობისა გამო ჩუენ ვართ გამოუთქმელს მდგომარეობასა შინა...“
[17;267]. არა თუ ხის მასალის დამზადება, პირუტყვის გამოკ-
ვებაც კი აეკრძალათ გლეხებს გყეში. აი, რას უბრძანებს ბაღდა-
თის მამასახლისს ქუთაისის „ლესნიჩი“: „ვარციხის გყის ობიეს-
ჩიკმა გამომიციხადა მე რომელ სოფ: სადემეგროს და ფერსავის
სამოგადოების ღორები არიან გაშვებულნი ნება გაუცემლათ და
აგრეთვე უშვებენ პირუტყვს საძოებლად; - განსაკუთრებულად მა-
რალისა რომელიცა ეძლევა ხაზინას ესრეთის თვითნებობით მოქ-
მელების გამო... ვალდებულ გყოფ თქვენ... აღუკრძალო მათ რა-
თა ამიერიდგან აღარ გაბედონ გაშვება ღორისა და საქონლისა
მოსხენებულს გყეში წინააღმდეგ შემთხვევაში გარდახდებათ მათ
შგრაფი და მიეცემათ სასტიკსა პასუხის გების ქუეშე კანონისა...“
[18;35]

გყის სარგებლობასთან დაკავშირებით, მემამულეებსა და
გლეხებს შორის, ხშირად შეიარაღებულ შეგაკებასაც ჰქონდა
ადგილი. აი, რას წერდა გაბეთი „ივერია“: „ქუთაისის მაზრის
სოფ. სვირში... გლეხები ჯუღელები შესცვივდნენ საღაო გყეში და
ჭრა დაიწყეს. თავადმა აბაშიძემ... წინააღმდეგობა გაუწია... გლეხებმა
თოფ-იარაღი იხმარეს, ერთს აბაშიძის მოურავს გყვია ჰკრეს
გულში და იქვე უსულოდ დასცეს და მეორეს კიდეც ხანჯალით

თავი ორად გაუქვს“ [19;55]. გლეხთა მღელვარებას სხვა სოფ-
ლებშიც ჰქონდა ადგილი.

დროებითვალდებული მდგომარეობა იმდენად მძიმე და აუკმა-
ნელი იყო, რომ გლეხობა უკანასკნელ სარჩო-საბაღელს ჰყიდდა-
,ოლონდ, რაც შეიძლება მალე თავი დაეღწია ყოფილი ბაგონისა-
გან. აი, რამოდენიმე საბუთი:

ქუთაისის მაზრის სოფ. სიმონეთში მცხოვრებმა დროებით-
ვალდებულმა გლეხებმა თხოვნით მიმართეს ქუთაისის გუბერნა-
ტორ გრაფ ლევაშოვს: „ჩყო-ს(1870წ) წელსა ჩვენ ... დავსყიდდით
ყოველივე უძრავთ საცხოვრებელი და განვითავისუფლეთ
ბაგონყმის მონებისაგან ფულის მიზღვითა და დავშითთ აღუწე-
რელსა უკიდურეს სიღარიბესა შინა რომელთაც ჩვენ აღარ დაგ-
ვშითენია არავითარი საცხოვრებელი... ადგილ მამული, სახნავ
სათესი რათა ვასაზრდოვოთ წერილი ცოლშვილი ჩუენი...“ [20;7-
12] ასეთივე თხოვნით მიმართა გუბერნატორს სოფ. ძეგრში
მცხოვრებმა გლეხმა დათიკა ბერძულმა: „დავისხენი რა თავი
ჩემის ბაგონის აზნაურის შამშე იაშვილის მონებისაგან... ადგილ
მამულით, ესრეთის თავისუფლებისათვის მივუზღე მე მას ნაღდი
ფული გარნა უფულობისა გამო ჩემდამი ფულისა გავსყიდე სახლ
კარი ჩემი და დავრჩი უსახლკაროდ...“ [21;12].

შექმნილი მდგომარეობა მოსახლეობას აიძულებდა დამატებითი
საარსებო საშუალებანი მოეძებნა. ათასობით გლეხი მეზობელ
მაზრაში, ზოგჯერ გუბერნიის გარეთაც გადიოდა დროებით სა-
მუშაოდ. ისინი თვეობით, ზოგჯერ წლობით, საკუთარ კერას
მოწყვეტილნი, დღედაღამ შრომობდნენ, რათა ოჯახი გამოეკ-
ვებათ და გადაეხადათ გადასახადები. ამასთან დაკავშირებით
გაზეთი „ივერია“ წერდა: „1887 წელს სამას კომლ იმერელ გლეხს
ქობულეთში გადასახლება გადაუწყვეტია. კითხვაზე „რაგომ?“-
მათ განუცხადებიათ: „სახლში აღარც სახნავ-სათესი შეგვრჩა,
აღარც საბაღახე, არც შეშა და არც სხვა რამე. წელს ზამთარში
აუარებელი პირუტყვი დაგვეხოცა საკვების უქონლობის გამო.
ბევრს იმისთანა...გლეხს ნახავთ ჩვენკენ, რომ მჭადიც არა აქვს
საკმელად“ [22;3].

ზოგიერთი დროებითვალდებული გლეხი, მძიმე ეკონომიკური
მდგომარეობის გამო, მემამულისაგან სესხს ღებულობდა. მაგრამ
არა თუ დათქმულ დროს, არამედ საერთოდ ვეღარ უბრუნებდა

უკან ვალს მეპაგრონეს. თუ რა ზომებს ღებულობდა შემდეგ მევალე-მებაგონე, ამის საილუსტრაციოდ ეს დოკუმენტი გახსნა გება: [23;151] „ქუთაისის მაზრის სოფ. საყულიაში...1880 წელსა გარდაიცვალა გლეხი გერასიმე სვანიძე და გარდაცვალების დროს გამოცხადდა იმა დანაშთზე მევალე კნიაზ ბესო ნიჟარაძე და მოითხოვა ფულები, ამაზედ შორის მისთა და მემკვიდრეთა სვანადისა მისთა მშვიდობიანობა და გარიგდნენ...ასთუ რომელ უძრავი მამული მითლად და რაოდენიმემოდრავიც ჩაუგვის ვალში... კნიაზ ბესო ნიჟარაძე/ჯუჯაძეს, ხოლო ნიჟარაძემ მისცა მათ დანაშთისაგან ორი უღელი ხარები და რაოდენობა ფულიცა თავისი ნიჟარაძის საკუთრება, და ამის გამო ნიჟარაძემ თავისი საკუთარი ხარჯის და ფულის გაწევით გაასვენა მიცვალებული... და დანაშთსა ნიჟარაძე სთვლიდა მისდა საკუთრებათ“. აი, რას წარმოადგენს ეს „დანაშთი“:

1. ეზოში ვენახი ერთ ფარგალში შიგნით ზომით სამი ქცევა, სამოსახლო.. ამ ეზოში დგას ერთი პაგარა საღებელი.. ღირებული შვიდი თუმნისა და მასთანავე მიდგმული სახლი სამარნე ღირებული ოცდაათი მანეთისა. ამ ეზოში შვიდი ჭურია... დიდი და პაგარა...ჩავა ასსამოცდათვრამეტი ჩაფი ღვინო და ეღირება ორმოცდაათი მანეთი... ერთი ურეში ღირებული ოცდაათი მანეთისა. ორი ხარის იარაღი თავისი წყობილებით, ღირებული ოთხი მანეთისა, ერთი ცული შვიდი აბაზისა, ორი წალდი ექვსი აბაზისა, ორი თოხი ერთი მანეთისა, ერთი პაგარა სპილენძის ქვაბი ორი მანეთისა, ერთი ნაჭა ექვსი აბაზისა ერთი პაგარა თუჯი სამი აბაზისა... ერთი რკინის ფიწალი ოთხი აბაზისა, ორი რკინის შამფური ათი აბაზისა, ორი სგოლის სუფრა უფროს უნცროსისა და მესამე პაგარა სგოლი ხუთი მანეთისა, ერთი საბანი და ერთი ლები ოთხი მანეთისა. სამი ბალიში ოთხი მანეთისა, ერთი ცხენის უნაგირი თავისი წყობილობით თუთხმეგი მანეთისა. პირუტყვთაგან: ორი უღელი ხარები ღირებული ცამეტი თუმნისა, ერთი კვიციანი ცხენი ათი თუმნისა, ერთი ჭაკი ცხენი სამიარო ათი თუმნისა, ერთი ჭაკი ღორი ხუთი მანეთისა...

სახნავისაგან: შვიდი კვალი და ოთხი ქცევა „სარბევში“
სახარღნე გყე „ვაჭარაული...“ ოთხი კვალი და 10 ქცევა
საწკნელი გყე „წიფლარი“-ნახევარი ქცევა.

ბაგონყმობის გაუქმების შემდეგ ქუთაისის მაზრის გლეხობა

მძიმე ეკონომიურ პირობებში ჩავარდა, ასე ვთქვათ, „მაკრატლის პირში მოყვა“ [24;485]. ერთის მხრივ, მიწების ჩამოშლამაშასაღამე, მოსავლის შემცირება, შეზღუდვები გყით, საძოვრებით, სარწყავი არხებით სარგებლობისთვის და, მეორე მხრივ, გადიდებული გადასახადები, გაუსაძლის პირობებში აყენებდა იმერეთის მოსახლეობას. მიუხედავად ამისა „13 ოქტომბრის დებულება“ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყნის სამოგალოებრივე ეკონომიკურ ცხოვრებაში, რადგან XIX ს-ის II ნახევარში გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყვეს სასაქონლო ურთიერთობის სწრაფ განვითარებას და უფრო პროგრესული სამოგალოებრივი სისტემის-კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა

1. ჟურნ. „გუთნის დედა“, 1864 წ. № 11.
2. პეტრეშვილი „ქართული ჟურნალისტიკა“ „შეკრება ოცდაერთის პაბრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“.
3. ალ. ბენდიანიშვილი „გლახთა კლასი და გლახთა მოძრაობა საქართველოში“, თბ., 1989 წ.
4. ვ. ჯაოშვილი „ქვემო იმერეთის მოგადი ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება“ (საქართველოს მეცნ. აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIII, 1960).
5. ქ. ც. ს. ა. ფ. 130, საქმე № 78 „Обзорь Кутаисской губернии за 1892 год“, სტრ.“
6. გამ. „დროება“, 1866 წ. 25 მარტი, № 4.
7. ალ. ბენდიანიშვილი. დასახ. ნაშრომი.
8. ქვევა-900 კვ. საყენი
9. ქ. ც. ს. ა. ფ. 18, საქმე № 267.
10. კ. ბაბილოძე „აგრარული ურთიერთობა დას. საქართველოში XIX-XX სს. მიჯნაზე“. ბბათუმი 1952 წ.
11. ლ. ჭუმბურიძე „მასალები აგრარული ურთიერთობისათვის იმერეთში (1864-1912 წწ.)“, ქუთაისი 1984 წ.
12. ქ. ც. ს. ა. ფ. 18, საქმე № 2043.
13. ქ. ც. ს. ა. ფ. 130, საქმე № 178 Отчет Кутаисского губернатора за 1865 г.
14. ქ. ც. ს. ა. ფ. 18, საქმე № 111.
15. ქ. ც. ს. ა. ფ. 32, საქმე № 345.
16. ქ. ც. ს. ა. ფ. 176, საქმე № 341.
17. ქ. ც. ს. ა. ფ. 176, საქმე № 342.
18. ქ. ც. ს. ა. ფ. 18, საქმე № 23.
19. გამ. „ივერია“, 1889 წ. № 55
20. ქ. ც. ს. ა. ფ. 18, საქმე № 95.
21. ქ. ც. ს. ა. ფ. 8, საქმე № 430.
22. გამ. „ივერია“, 1887 წ. № 61.
23. ქ. ც. ს. ა. ფ. 176, საქმე № 385.
24. პეტრეშვილი „საქართველოს ეკონომიკური განვითარება XIX ს-ში“, გვ. 485

RESUME

In the second half of the XIX c. the hard social and economical situation in the Russian Empire made the Emperor Alexander II carry out the land reforms in the country. The most important among them was the peasant reform. By the manifesto issued on February 19, 1861 serfage was abolished in Russia, and on October 13, 1864 it was abolished in Tbilisi province.

A year later, on 13 October, 1865 the Emperor signed the law about abolition of serfage in Kutaisi province.

The Kutaisi province was divided into 7 regions__Kutaisi, Shoropani, Racha, Lechkhumi, Senaki, Zugdidi and Ozurgeti. Kutaisi region was one of the biggest regions among them.

With the abolition of serfage peasants got freedom. A landowner didn't have the right to buy or sell a peasant, misconduct him/her, different indirect payments like presents, poultry, food or money were banned. The former serfs had the right to marry,

to buy property, to trade, to get education, degree, etc. without the permission of his landowner.

It is true, peasants got freedom, but the authorities did their best not to violate the interests of Georgian nobility. According to the new law the whole land still remained in the possession of the landowner, and the part of the land that long since was used by the peasants, was given to him in case he bought it.

After the abolition of serfage the Kutaisi region faced the serious problem of using wood. According to the new law the peasant had the right to use wood if he paid large payment-taxes; monetary payments were also established for using pastures and irrigation canals. Peasants had to pay different local rural taxes.

Hard economical situations made peasants borrow money from landowners or the treasury. Some of them couldn't repay the debt, as a result their property moved to the creditor. Thousands of peasants moved to their provinces to find jobs and stayed there for months or even years.

In spite of the fact that after the abolition of serfage the peasants of the Kutaisi region were in difficult economical situation, the peasant reform was of great importance, for it developed a new, more progressive and productive relations.

საქართველოს ისტორიის კათედრა

სულხან კუერაშვილი

საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ქრონოლოგია „კავკაზში კალენდარში“

„კავკაზსკი კალენდარი“ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორიის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხსენებული გამოცემის „ქრონოლოგია“, ანუ, როგორც სათაურის განმარტება გვამცნობს: „ღირსშესანიშნავი მოვლენები კავკასიასა და ამიერკავკასიაში და რუსეთის იმპერიის მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებანი ამ მხარეში.“

აღნიშნული „ქრონოლოგია“ წარმოადგენს თარიღების ნუსხას შესაბამისი კომენტარებით წინარეისტორიული პერიოდიდან გამოცემის კონკრეტული თარიღის ჩათვლით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული თარიღები პირობითად შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად - 1801 წლამდე და მის შემდეგ. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დამყარდა რუსული მმართველობა და ამ დროიდან ქართლ-კახეთს და პერსპექტივაში სამხრეთ კავკასიას, რუსეთი მიიჩნევს საკუთარ გერიგორიად და თუკი 1801 წლამდე „ქრონოლოგიაში“ ერთ კონკრეტულ თარიღს ერთი, მაქსიმუმ ორი და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მოკლე კომენტარი ახლავს, 1801 წლის და შემდეგდროინდელი მოვლენები საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი და ერთ თარიღს ხანდახან ათეულამდე და უფრო მეტი კომენტარი ახლავს.

„ქრონოლოგია“ „კავკაზსკი კალენდრის“ უმეტეს ნომრებში გვხვდება. XIX საუკუნის ნომრებში თარიღების რაოდენობა იზრდება და მას ემატება ყოველი ახალი წლის მნიშვნელოვანი მოვლენები, ხოლო, რაც შეეხება ბოლო ნომრებს, გამოცემის აღნიშნულ ნაწილში ქრონოლოგია მხოლოდ XIX, XX საუკუნეების მოვლენებს აშუქებს. „ქრონოლოგია“ ყოველთვის ძველი წელთაღრიცხვის 2500 წლიდან იწყება. იქვეა მითითებული, რომ

თარიღების ერთი ნაწილი ქრისტეს დაბადებამდე მოცემული ხოლო მეორე და უდიდესი ნაწილი ქრისტეს დაბადების შემდეგ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ქრონოლოგიაში“ კავკასიის ისტორიული მოვლენებია წარმოდგენილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქრონოლოგიური ნუსხა ძირითადად საქართველოსა და სომხეთის ისტორიას აშუქებს. რაც შეეხება მესამე კავკასიური ქვეყნის, ჯერ ალბანეთის, შემდეგ დროინდელი შირვანის - აზერბაიჯანის ისტორიის თარიღებს, მათი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ რაიმე მნიშვნელოვან ცნობებს ვერ გვაწვდის. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ „კავკასუსკი კალენდარი“ თბილისში იბეჭდებოდა და ავგორებსაც ხელი ძირითადად ქართულ წყაროებზე მიუწვდებოდათ. საქართველოს ისტორიის თარიღები, სომხურთან შედარებითაც კი, მეტი რაოდენობით არის წარმოდგენილი.

„ქრონოლოგია“ ძირითადად ქართულ და სომხურ წყაროებს ეყრდნობა. ამავე დროს მოგანილია ბიბლიაში არსებული ცნობები, ბერძნულ, რომაულ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, რუსულ წყაროებში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი თარიღები, რომლებიც, უშუალოდ თუ არა, ირიბად მაინც ეხება კავკასიის ისტორიას. რაც შეეხება საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღებისა და მათთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებას, „ქრონოლოგია“ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ადრეულ პერიოდს „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით წარმოგვიდგენს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დამახასიათებელია XIX-XX საუკუნეების რუსული ისტორიოგრაფიისათვის. ამ პერიოდში რუსულ ენაზე შექმნილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებისათვის ძირითადად დამახასიათებელია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების უკრიგიკოდ მიღება. ცნობილი ფაქტია, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობისათვის თარიღების სიმწირე დამახასიათებელი ნიშანია, რაც ბევრ უხერხულობას ქმნის და ამ შემთხვევაში „ქრონოლოგიის“ ავგორები ცდილობენ, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით (ევროპულსა და აღმოსავლურზე), მოგვცენ ამა თუ იმ მოვლენის კონკრეტული თარიღი. გამოცემის ავგორების ასეთი ცდა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ წარმატებულია, თუმცა ხანდახან ვხვდებით ამკარა უმუსგობებს და ამგვარი უმუსგობების ცდომილება ხშირად რამდენიმე ათეული წელია.

საგულისხმოა, რომ „ქრონოლოგიის“ ავგორებთან დიდი პოპულარობით სარგებლობს მეფე ვახტანგ გორგასალი. მოცემული



გვაქვს ვახტანგის მეფობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი თარიღი. „ქრონოლოგიაში“ ვახტანგის გამეფების თარიღად 447 წელი გვაქვს მოცემული, ხოლო გარდაცვალებისა □ 499.

რაც შეეხება გამეფების თარიღს □ 446 წელს, სავარაუდოდ, ის „ქრონოლოგიის“ ავტორებს ვახუშტი ბაგონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით უნდა მოეგნათ. ეს თარიღი (შიახლოებით მაინც) საკმაო პოპულარობით სარგებლობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ვახტანგი V ს-ის შუახანებში უნდა გამეფებულიყო [1,278]. საქართველოს ისტორიის ნარკვევები V ს-ის ორმოციანი წლების შუა, ან ბოლო ხანებს ასახელებს [2,91]. ვ. გოილაძის აზრით კი, 431 წ. დაბადებული ვახტანგი ტახტზე 7 წლის ასაკში, 438 წ. უნდა ასულიყო [3,57]. როგორც ვხედავთ, რუსი ავტორების მიერ მითითებული თარიღი მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდება საქართველოს ისტორიის შემდეგდროინდელ მკვლევართა მოსაზრებებისაგან.

„ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით „ქრონოლოგიაში“ 455 წლის გასწვრივ აღნიშნულია, რომ „ვახტანგმა დაიმორჩილა დასავლეთ საქართველო (სამეგრელო და აფხაზეთი) დააარსა თბილისი და ააგო მეგეხის გაძარი.“ რამდენად ახლოსაა ეს ისტორიულ სინამდვილესთან. ვახტანგის ეგრისში ლაშქრობა დაახლოებით 448-450 წლებზე მოვა [4,100]. საქართველოს ისტორიის ბევრი სახელმძღვანელო V ს-ის 50-იან წლებს ასახელებს. თუმცა აქ საუბარია არა სამეგრელო-აფხაზეთზე, არამედ თაკვერის, არგვეთისა და კლარჯეთის საერისთაოებზე. რაც შეეხება თბილისის დაარსების, ანუ გადქაქალაქების თარიღს, ს. კაკაბაძე 457 წ. მიიჩნევს, ხოლო ვ. გოილაძე 491 წლის ახლო ხანებით ათარიღებს [5,197]. როდესაც საუბარია მეგეხის გაძრის აგებაზე, აქ, რა თქმა უნდა, სვეტიცხოველის შესახებ უნდა იყოს საუბარი.

„ქრონოლოგიის“ ამ ნაწილში წმ. შუშანიკის გარდაცვალების თარიღად 458 წელია მიჩნეული.

„ქრონოლოგია“ საკმაო ყურადღებას უთმობს ქართულ საეკლესიო თარიღებსაც: 474 წელს აღნიშნულია, რომ ვახტანგმა საქართველოში „ეპარქია“ ჩამოაყალიბა. ცნობილია, რომ ეპარქია საქართველოში მანამდეც არსებობდა მთავარეპისკოპოსით სათავეში და, სავსებით ნათელია, რომ „ეპარქიის ჩამოყალიბებაში“ რუსი ავტორები ქართლში კათალიკოსობის შემოდებას გულისხმობენ. თუ რამდენად მისაღებია თარიღი 474 წელი, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ 472 წ. შუშანიკის წამებაში ჯერ

კიდევ ეპისკოპოსთა თავი იგულისხმება, უკვე 506 წლის საეკლესიო კრებაზე კათალიკოსთა თავი [6,99]. 1958 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო პეგრეს კათალიკოსად კურთხევას 472 წლით ათარიღებს [7,94]. არსებობს მოსაზრება, რომ ქართლის მოქცევიდან 170 წლის შემდეგ მოხდა პეგრე პონტოელის კათალიკოსად დასმა 487 წელს [8,195]. როგორც ვხედავთ, რუსი და ქართველი მკვლევარების თარიღები ქრონოლოგიურად დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ არ ჩავთვლით უბრალოდ „ეპარქიისა“ და „ავტოკეფალიის“ შეუსაბამობას ამ შემთხვევაში.

რუსი ავტორები ვახგანგის სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას 481 წლით ათარიღებენ. ცნობილია, რომ აჯანყება ვარსქენის მოკვლით 482 წელს დაიწყო [9,101]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, პიგიახში 484 წელს იქნა მოკლული და ვახგანგი აუჯანყდა სპარსელებს [10,279]. ეს თარიღი არის დამოწმებული საქართველოს ისტორიის მეშვიდე აღნიშნულ სახელმძღვანელოშიც: 483-484 წლებს უთითებს სომეხი ისტორიკოსი ლაზარე პარპეცი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 482 წელი „ქრონოლოგიაში“ აღნიშნულია, როგორც ვახგანგის მიერ „ოსებისა და პაჭანიკების დამარცხების წლად.“ აქ ამჟამად შეცდომაა, რადგანაც ოსეთში და, საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში ვახგანგმა გაცილებით ადრე ილაშქრა. ეს ლაშქრობა ჩრდილოელთა თარეშის საპასუხო მოქმედება იყო. ერთი მოსაზრებით, ვახგანგს ჩრდილოეთ კავკასიაში დაახლოებით 447 წელს უნდა ელაშქრა, ოსების 441 წლის ლაშქრობის საპასუხოდ [11,99] ანდა 453-456 წლებში □ ბიზანგია-ირანის ომის დროს [12,82]. სამწუხაროდ, არ არის მითითებული, კონკრეტულად რომელ წყაროს, ან ნაშრომს ეყრდნობიან „ქრონოლოგიის“ ავტორები. რაც შეეხება ტერმინ „პაჭანიკს“, ესეც, რასაკვირველია, შეცდომაა, ისევე როგორც ამ დროს ნახსენები „ხაზარები.“

როგორც მეშვიდე აღნიშნეთ, „ქრონოლოგიაში“, „ქართლის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, ვახგანგის გარდაცვალების თარიღად 499 წელი არის მოცემული.

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მე-2 ტომში ნათქვამია, რომ ს. გორგაძის აზრით, ვახგანგი 503 წელს გარდაიცვალა. ივ. ჯავახიშვილი კი თვლიდა, რომ ეს 502 წელს მოხდა [13,106]. ამავე თარიღს უჭერს მხარს ნ. ბერძენიშვილიც [14,97] და ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი. ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ ვახგანგი გარდაიცვალა 491 წელს, ბიზანგია-ირანის ომის დროს [15,57].

გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ქრონოლოგიის“ ავტორები ვახგან-

გის სიკვდილის შემდეგ არაფერს ამბობენ მის მემკვიდრეებზე, ამ დროიდან ძირითადად დასავლეთ საქართველოს ისტორიის წყაროებს უკეთებენ კომენტარებს და ქართლის ისტორიის საკითხებს მხოლოდ 586 წლიდან უბრუნდებიან.

ლიტერატურა

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
3. ვ. გოილაძე, ფარნაეაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.
4. ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.
5. იგივე.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II.
7. საქართველოს ისტორია, თბ., 1958.
8. ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II.
10. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ.
11. ვ. გოილაძე, იგივე.
12. შ. სანაძე, თ. ბურაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 2003.
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II.
14. საქართველოს ისტორია.
15. ვ. გოილაძე, იგივე.

SULKHAN KUPRASHVILI CRONOLOGY OF MOST SIGNIFICANT EVENTS RELATED TO GEORGIAN HISTORI IN „CAVCAZKY CALENDAR“ RESUME

"Cavcazky calendar" provides a great deal of interesting information concerning Georgian and Caucasian history, at large. In this respect, special attention has been attached by „Chronology“ published in the third edition, that is, as the headline reads: "Significant Events in Caucasia and Transcaucasia, and the Most Important Resolutions of the Government of the Russian Empire in this Region."

"Chronology" is a list of dates with corresponding comments, beginning from the prehistoric period till the concrete date. Consequently, it should be mentioned that the historical dates may be conditionally divided into two parts: before and after 1801. In 1801, the Russian rule was established in Eastern Georgia, since then Kartl-Kakhēti and, prospectively, Southern Caucasus was regarded by Russia to be its own territory; while, before 1801, "Chronology" provided a date with a single, maximum two, and frequently a short comment, the events of 1801 and after were commented on vastly, and, sometimes, a single date was followed by a dozen (and more) comments.

საქართველოს ისტორიის კათედრა

მარინა კუხალაშვილი

განუსაზღვრელობითი ნაწილაკებისათვის ქართულში

განუსაზღვრელობითი ნაწილაკებია: მე, ღა, ღაც(ა). ისინი დაერთვიან კითხვითობას და განუსაზღვრელად აქცევენ [1]. ამ ნაწილაკების შესახებ სპეციალურ ლიგურაგურაში ბევრი რამ დაიწერა. დადგენილია სალიგურაგურო ქართულში მათი ხმარების ნორმები, ამიტომაც მოკლედ შევეხებით აღნიშნულ ნაწილაკთა ფუნქციებს.

ძველ ქართულში მე გამოხატავდა კითხვასაც, რომელი ფუნქციითაც იშვიათია იგი საშუალ ქართულში. (საინგერესოა ასეთი სტაგისტიკური მონაცემების შედარება: თუ ოთხთავში მე-ს კითხვითი ფუნქციით ხმარების 58 შემთხვევა დასტურდება [2]. ამავე მნიშვნელობით „ამირანდარეჯანიანში“ იგი მხოლოდ ერთხელ იხმარება: „რომელისამე ქუეყანისანი ყოფილ არიან, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ - მე აღნიშნული ფუნქციით საერთოდ არ გვხვდება. ახალ სალიგურაგურო ქართულში კი „მისი კვალი... არსად ჩანს“ [3]. დიალექტთაგან კითხვითი -მე მხოლოდ თუშურმა შემოინახა, სადაც იგი კითხვასაც გამოხატავს და ნაგვრასაც. მაგ. მოვაამე? (ნეგაჲ მოვა?); მოგვიანებით თ. უთურგაიძემ უარყო ის ამრი, რომ -მე თუშურში აწარმოებს კითხვას. მკვლევარმა იგი ნაგვრით ნაწილაკად მიიჩნია [4].

სპეციალურ ლიგურაგურაში ამრთა სხვადასხვაობაა მე-ს გენეზისის შესახებაც. ნ. მარის ამრით, მე ნაწილაკი უკავშირდება მელ//მენ//მედ ელემენტებს, რომელიც დასულია „რომელ,, „რომენ“, „ვითარმედ“, „არამედ“ სიტყვებში [4].

სპეციალურ ლიგურაგურაში ამრთა სხვადასხვაობაა მე-ს გენეზისის შესახებაც. ნ. მარის ამრით, მე ნაწილაკი უკავშირდება მელ//მენ//მედ ელემენტებს, რომელიც დასულია „რომელ,, „რომენ“, „ვითარმედ“, „არამედ“ სიტყვებში [5]. მაგრამ ეს მოსამზრება არაა გამიარებული სპეციალისტების მიერ, რადგანაც „ეს რომ ასე იყოს, მოსალოდნელი იქნებოდა მელ//მენ//მედ ფორმები სხვა

სიგყვებშიც შეგვხვედროდა“ [6]. მაგრამ ასეთი სიგყვები ძველ ქართულში არ დასტურდება. მეორეცაა და არამედ ფორმისათვის ამოსავალია „არამე“, ხოლო ვითარმედ-ისათვის ვითარმე ბოლოკიდურა და ონი კი არის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი. ასევე უარყოფს ნ. მარის შემოადნიშნულ მოსაზრებას თ. უთურგაიძე [7].

წარმოვადგენთ მე-ს სხვადასხვა ფუნქციით გამოყენების მაგალითებს ძველ ქართულში:

1. და რომელიმე დაეარდა შორის ეკალთა (ლ, 8,7)

2... თაყალი შევიდა დაბასა რომელსამე და იყო ვინმე დედაკაცი... (ლ, 10,38).

3. ... უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ღმრთისაჲ (ი,3,3).

4. და რამეთუ არა უხმდა, რაჲთა წამოს ვინმე კაცისა მისთჳს... (; 2,25).

დადგენილია, რომ მე, და, დაც (ა) ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნების სამი სახეობა გვხვდება ქართულში:

1. შეხორცელებელი წარმოება (როდესაც ბრუნებისას იცვლება სახელი და ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: ვისმე, რასმე, ვინლა, რამლა... ასეთივე მდგომარეობა იყო ძვ. ქართულში. იგი დეფექტურია, არ შეუძლია აწარმოოს ყველა ბრუნვა).

2. შეხორცელებელი წარმოება (როდესაც ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ მოდის: ვინმემ, რამემ, ვიდაცას, რადაცას... ნაწილაკი ფუძესაა შეხორცელებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის, როგორც ბოლოხმოვნიათი სახელი. მას შეუძლია აწარმოოს ყველა ბრუნვა).

3. ნარევი წარმოება (რომელიც მიღებულია შეხორცელებელი წარმოების ხელახლა გაფორმებით. ე.ი. ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინაც და შემდეგაც; მაგ., ვისმეს, რასმეს... ნარევი წარმოება გარდამავალია. იგი გაჩენილია ძველიდან ახალზე გადმოსვლისას. არის მეგად დეფექტური ხ.ჯ. ძირითად სახეობად უნდა დარჩეს შეხორცელებული წარმოება. ა. მარგიროსოვის დაკვირვებით ნაწილაკშემზრდილი (შეხორცელებული) წარმოება ენაში ბაგონდება XIX საუკუნის I ნახევრიდან [9].

ზოგჯერ ვინ ნაცვალსახელზე დაც(ა)-ს დართვისას შერჩენილია ნაცვალსახელისეული ნ-არი. თანამედროვე ქართულში ვხვდებით „დაცა“ რიგის ნაცვლად ცალა რიგს, რომელიც საშუალო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი. ა. შანიძე შენიშნავს:

„შეიძლება აგრეთვე რომ ნაწილაკი შექცეულად დაერთოს; ვერცა, მერმე-ლა: ვინცაღა, (აქედან შუა ხმოვნის ამოღებით ვინცაღავინცხა), მაგრამ ესენი სალიგერაგურო ენაში არ იხმარება“ [10].

მაგალითები: (ძველი ქართულიდან)

1. ხოლო გეგყ თქუნ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა თუსსა შეიმოსა... (მ, 6; 29) [11]

2. ...ამენ გეგყ თქუნ: არცაღა ისრაჲლსა შორის ესოდენი სარწმუნოებაჲ ვპოვე (მ.8;10).

3. ...ესმის და არა ესმის, არცაღა გულისხმა -ყვიან (მ, 13,13).

4. ...არცაღა შეგიშინის შენ ღმრთისა, ... (ლ. 23,40).

(სამშუალი ქართულიდან).

1. ...არცა ვის წალკოგი უნახავს და ვერცაღა ვინ ნახოსო (ქეგ, ამ, გვ. 126, 5) [12].

2. ამისგან კიდე მე სხვა აღარა ვიცი და რაცაღა გზა ვიცოდი, მომიხსენებია (ქეგ, ამ, გვ. 111, 4-5).

კითხვით ნაცვალსახელებზე -ღა, -ცა ნაწილაკთა დართვისას ძველი სალიგერაგურო ქართულის რიგი გვაქვს: ვინცაღა, რაცაღა: პროგრესული ასიმილაციის შედეგად და -ცა ნაწილაკის ა-ს მოკვეციტ მიიღება ვინცხა, რაცხა... ვინცხა ქალს უნდოდა...; ვინცხას ეთხრობია...; რაცხას შიშობდენ...; არი რაცხა წამალი...

რეგრესული ასიმილაციის შედეგად არის მიღებული ვინძაღა, რაძაღა, მაგრამ ამგვარი ფორმები იშვიათად გვხვდება, უფრო გავრცელებულია რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულ ფორმათა კონგამინაციის ნიადაგზე წარმოქმნილი ვინძაღა, რაძახა, ვინძახა მაღლიანი გაჩთა, ი გველემპაჲ მოკლა... ვენაცვალე ვინძახა არი!...

გამორჩევითი ფუნქციით ახალ ქართულში იხმარება ღა, მარგო, მხოლოდ ნაწილაკები. ღა ნაწილაკის შესახებ სულხან-საბა ორბელიანი წერდა: „ესე ღაჲ არს ბოლოდ ართრონი, საეჭუთა ზეღა გვარიან მყოფელი სიგყვათა. რამეთუ ოდეს საეჭუი ვიკითხნეთ, დაურთავთ ღა-სა და ვიგყუთ წამსულელთათუს: წავაღა? ანუ წარსულთათუს: მოვალსღა? გინა ყოფისათუს: არისღა? ანუ ქმნისათვის იქნებისღა? ესრეთ ყოველთა საეჭუთა დასასრულად ღა ბოლოდ“ [13]. თ. ჟორდანიამ [14] ღა პლ. იოსელიანმა [15] ღა კავშირად მიიჩნიეს, ხოლო მ. კელენჯერიძემ [16] დაახასიათა, როგორც ნაწილაკი. ვ. თოფურიას აზრით, „ღა ნაწილაკს იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც აქვს, როგორც მხოლოდ, მარგო [17].

ძველ ქართულში -ლა ნაწილაკის ძირითადი მნიშვნელობაა
დროზე მითითება:

1. ...არღა ეყივლოს ქათამსა, ვიდრემღე უვარ-მეო მე სამგზის
(ი. 13,38) [18].

2. ...რომელსა კაცი არღა დაჯლომილ არს, აღჰსხენით იგი და
მომგუარეთ მე (მ,11,2).

3. ...ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა,
რომელმან შეინანოს, ვიდრელა არა ოთხმეოც... (ლ, 15,7).

გამორჩევითი ფუნქციით და გვხვდება სამუქალ ქართულში:

1. ...გავაქცივენ და დაუხოცენ, რომე მცირედნიღა ვინმე
გარდამეხვეწნეს (ქპ, ამ, გვ. 159, 34-35) [19].

2. ზენაარმან ღმრთისამან, მის ყველასაგან მცირედნიღა
გარდაიხვეწნეს (ქპ, ამ, გვ. 147; 1-2).

3. ერთიღა ახლავს ავთანდილ, წინაშე უმის სკამითა“ (34.103,1)
[20].

იმერულ დიალექტში ძირითადად გვხვდება -მე-ს გამოყენების
შემთხვევები, ხოლო -ლა და -ღაცა ნაწილაკები რაოდენობრივად
-მე-სთან შედარებით უფრო ცოგაა. ქართულ ენაში (საერთოდ
ქართველურ ენებში) ბუნებრივია ერთი და ორმარცვლიანი
სიგყეები. სამ და მეგმარცვლიანებში ხშირად ხდება ხმოვანთა
ჩავარდნა. აქ სწორედ ეს შემთხვევაა იმერულში, მაგალითები:

1. რამოდენიმე ჯორკიდებული ფული ქე მიცა ბოფშეის მამას
(შ.მ., ქღმ, გვ. 314, 39-40) [21].

2. ...: შვილო, მამკლა ღარმე და შენც გეიპარე... (ქღ, გვ. 453,5)

3. ...თხოულობს - ვინმე მომიყვანეთ, გადავსანსლავ და წყალს
გამოუშობო (შ.ძ., ქღქლ, 315, 3-4) [22].

4. ...ბებიღა, ერთ რაღაცას გავახარებ, თუ ერთ ღერ ჯანჯუხს
მომცემ (სოფ. დისაშხო, „ენამოსწრებული“) [23].

ლიტერატურა

1. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, გვ. 342.
2. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონი, თბ., 1948-49, გვ. 839.
3. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. თორმეტ გომად, გ. III, თბ., 1980, გვ. 656.
4. თ. უთურგაძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, იკე, XV, 1966, გვ. 214-227.
5. Н.Я. Марр, Грамматика древнелитературного груз. языка, Л 1925Б СЮ214.
6. ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია (მანქანაზე ნაბეჭდი), თბ., 1953, გვ.გვ. 147-148.

7. თ. უთურგაძე, კითხვითი ა და მე ნაწილაკები ქართულში, იკე XV, 1966, გვ. 224.
8. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.
9. ვ. თოფურია, მე, ვე, ღა, ღაც (ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება; სხვადასხვა ბრ. ისტორიისათვის ქართველურ ენებში II, თბ.; 1956, გვ. 131-138. მ, ვე, ღა, ღაც (ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება, თანამედროვე ქართული სალიტ. ენის ნორმები, წ. I, თბ., 1970, გვ. 87-94.
10. ა. მარგინოსოვი, ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, თბ.; 1964, გვ. 427.
11. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980, გვ. 656.
12. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979;
13. სულხან-საბა ორბელიანი, სიგყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ.; 1949, გვ. 378.
14. თ. ყორღანიძე, ქართული ღრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ყორღანიძისაგან, გფილისი, 1889, გვ. 174.
15. პლ. იოსელიანი, პირუმი და წყვილებითი კასონნი ქართულისა და ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ვენაგის ძის იოსელიანისაგან, გფილისი, 1863, გვ. 128.
16. მ. კელენჯერიძე, ქართული პრაქტიკული გრამმატიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 94.
17. ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, თბ. 1933; 83. 167
18. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.
19. ქპ, ქართული პროზა, წიგნი II, 1982.
20. შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951.
21. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბ., 1974.
22. ი. გვიგინიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1961.
23. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
24. მასალა შეკრებილია ვანის რ-ნის სოფლებში 1986წ. (მ.კ.)

MARINA KUKHALASHVILI
FOR INDEFINITE PARTICLES IN GEORGIA
ABSTRACT

It is establishment, that there are three varieties of "Me", "Ga", "Gatsa" declinations in Georgia: 1. none-cicatrize formation, 2. cicatrize formation, 3. medley formation. The main variety must stay the cicatrize formation. As for A. Martirosov's observation the cicatrize formation dominates from the XIX century.

"Me", "Ga", "Gatsa" are Indefinite particles. They add to the interrogative Pronouns, adverbs and changed them as indefinite.

a). In old Georgian "Me" expressed Question. In Middle Georgian it hadn't such function. In Modern Georgian and Dialects it lost. We meet "Me" in Tushuri dielect and it always express Question and desize. In Modern Georgian "Me" has onle one indefinite function.

b). In modern Georgian instead of "Gatsa" we meet "staga", which was typical for middle georgian. If we take out the middle vowel we get "tsga" @ "tskha" (progressive assimilation).

The forms which marked are typical for Acharuli, Guruli and Imeretion dialects.

რუსულან მიქაუტაძე

მიხეილ თამარაშვილის გიოგრაფიისათვის

რაც დრო გადის, მიხეილ თამარაშვილის, როგორც მეცნიერის და მამულიშვილის სახელი სულ უფრო მეტ ინტერესს იძენს. მან თავის სამშობლოს უანგარო და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. რომის, ვატიკანის, მილანის, ნეაპოლის, პარიზის არქივებსა და წიგნთსაცავებში მოძიებული და გამოქვეყნებული დოკუმენტებით და ფაქტიური ისტორიული მასალით დაამტკიცა ქართველ კათოლიკეთა არსებობა, მათი ბრძოლა ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების, ევროპასთან დაახლოების, კოდიფიკაციის ეროვნულ ნიადაგზე დაყენების და ქართული რიგის შემოღებისათვის. მიხეილ თამარაშვილმა სამი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი დაუტოვა ქართველ ერს: ესენია: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას“ და ფრანგულ ენაზე დაწერილი „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდე“ (*L'eglise georgienne*). ამ წიგნების გამოქვეყნების შემდეგ თვით რომის პაპიც დარწმუნდა ქართველ კათოლიკეთა ქართველობაშიო“-ამბობდნენ იმდროინდელი გაზეთები. შემოთხსენებულ პირველ ნაშრომს, მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო, ილ. ჭავჭავაძის ჩაგონებით, გაზეთმა „ივერიაში“ „მეორე ქართლის ცხოვრება“ უწოდა [1,197]. რაც შეეხება მეორე მონოგრაფიას, თელო სახოკიას თუ დავესესხებით, ილ. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის“ შემდეგ ქართულ ენაზე ასეთი არაფერი დაბეჭდილა ქართველთა დამცირებისა და მათი მოსპობის ქინით აგეხილ სომეხთა წრის ასალაგმავადო“ [2,164]. ხოლო მესამე ნაშრომის გამოქვეყნებით მ. თამარაშვილი შეეცადა ევროპისთვის გაეცნო ქართველთა ისტორია და კულტურა, რადგანაც სომეხების „წყალობით“ მთელს საქართველოს და ქართველობას სახელი ქონდა გაგეხილი უცხოთა თვალში იმგვარად, რომ ევროპაში ქართველთა ეპითეტი „ბარბაროსი“ იყო.

მიხეილ თამარაშვილის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ შექმნილ შ. ლომსაძის მონოგრაფიაში: "მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი" ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და დაწვრილებითაა მოთხრობილი მისი ბიოგრაფიის თითქმის ყველა დეტალი, თუმცა არსებობს მცირედი და ჩვენის აზრით ვასათვალისწინებელი ცნობები, რომლებიც ეხება მის დაკრძალვას და ძეგლის აგების საკითხებს.

საკოვლეთაოდ ცნობილია, რომ მიხეილ თამარაშვილი იგალიაში დიდი პატივით დაკრძალეს წმინდა იოსების კოლევის ძმობის წევრებმა. 1911 წლის 30 სექტემბერს იგალიურ გაზეთში "Eco del pontificato gorretta del clero" ორი გვერდი ეთმობა მის მოღვაწეობას და წერილებს, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული მ. თამარაშვილის ღვაწლი ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში. იგალიაში იქმნება კომისია, რომელსაც განსაზღვრული აქვს მის საფლავზე, სოფ. სანგა-მარინელაში დადგას ძეგლი. იგალიელთა მიერ მიხეილ თამარაშვილისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის აქტმა ქართველ ინტელიგენციას პატივმოყვარეობის გრძნობა შეუღალა და გადაწყვიტეს თავისი წვლილი შეეგანათ ამ დიდი მამულიშვილის უკვდავყოფაში. ამ მიზნით დაისვა საკითხი მისი ნეშტის საქართველოში გადმოსვენების შესახებ. შეიქმნა საგანგებო კომისია მიხეილ ანგონოვის თავმჯდომარეობით და სახსრების შესავროვებლად გამოიყენა მიმართვა, თუმცა კომისიამ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და იმხანად ნეშტი საქართველოში ვერ გადმოსვენა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქუთათურმა საზოგადოებამ დიდი გულისგვიძლი გამოხატა მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების გამო. არა ერთი სამგლოვიარო დეპეშა გაიგზავნა რომსა და თბილისში. დიდი პანაშვიდი გადაიხადეს ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაშიც. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, სადაც ბევრი იყო სიგყვის თქმის მოსურნე, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის წესით ერისკაცებს ეკრძალებოდათ ეკლესიაში სიგყვის წარმოთქმა. ამის გამო უამრავი გამოსათხოვარი წერილი დაიბეჭდა პრესაში.

ბ-ნი შ. ლომსაძე შემოთავაზებულ მონოგრაფიაში შენიშნავს, რომ იგალიაში "ძეგლის დასადგმელად გამოყოფილმა კომისიამ თავისი გადაწყვეტილება აცნობა თბილისში ქართველ საზოგადოებრიობას" [3,244] უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში

მარგო თბილისის საზოგადოება როდი იყო ჩაბმული. ჩვენს მხარე
მოძიებულ იქნა წერილი, რომელიც შემოთავაზებული იგალობის
გამეთის ღირექტორმა ელდერიკო მარინიმ ქუთათურებს
გამოუგზავნა სიმონ ქვარიანის სახელზე, სადაც ის თხოვდა
საზოგადოებას მცირე შესაწირავი გაეღოთ გრაგიკულად
დალუქული მღვდლის, მიხ. თამარაშვილის მარმარილოს ბიუსტის
დასადგმელად სოფ. სანგა-მარინელას ეკლესიაში. წერილს თან
ახლდა ბარათი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო ხელ-
თუქმნელი სახე უფლისა ეკლის გვირგვინით, მეორე გვერდზე კი
დახატული იყო განსვენებული მიხ. თამარაშვილი
წარწერით: 'მღვდელი მიხეილ თამარაშვილი. უბედურის ყვირილზე
მან გასწირა თავი და შეიქმნა თავდადების მსხვერპლი სანგა-
მარინელას წყალში 1911 წლის 16 სექტემბერს. სამარადისო იქნე-
ბა ცოცხალი ხსოვნა მისი გრაგიკული გმირობისა, სათნოებისა
და მეგობართა მიმართ კეთილი გრძნობისა. თავისი შორეული
სამშობლოსადმი სიყვარული მან უკვდავყო თავის წიგნებსა და
სახსულიერო შინაარსის ნაწერებში. სარწმუნოებამ პოვა მასში
სამაგალითო მოძღვარი და რწმენისათვის განდევნილი მეღვარი
და მხურვალე მოციქული'. სიმონ ქვარიანი მოუწოდებდა ქუთაისის
საზოგადოებას გაზეთ "კოლხიდას" საშუალებით, თანაგრძნობით
მიეღო რომის გაზეთის ღირექტორის თხოვნა და არ დაეშურე-
ბინა მცირედი წვლილი ამ საქმისათვის [4,3].

ქუთათურმა საზოგადოებამ, ინგელიგენციამ, ვაჭრებმა, სტუ-
დენტებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობამ გულთან ახლოს მიიგანეს
თხოვნა და შემოწირულობათა შეგროვება დაიწყო. ამ მხრივ
განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქართული გიმნაზიის მასწავლებლე-
ბი, თუმცა უკონფლიქტოდ არც ეს საქმე დასრულებულა და
სოციალ-დემოკრატიული მრწამსის მქონე პედაგოგებმა ს.რობა-
ქიძემ და გრ. გიორგაძემ კატეგორიული უარი განაცხადეს თანხის
დადებაზე მიხ. თამარაშვილის კათოლიკობის მომიზეზებით, რამაც
დიდი გაკვირება და მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია,
რაც აისახა კიდევ გამ. "კოლხიდას" ფურცლებზე. გაზეთი თითქმის
ყოველდღე, "ახალი ამბების" რუბრიკაში აქვეყნებდა ცნობებს
შემომწირველთა და შემოწირული თანხის რაოდენობის შეს-
ახებ. 1912 წლის 10 თებერვალს რომში გაიგზავნა ერთი თვის
შემოწირული თანხა—122 მან.7 შაური. ქუთათურთა გარდა შე-

მოწირულობებს აგზავნიდნენ აბასთუმნიდან, ნახიჭევანიდან, ბაქოდან, დარუბანდიდან, ჰეგერბურგის ქართველი სტუდენტებიდან და ა.შ.

1912 წლის 11 მარტს სიმ.ქვარიანმა მიიღო ელდერიკ მარინის წერილი, რომელშიც ის მადლობას უხდოდა ქუთაისის საზოგადოებას გამოგზავნილი თანხისათვის და იტყობინებოდა, რომ ძეგლის კურთხევა გარდაცვლილის წლისთავზე მოხდებოდა. რადგან შემოწირულობების შემოსულა გრძელდებოდა, მოგვიანებით რომში კიდევ გაიგზავნა 51 მან.პასუხად ელდერიკ მარინიმ ქუთათურებს გამოუგზავნა ღია ბარათები მიხეილ თამარაშვილის ძეგლის სურათით, რომელიც უნდა დარიგებოდა შემომწირველებს. ამის შემდეგაც პრესაში არაერთი თბილი სიტყვა თქმულა მიხეილ თამარაშვილის ღვაწლის შესახებ საქართველოს და ქართველი ერის წინაშე. ამგვარად, ქუთაისის ინტელიგენციამ უანგარო წვლილი შეიტანა იტალიაში, სოფ. სანტა-მარინელას ეკლესიაში მიხეილ თამარაშვილისათვის ძეგლის აგების საქმეში.

ლიტერატურა

1. შლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი. თბ., 1984.
2. გაზ. "კოლხიდა" № 164, 19.10.1911.
3. შლომსაძე, დასახ. ნაშრ.
4. გაზ. "კოლხიდა" № 3, 05.01.1912.

RUSUDAN MIKAUTADZE SOME MORE FACTS ABOUT MIKHEIL TAMARASHVILI'S BIOGRAPHY RESUME

Michael Tamarashvili the famous georgian scholar and patriot did an invaluable aid to his motherland. In the libraries of Vatican, Milan, Naples, Paris he explored and then published the documents proving the Georgian Catholics' existence. After publishing his books even the Pope was convinced that the

Catholics in Georgia weren't Armenians but Georgians. He described the Georgian Catholics struggle in forming the national selfconsciousness, for the further contacts with the European countries and for holding the pray in Georgian language in the catholic churches.

The article shows how the Kutaisi intellectuals did their bit in constructing the statue of M. Tamarashvili in the church of village Santa Marinella in Italy. Unfortunately these facts weren't known up to the present.

არქეოლოგიის და კულტურის ისტორიის კათედრა

ნათია ნასარიძე

ბოეთესა და ვაგნერის რეცეფცია თომას მანის ესეისტიკაში

ყველა ღრთის გერმანელ მწერალთა შორის, გოეთეს გარდა არ მოიძებნება სხვა ავტორი, რომელსაც ისეთი მასშტაბისა და ხარისხის აღიარება მოეპოვებინოს, როგორც თ. მანს ხელა წილად. ის იყო შემოქმედი, რომელსაც ჭეშმარიტად ჰქონდა უფლება ეთქვა: „სადაც მე ვარ, იქ არის გერმანია“

თ. მანის ეპოქა მეტად რთული იყო, დაგვირთული ისტორიული მოვლენებითა და ღრმა სულიერების ატმოსფეროთი. როგორც თანამედროვემ და ისტორიული ფაქტების მოწმემ, თ. მანმა ეს კონგრასტებით მდიდარი ეპოქა ცვალებადი პოლიტიკური შეხედულებებით აღიქვა და საკუთარი დამოკიდებულება არსებულ რეალობასთან თავის შემოქმედებაში (მოთხრობებში, რომანებში, ესეებსა და დღიურებში) დააფიქსირა.

როდესაც თ. მანის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი ესეისტური მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობა. თ. მანის ესეისტური შემოქმედება მეტად მოცულობითია და როგორც როლფ რენერი აღნიშნავს, „წარმოადგენს ავტორის მხატვრული შემოქმედების კომენტარს, მის ახსნას“ (6:632)

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თ. მანის ის ესეები, რომლებიც ეძღვნება ვაგნერისა და გოეთეს შემოქმედებას და რომლებშიც თ. მანი გაიაზრებს ზოგადი ხასიათის მხატვრულ-ესთეტიკურ საკითხებს.

განსაკუთრებით დიდია იმ ესეების რიცხვი, რომლებიც მან ვაგნერს მიუძღვნა. ესენია: „რიჰარდ ვაგნერის ხელოვნების შესახებ“ („Über die Kunst Richard Wagners“ 1911), „როგორ ვართ ჩვენ განწყობილნი რიჰარდ ვაგნერის მიმართ“ („Wie stehen wir heute zu Richard Wagner“ 1927) „იბსენი და ვაგნერი“ („Ibsen und Wagner“ 1928) „ვენებანი და სილიადე რიჰარდ ვაგნერისა“ („Leiden und

"Passion"-ს უწოდებს. ვაგნერის ესთეტიკა განმსაზღვრელია თ. მანის მხატვრული სამყაროსათვის შემოქმედების ადრეულ ეტაპში. ვაგნერის ესთეტიკა თ. მანის შემოქმედებაში უფრო ადრე შემოდის, ვიდრე გოეთესი. თ. მანს ვაგნერი აინტერესებს წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით, რომლის მუსიკალური ესთეტიკის პრინციპები მან შესანიშნავად მიუსადაგა თავის ეპიკურ შემოქმედებას: მისგან გაღმოიღო "das Motiv, das Selbstzitat, die symbolische Formel", ასევე „ეპიკური სულის“, „ორგანული დასრულებულობის“, „ორგანული გოგალობის“ ესთეტიკური კატეგორიები, ასევე ლაიგმოტივური გექნიკა.

გოეთეს სახელი თ. მანის შემოქმედებაში პირველად ჩნდება 1893 წ. თბზულებაში "Heinrich Heine, der "Gute"; რომელიც მან სასკოლო ჟურნალში გამოაქვეყნა პაულ თომასის ფსევდონიმით.

ცნობილია, რომ გოეთეს შემოქმედებისადმი ლტოლვა თ. მანს ნიცშეს ნაშრომებმა აღუძრა. 1890 წლიდან იგი ინტენსიურად კითხულობს ნიცშეს შრომებს, რომლებშიც გოეთე გერმანელთა აღმზრდელად მოიხსენება. პანს ვაისლინგი აღნიშნავს, რომ ნიცშემ აღუძრა თ. მანს სურვილი, წაეკითხა „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“ [10;24], რომელსაც დიდი გერმანელი ფილოსოფოსი უწოდებს "das beste Buch, das es gibt". „ნიცშეს შრომები და „გოეთეს საუბრები ეკერმანთან“ ის ორი მთავარი წყაროა, რომლებსაც გაცნობიდან მრავალი წლის შემდეგ ისევ უბრუნდება თ. მანი, რათა შექმნას გოეთეს ხატი ღვევიში: "Vergleiche dich! Erkenne, was du bist!" [7; 73]

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ახალგაზრდა თ. მანი ეცნობა გოეთეს შემოქმედებას, იგი მრავალი წლის მანძილზე დაშორებულია გოეთეს თემისაგან და დეკადანსის გავლენის ქვეშ მოქცეული ცდილობს თვითგამორკვევას და საზოგადოებაში შემოქმედის როლის ახსნას.

1909 წლიდან უკვე იგრძნობა ვაგნერისადმი კრიტიკული დაშოკირებულება, რასაც თან მოჰყვება თ. მანის დაეჭვება და შეკითხვა: "Goethe oder Wagner?", რომელიც მან 1911 წ. იულიუს ბაბისადმი მიწერილ წერილში დააფიქსირა. აქ უკვე აშკარად იგრძნობა გოეთესათვის პრივილეგიის მინიჭება: "Sollte nicht doch vielleicht jeder Deutsche im Grunde seines Herzens wissen, daß Goethe

ein unvergleichlich verehrungs- und vertrauenswürdigere Führer und Nationalheld ist, als dieser schnupfende Gnom aus Sachsen" (5; 30) ვარკონის
ნიკოლოზი

1911 წ. დაწერილი შრომა „რიჰარდ ვაგნერის ხელოვნების შესახებ“ აშკარა ნიმუშია თ. მანის ვაგნერისადმი ამბივალენტური დამოკიდებულებისა. იგი აქ ხაზგასმით მიუთითებს თავისი „ინტიმური“ დამოკიდებულების შესახებ ვაგნერისადმი, რომ დიდი გერმანელი კომპოზიტორი მასკიმულირებულ ზეგავლენას ახდენდა მისი ახალგაზრდული პერიოდის შემოქმედებაზე, მაგრამ, ამავე დროს, ამ ესეში იგრძნობა 1909-1911 წლებში თ. მანის შემოქმედებაში დაწყებული ვაგნერის კრიზისის ნიშნები და მცდელობა, რომ დისგანციურად დაიჭიროს თავი ვაგნერისაგან.

მიუხედავად ამისა, 1914 წლამდე თ. მანი წმინდა ესთეგია, რომლისთვისაც „სიკვდილის სიმპათია“ ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს. ამიგომ იგი ვაგნერით მოხიბლულია. ამ პერიოდში მის შემოქმედებაში არსებულ "Wagner-Krise"-ს კი ნიცშესეული ვაგნერთან პოლემიკა განაპირობებს და იგი მოკლებულია სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს.

1914-1918 წლებში თ. მანი ვაგნერის მუსიკას გაიაზრებს გერმანული სულის გამოვლინებად, რომლისთვისაც დამახასიათებელია „გაუცხოება პოლიტიკისაგან“ ("Politikfremdheit") და განსაკუთრებულ სიმპათიას ამჟღავნებს გერმანული რომანტიზმის ესთეტიკისადმი.

1918-1922 წლებში, მსოფლმხედველობრივი გარდატეხის პერიოდში თ. მანი ვაგნერის, ნიცშესა და შოპენჰაუერის მუსიკალურ-ესთეტიკური პრინციპების თაყვანისცემიდან თანდათან გოეთესაკენ მობრუნდება. I მსოფლიო ომის შემდეგ მისი ესთეტიკური გზა გოეთესაკენ მიემართება, რაც კარგად ჩანს ესეში „გოეთე და გოლსტოი (1921). თ. მანი გოეთეში ხედავს „ინტეგრალურ ადამიანს“, რომელშიც მოჭარბებულადაა სიცოცხლის და სიყვარულის ძალა. იგია ღვთიური გენიის გამოვლინება, ბუნებასთან გათანაბრებული იუპიტერის სახე, იგი ზეადამიანური ინდივიდუალურობით გამორჩეული ნიავეური შემოქმედია. თ. მანის აზრით, მასში აღსრულდა "Ideal der Deutschheit".

ამ პერიოდის ესეებში დაფიქსირებული ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პრინციპები აღექვაგურად აისახება თ. მანის მხატვ-

ვრულ შემოქმედებაშიც. სწორედ ამის ნიმუშია 1924წ. დაწერილი რომანი „ჯადოსნური მთა“



გერმანიაში ნაციონალ-სოციალიზმის ბატონობის ეპოქაში, თ. მანი, თავის, როგორც მწერლის, მოვალეობად მიიჩნევს, იყოს გერმანელთა გზის მაჩვენებელი სინათლისაკენ, როგორც გოეთე თავის ეპოქაში. გოეთეს სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ 1932 წლის მარტში თ. მანი კითხულობს გოეთესადმი მიძღვნილ ორ მოხსენებას: "Goethes Laufbahn als Schriftsteller" და "Goethe als Repräsentant des bürgerlichen Zeitalters", რომლებშიც იგი ცდილობს გოეთესთან გაიგივებას. თ. მანი გოეთეს თავისი დროებისაგან განცალკევებულად მდგომ, „დროის შეუსაბამო“ (unzeitgemäß) პიროვნებად წარმოადგენს, რომელსაც მიზღს გერმანიის გერმანული კულტურის ვიწრო ნაციონალურ კულტურად ქცევა, ვინაიდან თავად გერმანულ კულტურას აღიქვამს, როგორც სხვა ხალხთა გრადიციებთან ნაზიარებ კულტურას. თ. მანი ხაზს უსვამს გოეთეს ბიურგერულ წარმომავლობას, რათა საკუთარი ბიურგერული საწყისიც გამოკვეთოს. იგი განზრახ აჩვენებს გოეთეს გვიანდელ გაუცხოებას თავისი ბიურგერული სამყაროსაგან, რათა ამით საკუთარი მოჩვენებითი თუ რეალური იზოლირება გამოაცხადოს 1932წ. გერმანული სამყაროსაგან. თ. მანის გზა გოეთესაკენ, ეს არის დაშორება, როგორც ბიურგერული საწყისებისაგან, ასევე დაცემის, დეკადანსის ფილოსოფიისაგან. გზა გოეთესაკენ, ეს არის გზა ახალი საზოგადოებისაკენ.

ამის პარალელურად 1933 წლიდან თ. მანის დამოკიდებულება ვაგნერისადმი შეუღარებლად კრიტიკული ხდება. მიუნხენში, 1933წ. 10 თებერვალს, ფაშისგების სათავეში მოსვლიდან 10 დღის შემდეგ, წაიკითხა თ. მანმა მიუნხენის უნივერსიტეტის აუდიტორიის წინაშე მოხსენება რიჰარდ ვაგნერზე - „ვენებანი და სილიადე რიჰარდ ვაგნერისა“, რომელიც დიდი კომპოზიტორის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს მიუძღვნა. ესეის დასკვნით ნაწილში თ. მანი გარკვევით საუბრობს ვაგნერის შემოქმედების იმ საექვო შტრიხებზე, რაც მიგვანიშნებს მისი შემოქმედების არასასურველი მიმართულებით გაგებაზე. მას არც უკვირს, რომ მის თანამედროვე გერმანულ პოლიტიკაში კომპოზიტორის შემოქმედება გაყალბებული და ცუდად გაგებულა, თუმცა ის მაინც ცდილობს ვაგნერის

„დაცვას“ და ამბობს, რომ იგი ხელოვანია და მასთან „alles Imperiale, Demagogische, Massenunterwerfende ... zunächst völlig über praktisch und ideal zu verstehen ist ...“

მოსხენებაში „რიჰარდ ვაგნერი და „ნიბელუნგის ბეჭედი“ (1937) კვლავ თავს იჩენს ანტითემა გოეთე-ვაგნერი. თ. მანის აზრით, ვაგნერი და გოეთე სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის შემოქმედნი არიან, მაგრამ ისინი ორივე გერმანიაა, ვაგნერი და გოეთე: "Deutschland als mächtiges Gemüt und Deutschland als Geist und vollendete gesittung- წერს თომას მანი. თ. მანს სურს რიჰარდ ვაგნერის სახელი დაიცვას ნაციონალ-სოციალისტური გაგებისაგან, მაგრამ იგი მაინც აღნიშნავს დიდი კომპოზიტორის შემოქმედებაში „პროგო-ჰიტლერულ“, „საეჭვო ელემენტებს“ რასაც იქამდეც კი მიჰყავს, რომ შემდგომ ესეებში "Bruder Hitler" (1939), "Wagner und kein Ende" (1949) იგი პირდაპირ ამბობს: "Es ist zu viel "Hitler" in Wagner"

სტაგიაში "Deutschland und die Deutschen" (1945) თ. მანი რომანტიზმს უკვე საზოგადოებრივ ასპექტში განიხილავს, როგორც გერმანელთა აპოლიტიკური "Innerlichkeit"-ის მაგალითს და წარმოადგენს მას, როგორც ნაციონალ-სოციალიზმის წინაპირობას, წინაისგორიას. მისი აზრით, ლუთერის რეფორმაციამ განაპირობა გერმანული სულის დუალიზმის წარმოშობა, რაც საფუძველი გახდა გერმანელთა თამამი განყენებული აზროვნების შეხამებისა მათსავე აპოლიტიკურ მოუმწიფებლობასთან.

40-იან წლებში თ. მანთან თანდათან მცირდება და უკანა პლანზე იწვევს ვაგნერის, ნიცშესა და შოპენჰაუერის მეგავლენები. თ. მანის მცდელობა გოეთესთან გაიგივებისა უკვე აშკარაა. 1948წ. დაწერილი ესე „ფანტაზია გოეთეზე“ ნათელს ჰყენს ყოველივე იმას, თუ რა იმიდავდა თ. მანს განსაკუთრებით გოეთეში. თ. მანი გოეთეში არა მხოლოდ ადამიანურობის ნიმუშს, არამედ აგრეთვე თავის იდეალურ „მე“-ს ხედავდა: "Es gab etwa Wagner, Nietzsche, Schopenhauer, Tolstoi... aber hier überall warer Vorhalte, reizvolle Zweifel, skeptische Einwende, passioniertes Mißtrauen...Nicht so wie Goethe. Er war das Vor-Bild in einem anderen und letzten Sinn, das Ur-bild, das Über-Bild (4; 32)

40-იან წლებში თ. მანის ესეისტიკაში დაფიქსირებული პოზი-

ციები გოეთეზე ისახება მის მხატვრულ შემოქმედებაში, რომლის ახსნაც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ესეისტიკის გათვალისწინების გარეშე („ლოგე ვაიმარში“ (1939), „ლოქტორი ფაუსტუსი“ (1943))

მიუხედავად ამისა, თ. მანი ვაგნერს მაინც ყოველთვის მიაკუთვნებდა „მარად დაკავშირებულ სულთა სამეარსკვლავედს“ („Dreigestirn ewig verbundener Geister“-ვაგნერი, ნიცშე, შოპენჰაუერი), რომლებიც მისი აზროვნების ფუნდამენტს ქმნიდნენ. არასოდეს არ შეწყვეტილა მის ცხოვრებაში ვაგნერის მუსიკით ემოციური მოხიბლულობა. თ. მანის დამოკიდებულება ვაგნერისადმი მუდამ „ამბივალენტური“ იყო

გოეთეს მითურ-გიპიურისაკენ სწრაფვაში, თ. მანის აზრით, იგრძნობა გიპური გერმანული ხელოვნებისა და დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის შერწყმის ნიშნები, ამიგომ თ. მანისათვის გოეთეს ფენომენი არა მხოლოდ გერმანული, არამედ მთავად-ევროპული ხელოვნების გამოხატულებაა. „ფაუსტის“ ავტორის პროგრესული იდეალები „მსოფლიო ლიგერატურის შექმნის“ შესახებ ეხმაურება თვით თ. მანის მიზნებსა და მისწრაფებებს, რომლის სურვილი მშვიდობასა და ჰუმანიზმზე დამყარებული თავისუფალ სახელმწიფოთა ერთიანი ევროპული კავშირის შექმნა იყო. ბუნებრივია, რომ თ. მანი ერის „აღმშრდელისა“ და „წინამძღოლის“ ტიტულს გოეთეს მიაკუთვნებს და არა ვაგნერს, რადგან მას თვლის „საიმედო პიროვნებად“ მომავლის ნათელ გზაზე.

ლიტერატურა

1. M. G. Dellin, "Wagner und kein Ende"; Mühlischer Universitätsverlag; Bayreuth 1984.
2. H., Fuhrmann, "Thomas Mann und Goethe"; Georg Wenderoth Verlag; Kassel 1998.
3. I. Hillesheim, "Die Welt als Artefakt", Verlag Peter lang GmbH; Frankfurt am Main., Bern; Neu Jork; Paris; 1989.
4. Th. Mann, "Gesammelte Werke in zwölf Bänden"; Bd. 10; Fischer; Frankfurt am Main 1960.
5. Th. Mann, "Wagner und unsere Zeit"; Fischer Taschenbuch Verlag; Frankfurt am Main 1983.
6. R. G. Renner, "Literaturästhetische, kulturkritische und autobiographische Essayistik"; In: Th. Mann - Handbuch. Hrsg. von. H. Koopmann - Alfred Kröner Verlag. Regensburg 1990.

7. St. Schultz, "Thomas Mann und Goethe"; In: Thomas Mann und die Tradition, Hrsg. von Pütz P., Athenäum Verlag., Frankfurt am Main 1971.

8. H. Siefken, "Thomas Mann. Goethe - "Ideal der Deutschheit", Wilhelm Fink Verlag, München 1981.

9. H. R. Vaegt, und Barnouw D. "Thomas Mann. Studien zu Fragen der Rezeption", Herbert Hang; Bern und Frankfurt am Main 1975.

10. H. Wysling, "Ausgewählte Aufsätze", Vittorio Klostermann. Frankfurt am Main 1996.

NATIA NASSARIDSE
GOETHE UND WAGNER REZEPTION IN
THOMAS MANNS ESSAYSTIK
RESÜME

Das essayistische Werk Thomas Manns ist kaum weniger umfangreich als sein fiktionales, zudem ist es ein Leben lang eng mit der ästhetischen Produktion des Autors verknüpft, die es begleitet, kommentiert und deutet.

Für uns sind besonders interessant die Essays, die dem Schaffen von Wagner und Goethe gewidmet sind und in denen sich Th. Mann die gesellschaftlich - politischen und ästhetischen Probleme bedenkt.

In Goethe - und Wagner - Rezeption von Thomas Mann sind verschiedene Perioden abgeteilt. In diesen Perioden etabliert sich Th. Mann als der große deutsche Schriftsteller.

Die literarischen und künstlerischen Vorbilder des jungen Th. Mann gehörten der spätromantischen Epoche an. Es waren Wagner, Schopenhauer und Nietzsche. Seine Beziehung zu Wagner nennt Th. Mann "Passion", "Leidenschaft". Sie hat nichts mit Chronologie und Entwicklung zu tun. Sie ist und bleibt immer "ambivalent" und Th. Mann kann heute so über ihn schreiben und morgen so.

Die Begegnung mit Goethe ist anderer Art. Th. Manns Weg zu Goethe ist gekennzeichnet als Prozeß einer Identifizierung und Anverwandlung. Indem er sich Goethe zuwendet, entfernt er sich, halb noch unbewußt, von den Sternbildern seiner Jugend. Damit geht er einen neuen Weg des Humanismus.

სამღვარგარეთის ლიგერაგურის ისტორიის კათედრა



ოთარ ნიკოლეიშვილი

აჭარის საკითხი სმრბში მესხის ნააზრევში

აჭარის საკითხმა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ჩვენი დიდი მოღვაწეების შემოქმედებით მემკვიდრეობასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაზეთ „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის ცხოვრება. მისმა ინგერესმა ამ კუთხისადმი გამორჩეულად ფართო მასშაბები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს შეიძინა, რადგანაც ამ ომმა შესაძლებელი გახადა ქართველი ხალხის სამსაუკუნოვანი ოცნების რეალური შესრულება და საქართველოს ეს ძირძველი კუთხე კვლავ დაუბრუნდა დედასამშობლოს.

აჭარის საკითხით განსაკუთრებულ დაინტერესებას ს. მესხი 1875 წლიდან, ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, იჩენს. გარდა იმისა, რომ ამ დროიდან მოყოლებული თავის წერილებში იგი საგანგებო ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ისტორიულ და თანადროულ საჭირობოროტო პრობლემებზე, როგორც „დროების“ რედაქტორი, აქტიურად ცდილობდა მკითხველისათვის სისტემატურად მიეწოდებინა ამ საკითხთან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაციებიც.

აჭარის თემის ამგვარი წამოწევა წინა პლანზე შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და რუსეთ-თურქეთის მოახლოებულმა ომმა გამოიწვია, რის შედეგადაც აქტიურად დაისვა დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების საკითხი. ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილებით ქართველი ხალხის მოწინავე შეილები ცდილობდნენ კიდევ უფრო გაემძაფრებინათ საზოგადოების ინტერესი აჭარისადმი. ამ თვალსაზრისით ს. მესხის ღვაწლი განუმომლად დიდი და განსაკუთრებული რომაა, ამაზე მისი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილებიც ნათლად მეტყველებენ.

აჭარისადმი მიძღვნილი პირველი წერილი - „ოსმალთს საქართველო“ მან 1875 წლის 6 იელისს გამოაქვეყნა „დროებაში“ (№ 76).

ამ წერილის მთავარი მიზანი იყო, ქართველი მკითხველისათვის შეძლებისდაგვარად მიეწოდებინა კონკრეტული ინფორმაცია თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ. ესენი იყვნენ აჭარის, შავშეთისა და ლაზისგანის მცხოვრებლები. ს. მესხი უდიდესი გულსტკივილით აუწყებს მკითხველს, რომ თურქეთის სახელმწიფო აქტიურად ცდილობდა „სხვა-და-სხვა ისგორიულ გარემოებათა წყალობით, ოსმალთს პროვინციაში მცხოვრები“ ქართული მოსახლეობის გათათრებას. მაგრამ, ამისდა მიუხედავად ჩვენს თანამემამულეებს „რჯულის მეგი არა შეუცვლიათრა და ისიც მხოლოდ ძალდატანებითა და სხვა-და-სხვა ოსმალური ოინებით“ (1, 91).

ს. მესხი იმედოვნებდა, რომ სულ მალე საქართველოს ეს ისგორიული კუთხე დედასამშობლოს შემოუერთდებოდა. ამ რწმენას მას ის აზრი განუმტკიცებდა, რომ ოსმალთს ქართველებს კარგად ახსოვდათ თავიანთი წარმომავლობა. ს. მესხის თქმით, მათ შესანიშნავად იციან, რომ „ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისგორიული ცხოვრებით გვიცხოვრია, ერთი ბედისა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ; ერთი მეფეები გვყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება.“

თუმცა აქვე, ყოველივე გემოთქმულთან ერთდ, ს. მესხი გულსტკივილით იმასაც აღნიშნავს, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამოძმეებისაგან განსხვავებით, ბევრ ჩვენთაგანს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმაზე, რომ „ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ და ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმათ ძალდატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ და სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან.“

სამწუხარო ის იყო, რომ ს. მესხის აზრით, ჩვენს შორის გაწყვეტილი ამ კავშირის გასამთელებლად ძალზე ცოგა რამ კეთდებოდა. იგი ამ კავშირის აღდგენას ჩვენს უპირველეს პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევდა და გაბეთ „დროების“ რედაქციის სახელით ნატრობდა, რაც შეიძლებოდა მალე მოსპობილიყო „ეს განკერძოება ჩვენსა და ოსმან ქართველებს შუა.“

„ოსმალეთის საქართველოს“ მცხოვრებთა წინაშე ჩვენი ერთი მნიშვნელოვანი პატივსაცემი მოვალეობის განსაზღვრა, რომ ს. მესხის ამ დროინდელი პუბლიცისტიკის უმთავრესი მიზანდასახულებებია, ამაზე მისი სხვა წერილებიც ნათლად მეტყველებენ. იგი აღფრთოვანებით გამოეხმაურა მათ ბრძოლას თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და ქართველ ხალხს მოუწოდა, თუ ისინი მომავალშიც გააგრძელებდნენ ამ ბრძოლას, ჩვენი თანამომძიებისათვის ისეთივე დახმარება გაგვეწია, „როგორც ევროპელები, როგორც საზოგადოდ სლავიანები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებოდნენ აჯანყებულ შერცოგოვინელებს“ (1, 127).

ს. მესხის აზრით, ჩვენი თანამომძიებისათვის ამ „თავ-გადაღებულ ბრძოლაში ყოველი ჩვენგანის მიერ გაგზავნილი ლუკმაპური, უბრალოც ნაჭერი განსაცმელისა, ყოველი ყურუში ძვირფასი იქნება არა თუ თავის თავათ, არამედ როგორც მნეობითი ნიშანი ჩვენი თანაგრძნობისა, ჩვენი ძმობისა.“

რუსეთ-თურქეთის ომის მოახლოებასთან ერთად ს. მესხი უფრო და უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდა რუსეთის იმჟამინდელი საგარეო-პოლიტიკური ვითარებისადმი და აჭარისადმი მიძღვნილ მის წერილებში ნათლად ვლინდება ქართველი საზოგადოებრიობის მღელვარე დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნული პრობლემა-სადმი. პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას 1876-77 წლებში „დროებაში“ დაბეჭდილი მისი წერილები: „იქნება ომი თუ არა?“, „ომის მოლოდინი“, „სლავიანების თანაგრძნობა“, „ომიანობის საქმე“, „ომის საქმე“ და სხვა.

ამ წერილებში ს. მესხი მოვლენათა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით აანალიზებს ერთის მხრივ ევროპაში შექმნილ დაძაბულ ვითარებას, რაც საბოლოოდ რუსეთ-თურქეთის ომით დაგვირგვინდა, მეორეს მხრივ კი ყურადღებას ამახვილებს იმ სასიკეთო შედეგებზე, რაც ამ ომს შეიძლებოდა მოეგანა ქართველი ხალხისათვის ე. წ. „ოსმალეთის საქართველოს“ დედასამშობლოსთან შემოერთებით. ევროპელი სლავებისადმი „განათლებული ევროპის“ (ს. მესხის სიტყვებია) თანაგრძნობისათვის ქართველი ხალხის ყურადღების მიპყრობით ს. მესხი ცდილობდა თავის თანამემამულეებშიც გამოეწვია მსგავსი გრძნობა თურქეთში მცხოვრები ქართველების მიმართ. იგი მრავალმნიშვნელოვნად

შეახსენებდა „დროების“ მკითხველებს იმ ფაქტს, რომ თურქეთის იმპერიაში მცხოვრები სლავების ბელით განსაკუთრებული დაინგერესებას პირველ ყოვლისა მაინც მათი თანამოძმეები იჩენდნენ. მისი თქმით, „ეს თანაგრძნობა არსად არ არის ისეთი ძლიერი და მსურვალე, როგორც რუსეთში. ამ ქვეყანაში არ ნახულა ჯერ ამგვარი საზოგადოებრივი მოძრაობა და თანაგრძნობა: მთელი ხალხი აღელვებულია, ყველა იმას ამბობს, რომ, რითაც შეგვიძლია უნდა უშველოთ, უნდა დავეხმაროთ ჩვენს უმცროს ძმებსო, უნდა ხელი მოუშართოთ „ბასურმანებთან“ ბრძოლაშიო!“ (1, 253).

რუსეთ-თურქეთის ომის აჭარის მონაკვეთზე არსებულ ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით ს. მესხმა 1877 წლის აგვისტოში პირადად იმოგზაურა ფრონგის ხაზზე. „ყოფილა შემთხვევა, როცა მას საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაუყენებია, მრავალი დამე სანგრებსა და თხრილებში უთევია და ასე გზადაგზა უწერია სამხედრო ხასიათის კორესპონდენციები, რომლებიც „დროებაში“ იბეჭდებოდნენ (3). ისინი ნათლად ასახავდნენ ომის ვითარებას და მკითხველს გამარჯვების ღრმა რწმენას უნერგავდნენ“ (5, 67).

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთს შორის 1877 წლის აპრილში დაწყებული ათთვიანი ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ქართველი ხალხი განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ამ ომმა აჭარის განთავისუფლებასა და დედასამშობლოს შემოერთებას დაუსვა წერტილი. წერილში „ომის გათავება“ (4) ს. მესხი კმაყოფილებით წერდა, რომ ამ ომში გამარჯვებით „უიმისოთაც ძრიელ რუსეთს ახლა უფრო მომეგებული ძალა და გავლენა მიეცემოდა ევროპაში; ის შეიძენდა შავ ზღვაზე უფლებას, ჰქონოდა სამხედრო ფლოგი. საფიქრებელი იყო, რომ იმას ბათუმსა და იქნება ყარსამდინ თავის მიწებსაც დაუთმობდა დამარცხებული ოსმალეთი.“

ომის დამთავრების შემდეგ მეომარ ქვეყნებს შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტად ასპარეზზე ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დიპლომაგები გამოვიდნენ. ს. მესხი დიდ ყურადღებას ამახვილებს ამ მოლაპარაკებათა უმთავრესი პერიპეტიების წარმოჩენაზე და, სავსებით ბუნებრივად, განსაკუთრებულ დაინგერესებას „ოსმალეთის საქართველოს“ პრობლემის საბოლოო



გადაწყვეტის პერსპექტივისადმი იჩენს.

როგორც ს. მესხის პუბლიცისტური წერილებიდან ჩანს, ომის დამთავრების შემდგომ აჭარისადმი მისი ინგერესი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. იგი მართებულად ფიქრობდა, რომ თურქეთის მიერ რუსეთისათვის საქართველოს ამ დვიძლი ნაწილის გადაცემა სულაც არ ნიშნავდა პრობლემის გადაჭრას. პირიქით, ამ კუთხის მოსახლეობაში ქართული სულისა და ცნობიერების ასაღორძინებლად ბევრი რამ სამომავლოდ იყო გასაკეთებელი. ეს ყველაფერი ს. მესხს კარგად რომ ჰქონდა გაცნობიერებული, ნათლად ჩანს ომის შემდგომ წლებში გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მისი წერილებით. ერთ-ერთი მათგანია „ახლად შექმნილი საქართველო“, რომელშიც იგი უღრმეს გულისგკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ჩვენ, რუსის ქართველები, თითქმის სრულებით არ ვიცნობთ ამ ახლად ჩვენს უბეში დაბრუნებულ მოძმეებს. ვიცით მხოლოდ, რომ ყველა ესენი გამაჰმადიანებულები არიან, რომ მომეგებულ ნაწილს ამათგანს ძველი საქართველოს ხასიათი და ჩვეულებანი ჯერაც არ დავიწყებიან და ასრულებენ, ვიცით, რომ ზოგან იმათ თავიანთი სამშობლო ქართული ენა ჯერაც არ დაკარგვიან და სხვა არაფერი“ (1, 368).

როგორც ცნობილია, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით რუსეთს თურქეთმა გერიგორიების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, აჭარაც, გადასცა, მაგრამ ევროპის დიდი სახელმწიფოების ჩარევით დღის წესრიგში კვლავ დაისვა ამ ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხი, რაც რეალურად განახორციელა კიდევ ბერლინის კონგრესმა. საბედნიეროდ, კონგრესმა აჭარისა და ბათუმის საქართველოსთან შემოერთების პრობლემა დადებითად გადაწყვიტა.

მაგრამ ს. მესხსა და ჩვენი ერის სხვა იმჟამინდელ სახელოვან შვილებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ პრობლემის მხოლოდ აღმინისგრაციული გადაჭრა მის საბოლოო მოგვარებას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. მთავარი და ძირითადი საქმე ამის შემდეგ იყო გასაკეთებელი: იქ ნორმალური მართვა-გამგებლობის დამყარება, განსხვავებული სარწმუნოებრივი და ყოფით-ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებებისადმი პაგივისცემის გამოხატვა, ქართული სკოლების გახსნა და ა. შ.

ამ საკითხების რეალური გადაწყვეტა ხანგრძლივ შრომასა

და რულუნებას მოითხოვდა. ს. მესხს ეს ყველაფერი რომ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, ამას იმხანად „დროებაში“ მიერ გამოქვეყნებული აჭარისადმი მიძღვნილი წერილებიც ნათლად ადასტურებენ.

ს. მესხმა სამი საუკუნის განმავლობაში ჩვენგან იძულებით მოწყვეტილ აჭარელ თანამოძმეებთან ძმური კავშირურთიერთობის აღდგენის უმთავრეს პირობად ერთმანეთისადმი ნდობის განმტკიცება მიიჩნია. მან თავისი დროის ქართველობის ახალ უმთავრეს მოვალეობად „ახლადშემოერთებული ოსმალეთის ქართველობის“ იმაში დარწმუნება მიიჩნია, რომ ეს მხარე „გასაცარცვათ და შესაჭმელათ როდი შემოვიერთეთ, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ ერთმანეთს ხელი ხელში ჩავავლოთ და ამნაირათ უფრო ადვილათ გავიაროთ ცხოვრების მძიმე გზამდ“ (2, 11).

მსგავსად ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა, ნიკო ნიკოლაძისა და თავისი დროის სხვა დიდი ქართველებისა, „ახლადშემოერთებულ ოსმალს ქართველებსა და ჩვენს შორის გაწყვეტილი ძმობის ხელ-ახლად აღდგენის უმთავრეს და უპირველეს საშუალებად“ ს. მესხმა მაჰმადიან ქართველებში ქართული ენისა და წერა-კითხვის გავრცელება მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ იგი აქ ერთგვარ უზუსტობას იჩენს და მაჰმადიან ქართველებში ქართულ ენას აღსადგენი არაფერი სჭირდა, ქართული წერა-კითხვა მათგან თითქმის მართლაც არავინ იცოდა. ამიტომაც დაისახეს ქართველმა „სამოციანელებმა“ თავიანთი ეროვნულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად აჭარაში პირველდაწყებითი ქართული სახალხო სკოლების გახსნა. „ახლადშემოერთებულ ოსმალს საქართველოში, - წერდა ს. მესხი 1878 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში, - რაც შეიძლება ბევრი და კარგი შკოლები უნდა გაიხსნას. და უნდა გაიხსნას უეჭველად ქართული შკოლები, ე. ი. ისეთები, რომლებშიც ყველა საგნების სწავლა ქართულ ენაზედ იყოს, რადგან ეს ენა ყველა იმათთვის მშობლიურია, ყველასთვის გასაგები ენაა“ (2, 13).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც ს. მესხმა აჭარისადმი მიძღვნილ წერილებში არაერთგზის მიაქცია ყურადღება, სარწმუნოებრივი პრობლემა იყო. იგი სავესებით სწორად და მართებულად მოითხოვდა, ქართულ საზოგადოებას ეს სა-

კითხი მიზანმიმართულად არ წასოეწია წინა პლანზე. „ჩვენს აზრი, - წერდა, მაგალითად, იგი ამასთან დაკავშირებით თვან, - ეს არის რომ არა თუ ძალდაგანებით, ქადაგებითაც, ტკბილი სიგყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადილებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ჩვენ თავიდამვე შევაძლებთ იმათ ჩვენს თავს, თავიდამვე განზე დაგვიწყებენ ყურებას. სარწმუნოება სინიდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შევხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ მაჰმადიანის სარწმუნოების კაცი გიდგია. არც ქადაგება, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. თვითონ თავის თავად თუ გაიგებენ და ღარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არა და იყვნენ, ღარჩნენ ისე, როგორც არიან. სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ძმობას და ერთობას“ (2, 14-15).

ს. მესხის ამ სიგყვებში ნათლად განისაზღვრა განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობისადმი ავგორისეული დამოკიდებულების არსი. მიუხედავად იმისა, რომ გემოთ დამოწმებული მოსაზრების გამოთქმიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, იგი დღევანდელი პოზიციებიდანაც მთლიანადაა მისაღები.

ს. მესხი არა მარგო სიგყვით იღვა ქვეყნის სამსახურში, არამედ აქტიური პრაქტიკული საქმიანობითაც ცდილობდა ბევრი საჭირობოროგო ეროვნული პრობლემის რეალურ გადაწყვეტას. ამ თვალაზრისით მან აჭარასთან დაკავშირებითაც შეასრულა მეგად ფასეული და მნიშვნელოვანი როლი.

კერძოდ, როგორც გემოთ უკვე აღინიშნა, თურქეთთან ომის პერიოდში იგი რამდენიმე დღით უშუალოდ ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა არსებული ვითარების უკეთ გაცნობის მიზნით. ხოლო აჭარის შემოერთების შემდეგ, 1878 წლის 25 აგვისტოს, რუსეთის ჯართან ერთად შევიდა ბათუმში, სადაც ერთი კვირა დაჰყო, იქაურ მდგომარეობას საფუძვლიანად გაეცნო და მიღებული შთაბეჭდილებები წერილების სერიად გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ (№ 176, 177, 178, 181, 184).

აღნიშნული წერილებისადმი („ბათუმისაკენ“) ინგერესს არა მარგო ის გარემოება განსაზღვრავს არსებობითად, რომ მასში ს. მესხის ეროვნული თვალთახედვაა გამოხატული, არამედ ისიც,

რომ ისინი ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმ რთულ ვითარებაზე, რომელიც იმხანად ბათუმსა და მთელს აჭარაში იყო დამკვიდრებული. ს. მესხი შთამბეჭდავად აღწერს ადგილობრივი მოსახლეობის უმძიმეს სოციალურ მდგომარეობას, რაც მძარ-თველობითი რეჟიმის შეცვლას მოჰყვა შედეგად და საფუძვლიანად წარმოაჩენს იმ არსებით მიზეზებს, რამაც საგონებელში ჩავარნილ აჭარელთა ერთ ნაწილს მშობლიური კუთხიდან აყრა და თურქეთში გადასახლება აუიქრებინა.

როგორც ითქვა, აჭარისა და ბათუმის პრობლემებით ს. მესხის განსაკუთრებული დაინტერესება მარგო ქურნალისგურ-პუბლიცისტური მოღვაწეობით არ შემოიფარგლებოდა და იგი პრაქტიკულადაც აქტიურად ცდილობდა უშუალო მონაწილეობა მიეღო ბევრი საჭიროთროგო საკითხის რეალურ გადაწყვეტაში. ამ თვალსაზრისით მეგად მნიშვნელოვანია ის ინიციატივა, რომელიც მან და მისი რედაქტორობით გამომავეალმა გაზეთმა „დროებაში“ გამოიჩინეს აჭარელი მოძმეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

კერძოდ, 1879 წლის 13 თებერვალს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილით - „ძმა ძმისთვისაო - ამ ღღისთვისაო“ (№ 32) ს. მესხი გამოვიდა ინიციატივით, ომიანობით ეკონომიკურ გასაჭირში ჩავარდნილი აჭარელი მოსახლეობისათვის მაგერიალური დახმარება აღმოეჩინათ. იგი დიდი გულისტკივილით აუწყებდა მკითხველს, რომ აჭარა „გასული ომიანობის წყალობით... ჯარებითა და ამათი ცხენებით ისე იყო გადაჯირგალებული და აოხრებული,“ რომ „ხალხი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე დარჩა.“ უშუალოდ ამ მხარიდან თვითმხილველთა მიერ გამოგზავნილი ცნობების თანახმად მოსახლეობა რეალურად იღვა შიმშილითა და სიცივით დახოცვის საშიშროების წინაშე.

ამ აზრით შემოთვებულმა ს. მესხმა მამულიშვილური გულითადობით თხოვა საზოგადოებას, ვისაც რით შეეძლო, იმით დახმარებოდა ჩვენს ახლად შემოერთებულ მოძმეებს. „ნუ დავიზოგავთ თითო-ოროლა მანეთს, თითო-ოროლა თუმანს, ძველ განისამოსს, ხორავს, ერთი სიტყვით, ვისაც რა გვემარჯვება და რაც შეგვიძლიან დავეხმაროთ მშიერ-ტიტველ ხალხს!“ (2, 130).

ს. მესხი თვლიდა, რომ აჭარელი მოძმეებისადმი ამგვარი დახმარება არა მარგო ჩვენი „კაცთ-მოყვარეობითი გრძნობის“ გამოვლინება იქნებოდა, არამედ იმის რეალური დემონსტრირებაც, როგორ აქტიურად ცდილობდა „რუსეთის საქართველოს“ მოსახლეობა საქმით აღმოეჩინა დახმარება გასაჭირში ჩავარდნილი თავისი მუსულმანი ძმებისათვის. „ამ ახლადშემოერთებულ ხალხს, - წერდა ს. მესხი, - ახლა ჩვენ პირველად უნდა დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ჭირშიაც და ღზინშიაც მართლაც ძმები ვართ

იმათი.“

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ს. მესხის ამ მოწოდებას საზოგადოების ერთი ნაწილი საქმით გამოეხმაურა და ორთვენახევარში აჭარელ თანამოძმეთა დასახმარებლად 1538 მანეთი შეგროვდა. „ღროების“ 1879 წლის 27 აპრილის (№ 88) ნომერში დასტავებულ წერილში - „შემწეობის დარიგება“ ს. მესხი მკითხველებს აუწყებს, რომ ამ ფულის პაგიოსნად და კეთილსინდისიერად დარიგების მიზნით იგი თავად იმყოფებოდა ქობულეთში და მამრის სოფლებიდან მოწვეული მამასახლისებისა და მეჯლისის თანდასწრებით ყველაზე გაჭირვებულებს პირადად დაურიგა ფულადი შემწეობა.

ს. მესხის, ისევე როგორც იმ პერიოდის ბევრი ქართველი მამულიშვილის, განსაკუთრებულ შემოთქმებას იწვევდა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა გარემოებათა შედეგად აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილი მშობლიური კერიდან იყრებოდა და ოსმალეთში გადადიოდა საცხოვრებლად. ს. მესხმა და მისმა „ღროებამ“ თავიდანვე მწვავედ გაილაშქრა ამ მოვლენის წინააღმდეგ და ბევრი რამ გააკეთა მოგყუებული აჭარელი მოძმეებისათვის თვალის ასახელად.

შექმნილი მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ს. მესხი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს გრაგიკული მოვლენა ძირითადად სამი უმთავრესი მიზეზით იყო განპირობებული: 1. აჭარაში მამრის უფროსებად ისეთი კაცების დანიშვნით, რომელთაც საერთოდ არ იცოდნენ იქაური მოსახლეობის ზნე, ხასიათი და წეს-ჩვეულებანი. 2. ომისაგან აოხრებული და დამშეულ-გაღაგაკებული ხალხისთვის სახელმწიფოს მიერ დიდიხალი გადასახადის დაკისრებითა და 3. მოლების მიერ გაწეული აგიტაციით (2, 183).

ს. მესხის ამრით, ოსმალეთში გადასახლებული ჩვენი აჭარელი თანამოძმეები მოგყუებული ადამიანები იყვნენ, რომლებმაც სულ მალე დაინახეს თავიანთი გადაწყვეტილების სრული უსაფუძვლობა და შიმშილით, უსახლკარობითა და უმძიმესი პირობებით გაწამებულებმა კვლავ თავიანთ ქვეყანაში დაბრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ ხელისუფლება მათ ამის ნებას უკვე აღარ რთავდა.

მაჰმადიან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების განმაპირობებელი მიზეზების კრიტიკული განსჯის დროს ს. მესხმა „მომეგებული ყურადღება“ საფუძვლით მართებულად მიაქცია იმ გულგრილ და ზერელე დამოკიდებულებას, რომელსაც ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იჩენდა ამ გრაგიკული მოვლენისადმი. იგი დიდი გულისგვიფრით საუბრობს იმაზე, რომ

ჩვენ „ომიანობისაგან დაჩაგრულ-გალაგაკებული ამ ხალხის“ მიმართ საჭირო სიტბო და თანადგომა ვერ გამოვიჩინეთ. ამიტომ იყო, რომ „ჩვენ, ქართველები, მარგო ცარიელი სიგყვიტ - დაკარგული ძმები შემოგვიერთდნენ! ვიშ, რა კარგია, რა გვიხარია-ანო!“ - მარგო ამით დავეკმაყოფილდით, მაშინ, როდესაც ამ ხალხს „არსობითი პური“ და მკვიდრი ცხოვრება, მშვიდობიან მომავლის იმედი ეჭირებოდა. და, აი, ახლა ვხედავთ ამგვარ უგულო, უაზრო მოქმედების, ანუ უკეთ ვთქვათ, უმოქმედობის ნაყოფს; ეს ჩვენი სანაგრელი მოძმეები ახლა კი საუკუნოთ მიდიან, სამუდამოთ გვეცლებიან ხელიდამ“ (2, 288).

ჩვენი ამგვარი ინერგულობისა და გულგრილობის საპირისპიროდ, აჭარაში აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ მოღეები და თურქეთის ხელისუფლების მიერ შემოგზავნილი აგენტები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას დაბეჯითებით არწმუნებდნენ იმაში, რომ „ყოველი მაჰმადიანი, რომელიც რუსის ხელმწიფის და კანონების მფარველობაში დარჩება, სულით და ხორციით წაწყმედილი იქნებაო. ამის გამო ყველანი უნდა გადმოსახლდეთ აქ ოსმალეთში, უეჭველია, ბევრ შიმშილს, სიცივეს და სხვა უბედურებას გამოსცდითო, მაგრამ ეს განჯვა ხორციელი განჯვა იქნება და სულის კი მაცხოვრებელიო.“

ს. მესხი დიდ გულისკვიცილს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ამგვარ პროპაგანდას არაერთი „გაფანატიკებული მაჰმადიანი“ წამოეგო, მშობლიური კერიდან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. თუმცა, საბუნდუროდ, ისინი მალე დარწმუნდნენ თავიანთი გადაწყვეტილების უაზრობაში და კვლავ ცდილობდნენ სამშობლოში უკან დაბრუნებას.

ბათუმისა და აჭარისადმი სიყვარულის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად ბევრი სირთულისა, ს. მესხი რამდენჯერმე იმყოფებოდა ამ მხარეში საქმიანი ვიზიტით. ეს მას საშუალებას აძლევდა სათანადოდ შეეფასებინა ის ცვლილებები, რომლებიც ამ მხარეში სამშობლოსთან შეერთების შემდეგ განიცადა.

როგორც წინამდებარე ანალიზიდანაც ჩანს, მსგავსად თავისი დროის დიდი ქართველი მამულიშვილებისა, ს. მესხმაც ძალიან ბევრი გააკეთა დედასამშობლოსთან აჭარის შემოსაერთებლად და იქაური ქართველობის ცნობიერებაში ეროვნული თვითშეგნების განსამკვიცებლად. უდიდესი სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ს. მესხისა და ჩვენი ერის სხვა იმდროინდელ მოღვაწეთა ამ მცდელობამ სასურველი ნაყოფი სულ მალე გამოიღო და ოდითგანვე საქართველოს ღვიძლ ნაწილად დამკვიდ-

ლიტერატურა

1. სერგეი მესხი, თხზულებანი სამ გომად, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო იოსებ ბოცვაძემ, ტ. 2, 1963 წ. თბილისი.
2. მისივე, ტ. 3, 1964 წ. თბილისი.
3. გაზ. „დროება“ 1877 წ. 18, 19, 21, 23 აგვისტოს ნომრები.
4. გაზ. „დროება“ 1878 წ. 24 იანვარი.
5. იოსებ ბოცვაძე, სერგეი მესხი (ცხოვრება და შემოქმედება), 1964 წ. თბილისი.

ОТАР НИКОЛЕИШВИЛИ ВОПРОС АДЖАРИИ В ВОЗЗРЕНИЯХ СЕРГЕЯ МЕСХИ РЕЗЮМЕ

Вопрос Аджарии занял одно из значительных мест в творческом наследии и практической деятельности наших великих деятелей 60-х годов XIX века. С этой точки зрения особое внимание привлекает жизнь редактора газеты “Дроеба” Сергея Месхи. Его интерес к этому краю принял исключительно широкие масштабы во время русско-турецкой войны 1877-78 годов, поскольку эта война сделала возможным реальное осуществление трехвековой мечты грузинского народа и исконно грузинский край был возвращен родине.

Особую заинтересованность в аджарском вопросе С. Месхи выказывает с 1875 года, еще до начала русско-турецкой войны. Кроме того, что начиная с этого времени он уделял войны. Кроме того, что начиная с этого времени он уделял в своих публикациях исключительное внимание историческим и современным злободневным проблемам этого древнего края, в качестве редактора “Дроеба” он еще и старался систематически подавать читателям интересные информации в связи с означенным вопросом.

Подобное выдвижение на первый план аджарской темы было вызвано сложившейся политической ситуацией и надвигающейся русско-турецкой войной, вследствие чего был активно поставлен вопрос присоединения Аджарии к родине – Грузии. Заострением внимания на данной проблеме передовые люди нашей страны старались сделать еще более напряженным интерес общественности к Аджарии. То, что заслуга С. Месхи с данной точки зрения неизмеримо велика и исключительна, со всей ясностью подтверждается также его многочисленными публицистическими письмами.

В преддверии надвигающейся русско-турецкой войны С. Месхи все больше и больше интереса выказывал к тогдашней внешне-политической обстановке, и в его письмах, посвященных Аджарии, отчетливо выявляется взволнованное отношение

грузинской общественности к вышеозначенной проблеме. В первую очередь именно с этой точки зрения обращают на себя внимание его статьи, напечатанные в "Дроеба" в 1876-77 годах.

Одним из важнейших вопросов, которому С. Месхи не раз уделял внимание в вышеназванных статьях, являлась проблема вероисповедания. Он совершенно верно и справедливо требовал от грузинской общественности не выдвигать данный вопрос целенаправленно на первый план.

Особая заинтересованность С. Месхи в проблемах Аджарии и Батуми не ограничивалась только лишь журналистско-публицистической деятельностью, он активно старался и практически принять непосредственное участие в реальном решении многих злободневных вопросов. С этой точки зрения определенную важность представляет инициатива, которую он и выходящая под его руководством газета "Дроеба" проявили в деле оказания помощи аджарским собратьям.

Особую тревогу С. Месхи, так же как и многих истинных сынов Грузии, вызывал тот факт, что вследствие различных обстоятельств часть населения Аджарии вынуждена была покинуть родные места и переселялась в Турцию. С. Месхи и его "Дроеба" с самого же начала резко выступили против данного явления и многое сделали для того, чтобы направить на путь истины обманутых аджарских собратьев.

Как видно из настоящего анализа, С. Месхи, подобно другим большим патриотам-грузинам своего времени, очень многое сделал в деле присоединения Аджарии к Грузии и упрочения национального самосознания в мышлении аджарских грузин.

საქართველოს ისტორიის კათედრა

ნიწო ნიქარაქე

კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიული საფუკვლები

ტერმინს კომუნიკაციური კომპეტენცია სხვადასხვა და საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ. ქმას შემდეგ რაც ეს ტერმინი გამოჩნდა ენის სწავლების მეთოდოლოგიაში, იგი თანდათანობით გახდა სიმბოლო ყოველივესი, რაც აუდიოლინგვალბმის სფეროს სცდება. იგი აღნიშნავს შემოქმედებით მიღგომას, რომელიც ცდილობს მოერგოს ენის შემსწავლელთა მოთხოვნებს. მას შემდეგ, რაც კომუნიკაციური კომპეტენცია გახდა სინონიმი სწავლების პროგრესული, ახლებური მეთოდისა, ყველამ მოინდომა ეს ტერმინი გამოეყენებინა თავისი სტილსა და მიღგომის ასაღწერად. ისმის კითხვა: ბოლოს და ბოლოს რას ნიშნავს თავად ცნება კომუნიკაციური კომპეტენცია?

ტერმინი კომპეტენციის განმარტების საჭიროება თავდაპირველად ენათმეცნიერების და ენის სწავლების მეთოდოლოგის საზღვრებს მიღმა გაჩნდა. ჰარვარდის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ფსიქოლოგმა დევიდ მაკკლელანდმა (McClelland [8]) აღიარება ბიზნესის სამყაროში მოიპოვა თავისი გამოკვლევით, რომელიც მიზნად ისახავდა კონკრეტული სამუშაოსათვის საჭირო კომპეტენციის განსაზღვრასა და შეფასებას. მაკკლელანდის კომპეტენცურობის თეორია ამტკიცებს, რომ გონიერებისა და უნარიანობის შესამოწმებელი სტანდარტული ტესტები მოუქნელი, დაუხვეწავი ინსტრუმენტებია და ფაქტიურად არაერთარი კავშირი არა აქვს სამსახურში რეალური წარმატების მიღწევასთან. ავგორი ახდენს ამგვარ ტესტებსა და თავად სამსახურს შორის არსებული შეუსაბამობის დემონსტრირებას. ზოგი ფსიქოლოგი ცდილობდა ამ ტესტების სარგებლიანობის დადასტურებას წარმატების პროგნოზირებისთვის იმ შესაბამისობის დემონსტრირებით, რაც ტესტის შედეგებსა და სამსახურის პრესტიჟულობას შორის არსებობს.

აქ პრობლემას წარმოადგენს ამ შესაბამისობის ხელოვნურობა მაღალი შედეგი გზას უხსნის ახალგაზრდას კარიერისაკენ. შედეგადაც სავარაუდოა, რომ მისი ცხოვრება უფრო წარმატებული და ნაყოფიერი აღმოჩნდეს, ვიდრე მისი სხვა თანაგონებისა. ასე, რომ ეს ტესტები თავად იქცნენ კრიტერიუმის შემადგენელ ნაწილებად. მაკკლელენდისავე აზრით, უფრო გამართლებული იქნებოდა კომპეტენციის შეფასებისათვის მოგვეწყო ტესტირება იმ უნარ-ჩვევებისა, რომლებიც აისახება სამსახურებრივ პროფესიონალიზმზე, აგვერჩია საუკეთესონი ამ საქმეში და განგვესაზღვრა რა გამოარჩევს მათ დანარჩენთაგან. ამისათვის საჭირო იქნებოდა თითოეული შემსრულებლის ქმედებათა აღრიცხვა და ანალიზი კრიტერიუმების დასადგენად. ეს რა თქმა უნდა არ არის ადვილი ამოცანა. წარმატება დამოკიდებულია გამოცდელთა თეორიულ ცოდნაზე ისევე, როგორც მათ პრაქტიკულ უნარზე, შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია. როცა დადგინდება რა არის ეგალონური ქმედება, ეს ინფორმაცია უნდა გაეცნოს ყველას, ვინც საბოლოო ტესტს გაივლის.

ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია კომუნიკაციური კომპეტენციის განსაზღვრისას ამოსავალ წერტილად ავიღოთ ამ საქმეში წარმატებულად მიჩნეულთა ქცევის იდენტიფიკაცია ანუ უფრო ზუსტად წარმატებული კომუნიკატორის მახასიათებლების განსაზღვრა. მაშინ რჩება საკითხი რა არის კომუნიკაცია? რა განსაზღვრავს წარმატებას კომუნიკაციაში?

კომუნიკაცია ანუ შეგყობინების გადაცემა პარგნიორისათვის ერთერთი სერიოზული პრობლემაა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. უკეთესი კომუნიკაცია ნიშნავს უკეთეს ურთიერთობებს ადამიანებს შორის, ნაკლებ იმოლაციას გარშემომყოფთაგან და უფრო პროდუქტიულ, ბედნიერ ცხოვრებას.

ჩვენ დაბადებიდანვე ვიწყებთ ურთიერთობას გარშემომყოფებთან, რომ ვიყოთ სითბოში, მშრალად და დანაყრებულნი. ჩვენ ვსწავლობთ, რომ მნიშვნელობა არასოდეს არაა ცალმხრივი. იგი გადაეცემა ერთი მონაწილისგან მეორეს. რაც უფრო იზრდება ადამიანი, მით უფრო რთულს ხდება მისი მოთხოვნები და მათთან ერთად მისი მცდელობები დაამყაროს კომუნიკაცია; სიგყვებთან ერთად ვსწავლობთ ინგონაციის, ქესტების,

სახის გამომეცხველების და კომუნიკაციის ბევრი სხვა საშუა-
ლების გამოყენებას ჩვენი ამრის სხვათათვის გადასაცემად სხვა
კომუნიკაციო სტრატეგიების ჩვენული რეპერტუარი ვითარდება
გაუაზრებლად, იმ ადამიანთა მიბაძვით რომლებითაც აღფრთო-
ვანებული ვართ ან ურთიერთობაში მიღწეული წარმატებების
ასიმილაციით. დამაჯერებელი მსჯელობის უნარი, სცენის შიშის
დაძლევა, სხეულის ენის ანუ პომის, ხელების მოძრაობის, თვა-
ლების, ღიმილის თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსების სწორი
გაგება არის ის კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, რომელთა
სრულყოფა ხშირად მთელი ზრდასრული ცხოვრების მანძილზე
გრძელდება. ერთერთი მთავარი, რასაც ვსწავლობთ ისაა, რომ
ნებისმიერ კომუნიკაციურ კონტექსტში მთავარია არა განზრახვა,
არამედ კომუნიკაციური აქტის ინტერპრეტაცია.

მაშასადამე, კომუნიკაცია არის გამოხატვის, ინტერპრეტაციის
და გადაცემის უწყვეტი პროცესი. კომუნიკაციის შესაძლებლობები
შეუზღუდავია და მოიცავს ნიშანთა და სიმბოლოთა სისტემებს,
რომლებშიც შედის ენაც. მნიშვნელობა, რომელიც გვინდა გადაე-
ცეთ და მნიშვნელობა, რომელსაც რეალურად გადაეცემთ ხში-
რად ერთმანეთს არ ემთხვევა. ამრებიდან და გრძნობებიდან
სიმბოლურ რეპრეზენტაციებზე-იქნება ეს წერილობითი თუ ბეპი-
რიშ სიტყვა, ქესტი, ღიზინი, ფერი, მოძრაობა თუ ბგერა გადას-
ვლისას უნდა გაკეთდეს არჩევანი. ამ დროს შეძლებისდაგვარად
გამოიყენება სიმბოლოთა ის სისტემები, რომლებსაც ვფლობთ.
მნიშვნელობა, რომელსაც გადაეცემთ, დამოკიდებულია მათზე,
ვისაც ჩვენს მსგავსად ესმის ეს სიმბოლოები და ვისი ინტერპრე-
ტაციაც შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს ჩვენს განზრახვას.

განხილული საკითხები საშუალებას გვაძლევს გამოვიგანოთ
შემდეგი დასკვნები:

1. კომუნიკაციური კომპეტენცია დინამიკური და არა სტატი-
კური ცნებაა. იგი დამოკიდებულია მნიშვნელობის გაცვლაზე ორ
ან მეტ ადამიანს შორის, რომლებსაც გარკვეულ დონემდე საერ-
თო სიმბოლოთა სისტემა აქვთ. ამ თვალსაზრისით შეიძლება
ითქვას, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია უფრო ინტერპერსო-
ნალურია, ვიდრე ინტრაპერსონალური.

2. კომუნიკაციური კომპეტენცია მოიცავს როგორც წერილობით,

ასევე სასაუბრო ენებს და ასევე სიმბოლოთა ბევრ სხვა სისტემას.
3. კომუნიკაციური კომპეტენცია სპეციფიურია კონტექსტში. კომუნიკაცია შედგება უსასრულო რაოდენობისა და სახეობის სიგუაციებში და კონკრეტულ როლში წარმატება დამოკიდებულია კონტექსტის გაგებაზე და კომუნიკანტის წინა გამოცდილებაზე ანალოგიურ სიგუაციებში. საჭირო ხდება რეგისტრისა და სტილის სწორად არჩევა სიგუაციისა და სხვა მონაწილეების გათვალისწინებით.

4. კომპეტენციასა და შესრულებას შორის არსებობს თეორიული განსხვავება. კომპეტენცია არის სავარაუდო საბაზისო უნარი, ხოლო შესრულება-ამ უნარის გარეგნული გამოვლენა. კომპეტენცია არის ის, რაც ვიცით, ხოლო შესრულება - ის, რასაც ვაკეთებთ. თუმცა დაკვირვება მხოლოდ შესრულებაზე შეიძლება და ამდენად, შესრულებით შეიძლება კომპეტენციის განვითარება, შენარჩუნება და შეფასება.

5. კომუნიკაციური კომპეტენცია ფარდობითია და არა აბსოლუტური და ის დამოკიდებულია ყველა მონაწილის თანამშრომლობაზე. მაშინ ამრს არ უნდა იყოს მოკლებული საუბარი კომუნიკაციური კომპეტენციის ხარისხებზე.

ახლა, როცა ჩვენ განვიხილეთ მოგადი წანამძღვრები კომუნიკაციისა და კომპეტენციისა, შეგვიძლია ყურადღება დავუთმოთ კომუნიკაციური კომპეტენციის რაობასა და მნიშვნელობას ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

კომუნიკაციური კომპეტენცია არის ცოდნა, რომელიც აქვს ენის მაგარებელს. ეს ეხება არა მარტო ფორმალურ კოდს, არამედ იმ ენობრივი არჩევანის სოციალურ შედეგებს, რომელსაც მოსაუბრე აკეთებს ენით სარგებლობის პროცესში თავისი ცხოვრების მანძილზე, როცა იგი ადამიანთა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუენტის, სამეტყველო აქტების, მოქმედ პირად გვევლინება. ასეთია კომუნიკაციური კომპეტენციის ბელიესული განმარტება [1:272-273].

კომპეტენციაზე საუბრისას არაა აუცილებელი დაწვრილებით განვიხილოთ ჩომსკის მიერ შემოთავაზებული და ორთოდოქსი ლინგვისტების დიდი უმრავლესობის მიერ აღიარებული ენობრივი კომპეტენციის ცნება, მაგრამ ამ ორ ცნებას შორის პარალელ-

ლების გავლება უდავოდ მიზანშეწონილი იქნებოდა.

ენობრივი კომპეტენცია უნდა გავიგოთ, როგორც თანდაყოლილი ცოდნა, რომელიც ახასიათებს იდეალურ მოლაპარაკე-მსმენელს და საშუალებას აძლევს მას შექმნას და გაიგოს გრამატიკულად გამართული წინადადებები თავის ენაზე. ეს გაგება, ენაზე როგორც დახურულ სისტემაზე წარმოდგენასთან შესაბამისობაში, ეხება კოდის ცოდნას, რაც გულისხმობს იდეალური მოლაპარაკე-მსმენელის უნარს, განსაჯოს წინადადების გრამატიკულობა-არაგრამატიკულობა კონტექსტის გარეშე. სემიოტიკის თვალსაზრისით, კომპეტენცია გულისხმობს სინგაქსის ცოდნას და სწორედ ამ მკვეთრად განსაზღვრულ ფარგლებში დიდი წარმატებები იქნა მიღწეული 6070-იანი წლების ლინგვისტიკაში. თუმცა სერლის [10] მიერ სოციოლინგვისტიკის ძლიერი მოთხოვნის ჩამოყალიბებამ წარმოაჩინა სერიოზული საფუძველი ამ საზღვრების გაფართოებისთვის მათში ენის გამოყენების სოციალური ასპექტების ჩართვით.

კომუნიკაციური კომპეტენცია, რომელიც ენობრივი კომპეტენციის გაგებაზეა აგებული, შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანდაყოლილი ცოდნა, რომელიც საშუალებას აძლევს ენის მაგარებელს შექმნას და გაიგოს გამონათქვამები - აამოქმედოს კომუნიკაციური აქტების ნიშნები კონტექსტში. ასეთი ცოდნა უდავოდ ეხება დისკურსის დონეს, რომელშიც ენა მოქმედებს ღია სისტემის სახით და გამუდმებით ურთიერთქმედებს თავის გარემოცვასთან. ასე რომ, ის წარმოადგენს პრაგმატული ცოდნის მაგალითს, რომლის ნაწილებიცაა სინგაქსური და სემანტიკური ცოდნა. კომუნიკაციური კომპეტენციის რაობის დამუსგება არის არა მარგო იმის დადგენის მცდელობა, თუ როგორ ახერხებს ენის მაგარებელი გრამატიკული სისწორის დადგენას, არამედ მისი უნარისაც გამოიყენოს რა სამეტყველო აქტია მისაღები მოცემულ სოციალურ სიტუაციაში. აქ საჭიროა განვიხილოთ რა იგულისხმება ენის ცოდნაში.

სერლი (Searle [10:55-59]) თანდაყოლილ ცოდნასა და ამ ცოდნის ხელმისაწვდომობაზე საუბრისას ერთმანეთისგან გამიჯნავს ვიცოდეთ რა და ვიცოდეთ როგორ. ამ განსხვავებას აქვს გარკვეული დაგვირთვა, რამდენადაც ცოდნის გადაცემის მთავა-

რი პრობლემა სწორედ მისი ადვილად მისაწვდომი და საყოველ-
თაოდ მისაღები კოდიფიკაციის საშუალებით ფორმულიზაციით
იდეალურ მოლაპარაკე-მსმენელს შეიძლება პქონდეს თავისი ენის
სტრუქტურისა და პოტენციური შესაძლებლობების პასიური ცოდნა,
მაგრამ ამ ცოდნის გამოძქვანება და მისი სხვათათვისაც მისაწ-
ვლომად ქცევა სერიოზული მეთოდოლოგიური და არსებითად
ფილოსოფიური პრობლემაა. იწყებს რა მსჯელობას ამ დამ-
ვებებით, სერლი შემდეგნაირად აყალიბებს თავის მიზნებს -
ჩემი ამოსავალი ჰიპოთეზა იმას გულისხმობს, რომ ჩემს მიერ
ენობრივი ელემენტების გამოყენებას საფუძვლად გარკვეული წე-
სები უდევს. ამიგომაც მე შემოგთავაზებთ ლინგვისტურ დახასი-
ათებებს, ხოლო შემდეგ ავხსნი ფაქტებს, რომლებიც ამ დახასი-
ათებებში გვხვდება.

ეს ფაქტიურად ის პროგრამაა, რომელსაც უნდა მიჰყვეს კო-
მუნიკაციური კომპეგენციის მკვლევარი ინდუქციურ და დედუქ-
ციურ მეთოდებზე დაფუძნებული განზოგადება, რომელსაც
მივყავართ ამ განზოგადებული ქმედების ამხსნელი წესების ფორ-
მულიზებაში.

ენის მაგარებელს გააჩნია კომუნიკაციური არხების და შინა-
არსის ფართო დიაპაზონი, ამასთან უნარი ამ შინაარსისა და
თავისი განზრახვის შესაბამისად აარჩიოს თავისი ენობრივი და
სოციალური უნარ-ჩვევების რეპერტუარიდან შესაბამისი საშუა-
ლება მნიშვნელობის გადასაცემად. კომუნიკაციური კომპეგენცი-
ის მუსტად ახსნა - სხვა არაფერია, თუ არა წესების საბაზისო
სისტემის პოსტულირების გზით ავხსნათ, როგორ ახერხებს მო-
ლაპარაკე ყველა ამ ელემენტით ოპერირებას ისე, რომ წარმოქ-
მნას სამეგყველო აქტები, რომლებიც შეესაბამება არსებულ სა-
მეგყველო სიტუაციებს. ეს უზარმაზარი ამოცანაა და ჯერჯერობით
მხოლოდ საწყისი ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით.

ყველა მოლაპარაკე ფლობს კოდების დიდ რეპერტუარს. უფ-
რო მეტიც, მეპირი კომუნიკაციის რეალურ-დროითი ხასიათი
აუცილებელს ხდის ხშირ გადასინჯვასა და რეალურ კოდურ
გადართვას უკუ კავშირის საფუძველზე, თანაც არა მარტო ერთი
ენის ფარგლებში სტილის გადასინჯვის ფორმით, არამედ მოგჯერ
ენებს შორისაც, როცა ენობრივ კოდექტივში ერთზე მეტი ბილინ-

გვია. ესე იგი პრობლემაა არა მარტო იმის გარკვევა, როგორ მოქმედებს კომუნიკაციური კომპეტენცია, როგორც ენობრივი არჩევანის სოციალურ ფუნქციასთან მისადაგების იარაღი, არამედ იმისაც, როგორ ხდება ასეთი კორელიაციების გადაფასება სამეტყველო აქტის პროცესში იმ მოსაუბრის მიერ, რომელიც ენას თავისუფლად ფლობს.

ჰაიმსმა [4:268-285] შემოიგანა ენათმეცნიერებაში მეგად მოსახერხებელი აკრონიმი SPEAKING, როგორც კომუნიკაციური სიტუაციის კომპონენტების მოსახერხებელი ფორმულა. მისი აზრით [5] ენის გამოყენების აღქმაგური თეორია უნდა ითვალისწინებდეს შეფასების ოთხ განსხვავებულ სახეს, რომელთაგან მხოლოდ ერთია გრამატიკული იმ გაგებით, როგორც ეს ჩომსკის ესმოდა:

1. არის თუ არა რაიმე ფორმალურად შესაძლებელი და თუ არის, რა დონემდე. ლინგვისტურ გერმინოლოგიაში ფორმალურად შესაძლებელი უდავოდ გრამატიკულს ნიშნავს, მაგრამ მასთანავე იგი შეიძლება გამოვიყენოთ კულტურის დონის მისამართით.

2. არის თუ არა რაიმე განხორციელებადი და თუ არის, რა დონემდე. აბსოლუტურად, ან გარკვეულ დონემდე შეუძლებელ გამოთქმებს ახასიათებს ისეთი ნიშნები, როგორიცაა მრავალრიცხოვანი განშტოებები, ჩანართები, რომლებშიც მოქმედებენ ფსიქოლოგიური ფაქტორები, დაკავშირებული მეხსიერების ან აღქმის შემზღველობასთან, რაც ასეთ წინადადებებს აქცევს უცნაურად და შეუძლებელს ხდის მათ მომენგალურ გაგებას.

3. არის თუ არა რაიმე დასაშვები და თუ არის, რა დონემდე. ჩომსკი ამ ასპექტსაც შეეხო და მიაკუთვნა იგი ინგონაციურ და სტილისტურ ფაქტორებს, ე.ი. მართალია ეს ფაქტორები შედის შესრულებაში, მაგრამ ამასთანავე აშკარად გულისხმობს მეტყველების წესებს და აზრს მათი დასაშვებობის შესახებ, რაც სცენებს, მონაწილეებს, არხებსა და ენობრივ ფორმებს შორის კავშირებს განეკუთვნება.

4. არის თუ არა რაიმე გამოყენებადი და თუ არის, რა დონემდე. ამ ელემენტის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან რაიმეს რეალიზაციის ხარისხი აუცილებლად წარმოადგენს მისი შესაძლებლობის, განხორციელებადობის და დასაშვებობის შემადგენელ ნაწილს.

მაშინ, როცა ორთოდოქსული ლინგვისტური თეორია იწყება

კოდის ფორმალური ნიშებიდან და მათგან მიდიოდა სოციალურ ფუნქციებად, ახალი სოციოლინგვისტური ორიენტაცია იწყებდეს ფუნქციიდან და მოძრაობდეს საპირისპირო მიმართულებით ფორმისკენ. ნაცვლად იმისა, რომ ენა გავიგოთ, როგორც კოდი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით კორელირებს სოციალურ ცხოვრებასთან (დახურული სისტემის პოზიციით მიდგომა), ენის თეორიამ, რომელიც, სოსიურის თქმით, არაა მოწყვეტილი სოციალურ რეალობას, საფუძველი იმ სოციალურ-კულტურულ სისტემაში უნდა იპოვოს, რომელშიც იგი ფუნქციონირებს და რომლის ნაწილსაც წარმოადგენს. ესე იგი ეს თეორია უნდა განმარტავდეს თავის მონაცემებს, როგორც კომუნიკაციური აქტებისა და მიზნების სტრუქტურის ამსახველს. ეს თეორია ეფუძნება სამ ძირითად დაშვებას:


1. თითოეული სოციალური ურთიერთობის შედეგად ხდება მონაწილეთა თვალში შესაფერისად მიჩნეული კომუნიკაციური საშუალებების შერჩევა ან შექმნა. ამავე დროს ეს ურთიერთობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ოპერაციებისაგან შედგება.

2. ამ საშუალებათა სისტემატიზაცია გულისხმობს სტრუქტურას, რომლის აღმოჩენაც შეუძლებელია მხოლოდ საშუალებების ანალიზით.

3. საშუალებები, რომლებიც ნებისმიერ ურთიერთობაში არსებობს, განაპირობებს არა მარტო მის ხასიათს, არამედ მის შედეგსაც.

თუ ჩვენ გავიზიარებთ ამ შეხედულებას ლინგვისტიკის თეორიაზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვეთანხმებით სერლის მიერ წამოყენებულ „ძლიერ შეხედულებას“ სოციოლინგვისტიკაზე ე. ი. ლინგვისტიკის მიზანია langue - ანუ კომპეტენციის შესწავლა, მაგრამ მისი აღქვადგური შესწავლა სამეცნიერო აქტების შესწავლას გულისხმობს.

მაშინ როგორ განვსაზღვროთ კომუნიკაციური კომპეტენციის ბუნება და ის წესები, რაც მას ქმედითუნარიანად აქცევს? ბელი [1:282] კომუნიკაციური კომპეტენციას უწოდებს ერთგვარ მიქსერს, რომელიც აბალანსებს არსებულ ენობრივ ფორმებს, შერჩეულს მოსაუბრის ენობრივ კომპეტენციაზე დაყრდნობით არსებული სოციალური ფუნქციების ფონზე, რომლებიც თავის მხრივ სოციალურ კომპეტენციაში შედის. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით იგი გვთავაზობს კომუნიკაციური კომპეტენციის შემდეგნაირ სქემას:



ე. ი. ბელი განიხილავს ენის მაგარებლის კომუნიკაციურ კომპეტენციას, როგორც მის უნარს, აწონ-დაწონოს ფაქტების ჯგუფი ერთმანეთთან მიმართებაში, რათა ჩამოაყალიბოს შეგუობინება, რომელიც აკმაყოფილებს შემოთაღნიშნულ სამ კრიტერიუმს და ამდენად შეუძლია შეასრულოს მისაღები სამეცხველო აქტის ფუნქცია. ამასთან, ბელი თვითონვე აღიარებს, რომ მოდელი წარმოდგენილი სახით საკმაოდ უხეში ასახვაა რეალობისა და საჭირო იქნება ჰაიმისის SPEAKING-ის პარამეტრები მიეწეროს შესაბამის კომპეტენციას, განისაზღვროს ურთიერთობა მათ შორის და შეძლებისდაგვარად დადგინდეს არის თუ არა მათ შორის იერარქიული კავშირები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აქცენტის გადატანა უკონტექსტო ფორმიდან კონტექსტუალიზებულ ფუნქციაზე გულისხმობს ენის, როგორც დახურული სისტემის გაგებიდან გადასვლას ენის, როგორც ღია სისტემის აღქმამდე. დასტურდება, რომ ლინგვიტიკური თეორია უნდა ეხებოდეს არა მარტო კოდის „უხეშ ფაქტებს“, არამედ მისი გამოყენების ინსტიტუციონალურ ფაქტებსაც. ამ მიზნის მისაღწევად ენათმეცნიერება ორიენტირებული უნდა იყოს თეორიაზე, რომელიც ახსნის კომუნიკაციურ კომპეტენციას იმ მეცხველების წესების დადგენით, რასაც ფაქტიურად ეფუძნება ადამიანთა ინტერაქცია. ასეთი წესები უნდა ითვალისწინებდეს, თუ რამდენად დასაშვებია, ფორმალური, პრაქტიკული და სოციალური თვალსაზრისით, ესა თუ ის სამეცხველო აქტი წარმოდგენდეს ადამიანთა კომუნიკაციის ელემენტს. უფრო მისაღები უნდა იყოს ის თვალსაზრისი, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია არის ერთგვარი მიქსერი, რომელიც ენობრივი, ფსიქოფიზიკური და სოციალური ფაქტორების ვათვალისწინების შე-

ლიტერატურა

1. З. Белл, (1976) Социалингвистика: Цели, подходы и проблемы, Лондон, 1980.
2. D. HYMES, (ed.) *Language in Culture and Society: a Reader in Linguistics and Anthropology*, New York: Harper & Row 1964
3. D. HYMES, "On Communicative Competence", original paper. Excerpts in Pride, J.B and Holmes, J. (eds) 1972
4. D. McCLELLAND, 1973. "Testing for Competence rather than for 'Intelligence'." *American Psychologist*
5. S.J. SAVIGNON, "Communicative Competence: Theory and Classroom Practice", Addison-Wesley Publishing Company 1983
6. J. SEARLE, *Speech Acts: An Essay in the Philosophy of Language*, London: Cambridge U.P. 1969
7. J. SEARLE, "What is a Speech Act?" in Black, M. (ed.) 1965.

NINO NIZHARADZE THEORETICAL BASIS OF COMMUNICATIVE COMPETENCE ABSTRACT

The paper deals with theoretical basis of communicative competence. Based on the definitions of the concepts of 'competence' and 'communication' it attempts to identify its main characteristics. The article briefly reviews the history of research in this area drawing parallels between the Chomskyan concept of 'linguistic competence' and communicative competence emphasizing the social and pragmatic aspects of the latter. The perspective introduced here builds on Hymes' criteria for defining competence. The claim is made the theory of language needs to derive from the socio-cultural system in which it functions and of which it is an inseparable part.

Linguistics should aim to interpret communicative competence by studying the rules of speech that determine human interaction. Communicative competence ensures that existing linguistic forms selected according to the speaker's linguistic competence are balanced with social functions that are part of social competence.

In conclusion, the article comes to share the view of communicative competence as a kind of mixer which considers and balances linguistic, psycho-physical and social factors. As a result of this process a speech act is created that is acceptable at all three levels.

ინგლისური ენის კათედრა

თენგიზ სარალიძე

ერის საკითხი მიხაკო წერეთელთან

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ერის საკითხი დიდა აქტუალური გახდა. ეს ბნუებრივიც იყო, რადგანაც რუსეთის მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიიდან თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოში ვითარება სასიკეთოდ არ შეცვლილა. მართალია რუსეთთან კავშირით საქართველომ გარეშე მტრების შემოსევები აიცილა, მაგრამ საკუთრივ რუსეთის მხრიდან საფრთხე არანაკლებ საშიში იყო.

საქართველოს მიერთების შემდეგ რუსეთმა უგულველპყო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თითქმის ყელა მუხლი და ფაქტობრივად ქართველი ხალხის ასიმილირების პოლიტიკას დაადგა.

მართალია რუსეთთან ყოფნის თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა საქართველოში (სახალხო გამოსვლები მეფის რუსეთის წინააღმდეგ, 1832 წლის შეთქმულება, ბატონყომბრის გაუქმება, სოციალ-პოლიტიკური და ეროვნული მოძრაობების დაწყება), მაგრამ XIX საუკუნის დასასრულს ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნისა და ერთიანობის შენარჩუნების საკითხები ისევ ძალაში რჩებოდა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული სოციალ-პოლიტიკური მოძრაობების უმეტესობა ეროვნულ საკითხს მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა და წინა პლანზე ეკონომიკურ მხარეს მოიაზრებდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დღის წესრიგში დადგა ეროვნული პრობლემატიკის თეორიული გააზრების აუცილებლობა. ამ მიმართებით საყურადღებო აზრები გვხვდება ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა ნაწერებში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი სპეციალური გამოკვლევები არ მიუძღვნიათ ეროვნულ საკითხზე, მაგრამ

მათი ნაწერებში საუბარია, როგორც ერის საკითხებზე.

ამ მიმართებით, განსაკუთრებით გამორჩეულია მისი წერეთლის (1878-1965) შეხედულებები ერის ცნებასა და მის უფლებებზე, ერის, ხალხისა და კაცობრიობის ცნებათა პარალელურ შედარებებზე. ამ მიმართულებით მ. წერეთლის პოზიცია, ეპოქის სხვა ქართველ ავტორთა შეხედულებებისგან, მეცნიერულობითა და მთლიანობით გამორჩევა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ერის საკითხის გაცნობიერებაში ყველაზე მეტი მიხაკო წერეთელმა გააკეთა... მიხაკო წერეთელი საქართველოს ისტორიაში პირველი გახლდათ, ვინც ეცადა მონოგრაფიული ფორმით, სისტემატური სახით განეხილა ჩვენთვის დიდად აქტუალური საკითხი“¹.

მ. წერეთლის შეხედულებებს ეროვნულ საკითხზე, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გამოთქვა; უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ჯერ ქართელი ხალხოსნების ნიჰილიზმი ეროვნულ საკითხებში, შემდეგ კი სოციალ-დემოკრატთა - უნიტარული თვალსაზრისი და ინდიფერენტიზმი, ასევე ეროვნულ საკითხებზე, დიდ საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უმცირესობებს და კონკრეტულ შემთხვევაში - ქართველ ხალხს. ისიც გავითვალისწინოთ, რომ მ. წერეთლის ნაშრომის - „ერი და კაცობრიობა“ გამოქვეყნებიდან (1910) მალე დაიწერა სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (1912), რომელშიც იგნორირებული იყო მცირე ხალხების ინტერესები და ყველაფერი მთლიანად მორგებული იყო ბოლშევიკური მსოფლმხედველობისადმი. მაშინ, როცა მ. წერეთლის წიგნი გატარებული თვალსაზრისები ერზე მეცნიერულიც იყო და აქედან გამომდინარე, საკუთარი ერის ინტერესებსაც ემსახურებოდა, აღნიშნულიდან ცხადი უნდა იყოს, თუ რა დიდი მნიშვნელობის იყო იმ დროს ამგვარი აზრების შემცველი ღრმასაფუძვლიანი ნაშრომის გამოქვეყნება.

მ. წერეთელი ერის, საზოგადოების, კაცობრიობისა და სხვა, ამ საკითხთან დაკავშირებული მოვლენების გარკვევისას ორგანიციისტული თვალსაზრისიდან ამოდის. ასე მაგალითად, საზოგადოებაზე მსჯელობისას იგი აღნიშნავს: „ორგანიციისტული



ენით რომ ვილაპარაკოთ, საზოგადოება არის ერთგვარი, სპეციალური ორგანიზმი; - სუპერ-ორგანიზმი, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ორგანოები და ფუნქციები, აგრეთვე ადამიანთა საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად². მაშასადამე, მ. წერეთელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში გაბატონებული სოციალოგიური თვალსაზრისის - ორგანიციისტული სკოლის მიმდევარია, რომლის თანახმადაც, საზოგადოების ცხოვრება ბიოლოგიური კანონზომიერების მიხედვით მიმდინარეობს.

ერის ცნების გასარკვევად, მ. წერეთელი საგანგებოდ იხილავს საზოგადოების, ხალხისა და სახელმწიფოს ცნებებს. აჩვენებს მათ შორის საერთო განმასხვავებელ ნიშნებს. რასა, ერი მ. წერეთლის აზრით, შეიძლება არსებობდეს საზოგადოების სახით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ერთი და იგივეა. ამ მხრივ საყურადღებოა ერისა და საზოგადოების, როგორც კონკრეტულისა და აბსტრაქტულის წერეთლისეული თვალსაზრისი: „... ერს, მაგალითად, აქვს სოციალური შინაარსი, მაგრამ ცნება ერისა და საზოგადოებისა არ არის ერთი და იგივე, - საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა განსაზღვრული ბუნების მოვლენისა, ერი კი განსაზღვრული, კონკრეტული მაგალითია ამ მოვლენის არსებობისა ბუნების წიაღთა შორის“.

მ. წერეთლის ეს თვალსაზრისი საკმარისია იმის დასანახავად, თუ როგორ სიღრმისეულად არის მასთან განხილული საზოგადოებისა და ერის პრობლემები. სწორედ ამით განსხვავდება მისი თვალსაზრისი ამ პერიოდის სხვა ქართველ მოღვაწეთა ნააზრევთაგან.

ერისა და საზოგადოებისაგან განსხვავდება სახელმწიფო. სახელმწიფო მ. წერეთლის აზრით, თავდაპირველად უფრო ერთი ეცნიური ჯგუფის მეორეზე ბატონობის ორგანიზაციაა, შემდეგ კი იგი იმ დანესებულებათა უბრალო ერთობლიობაა, რომელთა საფუძველზე ერი ქმნის საზოგადოების განსაზღვრულ და ძალდატანებით ფორმას. აქ ცხადად ჩანს, რომ მ. წერეთელს კარგად აქვს გააზრებული სახელმწიფოს, როგორც ძალდატანების იარაღის არსი და ფუნქცია, რაც კარგად ჩანს მისი შემდეგი აზრიდანაც: „...ერი არის კონკრეტული საზოგადოება, რომელსაც

შეუძლია შექმნას სახელმწიფო ან თავის საკუთარ ელემენტთა შემოქმედებით ან და სხვა ერთა დაპყრობით; ესტეკით აგრეთვე რომ სახელმწიფო არის ერთი ფორმა საზოგადოებისა, რომელიც ერს შეუძლია დროთა განმავლობაში შემოიღოს, როგორც წარმავალი წესი სოციალური ცხოვრებისა და სხვ⁴.

ერის ცნების უფრო ნათლად გაგებისთვის მ. წერეთელი მიმართავს პარალელებს რასასა და ხალხს შორის, ხალხის ცნებასა და ერის ცნებას შორის. ხალხი, მ. წერეთლის აზრით, ეს არის ტომის გამრავლების, გაყოფისა ან მეორე ტომის დაპყრობის საფუძველზე შექმნილი ადამიანთა ერთობა. ხალხის ცნება ტომის ცნებაზე უფრო ვიწროა. მაგალითად, არიელთა ტომისგან წარმოდგა გერმანელი, ინგლისელი, სპარსელი, სლავი და კიდევ მრავალი სხვა ხალხი⁵. ამ დანაწევრების უტყუარი მაჩვენებელია მათი დამოუკიდებელი ენები, რომლებიც ძირში კიდევ ენათესავებიან ერთმანეთს. მაგრამ, როცა ეს მონათესავე ორგანიზმები ერთიანდებიან ერთ დიდ ტოტალურ ორგანიზმად საერთო ენით, სარწმუნოებით, პოლიტიკით და სამართლით, მაშინ ხალხი იქცევა ერთად¹.

მ. წერეთელი ახდენს ერთგვარ მიმართებით დაქვემდებარებას თვალსაზრისით ტომს, ხალხთა და ერს შორის, მაგრამ ერი უფრო მაღალი კატეგორიაა, ვიდრე ხალხი, ხალხი უფრო მაღალი, ვიდრე რასა და ტომი. ეს გრადაცია მას ასიმილაციის არსის ასახსნელად სჭირდება. კერძოდ, რაც უფრო მაღლა დგას ამ გრადაციის კიბეზე რომელიმე მათგანი, მით უფრო ძნელია მისი ასიმილაცია. მაგალითად, ტომის ასიმილაცია უფრო ადვილია, ვიდრე ხალხის, ხალხის, ვიდრე ერის⁷. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც გრადაციის კიბეზე მაღლა მყოფი მოვლენა (მაგ. ხალხი, ერი) გაერთიანებულია) ისეთი მექანიზმებით (მაგ. ენა, სარწმუნოება ერთისთვის), რომლებიც ასიმილაციას ძნელად ექვემდებარებიან.

საბოლოოდ, მ. წერეთელი ხალხს ასე განსაზღვრავს: „ხალხი, ერთი სიტყვით, ორგანული მასალაა ერის ორგანიზმის შესაქმნელად, და არა მჭიდრო სოციალური ორგანიზმი. ყოველი წევრი ხალხისა - ის ცოცხალი სოციალური უჯრედი, რომელიც განსაზღვრულ პირობებში ჰქმნის დიდსა და რთულს, ცოცხალსა და მგრძნობიარეს, შეგნებულსა და მოქმედს სოციალურ ორგანიზმს - ერს“.

თუ რა მიმართებაა სახელმწიფოს, საზოგადოებას, ხალხსა და ერს შორის, ამის ნათელსაყოფად მ. წერეთელი კონკრეტულ მაგალითს მიმართავს. მაგალითად, შედგენილობის თვალსაზრისით, ენგლისი - ხალხია; საზოგადოებრივი ორგანიზმის მიხედვით - ერია; როგორც ხალხთა და ერების კრებული - სახელმწიფოა; როგორც განსაზღვრული ხალხისგან შემდგარი კონკრეტული ერი და განსაზღვრული სახელმწიფო - საზოგადოებაა⁹.

შეიძლება მ. წერეთლის ეს თვალსაზრისი მთლად კორექტული არ არის, მაგრამ ამ სახით საკითხის წარმოჩენა მიზანს აღწევს და ერთი ქვეყნის მაგალითზე მიახლოებით წარმოდგენას მაინც გვიქმნის ერის, ხალხის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე.

რაც ერზე ითქვა, მ. წერეთელს არ აკმაყოფილებს და მიზნად ისახავს უფრო სრულად წარმოგვიდგინოს ერის ცნება. ამ საკითხს თავის ნაშრომში - „ერი კაცობრიობა“ სპეციალურ თავს უძღვნის სათაურით - „ერი“.

მ. წერეთლის ნააზრევში ყურადღებას იქცევს მსჯელობა ერზე, როგორც ცვალებად ფენომენზე. ავტორის მართებული შენიშვნით, ერი სულაც არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მარადიული ფენომენი. იგი სულაც არ არის ისეთი სოციალური არსი, რომელიც მუდამ არსებობდა, არსებობს და იარსებებს, „მას ჰქონდა თავისი დასაბამი, მან განვლო თავისი განვითარების პროცესი თანამედროვე ხანამდე, იგი რასაკვირველია მომავალში ფორმას იცვლის“.

მ. წერეთელს აინტერესებს გაარკვიოს ერის ცნება თანამედროვე ეტაპზე, რომ იგი ერთადერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმია, რომელსაც ნამდვილი სოციალური სიცოცხლე და ორგანული სიმტკიცე აქვს. ავტორი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერი ცოცხალი არსია, მას სოციალური ინდივიდუალობა გააჩნია და საბოლოოდ „ერი უფრო „ცოცხალია“, ვიდრე სახელმწიფო, ვიდრე ხალხი, საკუთარი წარმოება, საკუთარი ხელოვნება, მეცნიერება, ზნე-ჩვეულება, სამართლის ნორმები, სარწმუნოება, საკუთარი ენა, საკუთარი ეთნიური ტიპიც - ყოველივე ეს ერს ახასიათებს, როგორც ერთ სოციალურ ინდივიდუალობას“¹⁰.



ამასთანავე, მ. წერეთლის აზრით, ინდივიდუალობასთან ერთად ერს სხვა ერებთან საერთო ნიშნებიც გააჩნია. მაგალითად, ორ ერს შეიძლება ერთი და იგივე რელიგია ჰქონდეს და სხვ. შეიძლება ერს ჰქონდეს ნასესხები ნიშნები, მაგრამ ამ საერთო თუ ნასესხებ ნიშნებს მუდამ „ადევს ეროვნული ელფერი“, - აღნიშნავს ავტორი. ასე მაგალითად, იტალიელები, ფრანგები და პოლონელები კათოლიციზმის მიმდევრები არიან, მაგრამ ამ ქვეყნებში კათოლიციზმი ერთნაირი როდია¹¹.

მ. წერეთლის ეს თვალსაზრისი შეიძლება განვავრცოთ ჩვენთვის მახლობელ სინამდვილეზე და ამით უფრო ცხადი გახდება მისი თვალსაზრისის არსი. ავიღოთ მართლმადიდებლური ქრისტიანობა და შევადაროთ მაგალითად რუსული და ქართული მართლმადიდებლობა. მართალია, ორივე ქვეყანა ქრისტიანული რელიგიის მართლმადიდებლური მიმართულების მიმდევარია, მაგრამ განსხვავება ქართულ და რუსულ მართლმადიდებლობას შორის ეჭვგარეშეა. თუნდაც ის, რომ ამ ორ ქვეყანაში წირვა-ლოცვა სხვადასხვა ენაზე მიმდინარეობს, რაც სრულიად საკმარისია მათ შორის განსხვავებისა. ყოველი ენა ხომ სამყაროს თავისებური და სრულიად განსხვავებული ხედვაა, რაც საკმარისი პირობაა, რათა სხვადასხვა ენაზე მიმდინარე სასულიერო პროცესები სხვადასხვა ხალხში განსხვავებული რელიგიური მსოფლგანცდის საფუძველი გახდეს.

როდესაც მ. წერეთლის წიგნი იწერებოდა, ამ დროისათვის სოციალ-დემოკრატიის მსოფლმხედველობის ზეობის ხანა იყო. მათი უნიტარული თვალსაზრისი, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა კლასთა ბრძოლის საკითხს, ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ვითარება ნათლად არის ასახული მ. წერეთელთან. იგი მიიჩნევს, რომ კლასთა ბრძოლა ვერ დაშლის ეროვნულ ერთობას, რადგანაც ეს ბრძოლა საკუთრივ ეროვნული ერთიანობის შიგნით მიმდინარე პროცესია. კლასთა დაპირისპირებისგან განსხვავებით ეროვნული მოძრაობა ცდილობს ერთი ერი გამოყოს მეორისგან, რადგანაც ეს არის ერთადერთი გზა ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად¹².

ერის სპეციფიკის გასაგებად მ. წერეთელი ეხება იმ პირობებს,



რომელიც აუცილებელია ერის, რიგორც ასეთის არსებობისთვის. კერძოდ, თუ ხალხი ისეთ პირობებში არ არის, რომ ვინმე შეადგინოს, მაშინ იგი ნახევრადმკვდარი სოციალური მონადღა. სამაგალითოდ ებრაელებს ეხება, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში (რუსეთი, პოლონეთი, ინგლისი და სხვ.) გაფანტულობის გამო, ერთმანეთს მონყვეტილნი არიან და არ წარმოადგენენ მჭიდრო, შეკავშირებულ სოციალურ ორგანიზმს¹³. მსგავსი ვითარებაა საქართველოში მცხოვრებ სომხებისა და ოსმალეთის ქართველებს შემთხვევაში.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ოსმალეთის ქართველებზე, რომლებიც ერთ დროს ძლიერი, კულტურული და ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ. ახლა კი ისინი ქართულ სინამდვილეს მონყვეტილნი არიან, დაკარგული აქვთ მამა-პაპური სარწმუნოება და ფაქტობრივად, ქართველი ერის ნაწილს აღარ წარმოადგენენ¹⁴. მაგრამ მ. წერეთელი იმედს გამოთქვამს, რომ შესაძლებელია ამ ხალხის ეროვნულ წიაღში დაბრუნება და მაშინ ეს უბრალო სოციალური მასალა ქართველი ერის შემადგენელი ნაწილი გახდება.

მ. წერეთელი ასევე, განსჯის საგნად იხდის ერის გადაგვარების მიზეზებს. მისი აზრით, სრულყოფილ ერს თავისი ფუნქციის აღსასრულებლად აქვს სოციალური ორგანოები, კერძოდ: ეკონომიკური, არტისტული, სარწმუნოებრივი და მეცნიერული; ზნეობრივი, იურიდიული და პოლიტიკური. ერის გადაგვარება, მ. წერეთლის აზრით, მისი ყველაზე რთული და მგრძნობიარე ორგანოს - პოლიტიკურის ატროფიით იწყება და მთავრდება ყველაზე საზოგადო და მარტივი ორგანოთი - ეკონომიურით. ამას მოჰყვება თვით ხალხისა და ტერიტორიის გაქრობა. ასე დაემართა საქართველოს. მისი პოლიტიკური ორგანოს დაშლის შემდეგ, დაიშალა იურიდიული ორგანიზმი, დაეცა ეკლესია, რასაც მოჰყვა ხალხის მორალური დაცემაც, დაკნინდა მწერლობა, რისი ლოგიკური შედეგი იყო ენის გაღარბება და საბოლოოდ ერი გაჩანაგდა ეკონომიურად¹⁵.

მ. წერეთელი ბოლოს კვლავ უშუალოდ ერის საკითხს

უბრუნდება, რომელიც მას მიაჩნია ზოგად ცნებად. ერის ცნება ზოგადია, რამდენადაც სხვადასხვა ერების მსგავსი, იდეოლოგიური ორგანოები (უმჯობესია ითქვას - ნიშნები) გაჩნიათ. მაგრამ რამდენადაც ეს ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ამდენად ერის ცნება ინდივიდუალურიცაა. ამიტომაც, მ. წერეთლის აღნიშვნით, ერი არის „ერთობა მრავალფეროვნებაში“. ავტორი ერის ცნების ინდივიდუალობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რადგანაც „ეს აუცილებელი პირობაა ყოველი განსაზღვრის შესაძლებლობისა, რადგანაც განსაზღვრა სწორედ ჩვენებაა ერთის მხრივ მრავალფეროვნებათა ერთობისა, მეორის მხრით ჩვენება ამ ერთობაში მრავალფეროვნების ცალკე ნაკვეთთა არსებობისა“¹⁶.

ერის ცნების სპეციფიკის გასარკვევად, როგორც ვნახეთ, მ. წერეთელმა მრავალფეროვნებაში ინდივიდუალობის დასაჩვენად, ერთისა და სიმრავლის მიმართების კლასიკური ფილოსოფიური ფორმულა გამოიყენა, რითაც, ვფიქრობთ, მიზანს მიაღწია.

ერის ინდივიდუალობის უპირველესი მაჩვენებელია საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, - ამბობს მ. წერეთელი. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, ავტორი ერის ცნების დასახასიათებლად, მისი თვითმყოფადობის ჩვენებისთვის მის სულიერ სფეროზე ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კულტურაზე ამახვილებს ყურადღებას. ენა, ლიტერატურა, სარწმუნოება, სამართალი და პოლიტიკა ადამიანის, ერის კულტურის სხვადასხვა მხარეებია.

გარდა ამისა, ერის არსებობისთვის საჭიროა ტერიტორია, რომელზედაც დაფუძნებულია ესა თუ ის ერი. მ. წერეთლის აზრით, ერი ისტორიული კატეგორიაა, რომელიც წარმოიშობა, ცოცხლობს, ვითარდება, გადაგვარდება და შეიძლება მოკვდეს კიდევ.

საბოლოოდ, მრავალნაირი ნიაღვრების შემდეგ, მ. წერეთელი იძლევა ერის ცნების განმარტებას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი (ტარდის სიტყვით), შემდგარი ერთგვარ ან მრავალგვარ ეთნიურ

და სოციალური მასალისგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მონესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებით: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, - საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სახელის ინდივიდუალურობითა¹⁷.

მ. წერეთლის ერის ცნების ამ განმარტებაში რატომღაც გამოტოვებულია ტერიტორიის ფაქტორი და მთავარი ყურადღება გადატანილია კულტურაზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი განსაკუთრებული აქცენტი კულტურაზე არის ერთგვარი რეაქცია სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისის მიმართ, როცა ერის ცნებაზე ობიექტურობით გამოიჩინევა და, რაც მთავარია, იმ ეპოქაში, როცა სოციალ-დემოკრატების აქტიურობით მცირე ერების ინტერესები იგნორირებული იყო, მ. წერეთელი თავისი აზრებით ამის საწინააღმდეგო მსოფლმხედველობას ამკვიდრებდა.

ლიტერატურა

1. მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990წ.
2. გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1995 წ.
3. ვ. გიგოიძე, ნარკვევები XIX საუკუნის პოლიტიკურ და სოციალური აზრის განვითარების ისტორიიდან საქართველოში, თბ. 1971 წ.
4. ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ. 1970წ.
5. ა. იოსელიანი, საქართველოს პრობლემები და თერგდალეულები, თბ. 1972წ.
6. ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორია XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1973წ.
7. ე. კოდუა, მიხაკო წერეთელი და მისი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“, შესავალი წერილი მისივე, წიგნზე - ერი და კაცობრიობა, 1990.
8. გ. შარაძე, მიხაკო წერეთელი, „ლიტ. საქართველო“, 25 სექტემბერი, 1987წ.
9. გ. ყორანაშვილი, ეროვნული საკითხი, თბ., 1997, გვ. 248.
- 2 მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 83.
- 3 იქვე, გვ. 85.
- 4 იქვე, გვ. 89.
- 5 იქვე, გვ. 90.
- 6 იქვე, გვ. 91.
- 7 იქვე.
- 8 იქვე, გვ. 93.
- 9 იქვე, გვ. 92.
- 10 იქვე, გვ. 96.
- 11 იქვე, გვ. 97.
- 12 იქვე.

- ¹³ იქვე, გვ. 98.
¹⁴ იქვე, გვ. 98-99
¹⁵ იქვე.
¹⁶ იქვე, გვ. 105.
¹⁷ იქვე, გვ. 106.

TENGIZ SARALIDZE
THE NATIONAL ISSUE IN MIKHAKO TSERETELI'S WRITINGS
SUMMARY

The paper is an evaluation of Mikhako Tsereteli's nationalist conception. The special emphasis is laid upon Mikhako Tsereteli's standpoint according to which nation, as the most complex cultural phenomenon and the highest socio-historical value, with its concreteness, gives rise to other, organized social pre-balanced hierarchies, from social groups to the constructions of social institutions and structures.

The paper emphasises the method, presented by Mikhako Tsereteli as a concrete and general abstract community, which may be termed as a unity of the one and the plurality. The paper also explains why Mikhako Tsereteli paid more attention to the cultural-historical phenomenon of a nation than to the territorial one, which, in many aspects, had been associated with the factors viewed by Marxists in terms of vulgar economics. Bringing the role of culture to the forefront was Mikhako Tsereteli's reaction against Marxism.

ფილოსოფიის კათედრა

ნათია სვინტრაპე

მიჯნურობა ნიჰაიის „ლეილი ვო მაჯნუნისა“ და რუსთველის „ვაჟნისტყაოსნის“ მიხედვით

მეთერთმეტე საუკუნემდე ქართული ლიგერაგურა ძირითადად სასულიერო თემატიკით განისაზღვრებოდა. მხოლოდ აღნიშნული დროიდან, საქართველოში საეკლესიო ლიგერაგურის გვერდით აღმოცენდა და განვითარდა საერო ლიგერაგურა. ბუნებრივია, ამ პერიოდის მწერლობა კარგად იცნობდა და ითვისებდა აღმოსავლური პოემიის გრადიციებს (ითარგმნა ფახრად-დინ გორგანის „ვის ო რამინი“, ჩანს ნიჰაიის პოემების კარგი ნაცნობობა და სხვა). აქედან გამომდინარე, ქართულ კლასიკურ მწერლობაში ასახული მიჯნურობის თეორია, სამიჯნურო წარმოდგენები, უკავშირდება არაბული და სპარსული პოემიის სამიჯნურო გრადიციებს. თუმცა სულიერი ცხოვრების თავისებურებანი ადგილობრივ, ეროვნულ გრადიციებზე იყო დამყარებული.

არაბულ პოეზიაში მიჯნურობა ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო ამ პოემიის წარმოშობიდან იმ ეპოქამდე, რომელსაც ქართული კლასიკური კულტურა ეკუთვნის. ისლამამდელი პოემიის კლასიკურ ქანრში - ყასიდაში შედიოდა გრადიციული ელეგიური ნაწილი (ნასიბი), რომელიც საგრფოსთან განშორების განცდებს შეიცავდა. ყასიდის ამ გრადიციული ნაწილის გავლენით შემდგომ ხანებში განვითარდა საგრფიალო ლირიკა, რომელიც მხოლოდ სიყვარულის თემაზე იყო დამყარებული. აღსანიშნავია, რომ ეს არაბული საგრფიალო ლირიკა დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარგო არაბეთის ნახევარკუნძულის მკვიდრთა შორის; არამედ სახალიფოს მთელ მოსახლეობაში [3,5].

VII-VIII საუკუნის არაბი პოეტები (ისლამამდელი პერიოდის პოეტებისგან განსხვავებით, რომლებიც თავიანთ ლირიკულ ნაწარმოებებში ძირითადად ქალის გარეგნულ სახეს ხაგავლენენ)

ყურადღებას ამახვილებენ ლირიკული გმირის განცდებზე. ამ ნიმუშით გამოირჩევა VII ს-ის დასასრულის და VII ს-ის დასაწყისის იჯამური სასიყვარულო ლირიკა, რომლის ერთ-ერთი მიმდინარეობა იყო ბელუინური პოეზია. ბელუინური ლირიკა იქმნებოდა არაბეთის ბელუინურ მომთაბარე გომებში, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა უზრას გომი, ამიგომაც ხშირად მთელი ბელუინური მიმდინარეობა იწოდებოდა უზრაულად.

უზრაული მიმდინარეობის პოეგები უმდეროდნენ ორი უიღბლო შეყვარებულის პლატონურ სიყვარულს, რომელიც ბედის უკუღმართობამ ერთმანეთს დააშორა. იდეალური ქალისადმი ალაპისნებით აღმოცენებულ, საბედისწერო გრძნობას მოაქვს პოეგისათვის (რომელიც უზრაული პოეგის ლირიკული გმირის საერთო სახესთანაა გაიგივებული) მხოლოდ განჯვა, რომლისაგან განთავისუფლება სიკვდილის გზითაც კი შეუძლებელია [6,8].

კლასიკური ხანის ქართული მწერლობის სამიჯნურო მოგვივის ერთ-ერთი შესაძლებელი წყარო, რომელმაც ასახვა პოეგის „ვეფხისტყაოსანში“, ეკუთვნის ე.წ. აბასიდი ხალიფების ეპოქას. არაბული ცივილიზაციის მკვეთრი აღმავლობს ხანას, ეს არის იბნ-დაუდ ალ-ისპაჰანის თხზულება „ქითაბ ამ-მოჰრა“ - თავისებური ენციკლოპედია სამიჯნურო პოეგისა და თვით მიჯნურობისა. ამ წიგნში მოცემულია მსჯელობა სიყვარულის, მასთან დაკავშირებული ქცევის წესებისა და მცნებების შესახებ [3,6].

ისლამურ სამყაროში მიჯნურობის თეორიის მრავალი ავტორია ცნობილი: იბნ ჰაზმი, აჰმად ბენ მუჰამად ღაზალი, იბნ-სინა (ავიცენა) და სხვ.

ღღეისათვის უღაოდ ითვლება, რომ არაბულმა მიჯნურობის თეორიებმა გავლენა მოახდინეს დასავლეთ ევროპაზეც და ზოგიერთი მკვლევარის (ზ. ავალიშვილი, ვ. ნოზაძე) აზრით, ეს გავლენა ძირითადი ბიძგი ვახდა ფრანგული გრუბადურული პოეგისა და გერმანული მინემინგის განვითარებისა.

ასე რომ, XI-XII ს-ის ქართული კულტურა, რომელმაც არაბული საგრუფილო პოეგის გავლენა განიცადა, ამ მხრივ ერთადერთი არ არის. აღნიშნული ეპოქის ქართული კულტურა არაბულთან უთუოდ ახლო კონტაქტში იქნებოდა, როგორც გეოგრაფიული სიახლოვის წყალობით, ისე სპარსული კულტურის მეშვეობით,

რომლის გავლენა ქართული საერო მწერლობის პერიოდში მნიშვნელოვანი იყო.

კ. კეკელიძის აზრით: „რუსთველისა და მის თანამედროვეთათვის ცნობილი იყო სიყვარულის სუფიური თეორია, რომლის კონცეფციას რუსთველი ეკამათება კიდევ პოემის შესავალში [2,135].

შოთა რუსთველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ბევრჯერ ყოფილა მოგადი შედარების საგანი. ამჯერად განვიხილავთ ნიზამისა და რუსთველის შეხედულებებს სიყვარულის რაობაზე. „ვეფხისტყაოსნის“ და „ლეილი ვო მაჯნუნის“ მიხედვით წარმოვაჩინოთ ორივე ავტორის თეორიულ შეხედულებებს მიჯნურობის შესახებ და ამ თეორიულ შეხედულებათა მსაგვრულ ასახვას გმირთა განცდებსა და გრძნობებში.

ნიზამი - „ლეილი ვო მაჯნუნი“

სიყვარული არსებობის კვანძის გამხსნელია, თავეკერძობისგან გამათავისუფლებელი - მორევია.

ყოველი მწარე სასშელი, რომელსაც სული იღებს თუ სიყვარული იძლევა სულს აამაღლებს (ზრდის).

ბევრი მწარე სასმელი, როგორც შხამი, თუ სიყვარულისგან არის სასარგებლოა.

„სიყვარული, რომელიც მნობისგან შორს (ცალკე) არის ის სიყვარული კი არა, ვნება და ვაგაცეხაა.

სიყვარული სინათლის დიდი სარკეა.

ეინი სიყვარულის სათვალავისგან შორს არის.

ანგარებიანი სიყვარული ხანგრძლივი არ არის.

ანგარებიანი სიყვარულის უფლება არავის არა აქვს!

სიყვარულთან ანგარებას რა უხდა?!

როცა ანგარება დაჯდა (მოვიდა) სიყვარული აღგა (წავიდა).

„სიყვარული სათამაშო საქმე არაა

თავისუფლი ვარ ასეთი ანგარიშისგან.

სიყვარული, რომელსაც გული არ ემორჩილება

სიყვარულის რელიგიაში (გამარში) ქერად არ ფახობს“.

„პირობა [სიყვარულისა] საყვარლისთვის სიკვდილია“.

„სიყვარულში მოთმინებას სარგებელი როდი აქვს?!

მშის ტალახით დაფარვა (თიხით შელესვა) არ შეიძლება!“

„თავი, რომელიც [სიყვარულის] მსხვერპლად დასანანი იქნება

უმჯობესია, რომ მახვილის ღირსი იყოს.

იმის გამო, რომ სული ცეცხლზე იწვის

ავადმყოფობასთან (განჯევასთან) ერთად სიხარულს მგერის (სიხარულშია ჩაგარდნილი)

„სიყვარულის მეფეთმეფე ვარ დიდებულებით“

არ მრცხვენია საკუთარი

სულის მიწიერი გულისთქმისაგან

უცოდველი ვარ სუფთა განწმენით“.

„სიყვარული არის ჩემი არსებობის არსი

სიყვარული ცეცხლად იქცა და მე ალოედ“.



ნიშანის ამრით თუ გრძნობა არ არის ხანგრძლივი, მას არ შეიძლება ეწოდოს სიყვარული. ეს ახალგაზრდული ქინი ტყუილად ტყუილია:

„სიყვარული, რომელიც სამუდამო (მარადი) არაა

ახალგაზრდული გრძნობის თამაშია.

სიყვარული ის არის, რომელიც არ კვდება (მცირდება)

ვიდრე [შეყვარებული] ცოცხალია მისგან ერთი ნაბიჯითაც არ წავა.“

ვფიქრობთ, აქ შეიძლება გავილოს პარალელი რუსთველის შემდეგ სტროფებთან:

„ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა,

დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სიმობდეს გაყრისა თმობასა;

ესე მღერასა ბუღითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა.“

ნიშანდობლივია, რომ ნიშანი, ისევე, როგორც რუსთველი მსჯელობს, როგორც სიყვარულის რაობაზე ასევე საუბრობს მიჯნურის თვისებების, მიჯნურის მნებობრივი ნორმების შესახებაც. მაგრამ ნიშანი განსხვავებით რუსთველისაგან („მიჯნურსა თვალად სიგურფე მართებს, მართ ვითა მშეობა“...) არსად არ აღნიშნავს იმის შესახებ, თუ როგორი გარეგნობა უნდა ჰქონდეს მიჯნურს. თუმცა, „ლეილი ვო მაჯნუნის“ პერსონაჟები იდეალურები არიან და მათი სასიყვარულო გრძნობის აღმოცენების ძირითადი მიზეზი სწორედ სილამაზის განცდაა. ამრიგად, სიყვარულის გრძნობის აღმოცენება ორივე პოემაში სილამაზის განცდით არის გამოწვეული.

მიჯნურობის შესახებ ნიშანისა და რუსთველის შეხედულებათა დამთხვევა საკმაოდ ნათელია. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ძირითადი სხვაობაც, რაც ამ ორი ნაწარმოების შედარებისას იკვეთება. რუსთველთან სიყვარული ამაღლებული, მიწიერი გრძნობაა. „სადაც რუსთველი ლაპარაკობს ხორციელ თავშეკავებაზე, იგი გულისხმობს მხოლოდ მიჯნურისადმი ერთგულებას; თავშეკავებას სხვის მიმართ და არა მიჯნურის მიმართ [3,18].

ნიშანში კი პოემის ერთ-ერთ თავში „მაჯნუნის დიდებულების აღწერა“ ამბობს:

„ეკითხე მცოდნე ბრძენს

დიდებული შეყვარებულის მღვთმარეობაზე.

რომ მას თავისი სურვილის ასასრულებელი გზა ჰქონდა

გადაღება რა საქმე იყო?

თქვა (მიპასუხა), რომ ერთი წუთიერი სურვილით (სურვილის ასრულებით) დარჩებოდა მისი სხეული სიხარულის გარეშე

ასეთი მოკლე (მცირე) სურვილის შეჩერებით
30 წლით (სამუდამოდ) თავისი სიხარული იბოვა.

სრულიად ნათელია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიყვარულის პრობლემის სუფიურ გადაწყვეტასთან, რომლის მიხედვით მიჯნურები მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეერთდებიან. აკად. მ. ქურდიანის ამრით: „რუსთველისა და ნიშამის შედეგებს შორის არსებობს რელევანტური სიუჟეტური განსხვავება, რომელიც სიყვარულის გზით ღვთის (ჰემმარიგების) წვდომის (შემეცნების) ორ კონცეფციას - მართლმადიდებლურსა და სუფიურს შორის არსებულ განსხვავებას ეუფძნება“ [5,16].

საინტერესოა თუ როგორაა ასახული ვაჭრის მოგივი ნიშამის „ლეილი ვო მაჯუნსა“ და რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულის განცდა რომ იწვევს ველად გაჭრის, ადამიანთან მოშორების, „მხეცთა ხლების“ და გყე-ღრეში ხეგიალის სურვილს ეს აღნიშნული პერიოდის ქართული ლიტერატურისათვისაც მიღებული და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. რუსთველისთვის რომ გაჭრის კონვენცია ცნობილია და მიჯნურობის მოუცილებელ მცნებათა რიცხვს ეკუთვნის, შემდეგი სგროფიდანაც ნათლად ჩანს:

„ნუ მოყვარე მოყვრისათვის გირს, გირილსა ემართლების;

სიარული, მარგობა შეენის, გაჭრად ჩაეთულების“.

აღნიშნულ შემთხვევაში ინტერესს იწვევს მაჯუნისა და გარიელის „გაჭრა“.

აღსანიშნავია, მაჯუნის „გაჭრა“ ფორმით ემსგავსება გარიელისას. როცა ფორმაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ორივე გმირის მარგობისკენ სწრაფვა, ველად რბენა, მხეცებთან სიახლოვე, მარგობაში მყოფი, გაჭრილი მიჯნურისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური განცდები და ა.შ.

გიპოლოგიური კავშირი აშკარად ნათელია, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჯუნის გაჭრის მიზეზი არის უიმედო სიყვარული. „გარიელისთვის კი გაჭრა“ არის წასვლა დაკარგული სატრფოს საძებნელად.

მაჯუნის გაჭრა „უმრავლი სიყვარულის“ პრინციპებს ეუფძნება, იგი მისგან მოშორებულ სატრფოს კი არ ეძებს და მისკენ კი არ მიისწრაფვის, არამედ უღაბნოში გაჭრილი მიულწიველ სიყვარულზე გოდებს.

რუსთველთან გაჭრის მოტივის არსებობა ლიგერატურული გრადიციის გავლენით უნდა აიხსნას. „რუსთველი, როგორც მხატვარი, მისტიკოს პოეტია თუ მისტიკურ სიუჟეტთა გავლენას განიცდის, - ხორციელი სიყვარულის დახატვის დროს ხმარობს იმ საღებავებს, რომელსაც „უმზრალი სიყვარულის“ აღმწერნი გამოიყენებდნენ“ [1, 10].

ნიზამისთან სიყვარული საბოლოო მოვლენაა. ლეილისა და მაჯუნის სიკვდილმა უკვდავყო მათი სიყვარული. რუსთველისთვის კი სრულიად უცხოა მისტიციზმი. იგი ადამიანური, მიწიერი სიყვარულის მომღერალია. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები საამქვეყნო ბედნიერებისთვის იბრძვიან და საბოლოო მიზანს აღწევენ. მათი სიყვარული ქორწინებით გვირგვინდება.

ნიზამის „ლეილი ვო მაჯუნში“ კი სიყვარული საიმქვეყნო ბედის მოლოდინში რჩება.

ლიტერატურა

1. მ. თოდუა, - „ვეფხის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს“, ქუთაისი, 1993.
2. კ. კეკელიძე, „რუსთველოლოგიური ნარკვევები“, თბ., 1971.
3. ნ. ნათაძე, - „რუსთველოური მიჯნურობა და რენესანსი“, თბ., 1966.
4. ვ. ნოზაძე, - „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“, პარიზი, 1974.
5. მ. ქურდიანი, - „რუსთველი - ნიზამი“, „ბურჯი ეროვნებისა“, №3, 1998.
6. И. Фильштинский, - вступительная статья, Маджнун Каус ибн аль-Мулаввах, 3 стихи о леиле", Москва, 1984.
7. ნიზამი განჯელი, „ლეილი ვო მაჯუნ“, მოსკოვი, 1965.
8. შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1988.

NATIA SVINTRADZE LOVE AFTER NIZAMI'S "LEILI AND MAJNUNI" AND RUSTAVELI'S "THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN" ABSTRACT

The work deals with the theories of love and the trails of their influence on the medieval literature. It respectfully discusses the relationship between "Leili vo Majnuni" by Nizam and "The Knight in the Tiger's Skin" by Rustaveli, Typological differences and similarities in both works of art are revealed.

ირანისტიკის კათედრა



ღავით სულაბერიძე

გიორგი წართელი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი საკითხი

თერგალეულებმა თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პროგრამაში ეროვნულ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებთან ერთად სახელმძღვანელო დებულებად დაისახეს ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზებისა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების ძიება. ამ სახელოვანი პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გ. წართელი, რომელიც თავისი შეუფერავი რეალიზმით მსაგვრულ ლიბერაგურაში და ხანგრძლივი მუშაობით პერიოდულ ჟრესაში ცდილობდა წარმოეჩინა საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზები და მიეთითებინა იმ ღონისძიებებზე, რომელთა რეალიზება სასიკეთო შედეგებს მოუტანდა მთელს საზოგადოებას. ამასთან ერთად, იგი პრაქტიკული საქმიანობითაც ცდილობდა საქართველოში მოპოვებითი მრეწველობის განვითარებას და მონაწილეობას იღებდა სარკინიგზო მშენებლობაში.

მწერალმა თავის პუბლიკაციებში გვიჩვენა საგლესო რეფორმის ნამდვილი შინაარსი. მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. კრიტიკის მიუხედავად, იგი არ უარყოფდა რეფორმის მიერ შესრულებულ პროგრესულ როლს, დადებითად აფასებდა ბაგონყმობის გაუქმების შედეგად საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს: „ბაგონყმობის გაუქმებამ არა მარტო მებაგონეების და გლესების მღგომარეობა შეცვალა, არამედ მთელი საზოგადოებისა. დრო გაგყდა, ცხოვრების წესი განახლდა“ [1,111].

გ. წართელი არ წერდა მხოლოდ გლესთა მღგომარეობაზე, მას მხედველობიდან არ გამორჩენია ის გარემოება, რომ არც ქართველი თავადაზნაურობისათვის იყო იდეალური და უმტკივნეულო რეფორმის შემდგომი ეგაპი: „ბაგონყმობის გაუქმების შემდეგ ორიოდე გროში თუ ვისმე მებაგონეთაგან რგებია, ყაირათის უცოდინრობით მაშინვე მიუფლანგავს... თვითონ ხელს არაფერს ჰკიდებს და ამის გამო კერა უფრო და უფრო უქრება“ [1;212].

ასე, რომ „ცხოვრების წესის განახლებას“ ახალი პრობლემებიც

მოჰყვა და ამის შესაბამისად გ. წერეთელი ყურადღებით აკვირდებოდა და სწავლობდა თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებებს, ცდილობდა თავისი რჩევებით სწორ გზაზე დაეყენებინა ქვეყნის მწარმოებლური ძალები.

რეფორმის შემდგომ პერიოდში გ. წერეთელი მეტ ყურადღებას სოფლის მეურნეობის საკითხებს უთმობდა. თავად პროფესიით ბუნებისმეტყველმა, ხალხის გათვითცნობიერებისა და მათი სამეურნეო წარმოების ამაღლების მიზნით ახალი პერიოდული ორგანო „სასოფლო გაზეთი“ დააარსა და თვითონვე რედაქტორობდა მას 1868-1874 წწ-ში. გაზეთი ეწეოდა დას. ევროპის სამეურნეო მიღწევათა პოპულარიზაციას, განიხილავდა სოფლის მეურნეობაში შექმნილ პრობლემებს, მკითხველს სთავაზობდა რეკომენდაციებს მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებაზე და სხვა.

იმ ხანად ქართული სოფელი ეკონომიკური სიღატაკის ბღვარზე იმყოფებოდა, რის მიზეზადაც მწერალი ასახელებდა აგრონომიული ცოდნისა და სამეურნეო ტექნიკის დაბალ დონეს, კაპიტალის დეფიციტს და მეურნეობის რაციონალურად მოწყობაში პრაქტიკული გამოცდილების უქონლობას. 1872 წ. გ. წერეთელი კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სხდომაზე აღნიშნავდა: В Карталинии в массе мелкопоместного дворянства и крестьянства вы редко найдете семейство, у которого в доме нашлось бы хоть одна дойная корова, а что касается долгов, то почти у всех дворян все имения в залоге, о крестьянах же говорить нечего [2; 60].

მწერალი ყურადღებას აქცევდა იმ დროისათვის მეტად მგკივნეულ საკითხს, მევახშეობის განვითარების შედეგად შექმნილ ვითარებას, რომ მეურნეობის კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის ისეთი ფინანსური წყარო იყო საჭირო, რომელიც მიწის მესაკუთრეს კი არ დააკაბალებდა, არამედ ფეხზე დადგომისა და მეურნეობის წინსვლის საშუალებას მისცემდა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს გ. წერეთელი სასოფლო ბანკების, მაღაზიების, კოოპერაციების, ამხანაგობის დაარსებაში ხედავდა: „ახლა როცა შრომას დიდი ფასი დაეღვა, ფული გახდა ყველასათვის საჭირო, ეს ვაჭრები სწორედ ქვეყნის მაგლებად გადაიქცნენ, რომლებიც სარგებლობენ დროითა და ერს გვინს სწოვენ“. ამის შედეგად, მთელი ქართლკახეთის მიწა-წყალი სულ ვალში დაჯირავდა“ [3]. მწერლის აზრით, თუ ასეთსავე მდგომარეობაში დარჩა ქართული სოფელი, ის სიღარიბეს თავს ვერასოდეს დააღწევს. სწორედ მეტი ღონე არ არის, ამხანაგობით თავნების მოგვარებას უნდა შევუდგეთ - წერდა იგი. გ. წერეთელი მხარს უჭერდა ისეთი ბანკების დაარსებას, რომლებიც გასცემდნენ

მოკლევადიან კრედიტს მიწათმოქმედ მოსახლეობაზე განურჩევლად წოდებისა. ეს იქნებოდა პირველი საუკეთესო ღონისძიება სოფლად ფულის დაგროვებისა. იგი თავისი წერილებით „სასოფლო გაზეთში“, „დროებასა“ და „კრებულში“ მოუწოდებდა სამოგადოებას ასოციაციების შექმნისაკენ, თავისი რჩევის საფუძვლიანობას კი ევროპის ქვეყნებში არსებული ასეთივე ორგანიზაციათა წარმატებების შესახებ მრავალი ფაქტის მოხმობით ამტკიცებდა. გარდა ამისა, გ. წერეთელი სისტემატურად აქვეყნებდა უცხოეთში არსებული ასოციაციების პროგრამებს, წესდებებს, რათა ამით დაინტერესებულ პირებს ეხელმძღვანელათ და საქართველოშიც ჩაეყარათ საფუძველი ასოციაცია-ამხანაგოებებისათვის.

გ. წერეთელი ვერ ეგუებოდა ხალხის მიმეე მაგერიალურ მდგომარეობას. სიღარიბის დაძლევის მიზნით მან სხვებთან ერთად წამოაყენა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა გლეხური მეურნეობის გექნიკურ-ეკონომიკურ გარდაქმნას, ასოციაციების, საგლეხო ბანკების დაარსებას. ამასთან, ხსენებული ორგანიზაციების შექმნით, მწერალი მიზნად ისახავდა ეროვნული კაპიტალის დაცვას და მისი ზრდისათვის პირობების შექმნას. გ. წერეთელის ეკონომიკური პროგრამა ეროვნული კაპიტალის განვითარებაში გამოიხატებოდა [4;192].

გ. წერეთელი იყო კავკასიის სოფლის მეურნეობის სამოგადოების ნამდვილი წევრი. ეს სამოგადოება მ. ვორონცოვის ინიციატივით შეიქმნა 1850 წ. და მიზნად ისახავდა კავკასიაში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობას [8]. 1872 წ. მწერალი მოხსენებით გამოვიდა სამოგადოების წლიურ კრებაზე, გააკრიტიკა მისი მოღვაწეობა მოსახლეობასთან სუსტი კავშირის გამო და შესთავაზა შემდეგი ღონისძიებების გატარება: კავკასიის მხარის დაყოფა სასოფლო-სამეურნეო რაიონებად და მამრებად, აგრონომების მივლინება ადგილობრივი სამეურნეო პირობების შესასწავლად, ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე სასოფლო-სამეურნეო გაზეთის გამოცემა, სამეურნეო გამოფენების მოწყობა და სხვა [3;64].

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ქვეყნის გექნიკურ-უკონომიკური განვითარებისათვის ფული იყო საჭირო. ფულის შოვნის მთავარი წყარო კი, მისი აზრით, ვაჭრობა უნდა გამსდარიყო. ამიტომ იგი ქართველი ხალხისაგან მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურად ჩამბას, განიცდიდა, რომ დედაქალაქში სავაჭრო ასპარეზი სომხებს ეპყრათ, რაც ზღუდავდა ეროვნული კაპიტალის განვითარებას, რის გარეშე ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი მწერალს ვერ წარმოედგინა, სწორედ ამიტომ ურჩევდა იგი თანამემამულეებს: „მიესიეთ და ირჩინეთ თავი თბილისის სავაჭრო ასპარეზზე... და ვაჭრობა ისევ თქვენ დაირჩინეთ, უამისოდ თბილისც

სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალი
დალუქული [6]".

დაჭრობაში ჩაბმა გ.წერეთელს ერთნაირად მისაღებად მიანიშნა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობისათვის. ვაჭრობა წარმოშობდა ფულს, ფულით შესაძლებელი გახდებოდა მიწის შეძენა, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და დამოუკიდებელ მეურნედ ქცევა [7;126]. მწერალი ვაჭრობის განვითარებაზე დიდ იმედებს ამყარებდა. იგი მოწონებით შეხვდა თბილისში სავაჭრო ბანკის გახსნას. მისი სამართლიანი. შენიშვნით, აღნიშნული საკრედიტო დაწესებულება „იმდენად სასარგებლო გახდებოდა თბილისის სოციალურებისათვის, რომ მალე მისი წყალობით კავკასიის მთელი სიმდიდრე ამ ხალხის ხელში იქნებოდა თავმოყრილი“ [8].

გ. წერეთელი კაპიტალიზმის პირობებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსებას, რადგან კარგად ესმოდა ბანკების მნიშვნელობა ეკონომიკური ცხოვრების წარმატების საქმეში. 70-ან წლებში საადგილმამულო ბანკების საკითხის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა ქართულ პრესაში. ნ.ნიკოლაძემ დაიწუნა ქუთაისის ბანკის წესდება, მისი აზრით, მიწის მესაკუთრეთათვის ისეთი კრედიტი იყო საჭირო, რომელიც უფრო ადვილმისაწვდომი, მოკლევადიანი იქნებოდა და არ საჭიროებდა მამულის დაგირავებას. გ. წერეთელიც პრინციპში ეთანხმებოდა ამ მოსაზრებას. იგი აუცილებლად თვლიდა ბანკის წესდებაში ცვლილების შეტანას, რათა მიწის მეპატრონეებს ბანკისგან უფრო მეტი სარგებლობა მისცემოდათ. 90-ან წლებში გ.წერეთელი ფიქრობდა, რომ საადგილმამულო ბანკებს წვრილ და საშუალო მიწისმფლობელთა ინტერესების დასაცავად უნდა გაეცა მოკლევადიანი სესხები, ანუ შეესრულებინა მოკლევადიანი სამრეწველო ბანკებისათვის დამახასიათებელი ოპერაცია. საადგილმამულო ბანკთან შედარებით გაწეული უპირატესობას ანიჭებდა მოკლევადიან სამრეწველო და სამეურნეო ბანკებს. მწერლის საბანკო პოლიტიკა შეფარდებული იყო ჩვენი ცხოვრების სამრეწველო განვითარების საქმესთან [4;195]. მან სწორი შეფასება მისცა XIX ს. 90-ან წ-ში ქუთაისის ბანკში მიმდინარე დაპირისპირებას ბანკის დამფუძნებელ თავადაზნაურობასა და მსესხებლებს შორის, აღინიშნა, რომ იგი იყო შედეგი იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარებისა, რასაც თან მოჰყვა ბანკის სადავეების იმათ ხელში გადასვლა, ვინც ამ ეკონომიკურ პროგრესს განსაზღვრავდა“ [9].

საგლეხო რეფორმის დასრულებისა და რკინიგზის გაყვანის შემდეგ საქართველოში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მრეწველობის დარგების განვითარებაში, განსაკუთრებით ეს

სამთამადნო მრეწველობას დაეცყო. [10; 163] ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეთა მოპოვებისა და გამოყენების საქმეში ქართველთა სამოგადოების მოწინავე ნაწილიც ჩაება, რადგან ეს ღონისძიება მათ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საშუალებად მიაჩნდათ. გ.წერეთელმა დიდი შრომა გასწია ჭალის მთის საბადოების გამოკვლევისა და დამუშავების საქმეში, ხონსა და ჭიათურაში სარკინიგზო გოგების მშენებლობისათვის.

უსახსრობის, სპეციალისტთა სიმცირის, ტექნიკური ჩამორჩენილობისა და უგზობის გამო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები უპატრონოდ იყო მიტოვებული. ამასთან დაკავშირებით გ.წერეთელი წერდა: უცხო ქვეყნის კაცები რომ მოდიან და ხელავენ ჩვენი ქვეყნის ხელუხლებელ სიმდიდრეს, თვალი ღიად რჩებათ, ეს რა მდიდარი მხარეა და რა უპატრონოდ არის გაშვებულიო [11]. მაგრამ, რკინიგზის ამოქმედების შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა. ადგილობრივი და უცხოელი კაპიტალისტები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი. ასეთი გარდატეხის გამო მწერალი აღნიშნავდა: „მადნეულობით გამდიდრება ახლა მოღაში შემოვიდაო“.

გ.წერეთელი თავისი პუბლიკაციებით გამოეხმაურა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებას, ხაზი გაუსვა მის დიდ მნიშვნელობას და კმაყოფილება გამოხატა ქართველ საქმოსანთა და მრეწველთა აქტიურობის გამო, „რომლებმაც ფეხი არ ჩაადგმევინეს შავი ქვის მოპოვებაში უცხოელებს“, თვითონ შეუდგნენ მადნის მოპოვებას და უცხოური კაპიტალი მანგანუმის მოპოვების სფეროდან განდევნეს [12].

80-იან წლებში მანგანუმის მრეწველობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან ჭიათურის დაუკავშირებლობა. გ.წერეთელმა, რომელიც ეროვნული მრეწველობის აღორძინებას მხურვალედ უჭერდა მხარს, სხვა თერგდალეულებთან ერთად მოითხოვა ჭიათურამდე რკინიგზის გაყვანა. რუსეთის ადმინისტრაცია, რომელიც უგულებელყოფდა მარგანეცის მრეწველობის მნიშვნელობას, და აგრეთვე ბოგიერთი ქართველი და რუსი სპეციალისტი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ რკინიგზა შემოსავალს დაუკარგავდა ადგილობრივ მოსახლეობას, ამასთან, ხელს შეუწყობდა უცხოური კაპიტალის მოძალეებას ჭიათურაში [13; 375]. უფრო შორსმხედველი და თავისი ქვეყნის სამრეწველო აღორძინებით დაინტერესებული მოღვაწე გ.წერეთელი მიიხსევდა, რომ რკინიგზა ხელს შეუწყობდა ჭიათურის მრეწველობის განვითარებას და ამით მეტ შემოსავალს მისცემდა ადგილობრივ მოსახლეობას [14; 12].

1882 წ-დან გ.წერეთელი და ნ. ნიკოლაძე ენრგიულ მოქმედებას შეუდგნენ ჭიათურაში რკინიგზის გასაყვანად. ისინი ხანგრძლივ

მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მთავრობასთან, ამიერკავკასიის რკინიგზის კომპანიასთან, სხვადასხვა ფირმებთან, ცალკეულ კაპიტალისტებთან [13;380]. ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილი წერილებიდან კარგად ჩანს გ.წერეთლის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი: „დიდად საქველმოქმედო საქმე იქნება შენი მხრიდან, თუ ჭიათურის რკინიგზის შესახებ თხოვნას დაწერ. მინდა იმერეთის თავადაზნაურობას თხოვნაზე ხელი მოვაწერინო და მთავრად ხელმწიფეს, რომ ჭიათურის რკინიგზის გაკეთება დიდად საჭიროა ქვეყნისათვის... მე ახლა ყვირილას გზა მაწუხებს, იფიქრე რა რიგად მეჩქარება ყვირილას ხეობაში გზის გაყვანა. იქ არის ჩვენი ავლა-დიდება: მარგანეცი, ნავთი, გყე და სხვა მადნები. ეს გზა დაუჩქაროხ ძალიან“ [15]. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, საკითხი იმ ეტაპზე დადებითად არ გადაწყდა. ჭიათურის რკინიგზის გოგის მშენებლობა 1891 წ. იქნა დამტკიცებული. გ.წერეთლის, ნ. ნიკოლაძის და სხვათა აქტიურმა მოქმედებამ ხელი შეუწყო ამ სასარგებლო საქმის დაგვირგვინებას.

გ. წერეთელმა დიდი მუშაობა გასწია ხონში რკინიგზის ხაზის გასაყვანად. ნ.ნიკოლაძეს იგი წერდა: „ამ საქმისათვის იანეთიდან დაწყებული მათხოჯამდის გაბმული ვარ, გულში გადაწყვეტილი მაქვს, რაკი დავიწყეთ, უნდა შევასრულოთ ეს საქმე-მეთქი და ამისთვის ვმოქმედობ რაც შემიძლია“ [15]. გ. წერეთელი რკინიგზის კომპანიის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა ხონის სოფლის საზოგადოებებთან, მათთან გააფორმა შესაბამისი ხელშეკრულებები, დაითანხმა ისინი კომპანიის მიერ შეთავაზებულ პირობებზე. მწერალმა შეადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი რომელშიც დასაბუთებული იყო ხონის რკინიგზის ეკონომიკური, კომერციული და სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს მოხსენება ქუთაისის გუბერნატორის ხელმოწერით კავკასიის მთავარმართველს გაეგზავნა [16;134]. ამით მასზე დაკისრებული მოვალეობა მწერალმა პირნათლად შეასრულა და ნიკოლაძეს აცნობა: “ხონის გზა ახლა გათავებულია და ეცადეთ, კონცესია მალე აიღოთო.“ მაგრამ შემდეგ ეს პროექტი აღარ განხორციელდა.

გ. წერეთელი ეროვნული კაპიტალის შექმნის ერთ-ერთ წყაროდ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს მიიჩნევდა, თუმცა, ისიც კარგად ესმოდა, რომ მათ ასათვისებლად ფული იყო საჭირო, ქართველ მეწარმეებს კი საკმარისი სახ-სრები არ გააჩნდათ, ამიტომ, იძულებული ხდებოდნენ უცხოური კაპიტალის-თვის მიემართათ, რომელიც იმეამად გაბატონებული იყო რუსეთის ეკონო-მიკაში.

1882 წლიდან გ. წერეთელი შეუდგა გემო იმერეთში ჭალის მთის საბა-ღოების დამუშავებას. ამ საქმეში მას პარტნიორობას უწევდა ცნობილი მემამულე რაციონალიზატორი ი.კ. მუხრანბატონი. მათ მიერ შექმნილმა კომპანიამ ჩააგარა დაზვერვითი სამუშაოები, აღმოაჩინა ნავთობის წყაროები და 1882 წ. თებერვლიდან პირველი საბადო აამოქმედა სოფ. თედელეთში. ჭალის მთის ნავთობის

სრულად ათვისებისათვის საჭირო თანხები კომპანიას არ გააჩნდა, ამიტომ შეეცადა მიემიღა უცხოელი კაპიტალისგები. გ.წერეთელმა შეადგინა ჭალის მთის საბადოების დეგალური აღწერა, რომელიც შემდეგ ბროშურად დაიბეჭდა და დაინგერესებულ უცხოურ კომპანიებს დაეგზავნა. უცხოელთა მოზიდვის საქმეში მწერალი დახმარებას სთხოვდა ნიკოლაძეს და არწმუნებდა, რომ "დღეს თუ ხვალ ჭალის მთის საქმე დიდ წარმატებაში წავა და საჭიროა მაგრად ჩავდგათო ფეხი მივ". უცხოელები აღვიღბე ეცნობოდნენ საბადოებს, ნიმუშებიც მიჰქონდათ და გ.წერეთელს ნაირგვარ დაპირებებს აძლევდნენ, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ. ამის მიზეზი რკინიგზის სადგურიდან საბადოების დაშორება იყო, საქმეს ვერ უშველა შორაპან-სახსერის რკინიგზის გაყვანამ, ამავე ხანებში ბაქოს მრეწველობამ ნავთობის მოპოვებაში გიგანტური მასშტაბი მიიღო, ჭალის ნავთობის მარაგი კი საკმაოდ მცირე აღმოჩნდა, თანაც, რკინისგზიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა და დიდძალი თანხის დაბანდებას მოითხოვდა [10;218].

მიუხედავად ამისა, გ.წერეთელმა მაინც ვერ გაიმეტა ჭალის მთის საბადოები მისაგონებლად. 90-იან წლებში მან უძიმესი შრომა გასწია, რათა აღნიშნული სიმდიდრეები ქვეყნის სამსახურში ჩაეყენებინა. მის პირად არქივში დაცული წერილები, დეკრეტები, ხელშეკრულებები ცხადყოფენ მწერლის წვლილს ამ საქმეში. გ.წერეთელმა იჯარით აიღო ჭალის მთა, გააფორმა ხელშეკრულება ჭალის მთის მონაწილეებთან, მოიწვია უცხოელი კაპიტალისგები: ჩემბერსი, გოლდფრამი, ბაუმგარტენი, გეილბროკი, ალელბერგი, რუსეთიდან - სმირონოვი, პობლევი ძგაბნიცი და სხვა. მანგაზუმის ნავთობის, ხე-ტყის, გყვია-ვერცხლის, ყანგმიწის მოსაპოვებლად [17].

ვ.წერეთლის შენიშვნით, გიორგიმ მთელი თავისი ენერჯია შეაღია ამ საქმეს და ბოლოს გადაჰყვა კიდეც. მანვე მისცა სწორი შეფასება მწერლის სამრეწველო საქმიანობას: "გიორგი ფიქრობდა: ქართველი ვრი წელში ვერ გაიმართება, ვერც ეროვნულ კულტურას და ცივილიზაციას შექმნის და ვერც პოლიტიკურ თავისუფლებას მოიპოვებს, თუ განვითარებული მრეწველობა არ ექნება. მაშასადამე, გ.წერეთელი უყურებდა ჭალის მთის მადნების ექსპლუატაციას, როგორც დიდ ეროვნულ საქმეს და უნდა ითქვას, ისეთი მუხერხებითა და თავდადებათი მუშაობდა, რომ საქმე წარმატებით და-ბოლოვდებოდა, რომ არა მისი მოულოდნელი გარდაცვალება [18;206].

ლიტერატურა

1. გ.წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, გ-1, 1931.
2. Записки кавказского общества сельского хозяйства, Тифлис, 1872, стр 60.
3. სასოფლო ვაზეთი, 1870, №4
4. ს. ხუნდაძე, ნარკვევები, ფელერაცია, თბ., 1941, გვ. 192
5. ლ. ბერძენიშვილი, დემოკრატიული პრესის ორგანო "სასოფლო ვაზეთი", საქართველოს ახალი ისტორია, თბ., 1975.

6. „კრებული“, 1873, №3
7. მ. გაფრინდაშვილი, გ. წერეთლის მსოფლმხედველობა.
8. „კრებული“, 1872, №7.
9. „კვალი“, 1899, №№ 11, 12, 13.
10. ა. კოჭლაეაშვილი, საქართველოს სამთამაღნომეგალურგული მრეწველობის განვითარება XIX-ში.
11. „ღრობა“, 1870, №2.
12. „ივერია“, 1889, №8.
13. გ. შარგვიანი, სამთამაღნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდე საქართველოში, თბ, 1968, გვ 375.
14. „ივერია“, 1889, №8.
15. ნ. ნიკოლაძის არქივი, №№ 13-343, 14-1415.
16. პ. ვაჭრიძე, ხონის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა რეფორმის შემდგომ პერიოდში, მაცნე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, 1966.
17. საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. წერეთლის ფონდი, №72.
18. ვ. წერეთელი, წერილები, მემუარები, თბ, 1998.

DAVID SULABERIDZE
GEORGE TSERETELI AND SOME QUESTIONS ABOUT
DEVELOPMENT OF GEORGIAN ECONOMICS
SUMMARY

George Tsereteli paid great attention to his social activity to discuss about the problem of Georgian economics.

In his work the writer connects to the cultural and national renaissance and also gaining to the political freedom.

That's why he had been working for a long time in the press, in order to give us vivid picture and reasons of economical decrease as to point the questions in case of realization the results would be the best for the public.

Had been the population in the feudal condition I think that it would be alien for the population to adopt the rules of the life of capitalism.

That's why George Tsereteli paid great attention and studied modern economics the features of economical life. He explained very comprehensive for the readers currents social economical process. He shared his experience to the foreign countries as to make the right way of the productive power of the country.

The writer advised agriculture to the association village banks to joined together to be free the loans, and to revive farming. He appealed to the population of village and town to take part in trade and from this way they get capital in order to become owner. They wanted to become the owners of national resources and found national industry. George Tsereteli paid great attention to the establishment of credit offices and advantages of industrial and farming banks.

He for a long time had been acting practical industrial business.

He did great works to research of resources of mountain of "Chala" and for the construction of rail lines in "Chiature and Khoni".

საქართველოს ისტორიის კათედრა

ნონა უშვერიძე

პასივობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები

წარმოდგენილ ნაშრომში პასივობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის მრავალ საშუალებათა შორის განხილულია ამ კატეგორიის ბირთვი – გრამატიკული.

თანამედროვე ინგლისური ენის პასივი გვიჩვენებს, რომ წინადადების სუბიექტი კი არ არის მოქმედი, არამედ ის უფრო ობიექტია, ან გმნა-შემასმენლით აღნიშნული მოქმედების სამოქმედო საგანი. პასიური კონსტრუქციის ობიექტი კი არ მოქმედებს არამედ თვითონ განიცდის მოქმედებას. მაგალითად:

The aesthetic emotions are excited more readily by natural than by artificial objects. /LG/

The table was turned over sideways and the china lamp got broken /ibid/

Don't make such a row. You'll get turned out /ibid/

I was brought up like that /ibid/

აქტივისაგან განსხვავებით პასივი ერთსახოვანია და ამავე დროს თავისი მნიშვნელობით უცვლელი. მისი სემანტიკური მნიშვნელობა მის გრამატიკულ ფორმასთან ძალიან ახლოს დგას. თუმცა ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში სუბიექტი ძალიან ძნელი მისაღებია როგორც ობიექტი, რომელიც მოქმედებას განიცდის. მაგალითად:

A smile came on her uncle's lips and was reflected on the magistrate's. /NA/

That evening a party of us were gathered in the salon discussing the day's events with feverish animation. /ibid/

იგივე შეიძლება ითქვას იმ რამდენიმე ფრაზის შესახებ, რომელთა ხმარებაც გრადიციად იქცა, ასე მაგალითად:

No love was lost between them /ibid/

It was lost sight of /ibid/



პასივი არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც აქტივის შედეგად ნეხული ფორმა, ე.ი. პასიური კონსტრუქცია არ შეიძლება მიღებული იქნეს, როგორც აქტივის გადაკეთებული ფორმა. ეს ორი ფორმა ერთმანეთის პარალელური არ არის, და სრულიად სხვადასხვა მიზნებს ემსახურება (Maclin 1994, 239)

როგორც წესი, პასიური კონსტრუქციები იხმარება მაშინ, როცა მოქმედი საგანი ნახსენები არ არის ო. ესპერსენის მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ პასიური წინადადებების 70% არ შეიცავს მოქმედ საგანს (Jespersen 1958, 121). ეს უმთავრესად ხდება მაშინ, როცა მოქმედი პირი ან საგანი უცნობია ან იგი თავისთავად ცხადია და არ არის საჭირო მისი ხსენება. მაგალითად:

ა) Most of her relatives were killed in the war /JPD/

I was brought up on beer but all the men I seem to meet drink whisky and gin /ibid/

ბ) I was squeezed up against a woman who seemed the only person on the tram /AH/

I was gossiped at the church that the elder Mrs. Hilton had repeated visions of Jale's death. /ibid/

ამკარაა, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადებების გმირები არიან “The people in the tram”, “The family at table” და ა. შ.

ამ მაგალითებში შესაბამისი აქტიური კონსტრუქციების ხმარება ფაქტიურად შეუძლებელია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში არ შეიძლება აქტივმა და პასივმა ერთმანეთი შეცვალოს.

ალსანიშნავია, რომ ზოგჯერ პასიური კონსტრუქციები მოქმედ პირს არ შეიცავენ, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა პასივში მოქმედი პირი მითითებული არის “by” წინდებულის დახმარებით, მაგალითად:

His pleasant colour was heightened by exercise /ibid/

But has your boy's conduct ever been influenced by your reasons? /ibid/

ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვიხმაროთ როგორც აქტიური, ისე პასიური კონსტრუქცია, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აქტიურ კონსტრუქციაში მახვილი ეცემა იმ სიგყვას ან გამოთქმას,



რომელიც კომუნიკაციის ე.წ. ლოგიკური ცენტრია. მაგრამ მოსაუბრე არჩევს პასიურ კონსტრუქციას იმ შემთხვევაში, თუ სურს, მოქმედების ობიექტი უფრო მნიშვნელოვანი გახადოს და ამისათვის მას ის მზნა-შემასმენლის შემდეგ აყენებს (ეს გადაადგილება დაკავშირებულია მახვილის გადაადგილებასთანაც). ამ შემთხვევაში მახვილი უფრო ძლიერია, რაც სიგყვის მნიშვნელობის გაძლიერებასაც იწვევს. ამ შემთხვევაში კომუნიკაციის ცენტრიც იცვლება. ამიტომ აქტივი და პასივი არ შეიძლება ჩაითვალოს თანაბარუფლებიან კონსტრუქციებად. როგორც უკვე ითქვა, ისინი სხვადასხვა მიზნებს ემსახურებიან.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ პასიურ კონსტრუქციებში მახვილი მოქმედ პირზეა.

He is disturbed by a shattering series of explosions. /AH/

Later he was interviewed by the reporter who conducted the investigation of Germany /ibid/

ზოგიერთი პასიური კონსტრუქცია მოქმედი პირის გარეშე შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში წინადადება აზრს კარგავს. ასეთი მზნებია:

to follow (in the meaning of “to come” or “to go after” or “succeed in an office, a position”)

to overtake; to seize;

to beset (all of them in the morning “to overcome”, “to affect”);

to visit (in all of its meanings)

to enhance; to set off; to accent (all of them in the meaning of “to make more striking”)

to govern; to control; to rule; to influence; to confront;

to attend; to accompany; to join;

to cause; to bring about; to mark; to characterize;

to attract one’s attention and some others.

მაგალითად:

The answer was followed by an impressive silence /IC/

In the afternoon she was overtaken by a desperate fit of sobbing /ibid/

I was visited, in fact, by the emotion of our first meeting /ibid/.

ძირითადად პასიური კონსტრუქციის აგენტი მაშინ შეიცნობა, როდესაც მოსაუბრე მას მახვილით გამოკვეთს, მაგრამ ხანდახან

იგი იმ შემთხვევაშიც იხმარება, როცა მოსაუბრეს სურს ორამ
როვნება აიცილოს თავიდან და წინადადებაში სიმბოლურ
შეიგანოს. ამ შემთხვევაში by-phrase -ს სუსტი მახვილი აქვს.
მაგალითად:

The state treasurer was seen by him at the office of a local lawyer of
great repute where he worked when in the city /ibid/

იმის გამო, რომ ამ გამონათქვამში არ ეახსენებთ მოქმედ
პირს, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ სახელმწიფო განბი
სხვა პირის მიერ იქნა ნანახი.

Why should one catch this fatal disease called love? Why should be
driven half crazy by it? /FD/

ამ მაგალითში კი მოქმედი საგანი სიმუსტისათვისაა ნახმარი.
თანამედროვე ინგლისური ენა მდიდარია პასიური კონსტრუქ-
ციების სხვადასხვა გიპებით. წარმოვადგენთ ყველაზე მეტად გავ-
რცელებულს:

უმეტეს შემთხვევაში პასიურ კონსტრუქციებს გარდამავალი
გზნები ქმნის. ეს ხდება მაშინ, როცა პასიური კონსტრუქციის
სუბიექტი გზნის პირდაპირ დამატებას შეესაბამება. პასივის ასეთ
გიპს პირდაპირ ან პირველად პასივს (Direct or Primary Passive)
უწოდებენ.

თანამედროვე ინგლისურ ენაში მთელი რიგი გარდამავალი
გზნები ქართულში გარდაუვალ გზნებს შეესაბამება. ასეთებია,
მაგალითად: to attend, to answer, to help, to assist, to follow, to influence,
to join, to watch და ა. შ.

ამ გზნებს ინგლისურ ენაში შეიძლება ჰქონდეთ პასიური ფორ-
მები, ქართულში კი არა. მაგალითად: And at this minute they were
joined by others /ibid/. ძნელია ამ მაგალითს მოვუძებნოთ სათანა-
დო ქართული თარგმანი.

პირდაპირი ანუ პირველადი პასივი იწარმოება ორი განსა-
კუთრებული კონსტრუქციის მეშვეობით:

პირველი კონსტრუქციაა Nominative+infinitive. მაგალითად:
She is said to be a first-class teacher. /JCH/

I'm supposed to know something about science /ibid/.

She was not allowed to chat /ibid/.

მეორე კი "it"-იანი კონსტრუქციაა, როცა პასივის ფორმა

გონებრივ ან ფიზიკურ მდგომარეობას, შეთავაზებას, თხოვნას, ბრძანებას ან გადაწყვეტილებას აღნიშნავს. ასეთი ზმნებია: to say, to announce, to report, to rumour, to explain, to think, to know, to believe, to understand, to expect, to feel, to notice, to observe, to suggest, to propose, to require, to demand, to request, to recommend, to decide, to agree, to determine, to arrange და ა. შ. პასივის ასეთ გიპთან ყოველთვის კავშირი "that" გამოიყენება. მაგალითად:

It was agreed beforehand that she should have the first shot /ibid/.

It was felt that the final seal of approval had been set on the afternoon's entertainment /ibid/.

პასიური კონსტრუქციის ფორმირება შეუძლებელია, თუ ზმნის პირდაპირი ობიექტი გამოხატულია:

- ინფინიტივით: I told him to go
- დამოკიდებული წინადადებით: I told him that I knew about it
- რეფლექსური ნაცვალსახელით: He hurts himself

არის შემთხვევები, როდესაც პასივის ფორმირება იმის გამოა შეუძლებელი, რომ ზმნა და პირდაპირი დამატება იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ისინი ამრობრივ მთლიანობას ქმნიან (ე.წ. set phrase) და მათი დაცილება ფაქტიურად შეუძლებელია. მაგალითად: to take flight, to take alarm, to loose courage, to take courage, to loose heart, to take heart, to keep one's word, to take the trouble და სხვ.

პასივს ვერ აწარმოებენ გრანზიგული ზმნები to resemble, to suit, to become, to process, მაგრამ მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა ირიბი პასივის ხმარება ძალიან გავრცელებულია თანამედროვე ინგლისურ ენაში (Waldhorn, Zeiger 1992, 81).

ინგლისურ ენაში ბევრ ზმნას როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დამატებაც აქვს. ამ ზმნათაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია to tell, to give, to offer, to show, to pay, to grant, to leave, to promise, to lend, to send და ა.შ. სამაქტანტიან ზმნებს შეუძლიათ წარმოქმნან ორი გიპის პასივი. წესისამებრ ირიბი დამატება ყოველთვის ზმნა-შემასმენელს "to" წინდებულთან ერთად მოსდევს.

არის შემთხვევებიც, როდესაც ირიბი დამატება პასივში ქვემდებარედ გადადის. პასივის ასეთ გიპს ირიბ ან მეორად პასივს (Indirect or Secondary Passive) უწოდებენ. პასივის ეს ფორმა თანამედროვე ინგლისური ენისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ

მისი გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია. ყველაზე ხშირად და თავისუფლად იგი გმნასთან "to tell" იხმარება, ასეთ შემთხვევაში დაპირი დამატება უმთავრესად დამოკიდებული წინადადებითა გამოხატული, ხოლო იშვიათად სახელით ან ნაცვალსახელით.

ირიბი ანუ მეორადი პასივი შემდეგი გიპის ფრაზოლოგიურ ერთეულებთან შეიძლება შეგვეხედეს:

to give a chance; to give an opportunity; to give a job;

to give a post; to give leave; to give orders;

to give command; to give a task; to give shelter;

to give credit; to give prominence; to give a party

to give a sentence; to give rank; to give a choice;

to give a title; to give First Aid და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს სამი გამონაკლისის შესახებ:

ბოგიერთი ლინგვისტი (ვ. კაუშენსკაია, რ. კოვნერი, ე. პროკოფიევა) თვლის, რომ Direct და Indirect Passive -ის წარმოება ლოგიკურ მახვილზეა დამოკიდებული. ასე, მაგალითად: I was given a book - ყურადღება გამახვილებულია მოცემულ საგანზე, ხოლო The book was given to me - ყურადღება გამახვილებულია პიროვნებაზე.

თანამედროვე ინგლისურ ენაში ბევრია ისეთი გმნა, რომელსაც, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დამატებაც აქვთ, მაგრამ ისინი მხოლოდ Direct Passive-ს აწარმოებენ. ასეთებია: to write, to read, to play, to telegraph, to bring, to do.

სამწუხაროდ ლინგვისტები Indirect Passive -ის დახასიათებისას არ ითვალისწინებენ იმას, რომ მისი გამოყენება ძალიან შეზღუდულია. ასე მაგალითად, ო. ესპერსენი აღნიშნავს, რომ თანდათან იზრდება გენდენცია იმისა, რომ ირიბი დამატება გადაიქცეს პასიური კონსტრუქციის სუბიექტად (Jespersen 1958, 309)

ინგლისურ ენაში რიგ გმნებთან წინდებულებიანი ობიექტი ვეხვდება. ასეთი გმნები შეიძლება ვიხმართ პასივში, მაგრამ ამ შემთხვევაში პასივის სუბიექტი შეესაბამება წინდებულებიან დამატებას და წინდებული გმნის შემდეგ ინარჩუნებს თავის ადგილს. პასივის ასეთ გიპს წინდებულებიანი პასივი ეწოდება (The Prepositional Passive). მაგალითად: She was highly thought of /LG/

თანამედროვე ინგლისურ ენაში პასივის ასეთი გიპი უფრო

გავრცელებულია, ვიდრე ირიბი პასივი. წინდებულისანი პასივის გამოყენება ორ შემთხვევაშია შეზღუდული:

იგი იწარმოება ყველა იმ მზნისაგან, რომელსაც წინდებულისანი ობიექტი აქვს, მაგრამ მისი გამოყენება მაინც შეზღუდულია რამდენიმე მზნით. ასეთებია:

to speak about, to talk about (of), to comment on, to write about.

You have been a good deal talked about /*ibid*/

to look – სხვადასხვა მნიშვნელობით და სხვადასხვა წინდებულებით

to look at (to, upon, after, for, into)

He was looked upon as one whose common sense could unquestionably be trusted in all cases /*ibid*/

მზნები, რომლებიც აღნიშნავენ დაცინვას ან დანაშაულს: to laugh at, to shout at, to jeer at, to hoot at, to mock at, to sneer at, to spit at, to frown at, to whistle at, to swear at. მაგალითად:

The boy now took the stage, produced a broad grin, was immediately cheered and whistled at. /*DS*/

წინდებულისანი პასივი არ იხმარება იმ მზნებთან, რომლებსაც პირდაპირი და წინდებულისანი ობიექტი აქვთ. ასეთებია:

to explain something to sb, to point out, to announce, to dedicate, to devote; to propose. მათ შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ პირდაპირი პასივი.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კიდევ არის ერთი გიპი. როდესაც პასიური კონსტრუქციის სუბიექტი აქტიური კონსტრუქციის ადგილის გარემოებას შეესაბამება, ოღონდ მზნას აუცილებლად მოსდევს წინდებული. მაგალითად:

The room looked as if it had not been lived in four years /*ibid*/

წარმოდგენილ ნაშრომში განვიხილეთ ის ძირითადი გრამატიკული საშუალებები, რომლებიც პასივს აწარმოებენ თანამედროვე ინგლისურ ენაში. აქვე გავაანალიზეთ პასივის ის ოთხი გიპი, რომლებიც მისი წარმოების ხერხების მიხედვით გამოიყოფა. ჩაგარებულმა ანლიზმა გვიჩვენა, რომ პასივობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა მზნა-შემასმენელია, რომელიც აუცილებლად ლექსიკურ ასპექტში უნდა იქნეს განხილული.

აქვე წარმოვადგინეთ პასიური ფორმების როგორც ყველაზე გავრცელებული მაწარმოებლები, ისე იშვიათი გამონაკლისები. რაც პასივობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის საშუალებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს.

ლიტერატურა

1. O Jespersen, Essentials of English Grammar. 7 th impr. London, 1958
2. A. Maclin, Reference Guide to English. Washington. 1994
3. A. Waldhorn, Zeiger A. English Grammar. Oxford, 1992

NONA USHVERIDZE GRAMMATICAL MEANS OF EXPRESSING THE FUNCTIONAL AND SEMANTIC CATEGORY OF PASSIVE RESUME

The paper deals with the functional and semantic category of voice which shows the action is directed in the relation to the grammatical subject or a subjectival. It is purely relative category. The active form of a verb shows that the action denoted by it goes from the subject of the sentence and is performed upon the grammatical object. The passive form of a verb shows that the action is performed upon the subject or a subjectival. The voice opposition can be neutralized with the infinitive used in the function of an attribute. Cf. 'He is a man to admire', but 'Here are the letters to be answered immediately.'

Due to the fact that any object verb in English can be used in the passive form, the group of verbs capable of forming the passive voice is much wider than in Georgian. That is why the passive voice in English is more extensively used.

The passive form is not to be mixed up with the compound nominal predicate. The grammatical means of expressing the functional and semantic category of passive are certain tense and aspect forms (perfect, perfect continuous), a 'by-phrase', neighboring active forms, certain adverbial modifiers (of time, place, manner).

English also employs other means of expressing a passive meaning, like phrases 'get+past participle', 'come+past participle', 'go+past participle', 'get (come)+passive infinitive' (the last one with a shade of ingressiveness).

ინგლისური ენის კათედრა

მელა შანჭულიძე

რულოვ ჰესის ინგლისში გაფრენის ნაკლებად ცნობილი დეტალები

სამეცნიერო ლიგერაგურაში რულოვ ჰესის გაფრენა შეფასებულია როგორც „ექსტრავაგანტური ნაბიჯი“, სენსაციური ქმედება“, რომელმაც მთელი მსოფლიო შეძრა. დღემდე ამ მისიის მიზნის უცყუარი დასაბუთება ვერავინ შეძლო. უინსტონ ჩერჩილის სახელობის სახელმწიფო არქივში, საქაღალდე FO898, რომელიც რ. ჰესის საქმეს შეიცავს, 2017 წლამდე არის დახურული. რას უნდა მალავდეს ბრიტანეთის მთავრობა? ეს საკითხი ისევ და ისევ სამეცნიერო კვლევის საგანი რჩება.

წინამდებარე სტატიის მიზანია რ. ჰესის გაფრენის ცალკეულ დეტალთა თაობაზე არსებული ვერსიებისა თუ დადასტურებული ფაქტების შეჯერება, რაც თავის მხრივ, ობიექტური სურათის შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს. გარდა ამისა, შევეცდებით განვსაზღვროთ რ. ჰესის ფრენის კურსი, მისი ხანგრძლივობა და რაც მთავარია, გავარკვიოთ ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურების როლი აღნიშნული მისიის განხორციელებაში.

თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით, ურთიერთგამომრიცხავი უამრავი ვერსია არსებობს. მიუყვით მოვლენათა მსვლელობას. ერთი ვერსიის თანახმად, რ. ჰესმა გაფრენა ირლანდიიდან განახორციელა, რაც საფუძველს მოკლებულია. მეორის მიხედვით – ის გერმანიის ქ. აუგსბურგიდან ME-110 ტიპის თვითმფრინავით გაფრინდა, რომლის საბორტო ნომერი 3869VJ-OQ იყო. ეს ვერსია ოფიციალურადაა დადასტურებული.

რაც შეეხება რ. ჰესის მარშრუტს, ის ავიაციის პოლკოვნიკის პ. ელმუტ კაღენის მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგნაირად გამოიყურება: „ თუ რ. ჰესი ჩრდილოეთ ზღვის მიმართულებით შოგლანდისაკენ, კალუნდბორგის და შემდეგ ჩრდილოეთ დანის თავზე მიფრინავდა, მას 1600 კმ. უნდა გაეწლო. რ. ჰესს აიდელებერგის თავდაცვის სადგურისთვის უნდა გადაეფრინა, გა-

ველო ვიურცბერგი, ჰანოვერი და ჰამბურგი, ვიღრე ის კლუნდბორგს მიაღწევდა”[6.12].

ალსანიშნავია, რომ ME-110 დამატებითი მძიმე საწვავი ავგებით, რომელიც რ. ჰესის მოთხოვნით იქნა ჩადგმული, დაახლოებით 400 კმ/სთ. სიჩქარეს ავითარებდა. მას, 1600 კმ. დაახლოებით 4 სთ. განმავლობაში უნდა დაეფარა. თუ ჩვენ მოვიამბრებთ, რომ რ. ჰესმა კიდეც რამდენიმე საათი აღმოსავლეთ შოგლანდიის მიმართულებით, ჩრდილოეთ მღვის თავზე იფრინა, რათა ჰამილტონის რეზიდენციამდე მეგისმეგად აღრე არ ჩასულიყო, შევძლებთ მისი ფრენის სავარაუდო ხანგრძლივობის დადგენას.

გაფრენა, 1941წ. 10 მაისს, შაბათს, ცენტრალური ევროპის დროით 17:30 სთ., ქ. აუგსბურგიდან მოხდა. ქ. აუგსბურგში ამ დროს მშე 19:43 სთ. ჩადის. დაისის ხანგრძლივობა 30 წთ. გრძელდება. სრული დაბნელება 20:15 სთ. ხდება. როცა რ. ჰესი 20:30 სთ. შოგლანდიაში იმყოფებოდა, ამ დროს გერმანიაში 21:30 სთ. იყო. ადვილი შესაძლებელია, რომ რ. ჰესი 23:00 სთ. გერმანული დროით და 24:00 სთ. ცენტრალური ევროპის დროით, თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოშვდარიყო.

საინტერესოა, კიდე ერთი დეგალი. რ. ჰესმა მისი ფრენის კურსის განსაზღვრისათვის, თვითმფრინავში რადიომიმღების დამონტაჟება მოითხოვა. მაგრამ გარემოებას ართულებდა სპეციალური სხივადი ანგენა, რომელიც ჩრდ. დანიაში იყო განთავსებული და როგორც მას რადიოკვანძის ხელმძღვანელმა იოზეფ ბლუმელმა განუმარტა, სამხ. გერმანიიდან მისი გამოყენება შეუძლებელი იყო. თუმც, როგორც შემდეგ გაირკვა, სადგურს მიმართულება შეუცვალეს და ის სამხრეთით მოათავსეს. ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ, ჩნდება კითხვა: რა როლს ასრულებდა რადიომიმღები ფრენის დროს? საკითხის უკეთ გაამრებისათვის, შევეცდებით განვმარტოთ ავიაციამში რადიომიმღების გამოყენების მეთოდი. ძირითადად, ამ პერიოდში ე.წ. რადიოკომპასებით სარგებლობდნენ, რომელიც ღამით ჰაერში ფრენის მიმართულებას პირდაპირ, მარჯვნივ თუ მარცხნივ წარმართავდა. კურსის შესაძლებელი ცვლის დროს მორბეს ცნობილი კოდი გაისმოდა. ბგერა N [dah-did, ან dash-dot] მარცხნივ გადახრას,



ხოლო A [did-dah ან dot-dash] მარჯვნივ გადახრას ნიშნავდა, კი მფრინავს სწორი ორიენტაციების საშუალებას აძლევდა.

მემოთ თქმულის საფუძველზე კიდევ ერთი საგულისხმო დასკვნის გაკეთება შეიძლება. აშკარაა, რომ რ. ჰესის გაფრენაში, ნაცისტური გერმანიის „ლუფტვაფეს“ მონაწილეობა იკვეთება. „ლუფტვაფეს“ კი დამოუკიდებლად, თვითნებურად მოქმედება არ შეეძლო. აღნიშნულიდან გამომდინარე მივიღივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ რ. ჰესის მისია თავად ადოლფ ჰიტლერისგან სანქცირებული უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რ. ჰესის გაფრენის შემდეგ, ა. ჰიტლერმა მასთან დაახლოებული ადამიანები, თვით ასგროლოგებიც კი დააპატიმრა, მაგრამ ქ. აუგსბურგის საავიაციო ქარხნის დირექტორის ვილი მესერშმიგისა და, არც პოლკოვნიკ პ. კაღენის დაპატიმრების ორდერი არ გაუცია. ვიდრე რ. ჰესის გაფრენის ორგანიზების საკითხს შევეხებოდეთ, მანამ სასურველია კიდევ ერთი საინგერესო დეტალის მცირე ექსკურსი შემოგთავაზოთ. როგორც ცნობილია, შოგლანდიაში ჩასვლისას რ. ჰესმა თავი ლეიტენანტ ალფრედ ჰორნად წარადგინა. საინგერესოა თვით ამ ფსევდონიმის ისტორია. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ვარაუდია გამოთქმული. RAF*-ის მაიორის გრეჰამ ღონალდის აზრით, სახელი ალფრედი ანგლო-საქსურად Alf ანუ Olf-ი, გერმანულად შეესაბამება Rot Olf-ს, რომლის ქლერადობაც რ. ჰესს თითქოს ძალიან მოსწონდა. ვფიქრობთ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ნაკლებად მისაღებია.

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის მოსაზრებით, ფსევდონიმის არჩევა განაპირობა წერილების ბოლოს მისი ნამღვილი სახელის წინა ასოს H-ს გამოყენებამ.

მიგვაჩნია, რომ რ. ჰესმა სახელი მისი უმცროსი ძმის ალფრედისაგან ისესხა. ის წლების მანძილზე NSDAP** საზღვაგარეთულ ორგანიზაციის უფროსის ერნსტ ბოლეს მოადგილე იყო. გვარი ჰორნი, მისი სიღვრის მეორე ქმრისგან აიღო, რომელიც გერმანიაში მსახიობი გახლდათ.

რაც შეეხება ამ გაფრენის ორგანიზების საკითხს შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არაოფიციალური, მაგრამ სახელმწიფო დონეზე მომზადებული წინასწარ დაგეგმილი მისია, რომლის

უკან ბრიტანეთის საღაბვერვო სამსახური [SIS] იდგა. ამავე მო-
საზრებას იზიარებდა ი. ბ. სკალინიც. 1944 წ. ოქტომბერში, მის
კოვში მყოფი უ. ჩერჩილი კატეგორიულად უარყოფდა ამ მოვლე-
ნაში SIS მონაწილეობის ფაქტს. სკალინმა დემონსტრაციულად ბრი-
ტანეთის საღაბვერვო სამსახურის სადღეგრძელო შესვა და გა-
ნაცხადა: „ის ვერ დაჯდებოდა სიგნალების გარეშე. ყველაფერ ამის
უკან საიდუმლო სამსახური უნდა მდგარიყო“—ო. ჩერჩილის წინა-
აღმდეგობის შემდეგ კი დაუმატა, რომ რუსული დაბვერვა საბჭო-
თა მთავრობას საკუთარი მიზნების შესახებ მანამ არ აძლევს ინ-
ფორმაციას სანამ სამუშაო არ შესრულდება. ამით ბრიტანეთის
პრემიერი დელიკატურად გამოიყვანა „არაინფორმირებულის“
მდგომარეობიდან.

* **RAF** (აბრ.)- **Royal Air Force**- სამეფო საჰაერო ძალები

****NSDAP** (აბრ.) **National-Sozialistische Deutsche Arbeiter Partai**

- გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია
არსებითად, ამასვე ადასტურებს აშშ პრეზიდენტი, ფრანკლინ
რუზველტიც. როდესაც ფ. რუზველტმა 1941 წ. 15 მაისით დათარი-
ლებული უ. ჩერჩილის წერილი წაიკითხა, თავის მრჩეველს სრუ-
ლი სერიოზულობით უთხრა: „მე გაკვირვებას ვერ ვმალავ იმ
აღამიანების მიმართ, ვინც სინამდვილეში ამ საქმის უკან იდ-
გა“.[6. 2] მოგვხსენებთ, რომ ამ მისიის უკან კი ძალზედ ცნობილი
პიროვნებები იდგნენ, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.
მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას. ოფიციალური ვერსიით, რ. ჰ
ესი შოტლანდიაში ჩასვლისთანავე, ინგლისის სამეფო კარის ცე-
რემონმაისტერის, ჰერცოგი ჰამილტონის ნახვას დაქინებით მო-
ითხოვდა. ცნობილია, რომ ჰამილტონი სამეფო ოჯახთან ფრიად
დაახლოებული პირი იყო. მისი უმცროსი ძმის სიდედრს ნორ-
თუმბერლენდის ქვრივს, ჰერცოგინიას სამეფო კარზე საგარდუ-
რობოს ხელმძღვანელის თანამდებობა ეჭირა. აღნიშნული,
თავისთავად, ძალზე საინტერესო ფაქტია. მაგრამ
ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება,
თუ პეტერ ფლემინგის წიგნს „მურინავის ვიზიტს“ განვიხილავთ.
წიგნში საუბარია SO1 და SO2* -ის როლის შესახებ ამ გაურენის
მომზადებაში. ავტორი SO2-ის განყოფილებაში მუშაობდა.
რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მის მიერ მოწოდებული მასალა

საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. პეკერის ძმა, იენ ფლე-
მინგი საზღვაო საღაბვერვო სამსახურში მსახურობდა, რომელიც
ლიც, თავის მხრივ, SO1-თან იყო დაკავშირებული.

მაშასადამე, SO1, არსებითად, დაზვერვის ერთ-ერთ განყოფი-
ლებადაც მოიაზრება. ძირითადად, მისი შემადგენლობა 60 კაცით
განისაზღვრებოდა. SO1 – არისგოკრაგებისაგან შედგებოდა, ვი-
საც ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში ჰქონდა მი-
ღებული განათლება. როგორც SO1 გერმანელი ექსპერტი ვალ-
მსლეი აღნიშნავდა, ისინი იმდენად გასაიდუმლოებულნი იყვნენ,
რომ მათი არსებობა, პროფ. ფ. ჰ. ჰინსლესის წიგნის “მსოფლიო
ომის ორი საღაბვერვო სამსახურის ისტორიის” მხოლოდ ბოლო
ნაწილში მოიხსენიებოდნენ. საერთოდ, პოლიტიკური დაზვერვის
ამ ნაწილის შესახებ, ბრიტანეთის საისტორიო წყაროებში მწირი
ინფორმაცია მოიპოვება. საკითხის მეტი გამჭვირვალობისთვის დაე-
ძენთ, რომ SO1-ის გეგმებში ა. ჰიგლერის მოწამვლის იდეაც
შედიოდა. ის რძით ან ჩაით უნდა მოეწამლათ, ანდა მისი გან-
საცმელი მომაკვდინებელი ბაქტერიით გაეკლენათ.

ამ “საიდუმლო” საზოგადოების “დილეგანტურობის” ერთ-ერთი
განსაკუთრებულობა უ. ჩერჩილის წინააღმდეგ შეთქმულობის
მოწყობა იყო, რომელიც ბრიტანეთში ჩასულ რ. ჰესს უნდა და-
ეგვირგვინებინა. უ. ჩერჩილის პოლიტიკურმა მოწინააღმდე-
გეებმა ე.წ. “მშვიდობის პარტია” ჩამოაყალიბეს. სავარაუდოა,
რომ მას პერცოვი ჰამილტონი მეთაურობდა. მიგვაჩნია, რომ
“მშვიდობის პარტია” ინგლისში პრომიუნსენული ორიენტაციის
დაჯგუფების “კლაიფენის ჯგუფის” იდენტური იყო.

*SO1-SO2(აბრ.) Special Operations_სპეცსამსახურები

უნდა აღინიშნოს, რომ SO1 თანამშრომელთა თავდააპირვე-
ლი ჩანაფიქრით, ბრიტანეთში მისიით აზვერის შეუი-ადმირალი
კანარისი- უნდა ჩასულიყო. უკნასკნელი პრობრიტანული ორი-
ენტაციის პიროვნება გახლდათ, მაგრამ ინგლისურ დაზვერვას
მისი არაორღინალური ქმედებები აუჭვებდა. ამიგომაც შეჩერდა
საბოლოო არჩევანი რ. ჰესზე. რ. ჰესი ანგლოფილი გახლდათ,
ფლობდა ინგლისურს, იყო საუკეთესო მფრინავი. ამასთან, მას
ინგლისის გავლენიან პოლიტიკოსებთან ქონდა კონტაქტები, გე-
ოპოლიტიკოს, პროფ. კარლ ჰაუსჰოფერის მეშვეობით.

შეიძლება, SO1 და SO2 პოზიცია ცოგა უცნაურად მოგვეჩვენე-

ნოს. ის, როგორც ა. ჰიგლერის, ასევე უ. ჩერჩილის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა. სახელდობრ, რა სურდა მას? უმთავრესი მიზანი გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ომის შეწყვეტა და ღაზების მიღწევა იყო. როგორც ცნობილია, უ. ჩერჩილმა ა. ჰიგლერის მიერ ორჯერ შეთავაზებული ზავი ორჯერვე უარყო. პირველი ოფიციალური შეთავაზება მან 1939წ., პოლონეთის კამპანიის, ხოლო მეორე 1940წ., საფრანგეთის კამპანიის დასრულების შემდეგ გააკეთა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დუმილით შეურაცხყოფილი ჰიგლერი და მისი გარემოცვა სხვა გზას დაადგნენ. მათ სურდათ ქვეყნის შიგნით მომხდარი შეთქმულებით, უ. ჩერჩილი რეალური ხელისუფლებისაგან ჩამოეცილებინათ. სახელმწიფო გადაგრიალება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, “მშვიდობის პარტიას” უნდა განეხორციელებინა. პარტიის სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ძალა SIS იყო, რომელმაც ბრძოლის მეორე ფორმა აირჩია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, განვიხილოთ კიდევ ერთი ფრიად დამაფიქრებელი ფაქტი. როგორც ირკვევა, 1940 წ., კ. ჰაუსპოფერმა პორტუგალიიდან ქალბატონ მერი ვაიოლევ რობერტისაგან წერილი მიიღო. ეს ის აღამიანია, რომლის მისამართზე (ლისაბონი, PO 506) ინგლისში ჩასული რ. ჰესი, თავის ოჯახის სახელზე წერილის გაგზავნას ითხოვდა. 10 წლის განმავლობაში კ. ჰაუსპოფერს არაფერი სმენოდა ამ ოჯახის შესახებ. უცნაურია, რომ 10 წლიანი ინტერვალის შემდეგ, მათი ურთიერთობა მოულოდნელად განახლდა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამ ქალბატონის ძმისწული ვალტერ რობერტსი SO1 ფინანსებს განაგებდა. ცნობილია, რომ ვალტერ რობერტსმა მოგვიანებით მუშაობა დაიწყო KGB-ში. უთუოდ აღსანიშნავია, რომ მოხუცი ქალბატონი კ. რობერტსი თავის წერილებში, ჰერცოგი ჰამილტონის მეშვეობით, ინგლისთან ზავის დადების შესაძლებლობებზე საუბრობდა. მაგრამ წინააღმდეგობაში მოვდივართ, როდესაც ვგებულობთ ქალბატონი რობერტსის წერილების სიყალბის შესახებ, რომელსაც SO1 უგზავნიდა კ. ჰაუსპოფერს, ეს უკანასკნელი კი რ. ჰესს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ SO1-ის თანამშრომელი, ელიკ ჰუვე (მისი ნაშრომი “შავი თამაში”—1982წ. გამოიცა) წერილების ყალბად კეთების ოსტაგი იყო.

ეს ვერსია ჩვენთვის ნაკლებ მისაღებია. კ. ჰაუსპოფერს და მით უმეტეს მის შვილს ალბრეხტს, ყოველთვის შეეძლო ამ წერილების გადამოწმება. ამ ფაქტთან დაკავშირებით შესაძლებელია

ასეთი კითხვაც გაჩნდეს: რაგომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი კ. პ. აუსპოფერისა და ამ ქალბატონის კორესპოდენცია? ვფიქრობთ იმიტომ, რომ ვ. რობერტსი ნეიგრალური სახელმწიფოს გერიტორიაზე, პორტუგალიაში (ლისაბონში) ცხოვრობდა, რაც უსაფრთხოების გარანტი იყო ინგლის-გერმანიის წარმომადგენლების მხრიდან ნებისმიერი რანგის შეხვედრებისათვის. ამავე მიზნით, შეიძლებოდა მისი საფოსტო ნომრის გამოყენებაც. (იხ. გემოთ).

როგორც ირკვევა, რ. ჰესი 1940წ. 28 ივლისს, ლისაბონში უინძორის ჰერცოგს (ინგლისის ყოფილი მეფე, ედუარდ VIII) შეხვდა. ჰერცოგი უინძორელი სიმპათიით იყო განწყობილი ნაცისტების და მათი უიურერის ა. ჰიგლერის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა, 1937 წ. შემოდგომაზე ჰერცოგი უინძორელის და მისი მეუღლის, ამერიკელი მსახიობი ქალის, ქალბატონ უსიმ-ჰსონის* რ. ჰესთან და ა. ჰიგლერთან შეხვედრა. შეხვედრას გერმანიის მაღალჩინოსანი მოხელეებიც ვ. შელენბერგი და რ. პაიდრიხიც ესწრებოდნენ. ორივე შეხვედრაზე, რომელიც SO1 მიერ იყო ორგანიზებული, საუბარი ძირითადად ორი არიული იმპერიის დაახლოებაზე მიმდინარეობდა.

“მშვიდობის პარტიის” ერთ-ერთი გავლენიანი წევრის, ჰერცოგ ბელფორდის არქივის გამგემ, 100 წლით დახურული ყველა ომისდროინდელი დოკუმენტი აღმოაჩინა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ეს დოკუმენტები 1953 წლამდე, ე.ი. ჰერცოგის გარდაცვალების დრომდე მოდის. ამ მასალის საფუძველზე, რ. ჰესს კენგის ჰერცოგი (მეფე გეორგ VI-ის ძმა) პოლიციის ოფიცრებთან ერთად ჰამილტონის რეზიდენციაში, ღუნგაველ კასტლში ელოდებოდა. თუმც არ შეიძლება იმ ფაქტის დავიწყებაც, რომ თითქოს კენგის ჰერცოგმა რ. ჰესს მოკლე საფრენ ბილიკზე დაჯდომისას შუქი ჩაურთო.

ამავე მასალების მიხედვით, პოლონეთის ემიგრირებული მთავრობის მეთაური, გენერალი სიკორსკი რომელიც 1941 წლის 10 მაისს, ჰესის გაფრენის დღეს ნიუფაუნდლენდში იმყოფებოდა, 11 მაისს დიდ ბრიტანეთში, კერძოდ კი- პრესტვიკში უნდა გაფრენულიყო. მას კენგის ჰერცოგთან შეხვედრა ქონდა დავალებული. ხაზგასასმელია, რომ კენგის ჰერცოგი “მშვიდობის პარტიის” გავლენიან წევრად მოიხსენიება.

ჩვენი ყურადღების ცენტრში შემდეგი ფაქტიც ხვდება. ეარლ მაუნბაგენს**, ჰამილტონის სიკვდილის შემდეგ, მისი სახლიდან

დამიანებული ქალაქები წამოუღია. მისი განადგურება თავად პერცოგს უცდია. საბელნიეროდ, ამ ქალაქების აღდგენა მოხერხდა. ამ მასალების მიხედვით, რ. ჰესს ინლისში პერცოგი ჰამილტონი ელოდა. სავარაუდოა, რომ ის SO1-ის შეთქმულების თანამომზადებელია.

ნიშანდობლივია, რომ ბრიგანეთის დაბევერვამ, 1940 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული წერილი, ჩაიგდო ხელში. წერილი ვინმე "ა"-ს (A) ავგორობით, ლისაბონიდან იყო გამოგზავნილი. 5 თვის განმავლობაში პერცოგმა ჰამილტონმა არაფერი იცოდა ამ წერილის არსებობის შესახებ. ამ დროის მანძილზე SIS-ი აღგენდა ავგორის ვინაობას. როგორც გაირკვა, ეს პროფ. კ. პაუსპოფერის შვილი, ალბრეხტ პაუსპოფერი იყო, რომელიც ინგლისსა და გერმანიას შორის ურთიერთგაგების გზების გამოვნახვის თაობაზე, ჰამილტონთან შეხვედრას ლისაბონში ითხოვდა.

ამ დროს, პერცოგი ჰამილტონი RAF-ის სამხედრო ბაზის-გერნპაუსის (ედინბურგის საზღვართან)-მეთაურის მოვალეობას ასრულებდა.

წერილის გადაცემის დროს SIS-მა თხოვა პერცოგ ჰამილტონს ლისაბონში გამგზავრება და იქ ა. პაუსპოფერთან შეხვედრა. ჰამილტონი შეეცდებოდა. მაგრამ, როდესაც დაბევერვის ერთერთმა წარმომადგენელმა მას განმეორებით ჰკითხა: "მზად იყო თუ არა ის ამ დავალების შესასრულებლად", პერცოგმა უპასუხა: "მე წავალ მაშინ, თუ ამას შემოდან მიბრძანებენ"-ო [5.60].

* მისი არამეფური სისხლის გამო, მეფე ედუარდ VIII შემდეგი არჩევანის წინაშე დააყენეს: ან სამეფო ტახტი ანდა საყვარელ ქალთან ცხოვრება, მან მეორე აირჩია.

** ინგლისის მეფე გეორგ VI -ის ბიძაშვილი.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჰამილტონმა 10 დღიანი შვებულება აიღო (1941 წ. 26 იანვარი-4 თებერვალი) და ქვეყნიდან გაემგზავრა. უცნობია, რომელ ქვეყანაში წავიდა ის. ამავე წლის 2 თებერვალს, ა. პაუსპოფერი შვეიცარიაში ჩავიდა, სადაც მან 5 თებერვლამდე დაჰყო. თუმცა, მისი ამ ქვეყანაში ჩასვლის მოტივი დღესაც უცნობია.

ვფიქრობთ, რომ ეს მარგო დამთხვევა არ უნდა იყოს. იქნებ, ამ ორი საკმაოდ გავლენიანი პიროვნების შეხვედრა სწორედ შვეიცარიის ტერიტორიაზე შედგა? თუ ღიახ, მაშინ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი საუბარი მათივე ინტერესების სფეროს, გერმანია-ინგლისს შორის ბავის დადების საკითხს შეეხებოდა.

ამრიგად, რ. ჰესის ინგლისში გაფრენის დეტალების მიმოხილ-

ვის საფუძველზე, ჩვენ გავაანალიზებთ ერთ-ერთი საკვანძო საკითხის, ბრიგანეთის საღაზვერვო სამსახურის სპეციალური განყოფილებების SO1 და SO2 როლი ამ მისიის ორგანიზებაში და თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბრიგანეთის სპეცსამსახურები წინასწარ სრულად იყვნენ ინფორმირებული რ. ჰესის ინგლისში გაფრენის შესახებ.

ლიტერატურა

1. Питер Педфилд, Гесс Сподвижник Гитлера. См. 1998
2. Уинстон Черчилль, Вторая Мировая Война. т. 2. М. 1991
3. Douglas Hamilton James, Motive for a mission. L. 1971
4. K. Bird Eugene, The Loneliest Men In The World. L. 1974
5. Leasor James, The Uninvited Envoy. L. 1962
6. [Http:// Members. aol. com / Leonardingrams](http://Members.aol.com/Leonardingrams) Dokumentation Nr.1 Speech of Fligh Captain Helmut Kaden on the flight preparations of Rudolf Hess (in Munich, on 23 november, 1989) @ 2000 _ 2003 by RH internet services Unknown documentary evidence. Copyright @ Pharo Plc 2002

MEDEA PANCHULIDZE

LESS KNOWN DETAILS OF RUDOLPH HESS'S FLIGHT TO ENGLAND RESUME

On May 10, 1941 Rudolf Hess flew away from Augsburg (Germany) in direction of North Sea to Scotland. He covered about 1600 km for more than 4 hours. So, the fly carried out from 17.³⁰ to 23.⁰⁰. For the purpose of determining the right course of airplane it was supplied with special wireless transmitter.

Upon arrival to Scotland R. Hess introduced himself as lieutenant Alfred Horn. It is notable that this name he borrowed from Alfred, his brother.

Many influential persons waited for R. Hess in Great Britain. Among them were Duke Hamilton, person in attendance to Royal Family, brothers of George VI, Duke of Kent and Duke Windsor. Last two persons were the members of "Peace Party" and at the same time formed an organic part of British Intelligence Service SO 1 and SO 2. They played a very important role in organizing of this mission. Duke Hamilton was considered a leader of "Peace Party". The aim of above-persons was concluding an armistice between Germany and Great Britain, which contradicted the policy of W. Churchill, Premier-Minister. R. Hess got into touch with them with the help of Albrecht Haushofer, son of professor Karl Haushofer.

General aim of R. Hess's mission was with the help of Duke Hamilton to appear before King and by negotiations to establish understandings between belligerents. It was important exactly prior to aggression on the USSR. Armistice with Great Britain excluded for Germany the possibility to fight on two fronts.

მსოფლიო ისტორიის კათედრა

ნათია ქათამაძე

პრესუპოზიციის ყოველდღიურ ცხოვრებაში

პრაგმატული მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო საკვლევ ობიექტს წარმოადგენს პრესუპოზიციის, რომელსაც არა მარტო პრაგმატული, არმედ სემანტიკური კუთხითაც განიხილავენ (Lyons 1997, 75-132, Leech 1998, 125-197, Levinson 1994, 177-209, etc.). ამიგომ, ეს საკითხი მეკვლევართა შორის დიდ კამათს იწვევს. პირველი პრობლემა, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია არის ის, თუ რა კავშირშია მეცნიერების ეს ორი დარგი ერთმანეთთან, ემთხვევა მათი კვლევის ობიექტები, თუ რადიკალურად განსხვავებულია ისინი. ფაქტია, რომ პრაგმატიკა უფრო ფართოდ და გასაგებად ხსნის პრესუპოზიციის არსსა და მნიშვნელობას, ამიგომაც პრესუპოზიციის საკითხმა გამოიწვია ყველაზე დიდი გამოხმაურება და ინფორმაციითა დიდი რაოდენობაც ამ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვება.

მასალების განხილვისას ჩემი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო პრესუპოზიციის როლმა და მნიშვნელობამ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ვიდრე უშუალოდ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია პრესუპოზიციის მოკლე განმარტება წარმოვადგინო. პრესუპოზიციის ნიშნავს წინასწარ ვარაუდს, ჩართვას, რომელიც ენის მოგიერთ მოდელს წარმოადგენს. (ქფნ № 333, 99 ფაქტიურად შეუძლებელია რომელიმე წინადადების წარმოთქმა გარკვეული სახის ვარაუდის გარეშე და აქედან გამომდინარე პრესუპოზიციის გამოუყენებლად. პრესუპოზიციის არის მექანიზმი, რომელიც გამოიყენება ბრმად (ნაგულისხმევია, ვარაუდის შესაქმნელად მაშინ, როცა მუსტი მტკიცება რაღაცას ამკარად გამოხატავს. უმარტივესი მტკიცებაც კი პრესუპოზიციის შეიცავს. განსხვავება ვარაუდსა და მტკიცებას შორის არის ის რომ ეს უკანასკნელი საკომუნიკაციო გიპია, რომლის მართვაც შესაძლებელია მაშინ, როცა ვარაუდი ქვეცნობიერ პროცესს წარმოადგენს.

პრესუპოზიციითა ორ გიპს განასხვავებენ: „მუსტს“ (სწორს),

რომელიც საყოველთაო ცოდნაზე და „არაზუსტს“ (ყალბს), რომელიც ფარულ ანუ შენიღბულ ცოდნას ეყრდნობა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

.. The sun shines (მზე ანათებს)

წინადადებაში წარმოდგენილია ისეთი საგანის რომელიც ყველასათვის ცნობილია. ეს არის „მზე“ და მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა „ანათება“. საყოველთაოდ მიღებული ცოდნითა და შეთანხმებით ეს ფაქტები ნამდვილია და ამდენად ამ წინადადების პრესუპოზიციას არის მუსკინ სწორინ რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული.

ახლა ყურადღებით დავაკვირდეთ მეორე მაგალითს:

.. Why did you steal the money? (რაგომ მოიპარე ფული?)

წინადადებაში ნავარაუდებაა ფულის რაღაც რაოდენობან რომელიც მოიპარე და იგი „ვილაცამ“ - უფრო მუსკად „შენ“ მოიპარე და „შენ“ გქონდა მიზეზი „რაგომ“ ჩაიღინე ასეთი საქციელი. ექვს სიგყვაში ოთხი ვარაუდია. გაცილებით მეტი ვარაუდი იქნება, თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ ამ წინადადებას. ასე მაგალითად, ფაქტია, რომ ფული არსებობდა, მას ჰყავდა კანონიერი მესაგრონე, აქვეა აგრეთვე ქონების ცნება, ლოგიკა და ა.შ. ვარაუდები, როცა ისინი ნამდვილია, როგორც შეთანხმებული ფაქტები და ჩვენებები, შეიძლება ჩაითვალოს მუსკად და მისაღებად, ხოლო როცა არარეალურია, ფაქტებზე არ არის დაფუძნებული (საერთო ჯამში ან ნაწილობრივ მაინც), ან კიდევ კითხვითი წინადადებების სახითაა წარმოდგენილი, მაშინ ისინი შეიძლება არაზუსტ, მცდარ პრესუპოზიციებად მივიჩნიოთ.

ინგლისელმა ლინგვისტმა ს. მეიმ განიხილა ზემოთ აღნიშნული პრესუპოზიციათა ორი ტიპი - „მუსკი“ და „ყალბი“ და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

- „ნამდვილი“ პრესუპოზიცია მოსაუბრის მოუფიქრებელ ვარაუდზეა დაფუძნებული. ეს ვარაუდი მოსაუბრისა და მსმენელისათვის ერთი და იგივეა. აქედან გამომდინარე პრესუპოზიციის ამ ტიპს შეგვიძლია „მუსკი“ „არასადისკუსიო“ ვუწოდოთ.

- ის ვარაუდი, რომელიც სხვადასხვაა მოსაუბრისა და მსმენელისათვის, შეიძლება მივიჩნიოთ პრესუპოზიციის „ყალბ“ ტიპად (S. May, 1999, 17).

წინადადებები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ სხვადასხვა ტიპის პრესუპოზიციებს შეიცავენ, ფრჩხილებში კი შესაბამისი ვარაუდებია წარმოდგენილი. შევეცადე მაგალითებში ძირითა-

დად ის პრესუპოზიციები ყოფილიყო, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება.

უმარტივესი პრესუპოზიციებიც კი საშუალებას აძლევს მკითხველს გამოიკვლიოს, რა სახის ვარაუდია მოცემული ამა თუ იმ წინადადებაში. შესაძლოა ზოგიერთი მაგალითი უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ისინი მაინც საინტერესოა, რადგან მათში გადმოცემულია ის მრავალფეროვნება, რომელიც ყოველდღიური ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი.

- თქვენ ყოველთვის... (თქვენ განმეორებით აკეთებთ რაღაცას).

- ნება მომეცი გავგზავნო შენი საბუთები (ჩემი ვარაუდით ვიცი, რომ შენ გაქვს საბუთები და რა სახისაა ისინი).

- თუ შენ ამას სწორად შეხედავ... (ჩემი აზრით შენ მცდარი გზა გაქვს არჩეული).

- შენ აუცილებლად უნდა გამოიყენო ეს შესაძლებლობა (არის რაღაც შესაძლებლობა).

- შემიძლია შემოგთავაზო ჩემი შეხედულება X-ის შესახებ (ჩემი შეხედულება მაქვს X-ის შესახებ და ვაპირებ შენც მოგახვიო იგი).

- მნიშვნელოვანი ობიექტი X-ია (არის სხვა ობიექტებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ X-ია მნიშვნელოვანი).

- X-მა დაკარგა მოგივაცია (იყო მოგივაცია, რომელიც X-ს კქონდა).

- მას სურს, რომ გამყიდველი წავიდეს (არის გამყიდველი და ვიცი რა სურს „მას“).

- მინდა განვიხილო საკითხი, რომელიც X-ს ეხება (არის საკითხები, რომლებიც X-ს ეხება და პიროვნება ვისთანაც ამ საკითხების განხილვა შეიძლება).

- მსურს შენ გააკონკრეტილო X-ის ქმედებები (X ჩადის რაღაც ქმედებებს და ჩემი ვარაუდით შენთვის ცნობილია ისინი).

- რეალური შედეგები შემდეგი... (შესაძლებელია არსებობდეს არარეალური შედეგებიც, მაგრამ მოსაუბრე ყურადღებას მხოლოდ რეალურზე ამახვილებს).

- რამდენად ცუდი პირობებია ბიუშბაში (ბიუშბაში იყო პირობები, პირობები იყო ცუდინ არსებობს ბიუშბა).

- რა რეაქცია გაქვთ ამის მიმართ (გაქვთ რეაქცია რაღაცის მიმართ).

- რას გრძნობს ის X-ის მიმართ (ის გრძნობს რაღაცას X-ის მიმართ).

- სად წავიდნენ ისინი ხუთშაბათს („ისინი“ - გარკვეული ჯგუფია, „ხუთშაბათი“ კი მუსიკა ღღეა).

- როლის დაბრუნდებით X-დან, (თქვენ მიდისართ X-თან და
ნაფარაუღეღია, რომ აუციღეღბღად დაბრუნდებით).

ამ სგაგღიაში შეღეღეღადე წარმღმღღინა პრაგმაგღული მეცღწღეღ
რეღბის ერთ-ერთი მღნიშუნეღლოვანი საკეღღეღი რღბიეღქღის, პრეღსუ-
პოზიციღის ერთი საინგერეღსო ასპეღქღი, კერძოღ, პრეღსუპოზიციღიღი,
რომღღეღიღ ყვეღღაღმე სშირად გამოიღყენეღბა ყოვეღღღღიღურ ცხოვ-
რეღბაში. ცხადიღ, ჩემს მიერ განხიღღული მასაღღა სრულ და ამომ-
წურადე პასუღს ვერ იღღღეღვა ყვეღღა იმ კიღთხვაღმე, რომღღეღიღ ამ
საკიღთხთან დაკავშირეღბით წარმღღღეღბა, მაგრამ იგი პირვეღღი
ცღღაღ, რომეღღიღ კონკრეღღული მასაღღის საფუძვეღღმე მკიღთხვეღღს
წარმღღღენას შეუღქმღის პრეღსუპოზიციღიათა მრავაღღღეღროვნეღბაღმე.

ლიტერატურა:

1. Leech 1998-Leech G. Semantics. Oxford University Press, 1998.
2. ლეღბანიღე 1998. ლეღბანიღე გ. ანთროპოღცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა.
თბიღღისი 1998
3. Levinson 1994 - Levinson ST. Pragmatics. Cambridge University Press. 1994.
4. Lyons 1977 - Lyons S. Semantics. Vol-s I.II. Cambridge University Press. 1997.
5. May 1999. May S. Pragmatics. Oxford University Press. 1999.

NATIA KATAMADZE PRESUPPOSITION IN EVERYDAY LIFE ABSTRACT

The paper represents a variety of types of everyday presupposition with assumptions. A kind of pragmatic inference-presupposition does not seem at least to be based more closely on the actual linguistic structure of sentences. Such inferences cannot be thought of as semantic in the narrow sense, because they are too sensitive to contextual factors. So the presupposition concerning the relationship between the speaker and the addressee expressed by the use of you, which simply do not affect truth conditions are called pragmatic presuppositions. They are best described as a relation between the speaker and the appropriateness of a sentence in a context.

In Generative Semantics the presuppositions of the sentence are an important part of their semantic representations.

Presuppositions are rather a result of complex interactions between semantics and pragmatics. To model such an interaction it is necessary to know more about the structure of semantic representations and the pragmatic principles interacting with them.

ინგღღისური ენის კათეღღრა

კახაბერ ქაბულაძე

კიტა აბაშიძე ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობების შესახებ

ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძემ (1870-1917) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთში „მეგობარი“ (შემდეგში „ჩვენი მეგობარი“) „იმ-ამ“-ის ფსევდონიმით 1915-1916 წლებში გამოაქვეყნა ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობებისადმი მიძღვნილი წერილების სერია. თავდაპირველად მან ათი წერილი დაბეჭდა სათაურით „ჩვენ და სომხები“, ხოლო ორი - „ჩვენ და თათრები“. წერილების გამოქვეყნება, ჩვენი ამრით, ორმა მიზეზმა განაპირობა: პირველი — 1914 წელს თბილისში გამოიცა სომეხი ავგორის ბ. იშხანიანის წიგნი, რომლის სათაურია „ქართველ-სომეხთა შორის არსებულის შუღლის ეკონომიკური და საზოგადოებრივი საფუძველი“, სადაც უაღრესად გენდენციურად და ცალმხრივად არის გაშუქებული ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა; მეორე — კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვი (1905-1915), რომელიც პროსომხური ორიენტაციის იყო, კავკასიიდან გაიწვიეს.

თავის პუბლიკაციებში ავგორს გაშუქებული აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულებას შეეხება. ერთ-ერთი მათგანია სომეხების მისწრაფება ამიერკავკასიაში ჰეგემონობისაკენ, რასაც ხელს უწყობდა სომხური ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ-მოქრთამული კავკასიის რუსული ადმინისტრაცია, თვით მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მეთაურობით. კ. აბაშიძე თავის წერილებში მკაცრად ილაშქრებდა სომეხთა ამ მისწრაფების წინააღმდეგ.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ავგორის პირველი წერილი, რომელშიც, ისევე როგორც მის სხვა პუბლიკაციებში, ფართოდ არის გაშუქებული ამ პრობლემის გამომწვევი მიზე-

მეზი. კიგა აბაშიძის აზრით, რადგანაც ისგორიულმა ბედმა ქართველი და სომეხი ხალხი ერთმანეთს დააკავშირა, კარგი მნიშვნელობა, რომ ამ ორ ერს შეეგნო ერთობის აუცილებლობა. სამწუხაროდ, საქართველოს მიერ პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვამ გზა-კვალი აურ-დაურია არა მარგო ქართველთა ერთნაწილს, არამედ ერთი ორად სომეხებს. მათ დაინახეს რა, რომ მოისპო ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტი, ახალ ბაგონს დაუმორჩილეს თავისი სვებელი და ანგარიში მარგო მის ფაქტიურ ძალას გაუწიეს. კ. აბაშიძის აზრით: „სომეხები, რომელნიც ქართველი ერის ტერიტორიაზე არიან დასახლებულნი, ფიქრობდნენ, რომ ასე ადვილად შეიძლებოდა მოსპობა მთელის ისგორიული გრადიციისა, ისგორიული გავლენისა და თუგინდ ისგორიული მემობლური კავშირისა და ჩვეულებებსა“ [1,2].

კიგა აბაშიძე თვლიდა, რომ სომეხებმა სრული პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს და მოინდომეს ახალმოსული ბიუროკრატიული რეჟიმით სარგებლობა და თან ისე, რომ ქართველთა გათელვაც კი მოიწადინეს. ავგორის თქმით, ამის მიზეზი მეფის რუსეთი იყო: „რუსეთის მთავრობის წარმომადგენელნი, - წერდა იგი, - საქართველოში იმას სცდილობდნენ, რამენაირად შეესუსტებინათ ქართველები, როგორც პოლიტიკური გრადიციებით და უფლებებით ძლიერი ხალხი და მათ ხარჯზე გაეძლიერებინათ სომეხობა, რომელსაც დიდი ხანია პოლიტიკური უფლებანი დაკარგული და დავიწყებული ჰქონდა და სუსტ ელემენტს წარმოადგენდა საქართველოში [1,2].“

ავგორი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მთელი მამრები (ახალციხის, ახალქალაქისა და სხვ), რომლებიც ისგორიულად და კულტურულად ქართველებს ეკუთნოდათ, სომეხებით იქნა დასახლებული მაშინ, როდესაც იმერეთში მცხოვრები ქართველები მიწის უკიდურეს სიმცირეს განიცდიდნენ; რომ მეფის ბიუროკრატიული რეჟიმი „წინაღვე განზრახულის მიზნით ხელს უწყობდა თფილისში სომეხთა რიცხვის არა ნორმალურ გამრდას“ [1,2], ხოლო სომეხთა ბურჟუაზიის ქონებრივი სიმდიდრე სრულიადაც არ იყო კანონიერი შედეგი ვაჭრობის განვითარებისა.

წერილის ავგორი მკითხველს მოაგონებდა იმ მიზეზებს, რო-

მელთაც განაპირობეს სომხური ბურჟუაზიის ქონებრივი სიმდიდრე. მისი აზრით, სომეხთა „სიმდიდრე უეცრად გაიზარდა სეთ-ოსმალეთის ომის შედეგად 1877 წელს, როცა სომეხთა ვარდათ ხელში სამხედრო სურსათის დამზადების საქმე, რომელზეც არაერთი მილიონი მოიგეს. შემდეგ, რასაკვირველია, ადვილად ჩაივდეს ბაქოს ნავთიანი მიწები ხელში, თევზისა და სხვადასხვა ამ გვარების იჯარის საქმე. [1,2]“

სომხური ბურჟუაზიის განვითარება რომ განსაკუთრებულ პირობებში მოხდა, ეს იმითაც მტკიცდება, რომ მათ ვერ გამოიჩინეს შემოქმედებითი ნიჭი მრეწველობაში და ერთადერთი სფერო — ვაჭრობა-მევახმეობაც, სხვადასხვა გავეროპებული სახით, მათ თანდათან უღნებათ ხელში. კ. აბაშიძის სიტყვით: „სომეხები ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად ჰყავდა რუსეთის ბიუროკრატებს, არა იმიტომ, რომ ვითომ რაიმე სიმპატიებით იყო მისაღმი აღჭურვილი, არამედ თავისი გარეწარი პოლიტიკის [1,2]. მისი აზრით, მეფის თვითმპყრობელობა უარყოფითად იყო განწყობილი, როგორც ქართველების, ისე სომეხების მიმართ. აბუჩად იგდებდნენ მათს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ცარიზმში დაინტერესებული იყო, რომ ამ ორ ერს შორის „წყალი ყოველთვის ამღვრეული ყოფილიყო“ და ამით მეგი სარგებელი ენახა. მოძლიერებულ ქართველებს სომეხებს მიუსევდა ხოლმე. როცა სომეხები გაძლიერდებოდნენ, თათრებს „დაგეშავდნენ“ მათ წინააღმდეგ და ასე გრძელდებოდა გამუდმებით. ცარიზმის ასეთ პოლიტიკასთან დაკავშირებით კ. აბაშიძე წერდა: „ჩვენდა საბედნიეროთ, ამისთანა როლი ჯერ ქართველებს ვერაფერ დაგვაკისრა ჩვენი მეზობლების შესახებ, სწორედ იმიტომ რომ კარგად იციან — ჩვენ ამისათვის არ გამოვლგებით“ [1;2].

ასეთი იყო საერთო სურათი ქართველთა და სომეხთა მეზობლობის ისტორიისა ასი წლის განმავლობაში და კიგა აბაშიძეს მიაჩნდა: მიუხედავად იმისა, სომეხები გარეშე ძალით რომ იყვნენ დასახლებულნი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ მაინც გარკვეული ანგარიში უნდა გაწეოდათ, რადგან: „ძალით არიან შემოსული თუ ნებით შემოსული, სომეხები ჩვენი მეზობლები არიან და საკითხი მშვიდობიანი გზით, ნებაყოფლობით გადავსწყვიტოთ [1;13].

კიგა აბაშიძე მიიჩნევდა, რომ, რადგან ორივე ერი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ამიტომ რუსეთის თათბიროს დემოკრატიულ ნაწილს შეეძლო შუამავლის ფუნქცია ეკისრა, თუ ამას მემობელი ხალხები მოითხოვდნენ. ამასთანავე, საქართველოს გერიგორიაზე მცხოვრებთა ე.წ. „უმცირესობის უფლებები“ მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული.

ამ შემთხვევაში წერილის ავტორი იმბარებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დოქტრინას — „რეალური მოსახლეობის“ თეორიას. ამ თეორიის გაზიარება თვით კიგა აბაშიძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის და საერთოდ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სერიოზული შეცდომა იყო. კ. აბაშიძეს დასაშვებად მიაჩნდა საქართველოს იმ გერიგორიაზე, სადაც უმრავლესობა სხვა ერის წარმომადგენლები იყვნენ, მინიჭებოდათ სრული ადგილობრივი თვითმმართველობა: „იმ გერიგორიის პროვინციებში, სადაც უმეტესობა მათ ეკუთვნის — ზაქათალის ოლქში — ლეკებს, ბორჩალოს მაზრაში — თათრებს, ხოლო ახალქალაქის მაზრაში — სომხებს, შესაძლებელია მათ მიენიჭოთ სრული ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი საქმეების გადასაწყვეტად, ისე რომ საქართველოს პოლიტიკურ სხეულთან კავშირი არ ჰქონდეთ გაწყვეტილი“ [1;13], — წერს იგი.

ავტორი ეჭვს გამოთქვამდა, რომ მიუხედავად ასეთი დათმობისა, სომხები ისეთ შუურივებულ პოზიციაზე იდგნენ, შესაძლებელი იყო მათთან შეთანხმება ვერ მომხდარიყო. მისი თქმით, თავად სომხები ავტონომიას თხოულობდნენ „ოსმალეთის სომხეთში“, ხოლო „საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის“ სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. კიდევ უფრო მეტი, ისინი ღიად აცხადებდნენ, რომ: ჩვენ გვაქვს ჩვენი ავტონომია, ჩვენი ავტოკეფალური ეკლესია ასრულებს ამ როლს კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისას, რომლის განხორციელებაც ჩვენ შეგვიძლია. მეტი ჩვენ არ გვეჭირვება და სხვისი ავტონომია კი ჩვენთვის რა ხელსაყრელი არისო.

კიგა აბაშიძის გადმოცემით, სომხები სისტიმატურად არ ესწრებოდნენ ქართველთა მიერ მოწყობილ ეროვნულ ყრილობებსა თუ კონფერენციებს. სახელმწიფო სათათბიროშიც ისეთი ქართველი დეპუტატი „დასელი“ აირჩიეს, რომელსაც „ქართული სა-

ეროვნო ინგერესების დაცვა ეჭვადაც კი არ შეეწამება“ [1;54]. ამ შემთხვევაში ავტორი გულისხმობდა 1912 წლის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს, რომლის დროსაც თბილისის გუბერნიაში წარმატება ხვდა წილად სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებულ ლიდერს — ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს. იგი სახელმწიფო სათათბიროში აირჩიეს. თბილისისგან განსხვავებით, ქუთაისის გუბერნიაში გამარჯვება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა — ვარლამ გელოვანმა მოიპოვა. ეს ის ვარლამ გელოვანია, რომელმაც 1912 წლის 12 დეკემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მაღალი გრიბუნიდან დასვა საკითხი საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ, რასაც ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არათუ მხარი დაუჭირეს, არამედ საერთოდ ეჭვიც კი შეიგანეს მის სადეპუტატო უფლებამოსილებაში [2,83].

კიკა აბაშიძის ამრით, სომხოფილური პოზიცია ეჭირათ არა მარტო ვორონცოვ-დაშკოვსა და მის კამარილიას, არამედ რუსეთის პოლიტიკური წრეების გარკვეულ ნაწილსაც. 1914 წლის 31 დეკემბერს თბილისიდან გაგზავნილ ბარათში კ. აბაშიძე პეტერბურგში მყოფ გ. ბდანოვიჩს წერდა: „...ამ დღეებში კერენსკი იყო ბრძოლის ველზე და ვნახე აქ ერთი საათით. ძალიან ბევრი ვიდავეთ და ცხარე სიტყვებიც უთხარი. ყველანი ეგენი სომეხთა მფარველები არიან და უსათუოდ ჩვენ უნდა შეგვდგენ, რომ ჩვენში ფეოდალური წესწყობილებაა და ამის დამრღვევი სომეხებია და ამიგომ გძულთ სომეხებით. როცა მაგრად დაუხვდი მითხრა, — საქართველოს წარმომადგენლები და ძლიერი პარტია ესდეკებია და ათი წელიწადია ამას ქადაგებენ ყველგან, რა გასაკვირია თუ ჩვენც იმას ვიმეორებთო“ [3].

კიკა აბაშიძე აღნიშნავდა, რომ მის წერილებს ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის შესახებ ფართოდ გამოეხმაურა როგორც ქართული, ასევე სომხური და რუსულენოვანი გაზეთები. ქართულ, სომხურ და რუსულ პრესაში გამოქვეყნდა მის წინააღმდეგ მიმართული სგაგიები (რუსულ პრესაში, ცხადია, პუბლიკაციის ავტორები სომეხები იყვნენ). კ. აბაშიძე იძულებული გახდა, კიდევ რამდენიმე სგაგია დაეებჭა და ამავე საკითხზე და თავისი პოზიციები დაეცვა.

ქართველი პუბლიცისტი განმარტებით, რაც მან დაწერა, ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის შესახებ, არავისთვის არ იყო უცხო და ახალი. უბრალოდ, მან მოკლე ისტორიული ექსკურსი ჩააგარა საქართველოს უახლოესი წარსულისა. ამასთანავე, იმასაც აღიარებს, რომ გულწრფელად სურდა ქართველ და სომეხ ხალხს შორის ყოიფიყო მშვიდობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ამ ორი უძველესი ერის ერთად თანაარსებობა.

რასაკვირველია, ყველა სომეხი როდი იმიარებდა სომეხი შოვინისტების მიერ წარმოებულ ასეთ იმპერიალისტურ პოლიტიკას. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გული შეგვიძლია ქართველთა და სომეხთა ურთიერთობაზე. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ „მებრძოლი სომხის არამი“, რომელსაც თავისი აზრი გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოუთქვამს. ეს პუბლიკაცია გადმოუბეჭდავს ფედერალისტთა პარტიის ბეჭდვით ორგანოს — „სახალხო ფურცელს“. „სომეხი არამი“ წერდა: „თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ ჩემი შეხედულებანი ქართველ-სომეხთა განწყობილების შესახებ. უნდა დაგარწმუნოთ, რომ ჩემთვის ეგ საკითხი არ არსებობს, რადგან ხელოვნურად შექმნილ მდგომარეობად მიმაჩნია.

ყოველთვის თაყვანს ვცემდი ქართველურ შორსმჭვრეტელობას და პოლიტიკურ სიფხიზლეს. როგორ ვერ დაინახეთ, რომ წყალს მხოლოდ გფილისელი ბურჟუაზია ამღვრევს. თქვენ სომეხი ერის ხმა არ გესმით, რადგან დაშორებული ხართ ჩემგან და არც ჩვენში იციან, რომ საქმე ისე გამწვავებულია.

გფილისელი ჯგუფებისათვის არავის მიუნდვია სომეხი ერის ინტერესების დაცვა და მერწმუნეთ, ხშირად ისინი ჩვენთვისაც ძლიერი მგრები არიან.

ჩვენ ვაფასებთ თქვენს ისტორიულ წარსულს და არავითარი პრეტენზიები არა გვაქვს თქვენს მიწა-წყალზე...

თქვენზე ნაკლები ზიანი არ მოუყენებია ჩვენთვის ვერაგ დიპლომატს და მხოლოდ ეხლა ირკვევა ის პროექტები, რომლებითაც გრაფი ჩუმად ამხედრებდა სომეხ-ქართველთ ერთმანეთზე და „ლაქიებად გადაქცეულ ჩვენს ბურჟუებს“ როგორ სასტიკად ატყუებდა.

მისი პოლიტიკა დამარცხდა და უარესად დამარცხდა ფაქტობრივად სომხების პოლიტიკაც. ჩვენი გზა სხვაა და მათთან საერთო არაა. ჩვენი ფერი გვაქვს“ [4,3].

კიგა აბაშიძის წერილებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერობის შემოღების პრობლემას. საერობო რეფორმა „განაპირა მხარეებში“, მათ შორის საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არ გაგარებულა. კავკასიის ხალხები ცარიზმს თვითმმართველობისათვის მზად არ მიაჩნდა. ამაში ერთხელ კიდევ ნათელი დადასტურება ჰქონდა ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის კოლონიურმა ხასიათმა. ასეთ დროს, როცა ამიერკავკასიის საზოგადოების პროგრესული ძალები თავდადებით იბრძოდნენ ერობებისათვის, რომელიც მათ ავგონომიისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად მიაჩნდათ, სომხეთის პოლიტიკური წრეების ერთმა ნაწილმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირა. ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ილაშქრებდნენ საქართველოში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში ერობის შემოღების წინააღმდეგ, რასაც მწვავე რეაქცია მოჰყვა, როგორც ქართველების, ასევე სხვა ერის წარმომადგენელთა მხრიდან.

1914 წელს გამოქვეყნდა სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი დეპარტამენტის კანცელარიის მოსამსახურის გ. ევანგულოვის წიგნაკი სახელწოდებით — „ადგილობრივი რეფორმა კავკასიაში“ [5]. ამ წიგნაკის კრიტიკას მიეძღვნა კიგა აბაშიძის წერილები — „სომხები და ერობის საქმე ჩვენში“ [6].

კიგა აბაშიძეს მიაჩნდა, რომ გ. ევანგულოვი საერთოდ არ იყო მომხრე საერობო რეფორმისა, მაგრამ, თუ მაინც გაგარდებოდა, მაშინ სომხთა ინტერესები აუცილებლად იქნებოდა დაცული. სომხებს კავკასიაში ჰეგემონობა რომ არ დაეკარგათ, ცარიზმმა დაიწყო ისეთი პროექტების შედგენა, რომლის მიხედვით, საერობო რეფორმის გაგარების შემთხვევაში, მათ უპირატესობა ექნებოდათ.

ავტორი ხმას იმაღლებდა ისეთი საერობო პროექტის წინააღმდეგ, რომელშიც ქართველი ერის ინტერესები არ იქნებოდა გათვალისწინებული. ასეთი პროექტები მას მიაჩნდა აპარტეიდულად, რადგან აღნიშნული პროექტის მიღებით მოხდებოდა მხოლოდ ერთი ხალხის — სომხების აღზვევა და გაბაგონება

კავკასიაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ის დებულება, რომლის ავტორები აშკარად პროსომხური ორიენტაციის იყვნენ. სომეხთა პოზიციას ერობასთან დაკავშირებით ასეთ შეფასებას აძლევდა: „სომხის პლუტოკრატია წინააღმდეგია საერო და წესებულების შემოღებისა ამიერ-კავკასიაში, ვინაიდან ეს მათ „ხელს არ აძლევს“ და მათ მეზობელთა ორგანიზაცია მათთვის საპრიანო არ არის“ [6,134] (ხაზგასმა ჩვენია — კ.ქ.).

კიკა აბაშიძემ ხუთი წერილი სათაურით — „სომხები და ჩვენ“ მიუძღვნა 1916 წელს პეგროგრაფში მაქსიმ გორკის რედაქციით გამოცემულ „სომხური ლიტერატურის კრებულს“.

წერილის დასაწყისში იგი უკმაყოფილებას გამოთქვამდა მაქსიმ გორკის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, სავსებით იზიარებდა სომხების იმ „პოლიტიკურ სიბრძნეს“, რაც ამ კრებულის ფურცლებზე იყო დაბეჭდილი. მით უმეტეს, როცა კ. აბაშიძის შეფასებით: „არასოდეს არსად პოლიტიკურ ცინიზმს ასე შიშვლად, ასე უგიფრად თავი არ გამოუაშკარავებია, როგორც ამ კრებულში“ [6,134].

კიკა აბაშიძე გაკვირვებას გამოხატავდა იმასთან დაკავშირებით, რომ სომხები, რომელთაც ჰქონდათ კულტურული ავტონომია, სომხური ეკლესიის ავტოკეფალიის სახით, არ ითხოვდნენ სრულ გერიგორიულ ავტონომიას. მისი აზრით, სომხების მიერ გერიგორიულ ავტონომიაზე უარის თქმა იყო „თვალთმაქცობისა“ და „აღვირაბსნილი“ პოლიტიკის გამოხატულება. ავტორს მიაჩნდა, რომ სომხები რუსეთის იმპერიაში სხვა ერებისაგან განსხვავებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. ამიგომ, ისინი საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხებს და მათთვის ყურადღება უნდა მიექციათ, რადგან: „მათი მოქმედება არის დარღვევა ყოველივე მეზობლური კავშირისა და ერთაშორის ურთიერთობისა. მათი პოლიტიკა არის პირდაპირ დამღუპველი სხვა ერთათვის. იგინი აწარმოებენ უკიდურესად ეგოისტურ და შოვინისტურ პოლიტიკას. ყოველივეს თავის სასარგებლოდ იკეთებენ და იმავე დროს გვაბეზღებენ რუსეთის მთავრობასა და საზოგადოებასთან თუ ვინმემ ჩვენგანმა გაბედა და თავისი კანონიერი ინტერესი დაიცვა“ [6,137] (ხაზგასმა ჩვენია —

კ.ქ.).

სომხეთის შოვინისტურ წრეებთან კამათმა კიგა აბაშიძის ბუნებრივად მიიყვანა იმის აუცილებლობამდე, რომ გამოეხატა ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ამიერკავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებისადმი, გაერკვია, თუ რა პოზიცია ეჭირათ მათ იმ საკითხებში, რაც უთანხმოებისა და დავის საგნად ქცეულიყო. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, თათრებთან ურთიერთობას მიეძღვნა კ. აბაშიძის ორი წერილი — „ჩვენ და თათრები“, რომლებიც გაზეთ „ჩვენ მეგობარში“ დაიბეჭდა (1916, № 8; № 11).

კიგა აბაშიძე თვლიდა, რომ კავკასიის ერთა შორის ძალათა განწყობილებამ ქართველებისა და თათრების დაახლოების საკითხი დააყენა, რისი მიზეზიც შექმნილი პოლიტიკური ვითარება იყო. მისი აზრით, სომეხთა ერთი ნაწილის მამლაცინწობამ, ცრუ იმპერიალიზმით გაგაცეხამ, მათმა მიზანმა, მოეპოვებინათ კავკასიაში ჰეგემონობა, თავისთავად შეაშფოთა ამიერკავკასიაში მცხოვრები სხვა ერები და, პირველ რიგში, ისინი, ვისაც ყველაზე მეტ „უაქტიურ მარალს“ აყენებდა სომეხთა პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში თავისთავად დაღვა საკითხი, კავკასიაში დანარჩენ ორ ძირითად ხალხს შორის დამყარებულიყო მტკიცე კავშირი, რისი საფუძველიც უნდა ყოფილიყო სომეხთა შოვინისტური ნაწილის ალაგმვა, მათი ჰეგემონური მისწრაფების წინააღმდეგ ბრძოლა.

თურქებთან ურთიერთობის გარკვევამ კ. აბაშიძე ბუნებრივად მიიყვანა მშობლიურ აჭარასთან. ცნობილია, რომ პირველი იმპერიალისტური ომის დროს აჭარა სერიოზული განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. 1914 წლის შემოდგომაზე გერმანიის მხარეზე ომში ჩაება თურქეთი, რომელსაც ფართო დაპყრობითი გეგმები ჰქონდა. აჭარა საომარი ოპერაციების ასპარეზად გადაიქცა. აჭარის მუსლიმანი მოსახლეობა აქტიურად ჩაება თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად ამისა, ცარიზმმა აჭარლებს ღალატში დასდო ბრალი. ნამდვილად კი, აჭარლებს მსგავსი არაფერი ჩაუდენიათ. შეიქმნა უაღრესად გრაგიკული მდგომარეობა. როგორც ობიექტურმა და სუბიექტურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, მათ არ გამოუჩენიათ არავითარი სარწმუნოებრივი მგრობა

ან რაიმე მასობრივი უკმაყოფილება მეფის რუსეთის წინააღმდეგ. არაერთმა ოფიციალურმა კომისიამ და განსაკუთრებით აჭარლების სასამართლო პროცესმა დაადასტურა, რომ ხალხი, შეძლებისდაგვარად, ყოველმხრივ ეხმარებოდა რუსეთის ჯარს.

მიუხედავად ამისა, რუსული შოვინისტური პრესა უღირს და ღვარძლიან აგიგაციას ეწეოდა აჭარის მოსახლეობის მიმართ. განუწყვეტლივ და სისტემატიურად აღვივებდა ეროვნულ და რელიგიურ შულს. მოგჯერ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ აჭარლების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია სახელმწიფოებრივი უგუნურობა და პოლიტიკური პროვოკაცია იყო.

მეფის რუსეთის მიერ წამოყენებულ ბრალდებას შედეგად მოჰყვა ის, რომ მრავალი აჭარელი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. ჩაგარდა „აჭარელთა საქმის“ სახელწოდებით ცნობილი რამდენიმე სასამართლო პროცესი [7,153-154]. ქართველ მაჰმადიანებს სერიოზული საფრთხე დაემუქრათ. მათ დასაცავად მთელი ქრისტიანული საქართველო აღსდგა [8,153].

კიკა აბაშიძე დაინგერესდა, თუ როგორი პოზიცია ჰქონდათ ე.წ. „აჭარელთა საქმესთან“ დაკავშირებით, როგორც სომხებს, ასევე თათრებს. მისი აზრით, სომხების პოზიცია ნათლად და მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული რუსი ავგორის ბ. სიბირსკის წერილში „აჭარელთა დიდი პროცესის შთაბეჭდილებანი“. მან თავისი სტატია გაზეთ „კავკასკოე სლოვოს“ 1915 წლის №229-ში მოათავსა. წერილის ძირითადი ადგილები თავის ფურცლებზე გადაბეჭდა გაზეთმა „მეგობარმა“ (1915, №20).

ბ. სიბირსკი თავის წერილში ხელისუფლებას ე.წ. „აჭარლების ღალატში“ ნაწილობრივ მაინც ეთანხმებოდა. შეცდომაში შეყვანილ რუს პუბლიცისტს კიკა აბაშიძე გონებამახვილურად განუმარტავდა, რომ „აჭარელთა ღალატის“ დამტკიცებით სომეხ შოვინისტებს აჭარიდან მკვიდრი ქართველების გასახლება, იქ სომხების ჩასახლება და ამრიგად, „ზღვაზე გასვლა“ სურდათ.

კიკა აბაშიძის შეფასებით, სომეხთა პოზიცია „აჭარლების საქმესთან“ დაკავშირებით სამწუხარო და აღმაშფოთებელი დადი იყო ქართულ-სომხური ურთიერთობებისა.

„აჭარლების საქმესთან“ დაკავშირებით კავკასიის რუსული აღ-

მინისტრაციის დამოკიდებულებაზე კ. აბაშიძე 1915 წლის 23 მარტს
გ. ზღანოვიჩს წერდა: „...აქ ტფილისში ამბობენ, რომ პეტერსონი [9,34]
სტოგებს სამსახურს. თითქოს დიდ მთავარს გიორგი მიხეილის ძეს მოეხსენ-
ებოთ იმპერატორისათვის აქაური ვაგზაზღის ამბავი აჭარლების შე-
სახებ. მოქმედება აქაური ადმინისტრაციისა გაეკაცნოს. თითქოს ეკზარნოსაც
მიეწეროს წერილი მისთვის, რომ აჭარლების აწიოკება ჩირქსა სცნებს
რუსის მხედრობის წმალსო. ამ ბებურ მეღას (ვორონცოვ-დაშკოვს — კქ)
კი ყველაფერი ვითომ მიშლავესკისა [9,34] და პეტერსონისათვის გადაებრა-
ლებინოს და ორივე სამსახურიდან დაეთხოვოს“ [10].

რაც შეეხებოდა თურქებთან დამოკიდებულების საკითხს, კ.
აბაშიძე, როგორც უკვე ითქვა, მას განიხილავდა აჭარის მო-
სახლეობის მაგალითზე. იგი აღნიშნავდა, რომ ამ საკითხთან
დაკავშირებით კამათი ჰქონდათ ცნობილ ქართველ პუბლიცისტს,
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო
წევრს - სამსონ ფირცხალავას (რომელმაც თავისი წერილები
„სიგყვის“ ფსევდონიმით დაბეჭდა) და ბაქოში გამოშავალ თათ-
რული გაზეთის - „აჩიკოზის“ ხელმძღვანელს, რასულ-ზადეს.

კიგა აბაშიძე აქტიურად ჩაება ს. ფირცხალავასა და რასულ-
ზადეს პოლემიკაში და თავისი ქვეყნის ინტერესები მტკიცედ
დაიცვა. მისი ამრით, სამი საუკუნის განმავლობაში აჭარელთა
კულტურა მხოლოდ დაცემა-დაქვეითების გზას ადგა და თუკი ამ
ხნის მანძილზე რაიმე ღირებული შეიქმნა, ისიც უდავოდ ქართუ-
ლი „დედა-კულტურის“ დამსახურება იყო. მაშასადამე, — წერდა
იგი, — „კულტურული პრეგენზიები ჩვენი მეზობლებისა ყოველ
საფუძველს მოკლებული უნდა იყოს.“ [6,11] ამასთანავე, კ. აბაში-
ძე იმასაც აღნიშნავდა, რომ, თუკი აჭარაში მაჰმადიანური სარ-
წმუნოება იყო, იგი იქ ცეცხლითა და მახვილით ვრცელდებოდაო.
ე.ი. აჭარლებს აიძულებდნენ სიცოცხლის შენარჩუნების უასად
მართლმადიდებლური სარწმუნოება დაეგოვებინათ.

კიგა აბაშიძე იმედს გამოთქვამდა, რომ, მიუხედავად მცირე
გაუგებრობისა, ქართველებისა და თურქების დაახლოებას ხელს
ვერავინ შეუშლიდა. იგი მოუწოდებდა ჩვენს მეზობლებს, გუ-
ლახლილად ეღიარებინათ, რომ: „აჭარლები ისტორიული უბედუ-
რების მსხვერპლი არიან, რომ მათი ნაციონალური კულტურა აღდგენილ
უნდა იქნეს, ვინაიდან ეს მხნე, მშვენიერი, ლალი და გამრჯელი ხალხი
გადაგვარების გზაზე იდგა იმავე ისტორიული ბედის წყალობით. აჭა-
რულმა თავისი ეროვნული სახე უნდა მოიპოვოს. თურქებმა ამაში ხელი
უნდა გაგვიმართონ, თუგინდ მარტო მისთვის, რომ დაგვიმტკიცონ, რომ
აჭარელთა გადაგვარებისა და კულტურულად დაცემის პროცესს, იგინი

არა თუ არ ამართლებენ, სამარცხვინო და დასაგმობ საქმეთ მიაჩნიათ იგი.
თუ საკითხი ასე დასმული იქნება, თურქებისა და ქართველების შორის ხელს ვეღარა შეუშლის და ეს ფაქტი მათის დაახლოებისა იქნება საბედნიერო მოვლენა კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის დამკვიდრებისათვის, ურომლისოთ ვიმეორებთ, კავკასიის ერთა იდეალების აღსრულება შეუძლებელია. გარეშე ამ სოლიდარობისა კავკასიის ერთა ცხოვრება იქნება ნიადაგ საფრთხეში და უექველად ადრე თუ გვიან ამ ერთა ცხოვრებას უფსკრულში გადაჩეხავს. რაც უფრო ადრე შევიგნებთ ამას, მით უკეთესია ყველასათვის“ [9,11] (ხაზგასმა ჩვენია — კ.ქ.).

ქართულ-სომხურ ურთიერთობათა გამწვავებამ ასახვა პპოვა საქართველოს პრესის ფურცლებზე. გამოქვეყნდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი არაერთი წერილი, სგაგია თუ კორესპონდენცია, რომელთა ავგორები იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და მრწამსის მქონე პიროვნებები.

ჩვენს მიერ განხილული კიგა აბაშიძის წერილები ეროვნულ-დემოკრატიული პოზიციებიდან შეაფასა ვასილ წერეთელმა. მან „ისარის“ ფსევდონიმით გაზეთ „სამშობლოში“ (1917, № 552) დაბეჭდა წერილი - „იმ-ამ“ და სომხები“. სგაგის ავგორმა თავისი შენიშვნები ხუთ პუნქტად ჩამოაყალიბა და განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური მრწამსისათვის მოგიერთი რამ კ. აბაშიძის წერილებიდან მიუღებელი იყო.

კიგა აბაშიძემ სომხებთან პოლემიკის დროს ჩამოაყალიბა ერთადერთი სწორი შეხედულება, რომელიც წითელ მოლად გასდევს ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობებისადმი მისი წერილების სერიას. მისი აზრით: „არც ერთ ერს არ შეუძლია დაიჩემოს კავკასიაში ჰეგემონია. ყველა ერი თავის ტყავში უნდა დაეციოს და რომ კავკასიის ერთა საეროვნო იდეალის განხორციელება, ერთიანათ დამოკიდებულია კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის განვითარებასა და განმტკიცებაზე“ [6,21] (ხაზგასმა ჩვენია — კ.ქ.).

კიგა აბაშიძის მიერ XX საუკუნის 10-იან წლებში გამოთქმული ეს მოსაზრება დღესაც, XXI საუკუნის დასაწყისშიც, სავსებით ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობასა და სიცოცხლისუნარიანობას. ამიერკავკასიის ხალხების - ქართველების, სომხების და ამერბაიჯანელების გონივრულ ურთიერთობაზე ბევრად არის დამოკიდებული, როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო, სომხეთი და ამერბაიჯანი, საერთოდ მთელი კავკასია, მახლობელი აღმოსავლეთი.

1. გაზ. „მეგობარი“, 1915, № 7, ოქტ.
2. ბ. კუპაგაძე, საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბირო, თბ., 1997.
3. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, (შემდეგში ქიმ), გ. ზდანოვიჩის არქივი № 6416, საბ. 2004.
4. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 588, 2 ივნისი, გვ.3.
5. Г. Евангуловъ, Местная реформа на Кавказе, СПб., 1914, გამოცემა ა. სუკორინისა.
6. გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916, № 164, № 165, № 166, № 167, № 168.
7. დ. გურუშიძე, ქველმოქმედება საქართველოში, ქუთ., 1993.
8. „აჭარელთა პროცესის“ შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული რ. გაბაშვილის მოგონებებში: იხ. რ. გაბაშვილი, მოგონებები, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, გ. შარაძის საერთო რედაქციით, გ. III, თბ., 1992.
9. ნიკოლოზ ლეონიძის ძე პეკერსონი — მეფისნაცვლის თანამემამულე სამოქალაქო საკითხებში.
Кавказский календарь, на 1915 г., тиф. 1914, отд. IV, стр. 34.
10. ქიმ, გ. ზდანოვიჩის არქივი № 6416, საბ. № 1982.

KAKHABER KEBULADZE

KITA ABASHIDZE ABOUT THE QUESTION OF RELATIONSHIP OF TRANSCAUCASIANS

RESUME

An outstanding Georgian publicist and public figure Kita Abashidze (1870-1917) published the series of articles devoted to the relationship of Transcaucasian people with the pseudonym "im-am" in the newspaper of Socialist-Federalists party- kutaisi branch "The Megobari" (Friend) - (Later known as the "Our Friend") in the period of 1915-1916. First he published ten articles with the headline "Georgians and Armenians", then two articles - "Georgians and Tatars". From our point of view publication of these two articles were influenced by two reasons: the first - in 1914 there was published the book with the title - "Economic and Social basis of the opposition existing between Georgians and Armenians", by the Armenian author B. Ishkanian in Tbilisi. In the book there is given rather one-side approach to dealing with this problem; the second reason is that Caucasian viceroy Vorontsov-Dashkov (1905-1915), who had pro-Armenian orientation was dismissed from his post.

საქართველოს ისტორიის კათედრა



ლელა ქველიძე

ქალთა განთავისუფლების საკითხი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში

არაბულ ქვეყნებში რომლებიც დაადგინენ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზას, ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგრძნობლად შეიცვალა. ქალი გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საერთო დემოკრატიულმა აღმავლობამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, ურბანიზაციამ და ბევრმა სხვა ფაქტორმა განაპირობა ქალთა საკითხის აქტუალობა არაბულ სამყაროში.

ეს პროცესი ევროპასა და აშშ-ში XVIII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო, ხოლო XIX საუკუნეში ქალთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. არაბული ქვეყნები კი XIX საუკუნის დასასრულიდან შეუერთდნენ ამ მოძრაობას. XX საუკუნის დასაწყისიდან ამ პროცესში მუსლიმური საზოგადოების „მშვენიერი ნაწილი“ ერთვება და აქტიურად იწყებს ბრძოლას საკუთარი უფლებების დასაცავად.

არაბულ სამყაროში ქალთა საკითხის მოგვარებას, მათი უფლებების დაცვას გარკვეული სიძნელეები ახლდა და ეს იყო განპირობებული არა მარტო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობით, არამედ აგრეთვე ისლამური ინსტიტუტების ძლიერი გავლენით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ არაბთა პირად ცხოვრებაზე. ქალის არათანასწორუფლებიანობა მამაკაცთან შედარებით სწორედ ყურანით და შარიათით იყო განმტკიცებული. მიუხედავდ იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა გარკვეული ცვლილებები, მაინც ისლამის დოგმები გარკვეულწილად ხელს უშლიდა ქალთა საკითხის რადიკალურ ცვლილებებს [3, 50].

არაბულ ქვეყნებში მოწინავე დემოკრატიული საზოგადოების

სულს კვეთების გამოხატველად ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია მივიჩნიოთ ცნობილი ეგვიპტელი მწერლის კასიმ ამინის სიტყვები: „არ შეიძლება ერი იყოს თავისუფალი, თუ მასში ქალი დაჩაგრულია“.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მუსლიმურ სამყაროში საკითხი ასე დადგა: როგორ შევეუთავსოთ ისლამი თანამედროვეობის მოთხოვნებს და ორი საუკუნის გასაყარზე სირიისა და ეგვიპტის საზოგადოებრივ წრეებში გაჩაღდა დისკუსია საკითხზე: მუსლიმი ქალის ემანსიპაციის, მისი განათლებისა და როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში [3, 5].

ისლამის რეფორმატორები მუჰამად აბდო, რაშიდ რიდა, რიჟა ა-გაჰჰავი გამოდიოდნენ ისლამის ზოგიერთი დოგმის მოდერნიზაციის იდეით, რათა მიესადაგებინათ იგი თანამედროვეობის მოთხოვნილებასათვის და ასე გადაეჭრათ ქალთა საკითხი მუსლიმურ საზოგადოებაში. ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა, რომელსაც ისინი აყენებდნენ, იყო ქალისათვის განათლების მიღება, აგრეთვე ჰიჯაბისა და ქორწინების საკითხი [7, 170].

ისლამის დიდი რეფორმატორი მუჰამად აბდო გამოდიოდა მრავალცოლიანობის წინააღმდეგ და დიდ ყურადღებას უთმობდა ოჯახურ ურთიერთობას, ქორწინებაში ქალის თანაბარუფლებიანობის საკითხს [7, 171].

მუჰამად აბდოს იდეები განავითარა ცნობილმა ეგვიპტელმა მწერალმა კასიმ ამინმა. იგი კარგად იცნობდა რა განმანათლების იდეებს, ასევე ისლამურ მოდერნიზმს, ყოველმხრივ შეისწავლა ქალთა საკითხი არაბულ სამყაროში და მათი უფლებების დაცვა აქცია თავისი ცხოვრების მიზნად. 1899 წელს გამოსცა წიგნი არაბულ ენაზე „ქალთა განთავისუფლება“, 1901 წელს კი „ახალი ქალი“. მისი ნაშრომების თეორიულ საფუძველად გვევლინება ახალი განმანათლებლობის ძირითადი იდეა-პიროვნული თავისუფლების საკითხი საზოგადოებაში; მისი ამრით თავისუფლება ღვთით ბოძებული რამაა და ამავე დროს სწორედ ის წარმოადგენს პროგრესის, განვითარების საფუძველს. იგი თვლის, რომ თუ ქალი არ იქნება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, იგი ვერც ოჯახს გაუძღვება და ვერ აღმრდის ჯანსაღ მომავალ

თაობას. ქალის როლის სწორად გაგება მნიშვნელოვან დადებით ცვლილებებს გამოიწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში [7, 179].

ხალელ მუგრანი - ერთი იმ პოეტთაგანია, რომელმაც მიაქცია რა ყურადღება ქალთა ემანსიპაციის საკითხს არაბულ სამყაროში, მიესალმა კასიმ ამინის წიგნების გამოსვლას და ქალთა თავისუფლების საკითხის განხილვისას უმთავრესად სწორედ ის მიიჩნია, რომ აღამიანს დაბადებიდანვე ებოძა თავისუფლება და თანასწორობა და ქალზეც ისევე ვრცელდება ეს უფლებები, როგორც მამაკაცზე. გარდა ამისა ქალთა საზოგადოებრივ მდგომარეობაზე დიდადაა დამოკიდებული ერის მომავალი, რამეთუ ქალი-დედა პიროვნების აღზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

საჭიროა აღნიშნოს, რომ ლიბანელი ემიგრანტი ჯებრანი საზოგადოებაში ქალს კიდევ უფრო დიდ როლს ანიჭებდა და წერდა „დაჩაგრული ქალი ჩაგრული ერის სიმბოლოა“ და თუ განმანათლებლები (სელიმ აღ-ბუსთანი, ვალი აღ-დინ იეჟუნი, ფარაბ ანგუანი და სხვა, ძირითადად ქალთა განათლებით შემოიფარგლნენ, რომანტიკოსები აღიარებდნენ რა განათლების მნიშვნელობას, ძირითადად მაინც სიყვარულის, ქორწინებაში თანასწორობის აღიარებას თვლიდნენ. ქალს თავისუფალი არჩევანის უფლება უნდა ქონდეს. „სიყვარული ერთადერთი თავისუფლებაა ამ ქვეყნად“ - ამბობს ჯებრანი.

საინგერესოა, რომ XX საუკუნის თითქმის II ნახევრამდე ქალთა უფლებებისათვის მებრძოლები ფაქტიურად მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. გასული საუკუნის პირველი მეოთხედიდან კი ამ საქმეში თანდათან თვით არაბი ქალები ებმებიან.

ცნობილი ეგვიპტელი მწერალი ქალი მალექ ჰიფნი ნასიფა, რომელიც ქალთა მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა, ავითარებდა კასიმ ამინის იდეებს, იგი თავად იყო მასწავლებელი და თვლიდა, რომ განათლება ქალთა პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენდა [4, 244].

მეი, იგივე მარიამ ბიადე, ცნობილი მწერალი და როგორც შგროგმანი აღნიშნავდა „თანამდეროვე აღმოსავლეთის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი ქალი“, ჰიფნი ნასიფას მიმდევრად და მის ყველაზე გამოჩენილ მოწაფედ ითვლებოდა. იგი თვლიდა,

რომ ქალი, სიყვარული და თავისუფლება განუყრელი ცნებებია [4, 244].

რაც შეეხება მომდევნო თაობის მწერალ ქალებს, ყველაზე აქტუალურად ეს თემა ქუვეითელმა პოეტმა სუად ალ-საბაჰმა მიიჩნია და შეიძლება ითქვას იგი თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად აქცია „რაბი ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმოჩენა. მისი ლექსების რამდენიმე კრებული „ქალი ნაპირების გარეშე“, „ქალის ნამცეცები“, „ნაგვრა“, „შენთვის ჩემო შვილო“, ამის დასტურია.

ქალი და თავისუფლება, ქალი ისლამურ სამყაროში აქტუალური თემა XX საუკუნის დასაწყისიდან ძალაში რჩება XX საუკუნის ბოლოსაც. ქალი, რომელიც შეძლებს ახალ სამყაროში სიყვარულის თავისუფლების რეალიზაციას, პოეტს XXI საუკუნის ქალად წარმოუდგენია; დავიდალე სიყვარულზე გრადიციული ლაპარაკისაგან... ამბობს მისი ლექსების გმირი ქალი და ასკვნის

„ისე დავლლილვარ ჩემი დროით,

ჩემი ეპოქით,

რომელიც ქალს მარმარილოს ქანდაკებად

უფრო იგუებს“ [2, 34]

კიდევ უფრო მტკივნეულად ეს პრობლემა დასმულია მის ლექსში „მესამე სამყაროს ახალი განმარგება:

„იმის გამო, რომ სიყვარული

ჩვენში მესამე ხარისხის გრძნობაა

იმის გამო რომ ქალი ჩვენში

მესამე ხარისხის მოქალაქეა...

ჩვენ მესამე სამყაროს ხალხად ვიწოდებით“ [2, 105]

და მოახერხებს მუსლიმი ქალი სიყვარულში თავისუფალი ნების გამოხატვას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეც იქნება XXI საუკუნეში. სუად ალ საბაჰის ერთ-ერთი ლექსის სათაური სწორედ ასეთია „XXI საუკუნის ქალი“.

„მე შემეძლო ჩამეყლაპა სიმწრის ცრემლები,

და შეგვგებულიყავ ძალადობას, როგორც გყვე ქალი...

მე ვულაღაგე ჩვეულებრივ მღერის კანონებს

და ავირჩიე საპირისპირო სიგყვები [2, 44].

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სუად ალ-საბაჰის ლექსები მტკივნე-

ული საპროტესტო რეაქციაა იმ სინამდვილეზე, რომელშიც ჯერ კიდევ ცხოვრობს არაბი ქალი და...როგორც ხაზგასმულია ავტორის მიერ, XX საუკუნის არაბი ქალი.

ლიტერატურა

1. მ. ქუთელია, ქალთა ემანსიპაციის პრობლემები არაბ განმანათლებლებთან და რომანტიკოსებთან, სემიოლოგიური ძიებანი IV, თ/ბ. 1988
2. სუად ალ-საბაჰი, „პირველად იყო ქალი“, ალექსო - 1996წ.
3. Долинина А.А. Очерки истории арабской литературы нового времени "Египет и Сирия", М., 1968.
4. Крачковский И.Ю., Собранные сочинения, Т. III, М., 1956.
5. Шайдулина Л.И., Арабская женщина и современность, М. 1976.
6. Boullata, Kamal. Women of the Fertile Grescent: Modern Poetry by Arab Women. Washington, 1978.
7. Nawal El Saadawi, The Hidden Face of Eve – Women in the Arab World, London and New York –1980.

LEILA KVELIDZE THE ISSUE OF WOMEN'S LIBERATION IN CONTEMPORARY ARABIC LITERATURE SUMMARY

The essay deals with the problem of the emancipation of women the significance of which in contemporary Arabic world can hardly be overestimated. This problem was introduced into Arabic culture by the representatives of Arabic enlightenment. The resolve of gender question has certain difficulties. It is caused not only by social-economical shortcomings but also from the influence of the Islamic Institutions on the private life of Arabs.

In the beginning of twentieth century on forced discussion about emancipation, his enlightenment and role in the social life. In this respect Kassim Ameen's activities should be considered most important. Romanticists and the many writers of the following generations also tried to solve the problem.

Till the second half of the XX century men were fighters for women's rights, later on women themselves took active part in the activity Malak Hefni Nassef, May Ziade, Nazik al-Malaika and particularly contemporary Kuwaiti poetess Suad al-Sabah.

არაბული ენის კათედრა

ღაკით შავიანიკე

იმერეთის გვარსახელები

(ღიმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

გვარი, სისხლისმიერი ნათესაური გაერთიანების აღმნიშვნელი ეს სახელი ერთ-ერთი ეჭვმუგანელი და გევადი წყაროა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო გამოირჩევა კუთხურ-ეთნოგრაფიული და დიალექტური მრავალფეროვნებით, ჭმევისწავლით იმერეთის რეგიონს. ამჯერად წარმოვადგინო „ბაღდათის ქვეყნის“ ერთი სოფლის, ღიმის მკვიდრი გვარსახელების კომპლექსურ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ენობრივი კვლევის შედეგებს.

ეთნოგრაფიული მონაცემები ღიმის მკვიდრ ჩხეიძეთა დიდამზარულ გვარს სხვადასხვა „ნამგობად“ წარმოგვიდგინს. ერთი გადმოცემა ჩხეიძეთა ადრინდელ საცხოვრისად მესტაფონის სოფელ ფუთს ასახელებს. სხვა მასალები კი საქარას, საიდანაც მოსულები სოფელში ჩამოსახლებამდე დასახლებულან „წაბლარაბე“.

ჩხეგია / ჩხეგიძე ნიკო ბერძენიშვილს ქართულ ფეოდალურ „საქართველოში“ გომობრიობით შემოსულ იმ ერთეულად მიაჩნია, რომელმაც სხვებთან ერთად მოშალა გომი ახალი ფეოდალური ერთეულით – საერისთაოთი.

საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება ამანელისძეთა ჩხეიძეების გვარის ერთ-ერთ შგოდ გამოცხადების შესახებ. კ. კეკელიძის და ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით გერიგორიის გარეშე მოხსენიებული ამანელისძის საერისთაო არის არგვეთი [6; 30; 5; 79; 79; 34].

ვახუშტის მიხედვით „მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი“ ჩხეიძეები არიან ძირად იმერლები, სოფელ ჩიხადან. ბაგონიშვილის ვარაუდით შორაპნის ერისთავებად (ლეონტი მრო-

ველის მარგვი, ანუ არგვეთი, ჯუაშერის მარგვი და თაკვერი და „მაგიანე ქართლისას“ ჩიხა ვახუშტისთან შორაპნის საერისთავოში [4;154,162,163] ჩხეიძეები ისხდნენ მანამ, ვიდრე გიორგი ბრწყინვალე ერისთავად მიქელ მეფის ძე ბაგრაგს დასვა მდა. ჩხეიძეების შორაპნის ერისთავებად მოაზრებას ხელს უწყობს გ. ცქიგიშვილის დაკვირვებაც. მკვლევარი აღნიშნავს, რომ შორაპნის ერისთავთა გვარი არგვეთიდან, კერძოდ ლომსიათხევის სოფ. ბორიდან არიან.

ეთნოგრაფიულ მასალებში დაცული ცნობა დიმიტრი ჩხეიძეთა მოსვლის „ძალიან აღრეობაზე“ დასტურდება საისტორიო მონაცემებით. აღნიშნული გვარის სათავადოს ჩამოყალიბება მოხდა იმერეთის ერისთავების დიმიტრის და ბაგრაგის მეუობისათვის ბრძოლის დროს XV საუკუნეში. ამ დროს კი ჩხეიძეები ფლობენ ზედა დიშს და მხოლოდ ამის შემდეგ გაისაკუთრეს ბაღდათის, და არა მხოლოდ მისი, სოფლები.

დიშის მკვიდრი გეგეშიძეების შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალები ავსებენ საისტორიო მეცნიერებაში დამოწმებულ ჩხეიძეთა ყმების რიგს.

გეგეშიძეთა გვარის მიგრაციის რამოდენიმე გადმოცემა დავადასტურეთ. გეგეშიძეთა სამეგრელოდან გამოქცეული წინაპარი პირველად ბოსლევში დასახლებულა. მარგვილიდან წამოსულა ივანე გეგელია. სხვა მასალებით, სამეგრელოს სოფელ ინჩხურში დასახლებულა გურიიდან გამოქცეული „ბაგონისაგან შეურაცხყოფილი“ გეგიძე და მიუღია გვარი გეგია. იმერეთის მეფის დადიანზე გამარჯვების შემდეგ, სოლომონს ორმოც წარჩინებულს შორის წამოუყვანია აზნაური ივანე გეგიაც ძმასთან – გიორგისთან ერთად. ამის შემდეგ გვბრუთში დასახლებული დაწერილა გეგეშიძედ.

გეგეშიძეთა გვარზე საისტორიო მონაცემებში არსებული ყველაზე აღრინდელი ცნობა დათარიღებულია 1544 წლით და იგი გეგეშიძეთა რაჭის მკვიდრობას ადასტურებს (8; 613).

დიშის გეგეშიძეთა გვარში დაცული გადმოცემა და საისტორიო მონაცემები ერთმანეთს კვეთენ. ივანე და გიორგი გეგიების გადმოსახლების დრო ემთხვევა იმ დროს, როცა ჩხეიძეები ციხე-ქალაქს ფლობდნენ შორაპანში.

შეიძლება დაუშვათ სხვა ვარაუდიც: თუ მივიღებთ იმას, რომ რაჭა ვიდრე ცალკე საერისთაოდ ჩამოყალიბებამდე (Xს) შთაბრუნების საერისთაოში შედიოდა. XVს. II ნახევარში კი ჩხვიძეთა გვარის წარმომადგენელი – ივანე რაჭის ერისთავად წინაურდება, მაშინ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დიმიელ გეგეშიძეთა ნაწილი რაჭიდან ჩხვიძეებთან მისული ყმები არიან.

ეთნოგრაფიული მასალები ბალდათელ ებანოიძეებს XVIII-XIX სს. მიჯნაზე პირობების გასაუმჯობესებლად ძირულადან გადმოსახლებულ გვარად იხსენიებს. მანამ ისინი აბაშიძეთა ძირულელი და წვევლი ყმები იყვნენ. ებანოიძეთა „სულ ძველი“ გამოქცეულა აჭარიდან თურქეთის მიერ აჭარის დაპყრობის პერიოდში. „თურქულ პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ გეწოლას გამოქცეული ებანოიძეების წინაპარს და დღეს ძირულას მკვიდრი ნიორაძეების წინაპარ სურმანიძეს უვლიათ აჭარა-გურია-იმერეთის ვაკით და იქ შეჩერებულან, რომელი ადგილიც თავიანთი ყოფილი საცხოვრისისათვის მიუმგვანებიან. ასეთად სწორედ ძირულა მიუჩნევიან“.

ბალდათელი ებანოიძეები ყოველი წლის ოცდარვა ივლისს – „კვირიკობას“ დადიან წევის ეკლესიაში მოსალოცად და შესაწირად.

სოფელ ძირულას გოპონიმი „აჭარა“ ებანოიძეების და ნიორაძეების, აჭარული ელემენტის მიერ ძირულაში ძველი ფუძე-საცხოვრისის სახსოვრად შექმნილად უნდა მივიჩნიოთ.

სამეცნიერო ლიგურაგურაში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც ფულარიანები ჩხვიძეების ყმა-გლეხები არიან [7, 38], ვფიქრობთ, გვარის ბალდათში დასახლების დროინდელია.

ეთნოგრაფიული მასალებით ფულარიანი სამჯერ მიგრიებული გვარია. სოციალური უთანხმოების გამო სვანეთიდან გამოქცეული მიხეილი და მისი ძმა დასახლებულან დიმიში დაახლოებით სამი საუკუნის წინათ. ფულარიანებს დღესაც აქვთ ურთიერთობა თავიანთ სვან „ფუძე-ნათესაობასთან“. ფულარიანები გვარის აზნაურობის და სიძლიერის დასტურად წერილობით დასტურთან ერთად გვარის წინაპრის მიერ ნაყიდ და „ფულარიანების მთად“ წოდებულ მთას ვაჩვენებენ.

ფულარიანები, ვარდა იმისა, რომ სოფელთან ერთად შეიმობენ მთავარანგელოზობის დღესასწაულს, ყოველი წლის მა-

რიამობას ილოცებიან და სწირავენ თავიანთ სალოცავზე – „ღღეს-
ღღეობით ოთარ მაჭავარიანის სახლთან მდგარ ბოძზე მიმაგრებულ
ხაგს“.

ფულარიანების გვარში დაცული გადმოცემა მკაცრი ქართუ-
ლი მონოგენური გრადიციის დასტურიცაა. „ლუკა ფულარიანმა
იშვილა და გაზარდა ობოლი იაკინთე ნემსაძე. ამდენად, ამ ორ
გვარს შორის საქორწინო ურთიერთობა ღღესაც იკრძალება“.

ხონიდან გამოქცეული და პირველად ბაღდათის სოფელ გე-
განში დასახლებული წივწივაძეები გარდა დიშისა ფერსათშიც
მკვიდრობენ.

კანჯარაძეების გვარს საფუძვლად ეპონიმი „კანჯარა“ უნდა
ედოს. სადმეიდან მოსულობაზე გვარში გადმოცემა ვერ
დავაპოწმეთ. იციან მხოლოდ, რომ კანჯარაძეები და წიქორი-
ძეები დადიონდენ სალოცავად ბაღდათის მთაში „თავიანთ სა-
ლოცავზე“.

ჩხეიძეთა დიშელი ყმების ხიზანეიშვილების (დაახლოებით
45 კომლი) გვარსახელი ეპონიმურია. მას საფუძვლად უდევს
სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა სახელი – ხიზანა
(3, 5) კახეთიდან გამოქცეული დიშელი ხიზანეიშვილების წინა-
პარი გელხვიძე ყოფილა (იგივეს ადასტურებენ ბაღდათის სოფელ
ხანის მკვიდრი გელხვიძეები).

შენიშნავთ, რომ გვარსახელის ფონეტიკური ვარიანტები ხიზა-
ნაშიელი / ხიზანიშვილი ძირითადად XVIII. II ნახევრიდან დას-
ტურდებიან ქართლში.

საისტორიო საბუთებში კოხოძეები პირველად 1558 წელს
იხსენიებიან. გიორგის, იორდანას და ნასყიდას ემართა ქუთაისის
საყდრის ბეგარა [8; 538]. 1610-1630 წლებით დათარიღებულ საბუთ-
ში მოხსენიებულია კოხოძე ხუცესი. 1843 წლის აღწერის მიხედ-
ვით კოხოძეები თეთრი წყაროს რაიონის სოფელ თონეთს მკვიდ-
რობენ. ბაღდათელი კოხოძეები ადრინდელ საცხოვრისად აღ.
საქართველოს, „ვარაუდად“ კახეთს ასახელებენ.

ბაღდათელი კოხოძეები ყოველი წლის აგვისგოს დასაწყისში
სალოცავად დადიან „ხვალასკურზე“ მდებარე კოხოძეების და
გორგოძეების სალოცავზე.

ქართული სამართლის ძეგლებში დაცულ XVI საუკუნის დამ-

ლევით დათარიღებულ „შეწირულების წიგნში“ დასახლებულნი არიან კიკანაი სვანიძე და მისი შვილები, აგრეთვე ციკუნა სვანიძე. დიმილი სვანიძეების წინაპარი ორი ძმა გამოქცეულა ბაჯიდან. დასახლებულან პირველად შროშაში. შემდეგ, „მოყვრობით ნათესაობის საფუძველზე გადმოსახლებულან დიმიში“. სვანიძეები დადიან სალოცავად ბაჯში და ურთიერთობენ საკუთარ წინაპართან.

ჩხეიძეთა დიმილი ყმების – „გოცირიძეების წინაპარს, რაჭის სოფელ ხოტევის მკვიდრ ივანეს მეზობლური დავის დროს შემოკვდომია კაცი და ამის გამო გამოქცეული ბეგანში როგორც სიძე ისე დასახლებულა. გოცირიძეები თავიანთ რაჭველობას „ძირსალოცავის“ მოლოცვით და გვარის მეორე მეკვიდრეობითი სახელით – „ფილიჭამია“ („ფილი“ არის ღორის ხორცი რაჭულად. როგორც რაჭველებს, გვიყვარდა და შეგვერქვა კიდევაც ეს სახელი) ადასტურებენ.

საკუთარი სახელიდან – „ზირაქა“ არის ნაწარმოები გვარი ზირაქაძე. გვარის მოსულობაზე გადმოცემა ვერ დავაფიქსირეთ. რაც შეეხება საისტორიო საბუთებს, 1583 წლით დათარიღებულ ლევან მეფის გიორგი ღაღანიძისადმი მიცემული წყალობის წიგნში გარდა ზირაქაძისა გვხვდებიან ისეთი გვარებიც, რომლებიც დღეს დიმიში აღარ მკვიდრობენ. მაგ: კაკაბაძე, სპანდაძე.

გურიიდან გამოქცეულ სამ ძმას ქვებულიძეს შეუცვლია გვარი და დაწერილან ჭრელაშვილად. ორი ძმა დასახლებულა დიმიში და ერთიც კახეთში. ჭრელაშვილები დღესაც მკვიდრობენ სიღნაღის რაიონში. ფშავის მკვიდრი სოფ. ახაღის მკვიდრი ჭრელაშვილები გოდერძაულნი ყოფილან [6; 222].

ზედა დიმის მკვიდრი გვარსახელი ლომსიანიძე ეპონიმური წარმოშობისაა. 1578 წ. ბაღდათის სოფელ ალისმერეს მცხოვრებ მამაგულა ლომსიანიძეს „ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაათი თეთრი, ოცდაათი პური, ერთი ლიგრა ერბო და „მეულაყეობა“ (პალ, II).

სამეცნიერო ლიგერაგურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ღვინჯილიას გვარს საფუძვლად უღევს „ჭკუაღამჯდარი კაცის მეგსახელი „ღვინჯილი“ (დამწიფებული) (პ. ცხადაია, 2000, გვ. 173). ჩვენი მასალებით და სპეციალურ ლიგერაგურაში და-

დასგურებული ცნობებით მგვიცდება, რომ ღვინჯილიათა ადრინდელი საცხოვრისი ყოფილა სამეგრელოში – წალენჯიხაში, სადა ველ ჯვარიდან გამოქცეულ და ჯერ მესგაფონში, სოფელ ფუთში დასახლებული სამი ძმიდან ერთი გაქცეულა უთანხმოების გამო და დასახლებულა ზოვრეთში. ორი ძმა კი ღვინჯილიათა მეგრულ წარმომავლობას მათი „ძირსაღცავთან“ ურთიერთობის ამსახველი მასალაც ადასგურებს: „წელგამოშვებით თითო ოჯახი ვკლავთ ცხვარს, ან ხარს და ნალოცი, უხუცესის მიერ მუხლმედაჩოქილი ღვინჯილიებისათვის თავშემონავლები სანთელი მიგვაქვს ილორში. მიაქვს იმ ოჯახს, რომელიც იხდის ამ ლოცვას. წირვას ვიხდით შობის შემდეგ პირველ შაბათს.“

სოფელ ღვინჯის მრავალრიცხოვანი და ძველი გვარის ჩიქვინიძის წინაპარი დავით ჩიქოვანი ბანძელი ყოფილა. მისი გამოქცევის და შემდეგ სოფელ კორიშში, საირმისა და გეკარის გასაყარზე დასახლების საფუძველი პირველი ღვინჯის უფლების საფუძველზე ბაგონთან მომხდარი უთანხმოება გამხდარა. ჩიქვინიძეებს, რომელთა გასახლებული გვარია „კორიშლები“, ახალკვირას ენდელაძეებთან ერთად დაჰყავდათ შესაწირი და ილოცებოდნენ კორიშის სალოცავზე.

ბაღდათის სოფელ ღვინჯის მრავალრიცხოვან და მკვიდრ გვართა შორის შეიძლება დავასახელოთ ჭიათურიდან მიგრირებული ცერცვაძეები, სამეგრელოდან მიგრირებული ჩხეგიები, გარუჩავეები და გვალიები, იმერელი, ჩხარიდან მიგრირებული გიგაშვილები, რაჭველი მაისურაძეები და ა. შ.

გარუჩავათა წინაპრის მამუკა გარუჩავას და მისი ორი ძმის სენაკის რაიონ სოფელ თეკლათიდან გამოქცევის ორი ვერსია არსებობს. უკუ მიქავას დამარცხების შემდეგ გამოქცეულან აჯანყების მონაწილე, მამუკა და მისი ძმები. სხვა გადმოცემით, ბაგონს პირველი ღვინჯის სარგებლობის უფლების გამოყენება მოუნდომებია. ამიგომ მოუკლავს მამუკას და გამოქცეულა ორ ძმასთან ერთად. ღვინჯი დასახლებულა მამუკა. 1904 წლის აღწერის და სხვა მასალებში დადასგურებული „ბაგურია“ (ბაგის ხორცის სიყვარულის გამო) გარუჩავეების ფონეტიკური ვარიანტები გარაუჩა / გარეუჩა (8; 598) გარუჩავეები დღესაც მკვიდრობენ სამეგრელოში: თეკლათში, სენაკში, ფოთში, აბაშაში. სენაკში



დაფიქსირებულია ანთროპოკონიემები: „საგარუჩა / / მაქია გყირო
 – უბანი ცივის მარცხენა მხარეს; ნაგარიჩუ / / ნაგარუჩუ – მხარეს
 ვები ცივის მარცხენა მხარეს“ (პ. ცხადაია, 2000, გვ. 66).

სამეცნიერო ლიგერაგურაში დაფიქსირებული სტატიკა გვავარაუდებინებს, რომ გვალიათა მასიური მიგრაცია განხორციელებულა სამეგრელოდან მესტაფონის რაიონ სოფელ ზოვრეთში. დიშელი გვალიების გადმოცემით, სამეგრელოდან გადმოსახლებული გვალიები დამკვიდრებულან მესტაფონის რაიონ სოფელ ზოვრეთში. ზოვრეთელი სპირიდონ გვალია დასიძებულა შემდეგ დიშელ ახალაძემე.

საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში მიმდინარე მუდმივი ადგილგაღანაცვლების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს გიგაშვილების გვარის ისტორია. ჩხეიძეთა დიშელი ყმები, „ვირიტყეღია“ გიგაშვილები მოსული არიან ჩხარიდან. სპეციალურ ლიგერაგურაში არსებული დოკუმენტები ამ გვარის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მკვიდრობას ადასტურებენ. 1492-1497 წწ დათარიღებული ცნობით გიგაშვილი გიმოთე არის მოწმე კათალიკოს აბრამ აბალაქის მიერ სეფეციხოვლის კახური მამულების შემოწმების შედეგად შედგენილი წიგნისა. შემდეგი, 1503 წლით დათარიღებული ცნობით, რაჭის სოფელ ლების მკვიდრი გიგაშვილი – ამნაურიშვილი ციხით და 72 კაციტ გადაეცა ჯაფარიძეებს სისხლის ფასში. 1513 წლით დათარიღებული ცნობით კი, ვინმე გიგაშვილი დავით გარეჯის კუთვნილი სოფელ ხოდაშენის მიმთვისებელი და მფლობელია (8; 636, 637). გიგაშვილები მკვიდრობენ ლეჩხუმში, ოკრიბაში, სამეგრელოში [1;375].

საკუთარი სახელი – ზირაქა უნდა ეღოს საფუძვლად ზეღა დიშს „უძველესი დროიდან“ მცხოვრებ გვარს ზირაქაძე. გვარის სადმიდან მოსულობაზე გადმოცემა არაა. გვეუბნებიან მხოლოდ, რომ სოფელში „თავდაპირველად კვირიკაძესთან და მელაშვილთან ერთად ცხოვრობდა ზირაქაძე. ზირაქაძეები დიშის მკვიდრებად იხსენიებიან 1583 წელს. „ქ. ჩუენ ლუთივ გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემან პაგრონმან ლევან ესე წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შუნ, ჩუენსა ყმასა, დიღათ თავდაღებით ნამსახურსა და ღაღანიძეს გიორგის და ბეჟანს და

კაციასა; ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მოგვიდექით კარსა და მამული გვთხოვეთ. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენსა და გიბოძეთ დიშს კაკაბაძე სვიმონ და მირაქაძე და მახარჯელი გოგიგაი სპანდაძე – ესენი მათის სახლის კაცითა და საბურაული ორი პარგახტი – ესენი მათის გყითა, ველითა, ვენახითა წყლითა, წისქვილითა, მითითა, ბართა, შესავლითა და გამოსავლითა, ეკლესი(ა)თა და სასაფლაოთა, მათის ყოვლისფერითა. გიბელნიერის ღმერთმან მკვიდრად და სამამულთო ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურშიდა ყოვლისა კაცის უსარჩლავად.

მირაქაძეთა გვარის ეთნოისგორიული კვლევა არკვევს ამ და კიდევ სხვა რამოდენიმე ისეთი გვარის დიშში ცხოვრების ფაქტს, რომლებიც დღეს აღარ ცხოვრობენ.

„ღერღილა“ (ხელა, „ღერღვით“ ლაპარაკობდნენ წინაპრები) მირაქაძეების გვარის შესახებ არსებული მასალების კვლევის დროს ფიქსირდება გოპონიშის ასაკიც. „მირაქაძეებს აქ დასახლების დროიდან დიდი ჭური ჰქონიათ „ხრაპაში“. თითქმის მთელი გვარის ყურძენს ხრაპავდა. ნათქვამი ჰქონიათ: „ავმა კაცმა ვიდრე ხელი არ შეგიშალთ, წირეო“. წინაპრებიც აკურთხებდნენ ამ ჭურის ღვინოს, წირავდნენ და მიემობდნენ ვიდრე კომუნისგების პერიოდამდე“.

ესენია ის ძირითადი გვარები, რომელთა შესახებ მოვაგროვეთ ეთნოგრაფიული მასალა და საისგორიო დოკუმენტებთან და წყაროებთან შედარებით დაეადგინეთ გადმოცემათა სინამდვილე, მიგრაციული პროცესების გამომწვევი მიზეზები და მიმართულებები. რა თქმა უნდა ვიცით, რომ მასალა ბოლომდე ამოწურილი არ არის და თანაც ერთი სოფლის მაგალითით რეგიონის, ამ შემთხვევაში ბაღდათის რეგიონის, შესახებ დასკვნებს ვერ გააკეთებთ, მაგრამ ალბათ რეალობის დანახვა შეიძლება. ვფიქრობთ, დაერწმუნდით იმაში, რომ გვარსახელთა კომპლექსურ კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, თუ კულტურული ცხოვრების სინამდვილის აღდგენის საქმეში.



1. ვ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველენი, თბ., 1994
2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1953
3. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941
4. ვახუშტი ბაგრატიონი, „საქართველოს ისტორი“, ქართლის ცხოვრება, II, წუბინოვის გამოცემა, 1854.
5. ი. მაისურაძე, 1981 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981.
6. თ. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973.
7. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I-II, 1991, 1993.

ДАВИД ШАВИАНИДЗЕ
ИМЕРЕТИНСКИЕ ФАМИЛЬНЫЕ ИМЕНА
(ПО ДИМСКИМ ЭТНОГРАФИЧЕСКИМ МАТЕРИАЛОМ)

Этноисторические и лингвистические вопросы димских фамилий совпадают с этноисторическими и языковыми вопросами общегрузинских фамилий. Этноисторическое изучение димских фамилий дало возможность выяснить не один вопрос. Здесь, как и в других регионах Грузии, население мигрировало. Подтверждаются факты проживания населения, пришедшего из регионов Западной и восточной Грузии. Что же касается местных образованных фамилий, жителей Дими они переселялись в другие места.

В труде получено несколько выводов уточняющие причины миграции населения. Переселение фамилий с гор в Диме было определено в основном природно-географической средой и экономическими условиями. Интересен вопрос отношения мигрированных фамилий к святыне. Для жителей Дими счинаяются священными крест и икона. Мигрант на новое местожительство приносил "нишу", сохраняя тем самым связь с местожительством своих предков. Потомки мигрантов не прерывали связи с местожительством своих предков. Они посещали один день в году церков и молились к своим святыням. Изучение выявило антропотонимы.

დიალექტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

ირინე შიშინაშვილი

რომანტიზმის ესთეტიკის რეცეფცია ჰერმან ჰესეს მემოუზში

რომანტიზმის ესთეტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰერმან ჰესეს შემოქმედებისათვის. რომანტიზმი და რომანტიკოსები მუდამ წარმოადგენდნენ მწერლის ინტერესის საგანს, რაც კარგად იჩენს თავს როგორც მის თეორიულ შრომებში, ასევე მის მხატვრულ შემოქმედებაში. ჰესე და რომანტიზმი გერმანიისტიკაში სერიოზული კვლევის საგანია. წინამდებარე ნაშრომში ვეცდებით წარმოვადგინოთ ჰესეს დამოკიდებულება რომანტიზმისა და გერმანული რომანტიკოსებისადმი ძირითადად მისი ესეების – „რომანტიზმი და ნეორომანტიზმი“ (1900), „რომანტიზმის სული“ (1926) – საფუძველზე.

რომანტიზმის ესთეტიკით ჰესე საკმაოდ ადრე დაინტერესდა. 1895 წელს ახალგაზრდა ჰესე ერთუზიანობით აღსავსე წერს პელენე ფოიგთ-დიდერიჰს, ნეორომანტიკოსთა გამომცემლის მეუღლეს: „ო, ეს რომანტიზმი! მასში არის გერმანული სულის იდუმალეობა და სიჭაბუკე, ყოველგვარი ავადმყოფურის გვერდით უდიდესი ძალა, უპ. ყოვლისა კი სწრაფვა სულიერი სიმაღლეებისაკენ“ [2, 278]. ამ პერიოდისათვის ჰესე მთელ თავის თავისუფალ დროს რომანტიკოსთა შემოქმედების შესწავლას უთმობს. იგი გაგაცებით კითხულობს ბრენგანოს, აიჰენდორფს, გიკს, ჟან პაულს, უპ. ყოვლისა კი ნოვალისს, რომელიც მისთვის არის მისაბაძი ნიმუში, „ახალი გერმანული ლიტერატურის ყველაზე ჭეშმარიტი პოეტი“ [9, 35].

გერმანულ რომანტიკოსებთან ჰესეს უპ. ყოვლისა იზიდავს სულიერი ნათესაობა, დაპირისპირება უხეშ სინამდვილესთან, სამყაროსთან შერწყმის სურვილი. მართებულად აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით პ. ანგელოვა: „ის, რასაც ჰესე რომანტიკოსებთან ხედავს და რასაც შემდგომ საკუთარ შემოქმედებაში და

შეხედულებებში გადაამუშავეს და გაითავისებს, არის ყოველგვარი არსებულის ერთიანობის რწმენა, რასაც ჰერმან ჰესესთან მაგია ქვია და რაც მხოლოდ პოეზიის მეშვეობით მიიღწევა. ეს არის ახალი პოეტური განზომილება, რაც მან რომანტიკოსებთან აღმოაჩინა“ [1, 190].

რომანტიზმითა და საერთოდ რომანტიკულით ჰესეს დაინტერესება არ არის მწერლის მხოლოდ ლიტერატურულ-კრიტიკული საქმიანობა. ჰესეს მცდელობა, განსაზღვროს რომანტიკულის არსი, რომანტიზმის როგორც ისტორიული ეპოქის საკითხი, უკავშირდება მისსავე შინაგან პრობლემატიკას მისსავე პიროვნებასა და ხასიათს, რაც თავად ავტორს რომანტიკულად წარმოედგინა [7,30].

ჰესეს თხზულება „რომანტიზმი და ნეორომანტიზმი“ (1900) მოწმობს არა მხოლოდ იმას, რომ ჰესე რომანტიზმის ლიტერატურასა და მის ესთეტიკას ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში იცნობდა, არამედ ცხადყოფს იმასაც, რომ მას რომანტიზმი თავისი არსით საკმაოდ პრობლემატური ეჩვენება. როგორ განმარტავს ჰესე ცნებას „რომანტიკული“? ჰესეს აზრით, ფაქტობრივად არ არსებობს ორი ადამიანი, რომელთათვისაც გერმინი „რომანტიკული“ ერთი და იგივეს აღნიშნავდეს. სიგყვა „რომანტიკულს“ იყენებენ სხვადასხვა მოვლენების დასასახსიათებლად: „წიგნების, მუსიკის, კოსტიუმების, სურათების, ლანდშაფტის, მეგობრობის, სასიყვარულო ურთიერთობების, ხან შესაქებად, ხან დასაცინად, ხანაც გასაკიცხად. რომანტიკული ბუნება – ესაა ლანდშაფტი ხეობებით, კლდეებით, ნანგრევებით, რომელთა ხილვა ერთდროულად იწვევს სასიამოვნო შეგრძნებებსა და სიმძიმის განცდას. რომანტიკულ მუსიკაში მეგია განწყობა ვიდრე სიცხადე, მეგია თავისუფლება, ვიდრე მკაცრი გექტონიკა, მასში არის რაღაც იდუმალი, დაფარული, ესაა მუსიკა ნახევრად გადაწყვეტილი დისონანსებითა და გაქტების რუბაგოთი. მსგავსი რამ შეიძლება ითქვას აგრეთვე რომანტიკულ სიყვარულზე, რომანტიკულ ცხოვრებაზე, როგორც რაღაც არაგონივრულსა და მომაჯადოებელზე, რაღაც უცნაურ სათავგადასავლო ამბავზე, რომელიც ამავედროულად ძალზედ საინტერესო და ორიგინალურია. რომანტიკულს უწოდებენ ცხოვრებაში ყველაფერს, რასაც ფორმა არ გააჩნია და კანონებს არ ექვემდებარება, რაც მყარ ფუნდამენტს არ

ემყარება დ ღრუბლებისმაგვარი კონკურები გააჩნია“ (5,105). ამდენად, შემოქმედების ამ ეტაპზე ჰესე შეიცნობს რომანტიკულს ერთ მხარეს, ხოლო ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში („მოგზაურობა დილის ქვეყანაში“, „თამაში მინის მძივებით“) რომანტიზმში იგი ხელდავს აგრეთვე ინტელექტუალურ და კონსტრუქციულ ელემენტს. თავდაპირველად კი რომანტიზმში მისთვის არის ყოველგვარი რაციონალურისა და ინტელექტუალურის უარყოფა, ფორმალური პირობებისაგან თავის დაღწევა, სინამდვილის გადალახვა და პირველსაწყისისაკენ დაბრუნება.

დაახლოებით 2 ათეული წლის შემდეგ თხზულებაში „რომანტიზმის სული“ (1926) ჰესე კლასიკისა და რომანტიზმის შედარებისას გვაძლევს რომანტიკულის უფრო ღრმა განმარტებას. სამყაროს ხედვის ეს ორი ფორმა – კლასიკა და რომანტიზმი – ჰერმან ჰესესა და მისი დროისათვის, და განსაკუთრებით გერმანელებისათვის, იქცა ორ პოლარულ ცნებად, კაცობრიობის ცხოვრების, ამროვნების, სულის ორ მუდმივ და განმეორებად გიპად. „პოზიციამ, რომლისთვისაც სინამდვილის ფორმები და საზღვრები მტკიცე და წმინდა სიდიდეებია, კლასიკურია. იგი აღიარებს საგანთა ფორმებსა და თვისებებს, გამოცდილებას, ეძიებს და ქმნის წესრიგს, ფორმასა და კანონს. რომანტიკული ხელვა კი შლის ყოველგვარ კანონსა და წესს, განადიდებს სიცოცხლის პირველწყაროსა და სამყაროსთან შეერთებას ესწრაფვის“ – აღნიშნავს ჰერმან ჰესე. იგი, თავად ბუნებით რომანტიკოსი, კარგად ხელდავს, რომ სამყაროში ჰარმონიული თანაარსებობისათვის ამ დაპირისპირებულ პოლუსთა შერწყმაა საჭირო: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რომანტიზმი და კლასიკა საპირისპირო პოლუსებია, მაგრამ სინამდვილეში არასოდეს გვაქვს საქმე ერთი ან მეორე პრინციპის სუფთა განსხეულებასთან. ყველა პროგრამისა და მსოფლმხედველობის მიუხედავად, ეს ორივე პრინციპი ერთმანეთს ეხება, გადაკვეთს, ერთმანეთში ირევა“ [4, 289]. ამის საუკეთესო მაგალითად ჰესეს პოლდერლინისა და გოეთეს შემოქმედება მიაჩნია, თუმცა იქვე მიუთითებს რომანტიზმის ერთი დიდი უპირატესობის შესახებ: იგი ყოველთვის რჩება გერმანული სულის გამოხატულებად. სამართლიანად აღნიშნავს ჰერმან ჰესე, ისევე როგორც თომას მანი, რომ „გერმანელი თავისი ბუნებით

მიდრეკილია რომანტიკულისაკენ.“ რომანტიზმი ჰესესთვის გერმანული სულის გამოხატულებაა, ეს არის „დაბრუნება ბუნებაში, საწყისში, საკუთარ არსებაში“, ეს არის „გერმანელის გზა საკუთარი წარსულისაკენ“ (4, 289). რომანტიზმის ასეთი გააზრება გარკვეულწილად მწერლის რომანტიკული სულიერი სამყაროს, მის არსებაში ჩაბუღებული ცხოვრების რომანტიკული ხედვის ნაყოფია.

მნიშვნელოვანია ჰესეს დამოკიდებულება ცალკეული რომანტიკოსებისადმი, რომლებიც წლების განმავლობაში გარკვეულ გემოქმედებას ახდენენ მის შემოქმედებაზე. ახალგაზრდა ჰესეს აწუხებს რომანტიკული ინგროვერსია, მარგოობისა და დაფლეთილობის გრძნობა და სულიერ ნათესაობას გრძნობს რომანტიკოსებთან. უპ. ყოვლისა აქ ნოვალისი უნდა დავასახელოთ, რომელმაც დიდად განსაზღვრა ახალგაზრდა ჰესეს მსოფლმხედველობის ხასიათი. ნოვალისი ჰესესათვის არის სულის სამყაროს ხედვის დიდოსტატი, რომელმაც „მთელი საუკუნით განსაზღვრა გერმანული სულის ფორმირება“ [6, 228]. თავისი მნიშვნელობით ჰესე მას დიდი გოეთეს გვერდით აყენებს: „მან მეცნიერული აზროვნებისა და სულიერი განცდის სინთეზის იდეალი ისე დიდებულად ჩამოაყალიბა, როგორც გოეთემ“ [6, 228]. ნოვალისი ჰესესათვის ნამდვილი რომანტიკოსია, რომლის „ჰაინრიჰ ფონ ოფგერდინგენი“ სცდება დროს, მასში მოქმედება მიმდინარეობს „დღეს, არასდროს და ყოველთვის“, ის არის არა ერთი სულის ისტორია, არამედ საერთოდ სულის ისტორია [5, 108]. ვაკენროდერი კი თავისი „ლირიულად ნაზი, დამყოლი, რბილი და მგძნობიარე ბუნებით, თავისი მოკლე, შინაგანი ვნებებითა და თვითაღკვეთით სავსე ცხოვრებით იყო გიპიური მოვლენა გერმანულ რომანტიზმში“ [6, 237].

საინტერესოა აგრეთვე ჰესეს ჰოფმანისადმი დამოკიდებულების საკითხი. ფანგაზიასა და რეალობას შორის საზღვრის წაშლა, რაც ასე დამახასიათებელია ჰოფმანისათვის, გარკვეულწილად, უცხო არ არის ჰესესთვისაც. ეს გამოწვეულია უხემ სიანმდვილესთან ღრმა გაუცხოებით, ეს არის ახალი, სასურველი სამყაროს ძიება. ჰოფმანი, ჰესეს აზრით, არის „ის ნაგურა, რომელიც მუდამ მნიშვნელოვანი და მიმზიდველია, რადგან მისი შემოქმედება შეიცავს ისეთ უფსკრულებს, რომელთა

პირასაც ... სიამოვნებით ვყოვნდებით“ [6, 241].

ჰესესათვის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრენგანოსა და აიჰენდორფის ფიგურები. სამყაროს გათიშვა ორ ნაწილად ჰესემ თავისი გმირების განვითარების ეტაპებად გამოიყენა. ეს განხეთქილება, ჰესეს აზრით, საუკეთესოდაა წარმოდგენილი ბრენგანოს პიროვნებისა და შემოქმედების მაგალითზე: „მისი ცხოვრება და შემოქმედება იყოფა ორ ნაწილად ... ორივე პერიოდის ბრენგანო, ველური ახალგაზრდა და ხანშიშესული ღვთისმოსიში („wilde junge“, „fromme alte“) ინარჩუნებენ თავიანთ სახეებს, რომელთაც, მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებებისა, მნიშვნელოვანი საერთო დამახასიათებელი შტრიხი გააჩნიათ: ორივე ამ სამყაროს აღიქვამს ღრმა, იღუმალი სიუცხოვით, ორივენი ამ სამყაროში თავს არ გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. ერთი დასცინის მას, მეორე – გაურბის, ორივენი კი იგანჯებიან, ცხოვრობენ სულ სხვა რეალობაში და სამშობლოს გარეშე“ [6, 244-45].

ჰესე ნოვალისისაგან, ბრენგანოსაგან, აიხენდორფისაგან, ჰოფმანისადან იღებს იმპულსებს, რომელთაც ის სიამოვნებით იყენებს თავის შემოქმედებაში. იგი შემოქმედების პირველ ეტაპზე “რომანტიკული სიმღერებითა” და “ჰერმან ლაუშერით” სავსებით შეგნებულად უბრუნდება გერმანულ რომანტიზმს. რომანტიკული რემნისცენციები გვხვდება ჰესეს ბევრ შემდგომდროინდელ მხაგვრულ ნაწარმოებში („ერთი საათი შუალამის შემდეგ“, „ლულუ“, „კნულპი“, „ირისი“), რომანტიზმთან შემოქმედებითი ნათესაობა იგრძნობა სხვადასხვა მოტივებისა და პრობლემების დამუშავებაში („პეგერ კამენციდი“, „ნარცისი და გოლდმუნდი“, „მოგზაურობა დილის ქვეყანაში“, „თამაში მინის მძივებით“).

ლიტერატურა

1. Angelova, Penka, Die Rezeption des klassisch-romantischen Dichtung und Weltauffassung im Erzählwerk Hermann Hesses (1919-1931). Diss. Jena 1981.
2. Hesse, Hermann, Kindheit und Jugend vor Neunzehnhundert I (1877-1895). Frankfurt am/Main 1985.
3. Hesse, Hermann, Kindheit und Jugend vor Neunzehnhundert II (1895-1900). Frankfurt am/Main 1985.
4. Hesse, Hermann, Ausgewählte Werke in 6 Bd-en. Bd. 6, Frankfurt am/Main 1994.
5. Hesse, Hermann, Gesammelte Werke. Bd. 11, Frankfurt am/Main 2000.

6. Hesse, Hermann, Gesammelte Werke. Bd. 12, Frankfurt am/Main 2000.
7. Lehner, Hans Horst, Nachwirkungen der deutschen Romantik auf die Prosadichtung Hermann Hesses. Diss., Würzburg 1955
8. Schwede, Reinhard, Wilhelmische Neuromantik. Flucht oder Zuflucht? Frankfurt am/Main 1987.
9. Zeller, Bernhard, Hermann Hesse in Selbstzeugnissen und Dokumenten. Hamburg 1963.



IRINE SCHISCHINASCHWILI
DIE REZEPTION DER ROMANTISCHEN ÄSTHETIK
IN HERMANN HESSES ESSAYS
RESÛMÉE

Die romantische Ästhetik hat eine besondere Rolle für das Schaffen von Hermann Hesse. Das Interesse zum Romantischen zeigt sich sowohl in seinen theoretischen Schriften, als auch in seinen künstlerischen Werken. Hesses Versuche, sich über das, was Romantisch heißt, in seinen Essays klar zu werden und das Wesen der Romantik als historische Epoche zu bestimmen, sind tiefe Eingriffe in sein persönliches Wesen und seinen Charakter, die ihm selbst als romantisch erscheinen. Hesses Einstellung zur Romantik ändert sich im Laufe seines Schaffens tatsächlich nicht. Romantik ist für Hesse Ausdruck des deutschen Geistes, das ist eine Rückkehr zur Natur, zur Heimat, zum eigenen Wesen, ein Weg der Deutschen zur eigenen Vergangenheit. Diese in seinen Essays („Romantik und Neuromantik“ (1900), „Geist der Romantik“ (1926)) dargestellte Deutung des Romantischen beschränkt sich auf Hesses Weltgefühl und seine Lebenshaltung.

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

ირინე ჩაჩანიძე

საზოგადოებაში ენის ფუნქციონირების ფორმათა სოციოლინგვისტური მოდელის პრობლემისათვის

(ქ. ქუთაისის ქართულ-რუსულენოვანი მოსახლეობის მაგალითზე)

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან ენობრივი კონტაქტები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას თანამედროვე ენათმეცნიერებაში. სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით, ენობრივი კონტაქტები სწორედ ენობრივი სიგუაციების კონკრეტული მოდელების ფონზე განიხილება. „ენობრივი სიგუაცია არის მოცემულ აღმინისგრაფიულ-ტერიტორიულ ერთეულში გავრცელებული და მოხმარებაში მყოფი ენების, ქვე-ენების, ენის არსებობის ფორმებისა და მისთანათა ერთობლიობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენობრივი სიგუაცია საზოგადოების ენობრივი პროგრეგია; უფრო მეტიც, არა მარტო პროგრეგია, არამედ მისი ანაგომიაციაა. ამიტომ, რომ საზოგადოების ყველა სერიოზული საკვივარი ამა თუ იმ სახით ენასთანაა დაკავშირებული“ [4, 93]. ბუნებრივია, რომ სოციოლინგვისტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოცემულ ენობრივი სიგუაციის აღსაწერი ადეკვატური მოდელის შემუშავება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემუშავებული მოდელი მაქსიმალურად რეალურად უნდა ასახავდეს არსებულ მდგომარეობას. სწორედ ამ ეტაპის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ანალიზის შემდგომ საფეხურზე გადასვლა. სპეციალურ ლიგურაგურაში ენობრივი სიგუაციისა და ენათა ფუნქციური კლასიფიკაციის რამდენიმე ცდაა მოცემული. წინამდებარე სტატიაში ჩვენ განზრახული გვაქვს, დავეყრდნოთ ამერიკელი მეცნიერის ჩარლზ ფერგიუსონის [5] სამსაფეხურიან კლასიფიკაციას და მის კვალობაზე შექმნილ ეროვნული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულას. სათანადო

კორექტივების შეტანის შემდეგ ჩვენ შევეცდებით საანალიზოდ აღებული ენობრივი სიტუაციისათვის ადეკვატური ფორმული წარმოდგენას.

თავდაპირველად ჩ. ფერგიუსონმა ენები დაყო მათი საკომუნიკაციო ღირებულების მიხედვით: ა) ძირითადი, ბ) მეორეხარისხოვანი, გ) სპეციალური. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი კრიტერიუმები მაინცდამაინც დიდი სიმკაცრით ვერ გამოირჩევა. ამ ხარვეზის აღმოფხვრა ნაწილობრივ შესაძლებელია მეორე საფეხურის გათვალისწინების საფუძველზე. აქ გამოყოფილია ენათა ხუთი ტიპი: ა) მშობლიური არასალიგერაგურო, ბ) მშობლიური სალიგერაგურო, გ) უცხო სალიგერაგურო, დ) პიჯინი (ჰიბრიდული ენა, რომელსაც აქვს ერთი ენის ლექსიკა და მეორე ენის გრამატიკა), ე) კრეოლური (ჰიბრიდული ენა, რომელიც მშობლიურად გადაიქცა). ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ამგვარი მოდელი მხოლოდ გარკვეული საზოგადოებებისათვის შეიძლება იყოს გამოსადეგი. მესამე, ბოლო ეტაპზე ავგორი გამოყოფს ენათა გამოყენების შვიდ ტიპზეულ სფეროს: ა) შიგაენობრივი ყოველდღიური ურთიერთობა, ბ) ოფიციალურ საქმიანი ურთიერთობა, გ) შიგასახელმწიფოებრივი ერთაშორისი ურთიერთობა დ) საშუალო სკოლაში სწავლების ენა, ე) რელიგიური მსახურების ენა, ვ) სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, ზ) სპეციალური საგანი სკოლაში. მემოჩამოთვლილი საშუალებას აძლევს ჩ. ფერგიუსონს, წარმოადგინოს ესპანეთის ენობრივი სიტუაცია შემდეგი ფორმულით:

2L maj (So, Sg) + 1L min (Vg) + 2L spec (Cr, Ss)

თუკი გავითვალისწინებთ ფერგიუსონის აღნიშნულ გამოცდილებას, ეროვნული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმულა საქართველოში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობისათვის (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ქ. ქუთაისში მცხოვრებ რუსულენოვან მოსახლეობას) შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:

1 L maj (So, Sg, Sr) + 1 L min (Sg, Ss),

სადაც L არის ენა, maj – ძირითადი, min – მეორეხარისხოვანი, S – მშობლიური, O – ოფიციალურ-საქმიან ურთიერთობაში გამოიყენება, გ – ყოველდღიურ ურთიერთობაში, რ – რელიგიურ ცხოვრებაში. აქ ქართული არის L maj, ხოლო რუსული ენა კი L min. უნდა ვაღიაროთ, რომ ფერგიუსონის მოდელი საჭიროებს

გარკვეულ დაზუსტებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ენობრივი სიგუაციის მოდელთა უნივერსალიზაცია იშვიათად გვაძლევს მიახლოებით მუსტ სურათსაც კი. აქედან გამომდინარე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ე. ავრონიჩის პოზიცია, რომელიც გამოიხატება შემდეგში: „თუ არ გავარკვევთ არსებობის რა ფორმებია მოცემული ამა თუ იმ ენისათვის, და არ განვიხილავთ თითოეული ენის ფუნქციონირებას მათს ურთიერთქმედებაში, თუ არ დავადგენთ ენის გამოყენების სფეროებსა და საშუალებებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სოციალურ პირობებს, რომლებშიც ფუნქციონირებს ენა, ჩვენ ვერ შევძლებთ ოდნავ სრულადად კი წარმოვიდგინოთ ენობრივი სიგუაცია“ [1, 52].


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციოლინგვისტურ სპეციალურ ლიგერაგურაში ენობრივი სიგუაციის მოდელირების რამოდენიმე ცდაა მოცემული. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც ვიხილავთ ქალაქ ქუთაისში მცხოვრები რუსულ-ქართულენოვანი მცირერიცხოვანი ჯგუფების მონაცემებს, სანიმუშოდ ავიღეთ ე. თუმანიანის (2) მოდელი.

- A – ავტოქთონური ენა;
- B – მეორე ენა;
- C – მესამე ენა.

პაგარა ასოებით (შესაბამისად a_1, a_2, a_3 , ან b_1, b_2, b_3 და ასე შემდეგ)

- a_1 – სალიგერაგურო ენა;
- a_2 – ყოველდღიური სასაუბრო ენა;
- a_3 – გერიტორიული დიალექტი;
- a_4 – სოციალური დიალექტი.

თოთხმეტი წლის წინანდელი სიგუაცია ქუთაისში მცხოვრები მოსახლეობის რუსულენოვანი ჯგუფებისთვის შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:




ენათა არსებობის ფორმების ამგვარ გადანაწილებას ხელს



უწყობდა პოლიტიკური სტატუს-კეო. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა; აქედან, ამ ჯგუფისათვის b_1 -ის (რუსული სალიგერატორო ენა) მოხმარების საფუძველს იძლეოდა განათლების სისტემა, „საკავშირო დაქვემდებარების“ ორგანიზაციები. b_2 -სა და b_4 -ს საფუძველს უქმნიდა ადგილობრივ მკვიდრთა ენობრივი ლოიალობა.

დანიელი ენათმეცნიერი ი. ნ. იორგენსენი საუბრობს ბილინგვიზმის ორი ტიპის შესახებ; ესენია: „კულტურული“ და „ხალხური“ ბილინგვიზმი. პირველი მათგანი ნაკლებად ითვალისწინებს მოცემული ენობრივი სიგუაციის მაგრიცის აქტუალურ შემადგენლებს. რაც შეეხება ე. წ. „ხალხურ“ ორენოვნებას, მასში იგულისხმება უმცირესობის ენისა და მოცემულ საზოგადოებაში უფრო ფართოდ გამოყენებული უმრავლესობის ენის თანაარსებობას (3, 61-62). როდესაც ქ. ქუთაისში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის ენობრივი სიგუაციის მაგრიცის კომპონენტების დამუსკებას ვცდილობთ, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ის ფაქტი, რომ, საქართველოს ბევრი სხვა რეგიონისაგან განსხვავებით, აქაური ვითარება მართლაც უწყობს ხელს იორგენსენისეული „ხალხური“ ბილინგვიზმის ჩამოყალიბებას.

გემოთქმულიდან გამომდინარე, დღეს ხსენებული ჯგუფებისათვის, რომლებიც კომპაქტურად არ ცხოვრობენ ამ ქალაქში, ენობრივი სიგუაციის მოღელი იღებს შემდეგ სახეს:



როგორც ვხედავთ, სიგუაცია კარდინალურად შეცვლილია, რადგანაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულ ენას შეექმნა ორგანული სოციო-პოლიტიკური საფუძველი ფუნქციონირების სფეროების გასაფართოებლად, ხოლო არამკვიდრი მოსახლეობის ენა გადაიქცა შინაური ურთიერთობის საშუალებად.

ლიტერატურა

1. В. А. Авронин, Проблема изучения функциональной стороны языка. К вопросу о предмете социолингвистики. Л., 1975.
2. Э. Г. Туманян, Типология языковых ситуаций комплексные модели оппозиции форм существования языка//Теоретические проблемы социальной лингвистики. М., 1981.
3. J. N. Jørgensen, Sociolinguistic Papers. Copenhagen, 1984.
4. 8. კიკვიძე, ენობრივ-პოლიტიკური კონფლიქტოლოგიის ზოგიერთი საკითხი პოსაგ-საბჭოური პერიოდის საქართველოს ენობრივი სიტუაციასთან მიმართებაში // ჟურნ. „ბედი“, № 6-7, თბილისი, 2000.
5. Ch. Ferguson, National sociolinguistic profile formulas// *Sociolinguistics*. The Hague, 1966.

IRINE CHACHANIDZE

TOWARDS THE PROBLEM OF THE SOCIOLINGUISTIC PATTERN OF LANGUAGE FORMS IN THE SOCIETY

(based on the Russian-speaking population of Kutaisi)

From the sociolinguistic standpoint, language contacts have been viewed based on the patterns of language situations. Language situation is viewed as a unity of languages, sub-languages, various forms of language existence, etc. in a given community. Hence, language situation is a society's linguistic portrait; moreover, in a way, it reveals a society's anatomy. Therefore, almost every serious social problem has been associated with a language and/or languages spoken and/or written within it.

The starting point of the analysis is the classification proposed by Charles Ferguson and his national sociolinguistic profile formulae.

With regards to Fergusonian impact, the national Sociolinguistic Profile Formula in Georgia can be expressed in the following way:

1 L maj (So, Sg, Sr) + 1 L min (Sg, Ss);

The given formula is not quite precise; therefore, V. Avrorin's standpoint is more acceptable for me as far as it lets a scholar to a construct more adequate approach.

I will try to construct the formula concerning Russian/Georgian-speaking groups, based on the pattern proposed by E. Tumanian, as far as this pattern envisages a more detailed view. I also take into account J. N. Jørgensen's approach concerning "cultural" and "popular" bilingualisms, and, hence, it lets me label the situation in question as a "popular" one.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

რეალეტა ჩხიკვაძე

სასწავლო ლექსიკონი ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

სასწავლო ლექსიკონი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს გერმანული ენის შემსწავლელი ეკონომიური ფაკულტეტის (I-III კურსების) სტუდენტებისათვის. მისი შედგენა განაპირობა იმან, რომ ამ სპეციალობის სახელმძღვანელოები მხოლოდ გერმანულ და რუსულ ენებზეა, დართული არა აქვს ლექსიკონები და თუ არის, ისიც რუსულ ენაზე, რომელიც აძნელებს სპეციალური გერმინოლოგიის შესწავლას ქართულ ენაზე, გარდა ამისა მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ანალოგიური სახის ლექსიკონი ეკონომიური ფაკულტეტის ქართველი სტუდენტებისათვის დღემდე არ შექმნილა.

ნაშრომი მიზნად ისახავს: მკაცრად შემოფარგლოს დაწყებით ეტაპზე ასათვისებელი ლექსიკონითა რაოდენობა; სასწავლო ლექსიკონში შესაგანი ერთეულები შეარჩიოს გარკვეული თვისებრივი პარამეტრების მიხედვით; მეთოდურად დაეხმაროს სტუდენტებს სავალდებულო ლექსიკონის გააზრებულად დაუფლებაში, ეკონომიური ფაკულტეტის ქართველ სპეციალისტს მიაწოდოს შესასწავლი ლექსიკური ერთეულის ფარდი სწორი ეკვივალენტი მშობლიურ ენაზე. ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დასაუფლებელი ლექსიკური მასალის მოცულობა განისაზღვრება იმ რაოდენობით, რომელიც სასწავლო გეგმითაა დადგენილი გერმანულ ენაში. არასპეციალურ ფაკულტეტებზე დადგენილი საათების სიმცირის გამო სასწავლო ლექსიკონში ჩართულია 1000 მდე ლექსიკური ერთეული. ლექსიკურ ერთეულად ითვლება სიტყვის ყოველი ცალკეული მნიშვნელობა.

ნებისმიერი ლექსიკური მინიმუმის დაუფლება გულისხმობს არა მარტო სიტყვებისა და გამოთქმების დაზეპირებას, არამედ მათ შეგნებულ ათვისებასა და მეტყველებაში აქტიურ გამოყენებას. ამის შესაძლებლობას კი სახელმძღვანელოები იძლევა, ესენია:

"Deutsch-Wirtschaft-Lehrbuch I von Heinrich P. Kelz, Gabriele Neuf, 1991
Verlag Dürr & Kessler, Rheinbreitbach; Н.Ф. Бориско: Бизнес-курс
немецкого языка, Киев "Логос" 1999г.

ლექსიკური "Большой немецко-русский словарь (под редакцией
А.А. Лепинга и Н.П. Страховой), Москва, 1969 г. Duden Band 5-"Fremd-
wörterbuch" - Dudenverleg. Mannheim, 1982.

პროფ. ც. გოგლიჩიძე; გერმანული ენის ლექსიკური მინიმუმი,
გამომცემლობა, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 1998 წ.

სასწავლო ლექსიკონის სტრუქტურა შემდეგი სახითაა წარ-
მოდგენილი: 1. ზოგადი ლექსიკა; 2. თემატური ლექსიკა; 3. სა-
მეცხველო ფორმულები; 4. დანართი. 1. ზოგადი ლექსიკა - მოი-
ცავს ნ აშრომში შემაჯავალი სიტყვებს, აქვეა გერმინოლოგიური
შესაგყვისებიც. მასალა დალაგებულია ანბანური წესით. თითო-
ეული სალექსიკო ერთეულს ახლავს გრამატიკული დახასიათება
და თარგმანი ქართულ ენაზე. მოცემული კონკრეტული სიტყვის
ხმარების თავისებურებანი ილუსტრირებულია ქართული ეკვივა-
ლენტური შესაგყვისები და წინადადებები. 2. თემატური ლექსი-
კის ნაწილში სიტყვების დახასიათება ხდება ზოგადი ლექსიკის
ფარგლებში მოქმედი პრინციპით. თემატური ლექსიკის ამ სახით
ჩართვა ზოგად ლექსიკაში გარკვეულ მიზანს ემსახურება. სტუ-
დენტისათვის განსაზღვრა იმისა, თუ რომელ თემას შეიძლება
მიეკუთვნოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი ესა თუ ის სიტყვა
მეტად რთული ამოცანაა; თემატური წესით სიტყვის დაძებნა კი
ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხდება.

3. სამეცხველო ფორმულებში - მოცემულია იმ გამოთქმათა
სისტემატიზაცია, რომლებიც იხმარება კომუნიკაციის პროცესში.

4. დანართში - მოცემულია რიცხვის, წონის აღმნიშვნელი
სიტყვები; გერმანული და საერთაშორისო შემოკლებანი.

სასწავლო ლექსიკონში შეგანილია საშუალო სკოლებისათვის
პროგრამით გათვალისწინებული ლექსიკაც მისი გამეორებისა
და განმტკიცების მიზნით. ნაშრომში უხვადაა მოცემული სინონი-
მები და ანგონიმებიც.

წინამდებარე სასწავლო ლექსიკონში არსებითი სახელი მო-
ცემულია მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის (ნომინა-
ტივის) ფორმით. იქვეა თანდართული მხოლოდობითი რიცხვის
ნათესაობითის (გენიტივის) და მრავლობითი რიცხვის
სახელობითის (ნომინატივის) ფორმები. ყოველ ფორმას ახლავს

სქესის აღმნიშვნელი სიგევა - არგიკლი. ფორმების უმრავლესობა მოგანილია შეუმოკლებლად: der Tisch, des Tisches, die Tische. თუ სახელი მრავლობით რიცხვში არ იხმარება, მითითებულია (მრ. არ იხმ.) გედსართავის სახელი წარმოდგენილია დადებით ხარისხში (საწყის ფორმაში) და აღნიშნულია ლათინური დასახელების - Adjektiv/Adjektivum საწყისი ასოთი თ. საილუსტრაციო მაგალითებში თავსიგევის შემცველ ნაწილს (-) მოსდევს გედსართავით განსაზღვრული სიგევის სქესის დაბოლოება; schön - ein -er Tag; eine -r Nacht; ein -es Bild.

ზმნა, როგორც სალექსიკონო ერთეული სასწავლო ლექსიკონში შესულია ინფინიტივის ფორმით. იქვეა მოცემული ნამყოთხრობითის (პრეგერეტივის) და მიმდებარე II (პარტიციპ II)-ის ფორმები, რომელთაც ზმნის გარდამავლობა-გარდუვალობის აღნიშვნაც ერთვის. დასახელებული ფორმების ამ სახით მოგანაგაუადვილებს სგუდენტს კონკრეტული ზმნის ძირითადი ფორმების წარმოებას. უკუქცევითი ზმნა მოსდევს შესაბამის გარდამავალ ზმნას იმავე სტაგიაში. თუ ზმნა მხოლოდ უკუქცევითია, მაშინ ის ცალკე სალექსიკონო ერთეულადაა მოცემული.

REALETA TSCHCHIKWADZE LEHRWÖRTERBUCH FÜR WIRTSCHAFTSTUDENTEN RESUME

Die vorliegende Arbeit stellt sich den Verzug vor die fachbezogene Lexik und außerdem hat sie zum Ziel Lernwortschatz zu bestimmen: Die Wörter und Termine sind nach fachlichBinhatlichen Eigenschaften zugeordnet.

Das Wörterbuch ist methodisch bearbeitet, dasses als Hilfsmittel angenommen sein könnte im Lernprozess.

Die deutsch-georgische Aquivalente stellen sich die zahlreiche Ausdrucksmöglichkeiten beider Sprachen dar.

Wirtschaftswortschatz wird voraussichtlich fachlich aktuell und interessant für die Studenten und entsprecherd den modernen Anforderungen sein. Die Rolle und Bedeutung der Fremdsprachen ist unbestritten. Neue Lehrbücher geben uns die Möglichkeit die Fremdsprachen nicht nur zu erlernen sondern zu beherrschen. Besonders interessant sehen uns das Lehrwerk: "Deutsch im Beruf - Wirtschaft-Lehrbuch I von Heinrich P. Kelz, Gabrielle Neuf, 1991 Verlag Dürr &Kessler, Rheinbreitbach; H. ფ. Бориско: Бизнес-курс немецкого языка; Киев, "логое", 1999г.

დასაველეთ ვეროპის ენების კათედრა

ღაკით წიტიმშვილი

იმერეთის სამეფოს საზღვრები ნიკიფორი ტოლოჩანოვისა და ალექსი ივვლების მუხლობრები აღმერილოგების მიხედვით

XV საუკუნის ბოლოს საქართველოს გერიგორიაზე ერთიანი სახელმწიფოს ნაცვლად ჩნდება სამი სამეფო ქართლის, კახეთის და იმერეთის. ცალკე პოლიტიკური ერთეული იყო სამცხე-საათაბაგო, XVII-ის შუა წლებში იმერეთის სამეფოს საბოლოოდ გამოეყო გურიის, ოდიშის (სამეგრელოს) და აფხაზეთის სამთავროები. თანდათანობით ჩამოყალიბდა სადადეშქელიანო სვანეთი ანუ სვანეთის სამთავრო, რომელიც სვანეთის ერთ ნაწილს მოიცავდა.

აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1660) იძულებული გახდა 1648 წელს საბოლოოდ იმერეთში გადახვეწილიყო. „ბაგონი თეიმურაზ კახეთით აიყარა და ქართლი შეიარა და იმერეთს გარდავიდა“ [1, 256]. მისი ინიციატივით იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ რუსეთთან პოლიტიკური კავშირის შეკვრა გადაწყვიტა.

თეიმურაზმა და იმერეთის მეფემ 1649 წ. ელჩები გაგზავნეს რუსეთის სამეფო კარზე [2, 326]. თეიმურაზმა ელჩებად წარგზავნა თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი, ხოლო ალექსანდრემ მღვდელ-მონაზონი ვასილი და დავითი.

ამ ელჩობის საპასუხოდ რუსეთის სამეფო კარმა იმერეთში გამოგზავნა ელჩები, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მოსკოვის სახელმწიფო სკოლნილი ნიკიფორე მათეს ძე გოლოჩანოვი, დიაკი ალექსი ივანეს ძე იევლევი და თარჯიმანი ივანე ბოიარჩიკოვი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი პირველად არ იყო საქართველოში, იგი 1637-1640 წლებშიც ყოფილა აქ ვოლკონსკისა და ხვალგოვის ელჩობის დროს. ივანე

ბოიარნიკოვი საგარეო საქმეთა საგანგის მთარგმნელია“ [3, 10].
ელჩობაში შედიოდნენ ალექსი იველევის შვილი კლიმენტი და
თარჯიმანი ლავრენგი პიროგოვი.

თეიმურაზთან მოლაპარაკება თვით ელჩებისათვის განკუთვნილ
ინსტრუქციის მიხედვით უფრო ადვილია, ვიდრე ალექსანდრე
იმერთა მეფესთან. იმერეთის მიმართ სხვა დავალებები აქვთ
ელჩებს. იმერეთის შესახებ ვრცელი მოხსენება აქვთ დასაწერი.
იმერეთს პირველად ამ წლებში ეცნობა მოსკოვი, იგი პირველად
უნდა აღიწეროს როგორც გეოგრაფიულად, ისე დემოგრაფიულად,
ციხე-ქალაქებით, ეკლესია-მონასტრებით და მათი მორთულობით,
სავაჭრო გზებით, პოლიტიკური ურთიერთობებით და სხვა. აქ
ელჩებს დიდი სამუშაო აქვთ [8, 92].

ელჩები მოსკოვიდან 1650 წლის 9 ივნისს გამოემართნენ [5, 58-
64]. სექტემბერში ასტრახანში მოვიდნენ. ოქტომბრიდან ისინი
თერგის ციხე-ქალაქში დაბანაკდნენ. 1651 წლის აპრილში ელჩები
ყაბარდოში გადადიან. მაისში ბალყარეთში, სწორედ აქ 22 მაისს
მათ ალექსანდრე მეფისაგან გაგზავნილი ორი აზნაური მამუკა
ჯაფარიძე და გიორგი ყანჩელი (კანჩოვი) შეეგებათ. ალექსანდრე
III იმერთ მეფის წერილი გადასცეს ელჩებს, თანაც რუსი ელჩების
ბარგის გადმოსაზიდად სამოცდაცამეტი კაცი მოიყვანეს.

1651 წ. 31 მაისს რუსი ელჩები ბალყარეთიდან წამოვიდნენ
ქვეითად და მდ. „კრეხუ“-ს სათავეებთან ღამე გაათიეს. იმერეთის
სამეფოს ტერიტორიაზე ისინი დიდის გაჭირვებით 2 ივნისს
გადმოვიდნენ და მდ. რიონის სათავეებთან დაბანაკდნენ.

3 ივნისს ელჩებს ალექსანდრე მეფისგან გამოგზავნილი ორი
აზნაური ეწვია. ლომკაცი ჯაფარიძე და გიორგი „არისუფი“, იგივე
გიორგი არემიძე [6, 68]. რიონის სათავეებიდან რუსი ელჩები
გიორგი კანჩოვის (კანჩოვი შეიძლება გაგაშვილია) [7, 68] ციხე-
ქალაქ „თევრიქში“ ჩავიდნენ. ეს სოფელი თევრეშოა, რომელიც
მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მთის რაჭაში. ეს
სოფელი „ციხე-ქალაქად“ მოხსენიებულია იმიტომ, რომ აქ ისევე
როგორც მთის რაჭის სოფლებში ღებსა და გლილაში XIX ს. II
ნახევრამდე მრავალი კოშკი იდგა.

თევრეშოდან გადასულან ლომკაც ჯაფარიძის სამფლობელოში,
კონკრეტულად სოფ. „მაცხოვრისში“ (სპასკოეს - სოფელი ბარი
[8, 92], რადგან აქ არის მაცხოვრის ეკლესია. რუსი ელჩების

ანგარიშებში მოცემულია რაჭის სოფლების: თევრეშოს, კვარაცხის, ამბროლაურის, კრიხის ეკლესიების და ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის აღწერილობა.

რაჭის უმნიშვნელოვანეს ადგილებს შორის, სადაც „განთქმული მონასტრებია და მეფე დედოფალი პირადად დაბრძანდებიან“ გოლოჩანოვისა და იველევის ცნობებში რაჭის 17 სოფელი, ეკლესია-მონასტერი, თუ ციხე-სიმაგრეა ჩამოთვლილი: ამბროლაური, მნაკვა, თევრეშო; კვარაცხე, მინდაციხე, სადმელი, საკაო, საკეცია, სორი, სხვავა, ლები, შაორი, შეუბანი, ძუგლევი; წესი, ჭიორა, ჯოგევი [9, 92].

20 იენისს ელჩები რაჭიდან ქუთაისისაკენ გაემართნენ და ძნელად სავალი და კლდოვანი მთების გზით, აქ საუბარია ცხრაჯვარის უღელგეხილზე რომელიც იმერეთთან კერძოდ ოკრიბასთან აკავშირებს და „ცხერბულში“ (გყიბულში) გადმოვიდნენ.

გყიბულიდან რუსი ელჩები ოკრიბას გავლით ქუთაისში ჩამოვიდნენ. თავის ანგარიშებში ისინი მხოლოდ წყალწითელას ხეობას, გელათის მონასტერს, ალექსანდრე მეფის რამდენიმე სოფელს და ციხე-გალავანს ასახელებენ. აქვე ნიკიფორე გოლოჩანოვი ალექსი ევლევისეგან განსხვავებით ასახელებს „შცკალიუს“ (შავი წყალი) [10, 94], რაც შეიძლება შაორი იყოს, თუმცა ეს მდინარე რაჭაში მოედინება და ოკრიბას გერიგორიაზე არ გამოდის. ქუთაისში მოსვლისთანავე ისინი მეფის ციხის პირდაპირ ბორცვზე გაშლილ კარვებში დაუბინავებიათ.

ალექსანდრე მეფემ რუსი ელჩები დიდი პაგივით მიიღო, რამდენჯერმე სადილადაც მიუწვევია. ცხელი ზაფხულის გამო რ ივლისს მეფე ალექსანდრე დედოფალითურთ სკანდის ციხეში გაემგზავრა. ხოლო ელჩები მაქარია მიგროპოლიგს ჩააბარა, რათა „ზედა ციხე-სიმაგრე გელათში“ გაემგზავრებინა. „სადაც მეფეები განისვენებენ, ციხის, ტაძრების, წმინდანების და ღვთის მოწყალების დასათვალიერებლად“ [11, 128]. ელჩების თქმით, ეს ადგილი შვიდი ვერსგით ყოფილა დაშორებული ქუთაისიდან. მათ გელათის მონასტრის და მისი შემოგარენის დაწვრილებითი აღწერა დაგვიგოვეს. იმავე დღეს ელჩები ქუთაისში დაბრუნდნენ.

ისინი აქ გვაძლევენ ქუთაისის აღწერს ა) „ქუთაისის ციხე

(Кремль город) სადაც მოთავსებული იყო სამეფო სასახლე, ეკლესია, ხაზინა და სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობანი [12, 140-141; 117-118]. ბ) შიდაქალაქი, ქალაქის ეს ნაწილიც გარეგნული სახით უკვე IV-V სს. ჩამოყალიბდა. აღნიშნულ ეპოქაში ქალაქის ამ უბნს განაშენიანებისა თუ თავდაცვითი სისტემის შესახებ ცოგარამ ვიცით, რადგან ამდროინდელი კულტურული ფენები აქ ძალზე სუსტად არის შემონახული და შენობა-ნაგებობებიც (გარდა ბაგრაგის გაძრის ირგვლის გაწმენდილი და ელჩებთან დადასტურებული სამრკელოსა და სასულიერო პირთა პალატების ნაშთებისა) ფაქტიურად აღარ შემონახულა. რაც შეეხება ქალაქის ამ ნაწილის გამაგრების სისტემას, უნდა ვივარაუდოთ, რომ წინა ეპოქებში აგებული გალავნის კედლები რაღაც ფორმი, (შესაძლოა ხის კონსტრუქციებით გამაგრებული) კვლავ აგრძელებენ ფუნქციონირებს [13, 481]. ქალაქ ქუთაისის აღწერისას ელჩები სხვადასხვა სახელწოდებას ხმარობენ: „ქვედა (ქვემო) ქუთაისი“, „ქვემო ქუთაისის ციხე-გალავანი“, „პაგარა ქუთაისი“, „ქუთაისის მცირე ციხე“, „ქვემო ქუთაისის ციხე-გალავანი“ [14, 128, 109-110]. „ქვემო ქუთაისი“ იგივე მცირე ქუთაისი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც დღეს „ოქროს ჩარდახი“ დგას.

20 ივლისს ალექსანდრე მეფის აზნაურებმა პააგამ და ხოსიამ ცხენები მიჰგვარეს ელჩებს, რათა სკანდას გამგზავრებულიყვნენ. ისინი გადასულან მდ. წყალწითელაზე და მდ. „ძეგრზე“, აქ მდინარე ძეგრულაზე უნდა იყოს საუბარი, რადგან ქუთაისიდან სკანდასკენ მიმავალ გზაზე სწორედ ეს ორი მდინარე გასავლელი.

სკანდე განვითარებული შუა საუკუნეების იმერეთის მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. იგი მდებარეობს მდ. ჩხარას მარცხენა მხარეს თერჯოლიდან 15 კმ-ზე. დღეს აქ შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლის უძველესი ფენა აღრინდელ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება [15, 417].

სკანდისკენ მიმავალ გზაზე ელჩებს დარბაზის მდივნის ფეშანგის კუთვნილი სოფლებიც გაუვლიათ, რომელთა შორის ერთ-ერთი სომხებით ყოფილა დასახლებული და საყდარიც ჰქონია, ეს უნდა იყოს სოფ. ჩიხორი, რომლის მახლობლად არის ე.წ. „ნაქალაქარი“ - შუა საუკუნეების სავაჭრო-სახელოსნო დასახლება. 1737 წ.

შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია „ჩიხორი - ქალაქი და საყდარი“. მის დაწინაურებას ხელს უწყობდა გზა რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მიემართებოდა. 1634-35 წლებში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა გაათავისუფლა იმერეთის მეფე გიორგი III და სანაცვლოდ მიიღო ჩიხორელ ვაჭართა ნაწილი, რომლებიც სოფელ რუხში (ახლანდელი მუგდიდის რაიონი) დაასახლა [16, 85]. ვახუშტი ბაგრატიონით თავის „აღწერაში...“ ამბობს, ჩიხორი - ოდესღაც დიდი ახლა მცირე სომხებით დასახლებული ადგილი.

რუსი ელჩები ალექსანდრე იმერთა მეფის ბრძანებით 1 აგვისტოს სკანდელან ქუთაისში დაბრუნდნენ. 5 ვერსტის დაშორებით წმ. გიორგის მონასტერში შეუვლიათ, რომლის აღწერასაც გვაძლევენ. აქ საუბარია სოფ. ჩხარში არსებულ ხუროთმოძღვრულ კომპლექსზე - წმ. გიორგის ეკლესია და სამრეკლო, რომელსაც გარს არგვია გალავანი.

რუსი ელჩების აღწერილობები საშუალებას გვაძლევენ ზოგადად მოვხაზოთ იმერეთის სამეფოს საზღვრები XVII ს. შუა ხანებში. გოლოჩანოვისა და იევლევის სიაში მოცემულია ზემო იმერეთის ვახანოს, ჩხარის ციხეები, სამაგიეროთ აქ არ არის მოხსენიებული ხეფინისხევის სოფლები და ნუნისის მონასტერი. საფიქრებელია, რომ მიუხედავად ამისა, ზემო იმერეთი ამ დროისათვის ლიხის ქელამდე იმერეთის სამეფოს საზღვრებში შედიოდა.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს სამხრეთ საზღვარს - ფერსათის ქელი მიჯნავდა, რომლის ფერდობზე განლაგებული იყო რამდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული. ყველაზე აღმოსავლეთის ლოშსიათ ხევი მდებარეობდა. დღევანდელ ბაღდათის რაიონს გაღმართი ეწოდებადა. უფრო დასავლეთს ორი ქვეყანა საჩინო და სალომინაო. საჩინო მოიცავდა მდ. ყუმურისა და სულორის ხეობებს, ხოლო მდინარე კვინისწყალის ხეობა და მის აღმოსავლეთით მდებარე გერიგორია მდ. კორისწყელამდე სალომინაოს ეკავა. აქ მდებარე ამაღლების ეკლესია, უფრო მუსგად მონასტერი პირველად ალექსი იევლევის საანგარიშო აღწერილობაშია დამოწმებული, რომელსაც ამ დროს იღუმენი სვიმონი განაგებდა [17,87]. ვახუშტის იგი მონასტრად აქვს მოხსენიებული: „მოერთვის რიონს სამხრიდან, ამაღლების ხევი



გამოდის ფერსათს, ამასმედ არს მონასტერი ამაღლების დიდ გუმბათიანი აწ ხუცის ამარად“ [18, 751]. ვახუშტისეული ამაღლების ხევი არის კვინის წყალი. 1737 წ. შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე (რუკა იმერეთის სამეფო კარზეა შედგენილი, იმერეთის მეფის დავალებით) „ამაღლების საყდარია“ აყნიშნული. ამაღლების ეკლესია XVII ს-ის დასაწყისში უნდა იყოს აგებული. მათ 1815 წელს შედგენილ ეკლესიათა ნუსხა 1615 წლით ათარიღებს. უნდა ვიფიქროთ, რომ სოფელს, სადაც ეს ეკლესია დგას, ამ ხანამდე სხვა სახელი ეწოდებოდა და მხოლოდ ქრისტეს ამაღლების სახელობაზე საყდრის აგების შემდეგ ეწოდა ამაღლება [19, 29].

იმერეთის სახელმწიფოს ციხე-ქალაქების სიაში ელჩებს დასახელებული აქვთ ამ მხარის სხვა დასახლებული პუნქტები: ვანი, საჩინო, საბეკა. იმერეთს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს საჯავახო წარმოადგენდა. ეს იყო გურია-იმერეთის საზღვარი. მე-17-მე-18 საუკუნეებში საჯავახო სადაო გერიგორია იყო იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს შორის. საფიქრებელია ნ. გოლოჩანოვისა და ა. ივლევის მუხლობრივი აღწერილობის შედგენის დროს ეს სადაო გერიგორია გურიაში შედიოდა, რადგან საჯავახოს გერიგორიის არც ერთი დასახლებული პუნქტი არც ერთი ელჩის აღწერაში არ არის მოხსენიებული.

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს დასავლეთ საზღვარს, XVII ს. შუა ხანებში აქ რამდენიმე ნიუანსია ყურადსაღები. როგორც ცნობილია, განსაკუთრებით გამწვავდა ურდოებრიობა იმერეთის მეფესა და ლევან II დადიანს შორის, ეს უკანასკნელი განუწყვეტლივ ესხმოდა თავს იმერეთის სამეფოს XVII ს. 20-30-იან წლებში და მისი მეფე გიორგი III ჩაიგდო ტყვედ. განთავსულების სანაცვლოდ მის მემკვიდრისაგან მიიღო მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე გერიგორია საჭილაო-სამიქელაო, ჩხარისა და ჩიხორის ვაჭრები. (ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი). მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე გაბაგონებული დადიანი ახლა უფრო თავისუფლად თარეშობდა მთელ ქვემო იმერეთში და ფაქტობრივად ეს გერიგორია ქუთაისამდე მიგაცეხალები ჰქონდა. დადიანის მძლავრობამ

იძულებული გახდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III დახმარების სათხოვნელად რუსთა ხელმწიფისათვის მიემართა. 1649 წელს თავისი ელჩები გაგზავნა რუსეთში, რისი საპასუხო ელჩობა იყო გოლოჩანოვისა და იევლევის იმერეთის სამეფოში ჩამოსვლა. ისინი თვალყურს ადევნებდნენ ოდიშ-იმერეთის ურთიერთობებს. სადადიანოს მთავართან ალექსანდრე მეფის შესარიგებლად ჩასულ თეიმურაზ მეფის და მიგროპოლიგ ბაქარიას მოლაპარაკებების შესახებ გოლოჩანოვი წერს: მთავარს მეფე ალექსანდრეს ქვეშევრდომთაგან ოცდაათი რჩეული კაცის მათის მამულებით თავის სამთავროს საზღვრებში ქვეშევრდომთა გადაცემა მოუთხოვია“ [20, 79].

აქ სწორედ დადიანის მიერ მიგაცეხული საჭილაო-სამიქელაოს იურიდიულად მისაკუთრებაზე უნდა იყოს საუბარი, რაზეც ალექსანდრე მეფისაგან უარი მიუღია. როგორც ვხედავთ, XVII ს. პირველ ნახევარში იმერეთის სამეფოს დასავლეთი საზღვარი მონაცვლეობს და ამიგომ ძნელია მისი დადგენილი ხაზს გავლება.¹ ლევან II დადიანის გარდაცვალებამდე ჭილაძეებისა მიქალაძეების სამფლობელოები ოდიშის საზღვრებში შედიოდა [22, 334]. თვით ელჩებიც თავის მუხლობრივ აღწერილობაში არ ასახელებენ ამ სადაო გერიგორიების ციხე-ქალაქებს, რომლებიც იმერეთის სამეფოს ეკუთვნის.

სამშობლოში რუსი ელჩები გაბრუნდნენ 1651 წ. 10 ოქტომბერს, უკან გზაზე მათ ოკრიბა აღარ გაიარეს. ისინი ჯერ სკანდაში მივიდნენ, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, სოფ. მუხურის გავლით პირდაპირ რაჭაში, ნიკორწმინდაში ავიდნენ. გოლოჩანოვის და იევლევის აღწერილობებში რაჭის გარდა ლეჩხუმის სოფლები არის მოხსენიებული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ დროისათვის ლეჩხუმი და საფიქრებელია ქვემო სვანეთი იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა. ნიკორწმინდიდან ქაიხოსრო „ბოიარის“ სოფელში ანუ კვარას ციხეში მივიდნენ. ის მთლიანად ქვაბუკ აგებული მთებს შორის [23, 143]. ამ ციხის ნანგრევებმა რაჭის უკანასკნელ მიწისძვრამდე 1990 წ. მოაღწია [24, 79]. აქედან ელჩები ალექსანდრე III-ის კარზე ყველაზე დაწინაურებული თავადის, პაპუნა ერისთავის სოფელში გადასულან, შემდეგ ლომკაც ჯაფარიძის სოფელში, აქედან გოლოჩანოვის თანახმად, აზნაურ

გამყრელიძის სოფელში, ხოლო იველევს თანახმად სოფელ მთათმყრელში. შემდგომ გიორგი კანჩოვის სოფელ თევრეშოში და აქიდან ბაღყარეთში.

გოლოჩანოვსა და იველევს მუხლობრივი აღწერილობების დასასრულს მოცემული აქვთ იმერეთის სამეფოს ციხე-ქალაქების სია, იმ განსხვავებით, რომ გოლოჩანოვს სამეფო კარზე მიუღია ეს სია, რომელიც იველევისათვის არ გამოუჩენია, ხოლო ამ უკანასკნელს გეპირი გადმოცემით შეუგროვებია. ამიგომ გოლოჩანოვის სია უფრო სრულია.

საგახგო ქალაქი ქუთაისი მდ. რიონს გაღმა. ქვის ციხე-გალავანი ქუთაისი. ციხე გალავანი გელათი. ციხე-გალავანი სკანდა. ამბროლაურის ციხე. ახაგევის (ხოგევის) ციხე. აშეკაში (უკეში ან ლეშკაში) ლეჩხუმის სოფ. ლეშკაში მოხსენიებულია გიულდენშტედტთან [25, 327]. აშაშას ციხე. ბოსლევის ციხე. ბერეთის ციხე. გეგუთის ციხე [2] (სამეფო ციხე დარბაზი). გეზათის ციხე. გვიშტიბის (გვაშტიბი) ციხე. გუიმუს (მღვიმე) ციხე. ღებურის ციხე. ვახანის ციხე. ციხე ვაზისში. ვარდის ციხე (ვარდციხე). ვათობას ციხე. ვანის ციხე. ვარჩიჩის ციხე. ვარძიის ციხე. გეგილეთის (ძეძილეთი) ციხე. ზნაკვას ციხე. თევრეშის ციხე. კაცხის ციხე, ეს ციხე ორჯერ არის მოხსენიებული, ერთ-ერთი არის კიცხი. კელვანის ციხე (მოხსენიებულია გიულდენშტედტთან) [27, 309] კუარას (კვარას) ციხე. კაცხის ციხე. კიგრუს (კიგრი) ციხე. კუტებზას ციხე. ლაჯანის ციხე. ლეხიდრის (ძმუისი) ციხე. ლეხიდრის ციხის ნანგრევები დღესაც შემორჩენილია ამავე სახელწოდების მდინარის მარცხენა ნაპირას სოფ. ძმუისის მახლობლად მაღალ მთაში. ამ მდინარეს ვახუშტი ბაგრატიონი ძმუის-მუყელეთის სახელით მოიხსენიებს და მის ნაპირას ამ ციხეს ახსენებს: „მოერთვის რიონს მდინარეს აღმოსავლეთიდან ძმუის-მუყელეთის ხევი... ამ ხევიზე ძმუისს, მთაში არს ციხე კლდესა ზედა შენი და მაგარი“ [28, 158], დღეისათვის ამ ციხიდან მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელია შემორჩენილი. ლეჩხუმის ციხე. მაჩიგავრი (მეჩხეთური) ციხე. მინდა ციხე. მუხურის ციხე. მუხურის ციხე და შეუპოვარი ციხე ერთი და იგივეა. ასე რომ, რუს ელჩებს ერთი ციხე-სიმაგრე ორჯერ აქვთ დაგანილი. ნამანევის (ნამაშევის) ციხე. ყოტას ციხე. ყოშხას ციხე. რაჭის (ნიკორწმინდა) ციხე.

საკეთიის ციხე. საჩინოს ციხე. საზანოს ციხე. სვირის ციხე. საჩინო (საწირე) ციხე. საცხელისის ციხე. სუერის (სვერი) ციხე, საფეკოს ციხე. სხვაავას (სხოვა) ციხე. გაბაკის (გაბაკინი) ციხე. უახაიას ციხე. ფარზის ციხე. ქვიგირის ციხე (ქუთაისთან). ქვიგირის ციხე (ლანიერთან). ქუაშგიბის ციხე (გვიშგიბის). ღარის ციხე. ღების ციხე. შარის ციხე (შაურა). შუეპოვარი ციხე (მუხურის). შორაპნის ციხე. შოუმანის ციხე. ჩარათხას ციხე. ჩერეჟუმის ციხე. ჩელათხის ციხე (ჯალაგყე). ჩხერის ციხე. ცაგერის ციხე. ცეირის ციხე. წესის ციხე. წყერის ციხე (მწყერის) ვახუშტი. ჭარალის ციხე (ჭართალ). ჭიორას ციხე. ჭყვიშის ციხე. ხარაგაულის ციხე. ხიღარის ციხე. ხონის ციხე. ჩხეთის ციხე (ორჯერ აქვს დასახელებული).

ა. იველევის მიერ ჩამოთვლილ ციხე-ქალაქებს საიდან შეიძლება დავაშაგოთ: 1. ქვაციხე. 2. კუგარიმ. 3. ხიდისკარი. 4. ხეგირ. 5. აშგიციი 6. შარი.

როგორც ვხედავთ რუსი ელჩების მუხლობრივი აღწერილობანი დაწერილებით ცნობებს იძლევიან მე-17 საუკუნის 50-იანი წლების იმერეთის სამეფოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. ეს აღწერილობანი საშუალებას გვაძლევენ გამოვხაზოთ ამ ხანის იმერეთის სამეფოს საკმაოდ დაწერილებითი რუკა.

ლიტერატურა:

1. უ. გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე, წიგნი II, თბ., 1995, გვ. 256.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973წ., გვ. 326.
3. ი. ცინცაძე, გოლიჩანოვის იმერეთში ელჩობა მუხლობრივი აღწერილობა, თბ., 1870, გვ. 10.
4. გოლიჩანოვის... გვ. 9.
5. ი. ცინცაძე, გოლიჩანოვის... გვ. 58-64.
6. თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983, გვ. 68.
7. იქვე, გვ. 68.
8. იქვე, გვ. 92.
9. თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983, გვ. 92
10. გოლიჩანოვი, გვ. 94.
11. ი. ცინცაძე, „იველევის აღწერილობა“, გვ. 128.
12. ალექსი იველევის... გვ. 140-141 გოლიჩანოვის... გვ. 117-118.
13. წყაროებით აგრეთვე ცნობილია, რომ ალექსანდრე III და ლევან II

- დადიანის ამაოხრებელი თავდასხმების გამო, ქალაქის ეს ნაწილი საგანგებოდ
გამაგრდა. ბერი ევნაგაშვილი, ქართლის ცხოვრება II, თბ., 1953, გვ. 481.
14. აღ. იეველვის... გვ. 128. გოლოჩანოვის... გვ. 109-110.
 15. თ. ბერაძე, სკანდის ციხე, ქსე, ტ. 9, გვ. 417.
 16. ი. ანთელაფა, ლევან II დადიანი, თბილისი, 1990 წ., გვ. 85.
 17. იეველვის... გვ. 87, 167.
 18. ვახუშტი „აღწერა...“ გვ. 751.
 19. ვანი, III, თ. ბერაძე, „ვანის...“ გვ. 29.
 20. გოლოჩანოვის... გვ. 79.
 21. ნარკვევი IV, გ. ჯამბურია, დასაუღებო საქართველოს XVII ს-ს პირველი
ნახევარი.

22. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 334.
23. გოლოჩანოვის... გვ. 143.
24. თ. ბერაძე, რაჭა, გვ. 79.
25. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 327.
26. გეგუთი ორჯერ აქვს დასახელებული.
27. გიულდენშტედტი მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 309.
28. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997 წ., გვ. 278,
იქვე, 158.

DAVIT TSITAISHVILI

THE BORDERS OF IMERETI KINGDOM ACCORDING TO DETAILED DESCRIPTIONS BY NIKIFORE TOLOCHANOV AND ALEX IEVLEV RESUME


The detailed descriptions made in 1650-52 by N. Tolochanov and A. Ievlev during their presence in Imereti as ambassadors helps us to define the borders of Imereti Kingdom in the middle of the XVIII-th century. The castles of Upper Imereti are listed in their report and it gives us reasons to think that this region belonged to Imereti Kingdom. The southern border was Phersati Range, where some historical-geographical units-Lomsiat Ravine, Sachino and Salominao were situated. The south-western border of the Imereti Kingdom was Sajavakho. In the first half of the XVII th century the borders of Imereti Kingdom varies a lot and it is difficult to draw exact borderlines. The northern border followed the main Range of Caucasus.

საქართველოს ისტორიის კათედრა

შინაარსი



გაია ალავიძე	-- ინგლისური მეტყველების იდიომატიკა.....	3
ფიქრია აფხაიძე	-- სინკლურ-ინგლისური ენობრივი კონტაქტები.....	8
ელენე ბერეაშვილი	-- ეროვნული აღქმის საკითხი პოეზიის თარგმნისას.....	22
ნუგეზა ბაგნიძე	-- ნიცშეს ლირიკის სპეციფიკისათვის.....	28
ელენე ბებეშიძე	-- ხალხური ოქრომჭედლობა ქუთაისში.....	37
დავით ბებეჭკორი	-- „სარაკეტო გამბიტი“ და კარიბის კრიზისი.....	45
დარეჯან ბვაძაგია	-- მსოფლიოში საენათმეცნიერო აზროვნების განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის.....	54
რუსუდან ბვილავა	-- მეტაფორული მნიშვნელობის რეალიზაციის თავისებურებანი.....	64
ირმა გოგოლიძე	-- აჭარის საკითხი საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობაში 1918 წელს.....	74
ირმა ბრძელიძე	-- პერფორმატივთა ტიპები.....	80
ელდარ თავბერიძე	-- ეროვნული პრობლემა „კვალის“ პუბლიცისტიკაში.....	87
თეონა თედორაძე	-- ტელიკურობა/ატელიკურობის კატეგორია თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	93
ეკა თოფურია	-- კითხვითი წინადადება, როგორც ირიბი სამეტყველო აქტი.....	100
ეკა ქახიძე	-- საქართველოს ავტონომიის საკითხი სოციალისტ-ფედერალისტთა პრქის ფურცლებზე.....	111
ამირან კვიციანიძე	-- საადგილმამულო ურთიერთობანი ქუთაისის გზრაში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში.....	119
სულხან კუპრაშვილი	-- საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ქრონოლოგია „კავკასკი კალენდარში“.....	131
მარინა კუსალაშვილი	-- განუსაზღვრელობითი ნაწილაკებისათვის ქართულში.....	136
რუსუდან მიტაუბაძე	-- მინილ თამარაშვილის ბიოგრაფიისათვის.....	141



ნათია ნასარიძე	-- გოთესა და ვაგნერის რეცეფცია თომას მანის ესეისტიკაში.....	145
ოთარ ნიკოლეიშვილი	-- აჭარის საკითხი სერგეი მესხის ნააზრევში.....	153
ენო ნიჟარაძე	-- კომუნიკაციური კომპეტენციის თეორიული საფუძვლები.....	165
თენგიზ სარალიძე	-- ერის საკითხი მიხაკო წერეთელთან.....	175
ნათია სვინტრაძე	-- მიჯნურობა ნიჰამის "ლეილი ვო მაჯნუნის" და რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით.....	185
დავით სულაბერიძე	-- გიორგი წერეთელი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი საკითხი....	191
ონა უშვარიძე	-- პასივობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები....	199
მედა ფანშულიძე	-- რუდოლფ ჰესის ინგლისში გაფრენის ნაკლებად ცნობილი დეტალები.....	207
ნათია ქათამაძე	-- პრესუპოზიცია ყოველდღიურ ცხოვრებაში.....	216
აკაბაძე ქაჯულაძე	-- კიბა აბაშიძე ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობების შესახებ.....	220
ლეილა ქველიძე	-- ქალთა განთავისუფლების საკითხი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში.....	233
დავით შავიანიძე	-- იმერეთის გვარსახელები.....	238
ირინე შიშინაშვილი	-- რეცეფცია ჰერმან ჰესეს ესეებში.....	247
ირინე ჩაჩანიძე	-- ფორმათა სოციოლინგვისტური მოდელის პრობლემისათვის.....	253
რეალბა ჩხიკვაძე	-- ფუნქციონირების სემანტიკისათვის.....	258
დავით წიტიანიშვილი	-- იმერეთის სამეფოს საზღვრები ნიკიფორე სტრონატიისა და ანტონი იველევის მხატვრული აღწერებების მიხედვით.....	261

